რომენ გარი

თეთრი ძაღლი

ფრანგული ინსტიტუტი საქართველოში
ძ ღ ვ ე ნ ი

ნაწილი პირველი

I

ნაცრისფერი ძაღლი იყო, ცხვირის მარჯვენა მხარეს დასკუპებული მეჭეჭით, რომელიც თირკმელა სოკოს წააგავდა. დრუნჩი კი მთლიანად ჟღალი ბალნით ჰქონდა დაფარული, რაც მას „მწეველი ძაღლის“ აბრაზე გამოსახულ გამოუსწორებელ მწეველს ამსგავსებდა. გეცოდინებათ ის კაფე-ბარი, ნიცაში იყო, სულ ორ ნაბიჯზე იმ ლიცეუმიდან, სადაც ვსწავლობდი.

თავი ოდნავ გვერდზე გადაეწია და დაჟინებით მიყურებდა. ასეთ მზერას მხოლოდ უპატრონო ძაღლთა თავშესაფარში თუ ნახავთ, სადაც ხანმოკლე ვიზიტის დროს ცხოველები შიშნარევი იმედიანი თვალებით შემოგცქერიან. აუტანელია! მკერდი ნამდვილად მებრძოლი ძაღლისა ჰქონდა. მოგვიანებით, როცა ჩემი ბებერი სენდი გააჯავრებდა და წყობიდან გამოიყვანდა – და ამის მომსწრე არაერთხელ ვყოფილვარ – ბულდოზერივით მიაწვებოდა ხოლმე აბეზარს.

გერმანული ნაგაზი იყო.

ჩემს ცხოვრებაში პირველად 1968 წლის 17 თებერვალს გაჩნდა. მაშინ ბევრლი ჰილზში ახალი ჩასული გახლდით. ჩემს მეუღლეს, ჯინ სიბერგს იღებდნენ რომელიღაც ფილმში.

იმ დღეს, ისევე როგორც ეს თითქმის ყველა ბუნებრივი მოვლენისთვისაა დამახასიათებელი ამერიკაში, ლოს-ანჯელესს უძლიერესი, მე ვიტყოდი, უსაშველო თავსხმა დაატყდა თავს: რამდენიმე წუთში ეს უზარმაზარი ქალაქი გადაიქცა ტბად, სადაც ფშვინვითა და ხროტინით საცოდავად დაღოღავდნენ წყლით ფილტვებგაბერილი ცოცხალმკვდარი კადილაკები. ქალაქს უცნაური, მისი დანიშნულებისათვის სრულიად შეუსაბამო იერი დაედო, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი სანახაობისთვის სიურრეალისტებმა დიდი ხანია შეგვამზადეს. მე მარტო ერთი რამე მადარდებდა ძალიან – ჩემი ძაღლი სენდი. წინა დღეს სანსეტ ბულვარზე გავარდა სახეტიალოდ, როგორც ეს უცოლშვილო მამრებს სჩვევიათ და ჯერ კიდევ არ იყო შინ დაბრუნებული. სენდი ოთხი წლის ასაკამდე უმანკო გახლდათ, რაც, ალბათ, გარკვეულწილად ჩვენი ოჯახისთვის დამახასიათებელი მაღალი მორალური პრინციპებით აღსავსე ატმოსფეროში ცხოვრებით იყო განპირობებული. ერთ დღესაც დოჰენი დრაივის ტურფამ თავბრუ დაასხა და ოთხწლიანი ბურჟუაზიული აღზრდა-განათლებისა და ფრიად მისაბაძი სანიმუშო პრინციპებისგან ნატამალიც კი აღარ დარჩა. სენდი, ცხადია, ბუნებით უბრალო, მიამიტი და ადვილად მიმნდობი არსებაა, ჰოლივუდის კინემატოგრაფიულ წრეებში ჯეროვანი თავდაცვისთვის სრულიად მოუმზადებელი.

პარიზიდან ლოს-ანჯელესში ჩამოვბარგდით მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანითა და, რაც მთავარია, სამხეცეთი. ჩამოვიყვანეთ ბირმული კატა ბრუნო და მისი განუმეორებელი თანამგზავრი მეი, სიამის ჯიშისა. მეი სინამდვილეში ხვადი იყო, მაგრამ ჩვენ, მართალი გითხრათ, არც კი ვიცი რატომ, ყოველთვის ძუდ აღვიქვამდით. შეიძლება იმიტომ, რომ სითბოსა და სინაზის საგანძური არ ელეოდა; კიდევ გვყავდა უკვე

გადაღრძუებული ყოფილი მაწანწალა კატა ბიპო, ველური, მოუხელთებელი, უკარება და თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად კაცთმოძულეობისკენაც გახლდათ მიდრეკილი. აბა, ერთი გეცადათ, მოჰფერებოდით, იმ წუთშივე ბასრბრჭყალებიან თათს გამოგიქანებდათ; ტუკანი ბილი-ბილი, რომელიც კოლუმბიაში ცხოვრების დროს ვიშვილეთ. მხოლოდ ამას წინათ შეველიე არაჩვეულებრივ შვიდმეტრიან პითონს, რომელსაც პიტ-მახრჩობელა დავარქვით. სან-ფერნანდო ველიში ჯეკ კერათერსის კერძო ზოოპარკს ჩავაბარე. სხვათა შორის, იმასაც კოლუმბიის ჯაგნარში გადავეყარე. პიტთან განშორება იძულებითი იყო. მეგობრები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ მის მოვლაზე. ეს მაშინ ხდებოდა, როცა საკუთარ კანში გამომწყვდეულ კლაუსტროფობიით სნეულს ვემსგავსებოდი და დაუოკებელი მოუსვენრობა და უმისამართო ხეტიალის სურვილი შემიპყრობდა. კონტინენტიდან კონტინენტზე გადავდიოდი. ვეძებდი ვიღაცას თუ რაღაცას, ოღონდ განსხვავებულს. ზუსტად არც მქონდა გააზრებული. ბარემ, ჯობია, აქვე ვაღიარო, რომ ამ გადარბენებსა და წანწალში არც გადავყრივარ რამე ან ვინმე უჩვეულოს; მარტო არაჩვეულებრივი სიგარები აღმოვაჩინე მადრასში, რომელიც დღესაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე სასიამოვნო მოულოდნელობად მიმაჩნია.

დროდადრო ჩემი პითონის მოსანახულებლად სან-ფერნანდო ველიში ჩავდიოდი. მწერლებისადმი რიდითა და პატივისცემით შეპყრობილ ჯეკ კერათერსს მისთვის ცალკე ოლიერი ჰქონდა გამოყოფილი. მოვკალათდებოდი ხოლმე ჩემთვის სადმე კუთხეში, გადავიდებდი ფეხს ფეხზე და თვალი თვალში გაყრილნი დიდხანს ვუცქერდით ერთმანეთს, მონუსხულნი, უსაზღვროდ გაოგნებულნი, სრულიად უძლურნი, ერთიმეო-

რისათვის აგვეხსნა, რა ხდებოდა ჩვენს თავს, ან გაგვეზიარებინა მცირედი ნაწილი იმ გამოცდილებისა, რომელიც მთელი განვლილი ცხოვრების მანძილზე დაგვიგროვდა ორივეს. პითონის ტყავში აღმოჩენა ან, პირიქით, ადამიანისა – ეს ისეთი გასაოცარი გარდასახვაა, რომ გაზიარებული განცვიფრება ჭეშმარიტად ძმურად გვაკავშირებდა.

ხანდახან პიტი სამკუთხედად გარდაიქმნებოდა – პითონები ბურთად კი არ ეხვევიან, არამედ კუთხსაზომი ეკერის ფორმას იღებენ – მაშინ ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს მასპინძელი რაღაცაზე მიმანიშნებდა, რაც მე უეჭველად უნდა ამომეცნო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ კუთხსაზომის პოზას პითონი მარტო მაშინ იღებს, როცა საფრთხის მოახლოებას გრძნობს და თავდასაცავად ემზადება. მაშინ მივხვდი, რომ მე და პიტ-მახრჩობელას ერთი ფრიად დასაფასებელი თვისება გვქონდა საზიარო – უკიდურესი სიფრთხილე ადამიანებთან ურთიერთობაში.

შუადღე იქნებოდა. ლოს-ანჯელესის ქუჩებში ჯერ კიდევ წყლის ნაკადები ბობოქრობდნენ, როცა ჩემთვის კარგად ნაცნობი ბარიტონი ჩამესმა. ჩემი ძაღლი ყეფდა გამწარებით და შემოშვებას მთხოვდა. გარეთ გავქანდი და სასწრაფოდ კარი გავუღე. სენდი დიდი ყვითელი ძაღლია (შესაძლოა, დანიური დოგის შორეული შთამომავალი იყოს), მაგრამ თქეშის გამო ტალახში ამოვლებულ მის ბალანს გამდნარი შავი შოკოლადის ფერი დასდებოდა. კარებთან იდგა. კუდამოძუებული და თავჩაქინდრული, დრუნჩით ლამის ფილაქანს ეხებოდა – გამოცდილი ფარისევლისათვის ნიშნეული ოსტატობით ჩადენილ დანაშაულს, მორცხვ დაბრუნებასა და უძღები შვილის გულწრფელ მონანიებას განასახიერებდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამიფრთხილებია, ღამღამობით ქუჩა-ქუჩა წოწიალს

თავი დაანებე-მეთქი. ახლაც სულ თითი ვუქნიე და რამდენ-ჯერმე წარმოვთქვი: bad dog და ის-ის იყო სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის – აი, ისეთის, რომ ეთაყვანებიან, მაგრამ თან მისი დიდი რიდი და შიშიც აქვთ – როლით მოგვრილი სიამოვნებით დატკბობაც დავაპირე, რომ ჩემმა ძაღლმა თავი ელეგანტურად გვერდზე გადახარა და მიმანიშნა, რომ მარტო არ ვიყავით. სენდიმ შემთხვევით ქუჩაში გაცნობილი ამხანაგი მომაყენა კარზე, გერმანული ნაცრისფერი ნაგაზი, ასე ექვსი-შვიდი წლისა. ლამაზი ცხოველი კი იყო ნამდვილად, ძლიერისა და გონიერის შთაბეჭდილებას ახდენდა. შევამჩნიე, რომ სტუ-მარს საყელური არ ეკეთა, რაც ჯიშიანი ძაღლისთვის უცნაუ-რი მეჩვენა.

ჩემი ყალთაბანდი შემოვუშვი, მაგრამ გერმანული ნაგა-ზი იქიდან ფეხის მოცვლას არ აპირებდა. თქეშისგან ბალანი ისე დასველებოდა და ისე მისწებებოდა ტყავზე, რომ ნაპირზე გამოგდებულ სელაპს დამსგავსებოდა. ყურებდაცქვეტილი, კუდს აქიცინებდა, თვალებში სულ ნაპერწკლები უციმციმებ-და. ამგვარი ყურადღებით ნაცნობი ჟესტის, მოფერებისა თუ ბრძანების მომლოდინე ძაღლები მოგაშტერდებიან ხოლმე. ცხადია, სტუმარი მიპატიჟებას ელოდა, თავშესაფრის კანო-ნიერ უფლებას ითხოვდა, იმ უფლებას, ცივილიზებულ ადა-მიანებსა და მათ შორის დამყარებულ ურთიერთობებს რომ არეგულირებს. სტუმარი თავმდაბლად შემოვიპატიჟე.

ძაღლის ზნეზე წარმოდგენის შექმნა, ვფიქრობ, ძნელი არ არის, თუმცა იმავეს დობერმანებზე ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ძალიან ძნელია მათი რეაქციების წინასწარ განჭვრეტა. პირა-დი დაკვირვებები მალაპარაკებს. შემოხიზნულმა უმალ მომ-ხიბლა, მეტიც, შემძრა თავისი კეთილგანწყობით. ამას გარდა, ყველამ, ვისაც ძაღლების გვერდიგვერდ უცხოვრია, კარგად

იცის, რომ, თუკი ერთი ცხოველი მეორის მიმართ კეთილ-განწყობას იჩენს, თამამად შეიძლება, დაენდო მის აზრსა და არჩევანს. ჩემი სენდი სრულიად უწყინარი და გაწონასწორებული ხასიათით გამოირჩეოდა და ამიტომ სიმპათია, რომელსაც ის ჩვენ მიერ თქეშისგან გადარჩენილი ამ კოლოსისადმი ავლენდა, ყველაზე უტყუარი და გულწრფელი რეკომენდაცია იყო. დაუყოვნებლივ „ცხოველთა დაცვის ასოციაციას“ დავუკავშირდი. მოვახსენე, რომ მოხეტიალე გერმანული ნაგაზი შევიკედლე. ნომერიც დავუტოვე, ვინიცობაა, პატრონიც გამოჩნდეს-მეთქი. შვებით ამოვისუნთქე, როცა დავრწმუნდი, რომ სტუმარი ჩემს კატებს დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდა და, საერთოდ, უნდა ვაღიარო, რომ კარგად აღზრდილი ვინმე იყო, ერთი სიტყვით, შესანიშნავი კომპანიონი.

მომდევნო დღეებში აუარება ნაცნობ-მეგობარს ვუმასპინძლე. მინდა გითხრათ, რომ ნაგაზი, რომელსაც ბატკა დავარქვი, დიდი მოწონებითა და წარმატებით სარგებლობდა, თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ზოგი კარგა გვარიანად შეაშინა. გარდა კეჩისტის გულ-მკერდისა და შთამბეჭდავი შავი ძლიერი ყბებისა, ბატკა ეშვებითაც იყო აღჭურვილი, აი ისეთით, პატარა ხარებს რომ აქვთ და მექსიკაში macho-ს ეძახიან. მიუხედავად ზემოთქმულისა, ბატკა მაინც გასაოცრად მშვიდი და თბილი არსება აღმოჩნდა. იმისათვის, რომ მომავალში სტუმრები ზუსტად ამოეცნო, მათ ჯერ გულმოდგინედ დაყნოსავდა ხოლმე. ერთი მოფერება, თავზე ხელის ერთი გადასმა და იწყებოდა ერთი shake hands რიტუალი, გაუწვდიდა თათს და თითქოს ეუბნებოდა, ვიცი, რომ შიშის მომგვრელი ვჩანვარ, მაგრამ, დამიჯერეთ, ძალიან კარგი ვინმე ვარო. ყოველ შემთხვევაში ასე „ვთარგმნიდი“ იმ ქცევას, რომლითაც

ის ცდილობდა ჩემი სტუმრების დამშვიდებას. თუმცა თავისთავად, რომანების ავტორი სხვებზე უფრო ხშირად ცდება საგნებისა თუ ადამიანების ბუნების შეცნობაში იმ უბრალო მიზეზით, რომ ის მათ იგონებს, წარმოისახავს. მართლაც, ის, ვისაც ცხოვრებაში შევხვედრივარ და ვისაც გარკვეული ხანი მაინც დაუყვია ჩემ გვერდით, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი წარმოსახვის ნაყოფია.

პროფესიონალი მთხზველისთვის ეს ხერხი ადვილზე ადვილია. ჯერ ერთი, ტვინის ჭყლეტასა და ამით გამოწვეულ ყოველგვარ დაღლას იცილებ თავიდან, მეორეც, აუარებელ დროს ზოგავ ნაცნობების შინაგან სამყაროში ჩასაწვდომად. აღარ გჭირდება მათ წარსულში ქექვა-ფათური და ჩაღრმავება, მათ მიმართ ყურადღების გამოჩენა, უბრალოდ წარმოისახავ და მორჩა! თუ მოგვიანებით რომელიმემ გაუთვალისწინებელი რამ მოგიმზადა და უსიამოვნოდ გაგაოცა, აი, მაშინ შეგიძლია, თავს სრული უფლება მისცე, გაუბრაზდე, რამდენიც გაგიხარდება. რატომაც არა? მან ხომ იმედები გაგიცრუა; საბოლოოდ შეგიძლია, დაასკვნა, რომ ის არ იყო შენი ტალანტის ღირსი.

ძაღლი არავის მოუკითხავს და ვგრძნობდი, რომ ის სულ მალე ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა. სახლში, რომელშიც არდენში ვცხოვრობდი, რა თქმა უნდა, მქონდა აუზი და ტექნიკური მომსახურების სააგენტო წელიწადში ორჯერ მაინც მუშას მიგზავნიდა წყალგამწმენდი ფილტრის გამართულობის შესამოწმებლად. ერთხელაც, ნაშუადღევს, მაგიდასთან ვიჯექი და ჩემთვის წყნარად ვწერდი. უეცრად აუზის მხრიდან ხანგრძლივი ღმუილი და გაბმული ღრენა მომესმა, რასაც სწრაფი, წყვეტილი და გამხეცებული ყეფა შეენაცვლა. ამგვარად ძაღლები სახლში დაუპატიჟებელი

სტუმრის შემოჭრასა და გადაუდებელი შეტევისათვის მზადყოფნას გვაუწყებენ. ერთი სიტყვით, ძაღლურად ეს იგივეა, რაც ჩვენებური: „არ გამიშვათ, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ“; კარგად გაწვრთნილ მებრძოლ ძაღლებში ეს სულაც არ არის მოჩვენებითობა და თავმომწონეობა. ისინი არ ხუმრობენ. ყეფის შესაბამისი შედეგიც გარდაუვალია. მინდა გითხრათ, რომ არაფერია ისეთი დამზაფვრელი, როგორც სიბრაზის ეს მოულოდნელი და დაუოკებელი აზვირთება, რომლის მთავარი მიზანი შენი ადგილზე გაშეშებაა. ამ დროს მხოლოდ სასწაულის იმედიღა გრჩება. მეც არ დავახანე, მოვწყდი საწერ მაგიდას და პატიოსკენ გავქანდი.

გისოსებს მიღმა თვალი მოვკარი სააგენტოს თანამშრომელს, რომელიც ფილტრების გასამართად გამოეგზავნათ. დუჟმორეული და გაავებული ბატკა კარიბჭეს ისეთი ძალით ეხეთქებოდა, სიძულვილის ისეთი პროქსიზმებით, რომ გაბედული და უშიშარი სენდიც კი დამიფრთხო და წკმუტუნით სადღაც ბუჩქებში შეძვრა კუდამოძუებული. სამშვიდობოს გასული, ცოტა ხანში საერთოდ დადუმდა.

შავკანიანი ადგილზე გახევებულიყო. ზაფრას მისთვის მოძრაობისა და მეტყველების უნარი წაერთმია. გასაგებია რატომაც. სტუმრებთან მარად თავაზიანი, ჩემი კეთილი და გულისხმიერი გერმანული ნაგაზი, ცხოველის ქურქში გახვეულ პირსისხლიან მრისხანებად გარდაქმნილიყო, ნამდვილ ფურიად. წარმოიდგინეთ მტაცებელი, რომელიც ხორცს ეპოტინება, მაგრამ ვეღარ დაჰპატრონებია. ამ დროს ყოველგვარი მხნეობა გერთმევა, ითრგუნები და სასოებას კარგავ, ამ უეცარი ტრანსფორმაციის შემხედვარე ხვდები, რომ შენი აზრით უწყინარი არსება თურმე დიამეტრულად განსხვავებული ვინმე ყოფილა, სისხლისმსმელი და დაუნდობელი. ეს ზნის, ბუნების, მე ვიტყო-

დი, განზომილებათა ჭეშმარიტი ცვლაა, მტანჯველი მომენტი, როცა თქვენთვის სიმშვიდის მომგვრელი ცნებები, წარმოდგენები და ნაცნობი კატეგორიები პატარ-პატარა ნაწილაკებად იმსხვრევა. ამგვარი გამოცდილება ნებისმიერ საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებულ ადამიანს საგონებელში ჩააგდებდა. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ბუნების სიღრმეში გადამალული პირველყოფილი სისასტიკის წინ აღმოვჩნდი. ჩვენ, ცხადია, გვირჩევნია, სამარადჟამოდ დავივიწყოთ ორი სახიფათო მოვლენის ფარული ურთიერთზემოქმედება. ეგრეთ წოდებული ჰუმანიტარიზმი ჯერ კიდევ როდიდან აწყდება ამ დილემას: სიყვარულს ძაღლების მიმართ და ამავე დროს ამ ოთხფეხთა ხროვისადმი ოდითგანვე ჩანერგილ შიშსაც.

ვცდილობდი, ბატკა როგორმე მომეგლიჯა ჭიშკრისათვის და სახლში შემეთრია; მოწოდებებმა არ გაჭრა. საძაგელი, მოვალეობის ჭეშმარიტი გრძნობით იყო შეპყრობილი. კბენით არ უკბენია, მაგრამ ხელები სულ დამინერწყვა. რამდენჯერაც ხელი მოვხვიე, იმდენჯერ დამისხლტა. ეშვებდაკრეჭილი, მთელი ძალით ჭიშკარს აწყდებოდა.

ინსტრუმენტებით აღჭურვილი შავკანიანი გისოსებს მიღმა ერთ ადგილას იყო გაშეშებული. იერით ახალგაზრდა ეთქმოდა. დღესაც კარგად მახსოვს მისი გამომეტყველება; ცხოვრებაში პირველად ვნახე აწყვეტილი ცხოველის სიძულვილის პირისპირ აღმოჩენილი შავკანიანი. სააგენტოს თანამშრომელს სახეზე ერთგვარი სევდა გადაჰკვროდა. ასე მოსდით ზოგიერთებს, როცა ძალიან შეეშინდებათ. ომის დროს ეს სევდა არაერთხელ შემიმჩნევია ესკადრილიაში ჩემი ძმაკაცების სახეზე. მახსოვს, ერთხელ ძალიან საშიში ოპერაცია – მცელავი ფრენა დაინიშნა. წინა დღეს პოლკოვნიკი ფურკე მომიახლოვდა და მითხრა:

– ძალიან სევდიანი ჩანხართ, გარი.

მე კიდევ სევდიანი კი არა, შეშინებული ვიყავი.

იმ კვირას წყალგამწმენდი ფილტრების გამართვაზე უარი ვთქვი და ის ახალგაზრდა დავითხოვე.

მეორე დღეს დილით იგივე სცენა განმეორდა, როცა „ვესტერნ იუნიონის“ თანამშრომელმა დეპეშა გადმომცა.

ნაშუადღევს რამდენიმე მეგობარმა მომინახულა. ძალიან კი ვშიშობდი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ბატკამ მათ მიმართ უკიდურესი ზრდილობა და თავაზიანობა გამოავლინა. ჩემი სტუმრები თეთრკანიანები იყვნენ.

გამახსენდა, რომ „ვესტერნ იუნიონის“ თანამშრომელიც შავკანიანი იყო.

2

ისეთმა მოუსვენრობამ შემიპყრო, რომელიც ძალიან კარგადაა ნაცნობი იმათთვის, ვინც გრძნობს, რომ მის გარშემო თანდათანობით მწიფდება და დამთრგუნველი ხდება რაღაც საშინელი სიმართლე, მაგრამ ცოცხალი თავით არ უნდა მისი აღიარება. არა, ეს უბრალო დამთხვევაა-მეთქი, თავს ვიმშვიდებდი, ეს რა აზრები მომდის-მეთქი თავში. „შავკანიანთა პრობლემა“ აკვიატებად მექცა.

მოუსვენრობა ძრწოლაში გადამეზარდა, როდესაც ბატკამ სუპერმარკეტის დამტარებელს კინაღამ ყელი გამოღადრა. როცა კარს ვაღებდი, ძაღლი შუა ოთახში იყო გაშხლართული. უეცრად, ერთ წამში, ამ მოჩვენებით, წინასწარ ჩაფიქრებულ შემპარავ სიჩუმეში, რომელიც ნებისმიერ შეტევას მოულოდნელობის ელემენტს სძენს, ძაღლი წამოვარდა და უცნობისკენ შურდულივით გაქანდა; ცოტაც და საშინელება დატრიალდებოდა...

კარი ფეხის კვრით მივხურე.

დამტარებელი შავკანიანი გახლდათ.

იმავე დღეს ნაგაზი მანქანაში ჩავსვი და ჯეკ კერათერსის სან-ფერნანდო ველიში გაშენებულ ზოოპარკ „ნოეს კიდობანს“ ჩავაბარე. კარგად ვიცნობდი ჯეკს, დიდი ეკრანის ყო-

ფილ კოვბოის, რომელიც, კარგა ხანია, კინოგადაღებებისათვის ცხოველებს წვრთნიდა. მისი რანჩოს ერთ-ერთ სიამაყედ ითვლებოდა გველების თხრილი, სადაც ამერიკის კონტინენტის თითქმის ყველა შხამიანი რეპტილია ბინადრობდა. ჯეკი და მისი ასისტენტები აქ მოპოვებული შხამით ფარმაცევტულ მრეწველობას ამარაგებდნენ შრატის საწარმოებლად. რანჩოში ვიზიტისას გველების თხრილს ყოველ ჯერზე გულდაგულ თავს ვარიდებ. საკმარისია, ერთი თვალი შევავლოთ იმას, რაც შიგ ფუთფუთებს, რომ მეხსიერებაში უმალ იუნგის ყბადაღებული კოლექტიური არაცნობიერი ამოგვიტივტივდეს, ის არაცნობიერი ადამიანთა მოდგმისა, რომელიც დაბადებისთანავე არსებობს ჩვენში. მოკლედ, ჯეკის თხრილი ძალიან დამთრგუნველი სანახავია.

ყოფილი კოვბოი თავის სამუშაო მაგიდას მისჯდომოდა. ტანთ ლურჯი სპეცტანსაცმელი მოერგო, თავზე კი განუყრელი ბეისბოლის კეპი დაეკოსებინა. მაღალი კაცი იყო ჯეკი, დინჯი და დარბაისელი, მის ოდესღაც დაკუნთულ და შეკრულ სხეულს ჩვეული სიმკვრივე ასაკთან ერთად დაჰკარგვოდა, მაგრამ ძალაგამოლეული და დაჩაჩანაკებული ჯერაც არ ეთქმოდა. თავის დროზე ვესტერნების გადაღებაზე კასკადიორად მუშაობდა, რამაც მისი სხეულის თითქმის ყველა ნაწილს წარუშლელი კვალი დააჩნია. ჯეკს მაჯებზე მუდმივად ტყავის სამაჯურები ეკეთა, წინამხარზე კი ცხენის თავი ჰქონდა ამოსვირინგებული.

ჯეკმა ჩემი მონათხრობი მდუმარედ მოისმინა; თან იმ საძაგელ სიგარას ღეჭავდა, რომელიც ამერიკამ ჰავანასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის შემდეგ მიუსაჯა საკუთარ თავს.

– აბა, რას ითხოვთ ჩემგან? მითხარით, მე რა შემიძლია?

– თქვენ მისი განკურნება შეგიძლიათ...

„ნოე“ – ჯეკ კერათერსი, როგორც იტყვიან, გაწონასწორებული და წყნარი ადამიანია. მიუხედავად დამკვიდრებული აზრისა, მის ამ გარეგნულ სიმშვიდეს, ჩემი აზრით, ირონიულობის ელფერი მაინც დაჰკრავს, რომელსაც შინაგანი ძალა და სიმტკიცე ასაზრდოებს. ზომიერად თვითდაჯერებულსა და თავშეკავებულს, თითქმის არასდროს უწევს უხეში და შეუვალი ადამიანის ნიღბის მორგება. მხოლოდ ამ მასიური და ჯმუხი სხეულის უმოძრაობა თუ დაგაფიქრებთ მის დათრგუნულ აგრესიულობაზე, ერთგვარ შეგნებულ, წინასწარ გააზრებულ ინდიფერენტულობასა და ჩაურევლობის სურვილზე. ჩემი რწმენით, სწორედ აქ იკვეთება ის თვითკონტროლით შეპყრობილი ადამიანი, რომელსაც, საკუთარი ხელ-ფეხის შებორკვა ჩვევად გადაჰქცევია. პირადად მე ერთხელ და სამუდამოდ შევეგუე იმ აზრს, რომ სრულიად უძლური ვარ, მოვათვინიერო ცხოველი, რომელიც ჩემშია ჩაბუდებული და ყველგან თან დავატარებ, როგორც საჭეს ჩაფრენილი მძღოლი საკუთარი მანქანის სიმძლავრეს; ასეა თუ ისე, ჯეკი, მიუხედავად მისი სიცივისა და თავშეკავებულობისა, ჰოლივუდში ყველას უყვარს. შესანიშნავად მოეხსენება, რომ იადონი, რომელსაც ანდობ, შეუცვლელია, და ესმის, რომ კაცი, რომელიც საკუთარ ბოას მოსავლელად უტოვებს და თან უმორჩილესად სთხოვს, რაც შეიძლება უკეთესად მიმიხედე და მზრუნველობა არ მოაკლოო, საყვარელ არსებას შორდება. მართლაც საყვარელს, შესაძლოა იმიტომ, რომ ჯერჯერობით, საკუთარი თავისგან განსხვავებული, ბოას მეტი ვერაფერი უპოვია.

– განვკურნო? – შემომხედა ჯეკმა თავისი გამოციებული ღია ცისფერი თვალებით. – კი, მაგრამ რისგან უნდა განვკურნო?

– ეს ძაღლი შავკანიანებზე თავდასასხმელად საგანგებოდაა გაწვრთნილი. გეფიცებით, არაფერს ვიგონებ. ყოველ ჯერზე, როცა ზანგი ჩემს კარს უახლოვდება, ძაღლი ცოფებს ყრის. თეთრებზე კი არაფერი მოსდის, კუდს აქიცინებს და თათს იშვერს მისასალმებლად.

– და მერე?

– რა მერე? ხომ შეიძლება, ამ სენისგან განიკურნოს? არა?

– არა, თქვენი ძაღლი ძალიან ბებერია.

ჯეკს თვალებში დამცინავი ნაპერწკლები აუციმციმდა.

– ამ ასაკის ძაღლისთვის ეს მორჩენილი ამბავია, თქვენ ამის შესახებ უნდა გცოდნოდათ.

– ჯეკ, ყური მიდგეთ, ყველამ იცის, რომ თქვენ სასწაულები გაქვთ მოხდენილი და არაერთი, ეგრეთ წოდებული „გაფუჭებული“ ძაღლი დაუბრუნეთ ნორმალურ ცხოვრებას.

– აქ უწინარეს ყოვლისა ასაკის საკითხი დგება. ძველ ჩვევებს ძალიან ღრმადა აქვს ფესვები გადგმული... მათი ამოძირკვა თითქმის შეუძლებელია. სხვათა შორის, „გაფუჭებული“ ძაღლების უმეტესობა შეგნებულად, წვრთნის დროსაა „გაფუჭებული“. ისინი სისტემატური ვარჯიშის დროს „წახდნენ“. არა, თქვენი ნაგაზი ძალიან ბებერია...

– მე კიდევ ვფიქრობ, რომ აქ ასაკის საკითხი კი არ დგას, არამედ მოთმინებისა.

– ძალიან დაგვიანებულია. შვიდისა უკვე იქნება. მისი საქმე, როგორც იტყვიან, უკვე საბოლოოდ წასულია. უკან ვერ მოვაბრუნებთ. მისი გარდაქმნა წარმოუდგენელია. ამას „პროფესიულ დეფორმაციას“ ეძახიან.

– მისი ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია.

– მაშინ დააძინეთ. თქვენს ადგილას პირადად მე ასე მოვიქცეოდი.

– მე კიდევ ძაღლს კი არ გავუკეთებდი ნემსს, არამედ იმ ნაძირალებს, ასეთ დღეში რომ ჩააგდეს ეს ცხოველი და სამუდამოდ დავაძინებდი...

ჯეკს ხარხარი აუტყდა. ის ერთ-ერთი იმ იღბლიანთაგანია, ვისაც მთელი სამყაროსგან გამიჯვნა სიცილ-ხარხარით შეუძლია.

– მე იმაშიც კი არა ვარ დარწმუნებული, შევძლებ თუ არა თქვენი ძაღლის ჩემთან დატოვებას. ჩემი ორი ასისტენტი შავკანიანია. ვეჭვობ, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მომიწონონ. ასე რომ... თუმცა... მოდი დატოვეთ ცოტა ხნით და მერე ვნახოთ, როგორ მოვიქცეთ.

ბატკასთან გამომშვიდობების დროც დადგა. ყურადღებით დამაკვირდა. თავი ოდნავ გვერდზე გადასწია. ყურები ცქვიტა. მივუახლოვდი. ჩავიმუხლე და დიდხანს, დიდხანს ვეფერე ჭაღარაშეპარულ თავზე. აბა, კარგად იყავი, ბებერო. არ იდარდო. მე და შენ ყველას მოვუგრეხთ კისერს.

უკან ქოლდუოტერ კანიონის გავლით ვბრუნდებოდი. გულზე იმდენი ქვა მაწვა, რამდენიმე დიდებული ტაძრის აშენებას რომ ეყოფოდა. განიერი უტროტუარო პროსპექტები, ორივე მხარეს ჩამწკრივებული პალმის ხეებით, უკაცრიელი იყო. მხოლოდ მანქანები, თითო-ოროლა მგზავრით რომ ჩამიწუილებდნენ ხოლმე, მეჩვენებოდა პაწაწინა დასახლებულ კუნძულებად. დიდხანს ვიწრიალე ამ მხოლოდ ოთხბორბლიანებით დასახლებულ სივრცეში... ვინ მოთვლის, რამდენჯერ დავუბრუნდი ტროტუარებიან უილშირის გამზირს; გზის ქვეითად სავალი ნაწილები მაცოცხლებელ ოაზისებს მაგონებდა.

ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ გეზი საბოლოოდ მაინც ერთი ჩემი მეგობრის სახლისკენ ავიღე. მეცოდება ძალიან. ზედიზედ სამი ოპერაცია გადაიტანა. ვფიქრობ, დღეები აქვს

დათვლილი. საწყალი, მაკ-კარტის დროს გაჩაღებულ „კუ-დიანებზე ნადირობას“ ემსხვერპლა ორმოცდაათიანი წლების დამდეგს. მთელი ათი წლის მანძილზე უშლიდნენ მუშაობაში ხელს. სადაც არ მივიდა, უარით გამოისტუმრეს. როცა სახლში შევედი Do It Yourself Kits ედო გვერდით და თავის წარმოსახულ მომავლის ქალაქს აწყობდა. უკვე ორი წელია, რაც ამ დედააფეთქებულ „მზიან ქალაქს“ ჩაჰკირკიტებს. მშენებლობას თუ მოსწყდა, სასწრაფოდ სამუშაო კაბინეტში გარბის, რომ სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის მორიგ ტელესცენარს ჩქარ-ჩქარა რამდენიმე გვერდი შემატოს. ისე, ბოლო დროს ტელესცენარები მის ერთ-ერთ თავშესაქცევად იქცა; ყველაზე დიდ შემოქმედებით ენერგიას მაინც იდეალური ქალაქის კონსტრუირებას ანდომებს: დაშლის, ააწყობს, დაშლის, ააწყობს და ასე უსასრულოდ. ყოველ ჯერზე ახალ დეტალს ამატებს, რუდუნებით ხვეწს. აუზს იქით გაშენებული ბაღის სიღრმეში მუშაობს. „მზიანი ქალაქი“ ფოლადისა და პლასტმასის ნარევია. ჩემი მეგობარი პერფექციონისტია, სილამაზისა და სრულყოფილების ძიება ენერგიას სძენს და დამანგრეველ სენთანაც უადვილებს გამკლავებას.

ჩემი მისვლა და მშენებლობაში ჩაბმა ერთი იყო. ვითომ ხელი მოვკიდე მის „კულტურის სახლს“ ზღვაზე ხედით, მაგრამ ნახევარ საათზე მეტს ვერ გავუძელი, მეგობარი თავის ონანიზმს შევატოვე და გამოვიქეცი.

მანქანაში რადიო დეტროიტში მომხდარი რასისტული შეტაკებების შესახებ იუწყებოდა: არის მსხვერპლი – ორი მოუკლავთ. უოტსის ჯანყის შემდეგ, რომელმაც ოცდათორმეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მთელ ქვეყანას ერთი აზრი აქვს აკვიატებული: ამერიკა ყოველთვის ახერხებს საკუთარი რეკორდების მოხსნას მეტნაკლები სისწრაფით.

როცა საქმე ადამიანებს ეხება, შეიძლება თავი შექსპირით, სამედიცინო სფეროში მიღწეული წარმატებებით, ან მთვარეზე გაფრენით დავიმშვიდოთ, მაგრამ, როცა ძაღლზეა ლაპარაკი, რამე გამართლების პოვნა შეუძლებელია.

ყოველ ჯერზე, როცა ბატკას სანახავად სან-ფერნანდო ველიში მივდიოდი, გალიაში გამომწყვდეული ცხოველის შემხედვარეს მეგონა, რომ მის მზერაში ერთსა და იმავე ტექსტს ვკითხულობდი: „რა დაგიშავე ასეთი? რატომ ჩამამწყვდიე ამ გალიაში? რატომ აღარ გჭირდები?“ ამ თანდაყოლილ უბრალოებასა და მიამიტობაზე მე დამშვიდებისა და მოფერების გარდა პასუხი არ გამაჩნდა; ზოოპარკიდან გასვლისას საკუთარი თავის მიმართ ენით აუწერელი ზიზღით ვივსებოდი და ვიქტორ ჰიუგოს ცნობილ ფრაზას ვიხსენებდი, რომელსაც დიდხანს ამაოდ ვეძებდი, სანამ ლიბანის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, ბატონმა ელუმ, არ შემახსენა:

„როცა ვამბობ „მე“, უბედურნო, გაიგეთ, თქვენ მყავხართ მხედველობაში“.

ძაღლების სადგომში თითქმის ყოველდღე დავდიოდი.

ნეტა ერთი გვერდიდან დამანახვა, მე თვითონ ვინ გავხდი, რას თუ ვის დავემსგავსე?

დილის შვიდი საათი იქნებოდა. ცხოველებისა და ღამის დარაჯის გარდა „ნოეს კიდობანში“ კაცი არ ჭაჭანებდა. დილის სიო განთიადისას ყვავილებზე და ფოთლებზე შობილ ნამის მძიმე წვეთებს არწევდა. დოქტორ დულიტლის ჟირაფი თავისი გრძელი და მძიმეწამწამებიანი თვალებით ისე ნაზად, ისე ქალურად შემომყურებდა, „ელიზაბეთ არდენის“ პრანჭია კლიენტებსაც კი შეშურდებოდათ. ბატკა უკანა თათებზე წამოიმართა და პირდაპირ გისოსებს აეკრა. რა თქმა უნდა, ჩემი იქ ყოფნა შორიდანვე იყნოსა. მეც მისი ჟესტი გავიმეორე,

ლოყა მივადე ცხაურას. ბატკამ ცივი დრუნჩი მატაკა და გულიანად ამლოკა. ისე, რა ადვილია ძაღლის თვალებში ჩამდგარი სიყვარულის ამოკითხვა. ამ სიყვარულსა და ერთგულებაზე ფიქრისას მეხსიერებაში დედაჩემის სახე ამომიტივტივდა. მწვანეთვალება დედაჩემი... ასევე გამახსენდა არაჩვეულებრივი სისულელე, ნათქვამი შესანიშნავი მწერლის, ჩემი ახლო მეგობრის მიერ გასაოცარი ტონით, რომლის დასახასიათებლადაც ერთ კარგ ინგლისურ სიტყვას მოვიშველიებდი – supercilious, ანუ აღმატებულობისა და ქედმაღლობის, წუნიაობისა და სულიერი დენდიზმის ერთგვარი ნაზავით.

– არ მიყვარს ძაღლები, – გამომიცხადა, – მძულს იმათი მონური სიყვარული და მიჯაჭვულობა.

მაინც საინტერესოა, საით შეიძლება გააჭენოს ადამიანი საკუთარი ღირსების გრძნობამ.

გალიის გასაღები არ მქონდა. მე გისოსების ერთ მხარეზე ჩავცუცქდი, ბატკა კი მეორე მხარეს გაწვა და თავი წინ გაშვერილ თათებზე დადო. თვალს არ მაცილებდა.

ცა უღრუბლო და საოცრად გამჭვირვალე იყო, ისეთი, კალიფორნიაში აისის ჟამს რომ იცის ხოლმე, ვიდრე ქუჩები და პროსპექტები მანქანებით გაიჭედებოდეს, ქარხნები ამუშავდებოდეს და ქალაქი მახრჩობელა, მომწამვლელ ბუღში გაეხვეოდეს.

მინდოდა, შეუმჩნევლად გავცლოდი იქაურობას. სათქმელიც არავისთვის არაფერი მქონდა, მაგრამ დროის ყოველგვარი შეგრძნება დავკარგე. ასე ხდება, როცა წამები, წუთები და საათები ერთი უზრუნველი, მშვიდი დინებით მიედინება. ადამიანი თავდავიწყებას მიეცემა, თითქოს საკუთარ სხეულს ტოვებს და ხეებს, სინათლესა და საამურ ჰაერს ერწყმის.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა შავკანიანი დარაჯი გამოჩნდა. ზოოპარკში ყველა კიზს ეძახდა. ეს მეტსახელი იმიტომ მიაკერეს, რომ ყოველთვის ქამარზე ჩამოკიდებული გასაღებების აცმით დაიჯგიმებოდა; ნამდვილი გასაღებების მბრძანებელი იყო: აღებდა და კეტავდა ლომების გალიებს, გველსაშენებს, ალიგატორების აუზებს, მაიმუნების სახლებს, მოკლედ, ჯეკ კერათერსის კიდობნის ყველა მიმზიდველ და საინტერესო კუთხე-კუნჭულს. როცა ათიოდე მეტრზე მომიახლოვდა, ბატკამ ყურები ცქვიტა, წამიერად გაირინდა, შემდეგ წამოხტა და გისოსებს მიახტა ღმუილით. დუჟი მეც მომეშხეფა სახეზე. სურათი, ამერიკას დღემდე მოსვენებას რომ უკარგავს, ჩემ თვალწინ მატერიალური, თითქმის ხელშესახები გახდა: გაქცეული მეამბოხე მონები, ბამბის უსასრულო პლანტაციები, რომლის ტრაგიკულ მოსავალს დღემდე იმკიან. სურათი კიდევ ერთი შტრიხით გამდიდრდა: ნაცნობი არსების თავბრუდამხვევი და სულით ხორცამდე შემძვრელი გარდასახვით, კეთილგანწყობის ველურ, აულაგმავ მტრობასა და სისასტიკეში გადაზრდით...

კიზმა გალიას შორიახლო ჩაუარა. ძაღლისთვის ზედაც არ შეუხედავს: სახეზე ღიმილგადაკრული ტანადი ჭაბუკი ოლიმპიური სიმშვიდით მიაბიჯებდა. მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა. მოკლედ შეკრეჭილი ულვაში ზედა ტუჩზე პეპელასავით აჯდა. ცოტათი მალკოლმ იქსს მივამსგავსე. თუმცა ყველა ზანგის სახეზე ამ მებრძოლის ნაკვთები მელანდება.

– Hello, – მესროლა, – ბედნიერ დღეს გისურვებთ.

– Hello, – ვუპასუხე ისე, რომ არც წამოვმდგარვარ. მის მზერას მოვერიდე. გადარეული ბატკა კი ღრიალებდა, მთელი ძალით ეხეთქებოდა კედელს, შიგადაშიგ ხმა უწყდებოდა, ხრიალებდა. ვფიქრობდი, არ დაიხრჩოს-მეთქი. ხან ჩერდებო-

და, გვერდზე თავგადაგდებული და კბილებდაკრეჭილი, კიზს შეჰყურებდა ალმაცერად. შემდეგ ისევ იერიშზე გადადიოდა, ყეფით სისხლიან ნადავლს ითხოვდა.

შავკანიანი იღიმებოდა.

– No progress, – დავასკვენი მე.

კიზმა ძაღლს შეხედა. ჯინსის ჯიბიდან „ჩესტერფილდის“ კოლოფი დააძრო, საიდანაც აუჩქარებლად ამოაძვრინა ერთი ღერი, მოუკიდა და გააბოლა. ნაგაზს კიდევ ერთხელ შეავლო მზერა და მშვიდად წარმოთქვა:

– White dog – თეთრი ძაღლი.

ახლაც კარგად მახსოვს ის გაღიზიანება, რომელმაც იმ მომენტში ამიტანა; ასეთი რეაქცია უადგილო, მეტიც, პრიმიტიული მეჩვენა.

– კმარა, კმარა. აქ სახალისოს და სახუმაროს ვერაფერს ვხედავ.

შავკანიანმა ერთი წამიერი მზერა მეც მესროლა.

– White dog, – გამოკვეთილად გაიმეორა მან, – გესმით, რას ვამბობ?

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თვალებით ჩემს არსებაში იქექებოდა, გეგონება, ჯიბეში ორ-სამსაუკუნოვანი მატიანე მქონდა გადამალული.

– არა, რა თქმა უნდა, თქვენ არ გესმით. ეს თეთრი ძაღლია, წარმოშობით სამხრეთელი, იქ ამათ „თეთრ ძაღლებს“ ეძახიან. პოლიცია მათ წვრთნას ჯერ კიდევ მანამ იწყებს, სანამ ლეკვები არიან. შავკანიანებზე გეშავენ და მერე დარბევისას მიუსევენ ხოლმე. აი, წვრთნაც ამას ჰქვია.

შინაგანად ლამის მოვკვდი, იმიტომ, რომ მე დავგეშე ეს ძაღლი. ვიქტორ ჰიუგოს ცნობილ ფრაზას საპირისპირო ინტერპრეტაციაც შეიძლება მიეცეს: „როცა ვამბობ „თქვენ“, ამ

დროს სადღაც ჩემი თავიც მყავს მხედველობაში“. არის ერთი ძალიან კარგი სიმღერა „Tea for two and two for tea“, რომელიც, შეიძლება, ასე გადაგვეკეთებინა: „მე – ეს თქვენ ხართ, თქვენ კიდევ – მე“. ამის შესატყვისიც კი არსებობს: ძმობა. შეიძლება, ამ ახსნას არ იზიარებდეთ, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

გარე მონღოლეთი, გავიფიქრე ჩემთვის. აი, ყოველთვის საით მინდოდა, გეზი ამეღო. ალბათ, სიტყვა „გარე“ მხიბლავს ყველაზე მეტად.

– უწინ ამათ გაქცეული მონების დასაჭერად და უკან მოსაბრუნებლად წვრთნიდნენ, ახლა კი მანიფესტანტების დასარბევად იყენებენ...

ძაღლი ლამის იხრჩობოდა. მეც მასთან ერთად, ოღონდ უხმაუროდ.

– ამას გარდა, როცა ასეთი დარაჯი გყავთ, თქვენი არყოფნის დროს მეუღლეს შეუძლია, მშვიდად იძინოს. ვერავინ გაბედავს მის გაუპატიურებას.

კიზი ბატკასკენ შეტრიალდა, თან ღრმა ნაფაზი დაარტყა. გამოცდილი და მცოდნე ადამიანის იერით შეათვალიერა.

– ლამაზი ძაღლია, – თქვა მან და თავი გაიქნია, – მაგრამ უკვე მეტისმეტად ბებერია. შვიდის მაინც იქნება. ამ ასაკში ამათი შეცვლა შეუძლებელია...

კიზი დადუმდა, მაგრამ ძაღლისთვის თვალი არ მოუცილებია. ფიქრებს მიეცა. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ იმ მომენტში დაებადა თავში ერთი აზრი, რომელსაც მოგვიანებით ხორცი შეასხა. ამ მეოცნებე და ჩაფიქრებული იერსახის მქონე ადამიანის გონებაში ნამდვილად მწიფდებოდა გარკვეული გეგმა, რომლის დამალვასაც ცდილობდა.

– Be seeing you, – მითხრა მან, – დროებით.

კიზი ნელი ნაბიჯებით გაეცალა იქაურობას. წელზე შემორტყმული გასაღებები ერთმანეთს ეხლებოდა და ჟღარუნებდა.

ბატკაც მაშინვე დამშვიდდა და რწყილების ქექვას შეუდგა.

მე ჯეკის კაბინეტს მივაშურე, მაგრამ ცარიელი დამხვდა. სტუდიაში წასულიყო, სადაც მეთვალყურეობას უწევდა თავის შიმპანზეს, ვარსკვლავს, რომელსაც „მაიმუნურ“ ტელესერიალ „რომეო და ჯულიეტაში“ იღებდნენ.

შინ დავბრუნდი. ჩემი ცოლი „სამოქალაქო ლიგის“ მორიგ კრებაზე წასულიყო. ეს ორგანიზაცია უმუშევარ შავკანიანებს სამუშაოთი უზრუნველყოფს. ისე, ნამდვილი უმუშევარი მათ შორის ცოტაა. მათ სამუშაოს უბრალოდ არ აძლევენ. ეს არის და ეს. ყაჩაღი პროფკავშირები მათ კარებს ზედ ცხვირწინ უკეტავენ.

ნაშუადღევს დრამატული ხელოვნების ერთ-ერთი პედაგოგის სახლში შედგა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლაში მონაწილე ლიბერალების შეხვედრა. იქ წასვლისგან შეგნებულად შევიკავე თავი. ავუხსენი, რომ ისედაც დიდი ჯაფა დამადგა, რომ ვიეტნამის, ბიაფრის, ამაზონიაში ამოჟლეტილი ინდიელების, ბრაზილიის წყალდიდობების, რუსი ინტელიგენტების ბედ-იღბლის შესახებ დისკუსიებისათვის თავი ამერიდებინა. ბოლოს და ბოლოს, სასურველია, ადამიანმა ზომიერების გრძნობა არ დაკარგოს და დროზე შეძლოს შეჩერება. იცით, რას ნიშნავს კანის ელეფანტიაზი? ეს დაავადება მაშინ შეგეყრებათ, როცა კანი აგტკივდებათ სხვისი გულისთვის. მივახალე: კმარა, ამერიკულად ტანჯვა აღარ მსურს-მეთქი. ისიც უნდა ვაღიარო, რომ პედაგოგი, რომლის სახლშიც შავკანიანთა უფლებებისათვის მებრძოლ აქტივისტთა კრება ტარდებოდა, გულზე არ მეხატებოდა. მეტიც, მის მიმართ მკაფიოდ გამოკვეთილი ანტიპათიაც კი მქონდა. მასში ტიპურ კალიფორნიელ

phony-ს ვხედავდი, რაც, არც მეტი არც ნაკლები, ნაძირალასა და გაიძვერას ნიშნავს. ერთ-ერთია იმ „პროგრესულად მოაზროვნეთაგან“, ვინც აღშფოთებას გამოთქვამს ჩვენი დღევანდელი სამომხმარებლო საზოგადოების გამო, მაგრამ თან ფულს აუცილებლად სესხულობს, უძრავი ქონებით სპეკულაციისათვის. მე შიშს მგვრიან და მძულს ადამიანები, რომელთა ლიტერატურული შეხედულებანი სოციოლოგიურ ანალიზს კი არ ეყრდნობა, არამედ ფარულ ფსიქოლოგიურ ტრავმებს. თუკი ახალგაზრდები ფროიდის არაერთ მიმდევარს მისი თეორიით დაავადებულ საზოგადოებაზე „მორგებას“ უსაყვედურებენ, არც საწინააღმდეგო პროცესი მესახება უკეთეს გამოსავლად, როცა საზოგადოების მავანისა და მავანის დაავადებული ფსიქიკისადმი მისადაგებას ცდილობენ.

ყველა სიკეთესთან ერთად დრამატული ხელოვნების ზემოხსენებული პედაგოგის სწავლების მეთოდიც, რბილად რომ ვთქვათ, გულს მირევდა. ერთხელ სტუდენტებთან მის შეხვედრასაც დავესწარი, სადაც ეს ვაჟბატონი არაჰომოსექსუალ, პირიქით, უკვე ცოლშვილიან ახალგაზრდას ყველას თვალწინ მასთან ხანგრძლივი კოცნის დემონსტრირებას სთავაზობდა. ხვდებით, რატომ? თურმე მისთვის „საკუთარი აკრძალვებისგან“ გათავისუფლება უნდა ესწავლებინა, კერძოდ, იმ აკრძალვებისგან, მას რომ ბოჭავს და ხელს უშლის, როცა მისგან კოცნის დროს საკუთარი ნერწყვის პარტნიორის ნერწყვში გარევას ითხოვენ.

მოკლედ, კრებას არ დავსწრებივარ, მაგრამ მისი მიმდინარეობის შესახებ წვრილ-წვრილად მომახსენეს.

შეკრებილთა მთავარი მიზანი ის იყო, რომ რამდენიმე შეძლებული თეთრკანიანისათვის ნათლად ეჩვენებინათ, – რასაკვირველია, მათგან ფინანსური მხარდაჭერის დიდი იმედიც

ჰქონდათ, რომ „სკოლას სიძულვილის გარეშე“ ეარსება, – თუ რა ადგილი უჭირავს თეთრებისადმი სიძულვილს შავკანიანი ბავშვების ფსიქიკაში. ამისათვის მათ მცირე დემონსტრირება მოაწყვეს, სადაც უხმეს 7-8-9 წლის ბავშვებს, რომელთა მშობლებიც იქვე ესწრებოდნენ. გთავაზობთ თეთრკანიან ქალსა და შავკანიან ბავშვებს შორის გამართულ სრულ დიალოგს. მის სისწორეზე საკუთარი სინდისით ვაგებ პასუხს. ჰოდა ეს თეთრკანიანი ქალბატონი ამ ბავშვების მარტო მეგობარი კი არ გახლდათ, მას საკუთარ ჭერქვეშ აქტივისტთა მთელი ოჯახი ჰყავდა შეფარებული: დედა, მამა და ხუთი შვილი. ახლა კი წარმოიდგინეთ ორმოცდაათამდე თეთრკანიანი უფროსით გარშემორტყმული ეს უბედური ბავშვები ანატომიური თეატრის მსგავს სეანსზე.

– Am I a honky, Jimmy? – ჯიმი, მე თეთრი ნაძირალა ვარ?

– Yes, ma'am, you are a honky. – დიახ, მემ, თქვენ თეთრი ნაძირალა ხართ.

– Am I a blue-eyed devil? – ვარ მე ცისფერთვალა ეშმაკეული?

ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ შავკანიანთა ბიბლიაში, ელია მუჰამედის წიგნში, ყოველი ცისფერთვალა არსება მტრად არის მოხსენიებული.

– Yes, ma'am, you are a blue-eyed devil. – დიახ, მემ, თქვენ ცისფერთვალა ეშმაკეული ხართ.

– Do you hate me, Jimmy – გძულვარ, ჯიმი?

მოხსენებაში აქ შენიშვნაა: „დიდხანს ყოყმანობს. შეწუხებული ბავშვი თვალებით მშობლებს ეძებს“. არ დაგავიწყდეთ, რომ დამკითხველი „ცისფერთვალა ეშმაკეული“ თვეების განმავლობაში ამ საწყალ ბავშვს სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებდა. მორიგი მინაწერი: „ბავშვმა ღრმად ჩაისუნთქა“.

– Yes, ma'am, I hate you… – მძულხართ…

ყოყმანობს.

– Sort of… – ერთგვარად…

ანგარიში აქ სრულდება. არ ჩანს, ამ ნომრის შესრულების შემდეგ ჯიმი შაქარყინულით დაავჯილდოვეს თუ არა. სამაგიეროდ ყველამ მიირთვა ჩაი და ნამცხვარი.

მაზოხიზმი, ექსჰიბიციონიზმი, showmanship, ასევე ძველი ნაცადი conning, ნამდვილი ამერიკული თაღლითობა, მარკ ტვენმა რომ უკვდავყო gaming whitey-ში. თამაშის ხერხი, ანუ როგორ უნდა დაქოქო თეთრკანიანი, რადგანაც სინამდვილეში პატარა ჯიმის არავინ სძულს. ამის დასტური ის გახლავთ, რომ მას შემდეგ, რაც წარმოთქვა „მძულხართ", თავი ვერ შეიკავა და იქვე დასძინა: sort of – ერთგვარად. უნდა ვაღიაროთ, რომ ბავშვმა აიძულა საკუთარი თავი, ეთქვა: „მე თქვენ მძულხართ". sort of გვამცნობს, რომ ბუნების საწინააღმდეგოდ მიმართული ყოველგვარი წვრთნა, ყოველგვარი ძალადობა, მომავალში სრული მარცხისთვისაა განწირული.

ახლახან ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, გამოკითხულ შავკანიანთა 80% აცხადებს, რომ არავინ სძულს.

შეკრების ყველა ორგანიზატორმა, გარდა იქ დამსწრე გამომძალველებისა, მიუხედავად მათი კანის ფერისა და რელიგიური აღმსარებლობისა, დაადასტურა, რომ მათ სინამდვილეში ანათესავებს ერთი რამ – ადამიანური სისულელე. Yes, ma'am, I hate you… sort of (დიახ, მემ, მძულხართ… ერთგვარად).

და იწყება ქუდის ჩამოტარება. „ბატონებო და ქალბატონებო, იყავით დიდსულოვანნი, გაიღეთ მოწყალება. ეს შავკანიანთა უფლებებისათვის მებრძოლი აქტივისტის ვაჟია". ჯიმის ეფერებიან, თავზე ხელს უსვამენ. კანფეტი!

მთელი ამერიკის იმედი ამ ორ სიტყვაშია ჩაქსოვილი: sort of.

მადლობა ღმერთს, ამ კრებას არ დავსწრებივარ, თორემ უეჭველად ვინმეს ვეძგერებოდი და დავკბენდი; ისე, ურიგო არ იქნებოდა, რომ უფრო გამძლე ჯაჭვი შემეძინა. ძველი კარგა გვარიანად გაცვდა.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ იძულებული გავხდი, ბევერლი ჰილზზე ერთ საათს მესეირნა. ჩემი მეგობრები ფიქრობენ, რომ ფეხით მხოლოდ ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად დავდივარ. არამც და არამც. ეს უბრალოდ გაქცევის ცდაა, სხვა არაფერი.

შინ სასიამოვნოდ დაცლილი კი დავბრუნდი, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, ისევ დავიმუხტე. დილის ათ საათზე ჯეკ კერათერსმა დამირეკა.

– შეგიძლიათ, ახლავე მოხვიდეთ?

– რა? ვერ მეტყვით, რა მოხდა?

– მობრძანდით.

ჯეკმა ყურმილი დაკიდა.

სან-ფერნანდო ველისკენ გავემართე.

ჯეკი ჩვეულებისამებრ სამუშაო მაგიდას მისჯდომოდა, მიჭეჭყილი ცხვირით, აზღარბული ჭაღარა თმით; თავის ქალაზე, რკინის ფირფიტადაფარებულ ადგილას, კანი აგლეჯილი ჰქონდა.

ჯეკიც, ისევე როგორც ყველა, ვისთვისაც სიფათი არაერთხელ გაუბრტყელებიათ, იერით პრუსიელ ჯარისკაცს ჩამოჰგავდა. ჯეკი ძველი, გამოცდილი კასკადიორი იყო. ორიათასჯერ მაინც იქნებოდა ცხენიდან გადმოვარდნილი. აგერ კედელზე პროფესიონალიზმის დამადასტურებელი, საგანგებოდ ჩარჩოში ჩასმული დიპლომიც კი ეკიდა ტომ მიქსისა და რენტენტენის ფოტოებს შორის. ბეისბოლის ქუდი კეფისკენ ჩასცურებოდა და

ამის გამო წინაფრა ანტენასავით ჰქონდა აშვერილი; სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა და იქვე საფერფლეში სრესდა. ჯეკი ამას „არ მოწევას“ ეძახდა. ამ კოლოსს ჰქონდა რაღაცა, ამერიკელი პროლეტარისთვის ნიშნეული და ეს – ღვთივ ბოძებული განსაკუთრებული ფიზიკური ძალის წყალობით.

ჯეკმა მოსალმება არ ისურვა.

– კარგი, კარგი... აი, რაშია საქმე. მე გთხოვთ, ძაღლისთვის დასაძინებელი ნემსის გაკეთების უფლება მომცეთ – Put him to sleep.

– რატომ ასე მოულოდნელად?

– ახლავე ნახავთ, რატომ...

დრუნჩდასისხლიანებული ბებერი ძაღლი გვერდზე იწვა და მძიმედ სუნთქავდა. დამინახა, მაგრამ თავის აწევა ვერ შეძლო, ოდნავ კუდი გააქიცინა.

გალიაში შევედით. ჯეკმა ძაღლს ფერდები მოუსინჯა, რასაც მისგან მკვეთრი სპაზმური მოძრაობები მოჰყვა.

– თქვენ საუკეთესო ასისტენტი დამაკარგვინეთ, – მითხრა ჯეკმა.

– კიზი?

– დიახ, დღეში ოცჯერ მაინც ჩამოივლიდა აქ და ოცჯერვე ერთი და იგივე სცენა მეორდებოდა – სიავის შემოტევა. ძაღლი სანიმუშოდ იყო გაწვრთნილი; ეტყობოდა ჯიში; კიზი ამას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ერთხელაც გონებაში გამკრა, გალიას ასე ხშირად რატომ უტრიალებს-მეთქი. თითქოს მორალურად და ფიზიკურად ემზადებოდა... ეს ღმუილი, ღრენა, გესმით... ეს ყველაფერი ყოველ ცისმარე დღე ქოქავდა კიზის სიძულვილის მექანიზმს.

ძაღლმა ხელი ამილოკა და თითებზე სისხლნარევი ნერწყვის ნაკვალევი დამიტოვა. მინდოდა, მეც მოვფერებოდი,

მაგრამ ხელი ჩემს სურვილს არ დაემორჩილა. ვგრძნობდი, რომ ბატკა დამსახურებულ ჯილდოს მოელოდა: „ხედავ, ისე მოვიქეცი, როგორც მასწავლეს...“

ერთგულ თავს ხელი გადავუსვი.

– დღეს დილით კი კიზმა დამცავი კომბინეზონი გადაიცვა, გალიაში შევიდა და ძაღლს უთხრა თავისი სათქმელი. ვერ წარმოიდგენ, როგორ ბღაოდნენ ერთიცა და მეორეც; დანამდვილებით ვერც გეტყვი, რომელმა რომელს აჯობა – ძაღლმა ადამიანს თუ, პირიქით, ადამიანმა – ძაღლს. ერთი სიტყვით, კიზმა ნაგაზი სიკვდილის პირას მიიყვანა. ზედმეტია, ალბათ, იმის ახსნა, რომ ეს ცხოველი კი არ ჰყავდა მიზანში ამოღებული, იმათ ერჩოდა, ვინც მისი ამგვარად გაწვრთნა განიზრახა. ამას გარდა...

– რა, ამას გარდა?

„ნოემ“ ხარხარი მორთო.

– მეც გვარიანად მომცხო სიფათში, უფრო სწორად, ეცადა, ჩემთვის ცხვირ-პირი ჩამოელეწა... როცა ფეხზე წამოდგომაში დავეხმარე, სათითაოდ ჩამოიხსნა გასაღებები ქამრიდან, ცხვირწინ დამილაგა და წავიდა.

– ძალიან ვწუხვარ, ჯეკ.

– მეც. ჩემ გარდა ამ ქვეყანაში მილიონობით ადამიანია შეწუხებული, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. თქვენი ძაღლის ხელმეორედ აღზრდას ვერ შევძლებთ. ზნეს უკვე ველარ შევუცვლით. ეს დღესავით ნათელია. ყველაზე კარგი თქვენთვისაც და გარშემო მყოფთათვისაც ის იქნება, რომ დააძინოთ. ძაღლი სამუდამოდაა გაფუჭებული. ხვდებით, ალბათ, რის თქმაც მსურს...

ჯეკმა ძაღლს გადახედა.

– არავის არა აქვს უფლება, ძაღლი ასეთ დღეში ჩააგდოს.

– ჯეკ, ჩემი ხელით მოვკლავდი იმას, ვინც...

– არა მგონია, რომ ასეთი ადამიანების ხელახლა აღზრდა და გონზე მოყვანა შესაძლებელი იყოს. უბრალოდ მთელი თაობაა ასეთი; ის დროთა განმავლობაში თავისთავად წავა; თაობაც იმიტომ ჰქვია, რომ ერთ დღესაც გაქრეს. ოღონდ არ ვიცი, აქვთ კი შავკანიანებს ლოდინის დრო და სურვილი?

ჯეკის ცისფერ თვალებში მტრულ განწყობას დაესადგურებინა.

– თანახმა ხართ, რომ ნემსი გავუკეთოთ? თქვენგან საბოლოო პასუხი მინდა.

– არა!

„ნოემ“ ბრაზით თავი გაიქნია.

– მაშინ სასწრაფოდ წაიყვანეთ ძაღლი აქედან. მისი აქ დატოვების არანაირი სურვილი არა მაქვს.

ჯეკმა თვალები მოჭუტა. გეგონება, სახეზე ყოველი მხრიდან ნაოჭების ლაშქარი შეესიაო. ვაკვირდებოდი მის ნახევარღიმილს, უცნაურად დაუმთავრებელს, ერთგვარად შეწყვეტილს. სხვა ემოციებიც ასევე აესახებოდა ამ ტრავმებისაგან ათასჯერ მიჭრილ-მოჭრილ, მიკერებულ-მოკერებულ სახეზე.

– ერთი აზრი მომივიდა. საშენი მეგულება, სადაც არც ერთი შავკანიანი არ მუშაობს. ისინი სამსახურში უბრალოდ არ აჰყავთ. იქნებ იქ მოგეწყოთ თქვენი ძაღლი. ახლავე მოგართმევთ მისამართსაც.

– მომშორდით!

ჯეკმა ისევ მსუბუქად გაიქნია თავი, ადრე მოკიდებული მოუწეველი სიგარეტი გადააგდო და იქაურობას გაეცალა.

ვოლიერში თეთრი ძაღლის გვერდით სრულიად მარტო აღმოვჩნდი.

დრო გადიოდა. თუმცა მისი შეგრძნება საერთოდ დავკარგე. აღარც მახსოვს, რამდენ საათს ვიჯექი იქ. ერთს? ორს? ვითომ სამს? ღმერთმა უწყის, რამდენს. ამასობაში ჩემთვის მტკიცედ გადავწყვიტე, გარდაუვალია-მეთქი, მაგრამ ვეცადე, ცოტათი მაინც გადამედო.

მანქანიდან ჯაჭვი გადმოვიღე და ჩაკ ბელდენს დავურეკე. ცოტა ხნით რევოლვერი ვთხოვე. მერე ბატკას წამოსაყვანად ისევ გალიასთან დავბრუნდი. ენაგადმოგდებული, რის ვაი-ვაგლახით მომყვებოდა კოჭლობით. რომ არ დავხმარებოდი, მანქანის სავარძელზე ტანს ვერ აითრევდა. უეჭველად ერთიორი ნეკნი მაინც ჰქონდა გატეხილი. ჯერ ვენტურას ბულვარს დავუყევით, შემდეგ ლორელ კანიონზე გადავუხვიეთ. წითელზე რომ ვჩერდებოდით, მძღოლის გვერდით დინჯად მოკალათებული ამ მშვენიერი ძაღლის დანახვაზე, ყურადღებით რომ აკვირდებოდა გზას, ხალხს ეღიმებოდა. ვან ნისზე მწვანის ანთებას აღარც დაველოდე, პირდაპირ წინ გავიჭერი, რომ არ აღმოვჩენილიყავი სატვირთო მანქანის გვერდით, რომელსაც შავკანიანი მართავდა.

ბატკა გარაჟში ჩავკეტე.

ნაშუადღევს, ასე ოთხ საათზე, ჩაკმა არმიისთვის კარგად ცნობილი კოლტი მომიტანა. ვისკი დავისხი, მაგრამ დალევისგან თავი შევიკავე. დავლიო და მერე ქალაქში ვისეირნო ჯიბეში კოლტით? არა, ამის უფლებას თავს ვერ მივცემ. ალკოჰოლი მუხრუჭების შეგრძნებას მაკარგვინებს. ამიტომაც ვისკის ბეგონიის ქოთანში გადავუძახე და საჭეს მივუჯექი. ყველა მინა ავწიე. გადავჭერით ჰოლივუდი და შემდეგ გრიფიტს პარკისკენ გავუტიეთ. ოდესღაც აქ დილაობით დავრბოდი ხოლმე, სანამ აუტპოსტ-დრაივზე მდებარე საფრანგეთის საკონსულოში ჩემს სამუშაო კაბინეტს მივაშურებდი.

ბუჩქნარით დაფარულ ბორცვებს ბუნების წიაღში სეირნობის მოყვარულთა გარდა, შეყვარებულები სწყალობდნენ. ამ უკაცრიელ მიდამოებს სტუმრები დღესაც არ აკლია, მაგრამ სასეირნოდ მანქანიდან გადმოსვლას ვერავინ ბედავს; ამერიკის დიდ ქალაქებში დანაშაულის მაჩვენებელი ყოველწლიურად სამოცი პროცენტით მატულობს. ათასიდან ერთი შანსია, რომ ყელში დანა გაგირჭონ, მაგრამ ბედ-იღბალთან ამ განსაკუთრებულ ურთიერთობებში, რომელსაც ყველა თავისებურად წარმოისახავს, შეუძლებელია, ადამიანს არ დაეუფლოს განცდა, რომ პირადად თვითონაა მიზანში ამოღებული...

მანქანა „პილიგრიმის ჯვართან“ გავაჩერე და ბატკაც გადმოვიყვანე.

რევოლვერი შევმართე.

ბატკა თვალს არ მაშორებდა. იცოდა. ინსტინქტი მაინც თავისას შვრება.

ბატკამ თავი ჩაქინდრა.

კეფაში დავუმიზნე.

თეთრი ძაღლი მშვიდად ელოდა განაჩენს.

ხელი ამიკანკალდა. ცრემლებსაც ვერაფერი მოვუხერხე. ყველაფერი აირ-დაირია. ველარაფერს ვარჩევდი. გავისროლე.

ავაცდინე.

ძაღლი არ განძრეულა. არც კი შემოუხედავს.

ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს საკუთარი თვითმკვლელობა არ გამომივიდა.

თეთრმა ძაღლმა ჯერ თვალი თვალში გამიყარა, შემდეგ კი გვერდზე გაიხედა.

თეთრი ძაღლი იცდიდა.

უეცრად გულისრევა ვიგრძენი.

– რა იყო, რა გახდა ასეთი უსაშველო. ძაღლის გულის-

თვის ასეთი ტრაგედიის გამართვა ვის გაუგია? მაშ ბიაფრაზე რაღა ვთქვათ?

– დამცინით? ბიაფრა აქ რა მოსატანია?

– თუ ბიაფრა გულზე არ გეკარებათ და მისთვის თითის განძრევასაც არ აპირებთ, მაშინ ეს სრულ უფლებას განიჭებთ, ძაღლის გამო სულ არ შეიწუხოთ თავი. დღეს უკვე არსებობს ახალი კაზუისტიკა, რომელიც გაძლევთ საშუალებას, ბიაფრა, ვიეტნამი, მესამე სამყაროს სიდუხჭირე მოიმიზეზოთ, ის აიფაროთ და განაცხადოთ, რომ ბრმას ქუჩაზე გადასვლაში ვერ დაეხმარებით.

რევოლვერი ოფლიანი ხელიდან გამისხლტა.

– მოდი აქ, თეთრო ძაღლო.

ბატკამ წელი ძლივს აითრია. ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა და იარაღის ლულა დაყნოსა.

არა, არა, დასწყევლოს ღმერთმა, არასდროს.

რა მესაქმება შავკანიანებთან? ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც სხვები. არა ვარ რასისტი. ამ ძაღლისთვის შუბლში ტყვიის დახლა, იცით, ეს რას ნიშნავს, მესიე რომენ გარი? სიტყვაც კი არსებობს – კაპიტულანტობა, დამარცხების აღიარება მტრის წინაშე. ასეთი რამ ჯერ არ მომსვლია. აბა, ვის მოაფიქრდება, კოლტით შეიარაღებული ჩაბარდეს.

ბორცვის გაუვალ საფარს ცისფერი ნისლი გადაეფინა და ეკალბარდიან სივრცეს რბილი იერი შესძინა. სირბილემ ლანდშაფტის სილრმეებისკენ გზა ვერ გაიკვლია. ზედაპირზე გაიყინა.

ჰავანას მოვუკიდე. მასში გადახდილი ფული ინდიელთა მთელ ოჯახს, ალბათ, ერთ კვირას დააპურებდა.

თავი უკეთესად ვიგრძენი. ბატკას კეფაზე ხელი მოვუთათუნე.

– ჩვენ მაგათ ვუჩვენებთ სეირს.

ენაგადმოგდებული ბატკა კუდის ქიცინს მოჰყვა თანხმობის ნიშნად.

– არა, ისინი ვერაფერს დაგვაკლებენ. ვერ გაიტანენ თავისას.

ბატკამ ამჯერად თათი ასწია და ჩამოსართმევად გამომიწოდა.

რა ცუდია, რომ აქვე შორიახლო კედელი არ არის, თორემ ხომ მივაჯღაბნიდი ერთი-ორ ჰუმანისტურ მოწოდებას.

– ადამიანი ჭეშმარიტ სახეს ვერ დამალავს? როცა მჭირდება ხოლმე, რომ ოცნებას ჩავებღაუჭო, ამაში ბადალი არა მყავს, ჩემპიონი ვარ.

– ადამიანი გაიმარჯვებს, რადგან ის ძლიერია.

მოკლედ, ვთაღლითობდი, რაც შემეძლო: ჩემთვის მთავარი გამარჯვება იყო. ისევ გავაყოფინე თავი ბატკას საბელის მარყუჟში და მანქანის კარი გავაღე. ძაღლმა ჩემ გვერდით სავარძელზე მორჩილად მოიკალათა.

პატარა ფსიქოლოგიური დრამა დასრულდა.

შვებთან შევყოვნდი და საშენში დავრეკე. ყურმილს არავინ იღებდა; ჯეკის ნომერს ტელეფონის წიგნში მივაგენი. ყველაფერში გამოვუტყდი.

– რატომ მიყვებით ამ ყველაფერს ასე წვრილ-წვრილად?

– დაიტოვეთ ძაღლი, სანამ შეერთებულ შტატებში ვმუშაობ და ვადა რომ გამივა, წავიყვან.

– მომწყდით თავიდან. გითხარით უკვე, სადაც უნდა წაგეყვანათ. საშენში, სადაც შავები არ მუშაობენ... არის ერთი ასეთი, არაჩვეულებრივია, ოღონდ სანტა-მონიკაში მოგიწევთ ჩასვლა. მერი იორტიც[1] კი ვერ მოიფიქრებდა უკეთეს რამეს.

---

[1] სემ იორტი – ლოს-ანჯელესის მერი. აირჩიეს ახალი ვადით ზანგების წინააღმდეგ მიმართული საარჩევნო კამპანიის შემდეგ.

– მაშინ კიზის ნომერი ჩამაწერინეთ.

– ახლა მაინც რაღა გინდათ იმისგან.

– უნდა მოველაპარაკო.

– იცით, ეგ შავკანიანი მუსლიმია. უკეთეს შემთხვევაში მექაში გასამგზავრებელი ბილეთის შოვნაში თუ დაეხმარებით. თუ არ ვცდები, მუსლიმებს აქვთ ამის უფლება, თუკი, რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველ ელია მუჰამედს ხუთ ქერათმიან სკალპს ან ხუთ წყვილ ვარდისფერ ყურს მიართმევენ.

– თუ თქვენთან სამუშაოდ დაბრუნდება, დაიტოვებთ ძაღლს?

– It's a deal – შევთანხმდით. წარმოგიდგენიათ, ორასი გველი მყავს საუკეთესო შხამით სავსე, შხამის გამომწურავი კი არავინაა. კიზი შხამების შეუცვლელი სპეციალისტია. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ აქ მისი ნომერი არა მაქვს. ხვალ დამირეკეთ სამსახურში.

ღამე ბატკა გარაჟში ჩავკეტე, თან ბლომად პაშტეტი დავუტოვე. ჯინთან კრინტი არ დამიძრავს, არ იცოდა, რომ ნაგაზი იქვე იყო.

სალონში აქტივისტების მორიგი კრება ტარდებოდა.

შემიძლია, ვთქვა, რომ თოთხმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული, ჯინი ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი თითქმის ყველა შესაძლო ორგანიზაციის წევრია; ამის გამო ჩვენ შორის არაერთი სერიოზული პრობლემა წარმოქმნილა; ახალგაზრდობაში არც მე ვყოფილვარ გულხელდაკრეფილი. ჩემთვის თანასწორობისა და ძმობისთვის ბრძოლის მშფოთვარე წლები ჩვიდმეტი წლის ასაკში დაიწყო და, როგორც კი ოცდაათს მივუკაკუნე, დასრულდა. იმის გამო, რომ ჩემსა და ჯინს შორის ასაკში განსხვავება ლამის ოცდაოთხი წელია, კატეგორიულ უარს ვაცხადებ ამ ნელი აგონიის ხელმეორედ გა-

დატანაზე. ცხოვრების მანძილზე არაერთხელ ვიწვნიე მარცხი და არ მინდა, ახლა მისი წაბორძიკებისა და წაქცევის თვითმხილველი გავხდე.

როგორც კი მისაღებში შევაბიჯე, საუბრები იმწამსვე შეწყდა. სწორადაც მოიქცნენ. ჩემი გამომეტყველება მათ სხვა გუნებაზე ვერ დააყენებდა. ხშირად საკმარისია, ადამიანმა თვალი შემავლოს, რომ უმალ მიხვდეს, ღირს თუ არა ენთუზიაზმის შემდგომი გაღვივება. ისიც მშვენივრად მომეხსენება, რომ „კეთილების ბანაკშიც“ იმდენივე წამგლეჯი და გათახსირებულია, რამდენიც „ბოროტების“ შეკრებაზე, რომელზეც ახლა მოგითხრობთ. მოვლენათა განვითარებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩემი პოზიციის სისწორეში. მართლაც, რამდენიმე კვირის შემდეგ იქ დამსწრე ერთი ვიგინდარა, რომელიც გარემოებათა შესატყვისად, აქტივისტებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შავკანიანის ტყავში მოევლინა, ჯინის დაშანტაჟებას შეეცადა, თან gaming whitey კეთილშობილ მიზეზს ამოეფარა, ანუ, მოკლედ რომ ვთქვა, თეთრკანიანთა საკუთარ გემოზე „დაქოქვა და მართვა“ განიზრახა.

– მისის სიბერგ, ჩვენს ხელთაა მაკომპრომეტირებელი წერილი, სადაც თქვენ თანხმობას აცხადებთ, პარიზის აფრიკელ სტუდენტებს ძმური რევოლუციური სალამი გადასცეთ... იქ „შავი პანტერების“ ერთ-ერთი ლიდერის სახელიც კია ნახსენები... თუ ამას გამოვაქვეყნებთ, ვფიქრობ, თქვენი როგორც კინოვარსკვლავის, კარიერა ამერიკაში...

ჯინმა მშვიდად უპასუხა:

– გამოაქვეყნეთ.

მოგვიანებით, რა თქმა უნდა, ცხარე ცრემლები ღვარა. მისის სიბერგი ჯერ კიდევ ისეთ ასაკშია, როცა ადამიანებს შეუძლიათ, საკუთარ თავს იმედგაცრუების ფუფუნება მიანიჭონ.

მოთმინებით დაველოდე, სანამ ჯინი თავის წილს გაიღებდა, ანუ სანამ მისაღები დაცარიელდებოდა და დასაძინებლად წავედი.

მეორე დღეს კიზის ნომერიც შევიტყვე და დაუყოვნებლივ დავურეკე. ყურმილი ბავშვმა აიღო და მითხრა, მამა გასულიაო.

– ხომ ვერ მეტყვით, სად შეიძლება მივაგნო?

გოგონამ დამფრთხალი ხმით მკითხა:

– თქვენ ცხოველის გამო ხომ არ რეკავთ?

– დიახ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში გაურკვეველი ჩურჩული გაისმა.

– მამიკო ფეირფაქსშია, უფრო ზუსტად, „პენკეიკ სტუდიოში“.

მოვიძიე „პენკეიკ სტუდიოს“ ზუსტი მისამართი და წავედი. კიზსაც მალევე დავადექი თავზე. ძლივს შევამჩნიე ბლინებს ამოფარებული. გვერდით ნეკერჩხლის სიროფით სავსე ბოთლი ედგა, თავზე მუსლიმური სკუფია დაეკოსებინა. ისეთი უხეში ჩანდა, გეგონება, ხალიჩისგან გამოჭრესო. ჩემდა გასაკვირად, უაღრესად მეგობრული სალამი მომცა და დანის წვერით თავისუფალ სკამზე მიმითითა. კიზს თვალისმომჭრელად თეთრი და ბასრი კბილები ჰქონდა. მინდოდა, პირი გამეღო და დასაცავ სიტყვას შევდგომოდი, მაგრამ კიზმა შემაყოვნა.

– ვიცი, ვიცი... ყველაფერი ვიცი. ვაღიარებ, რომ იმ დღეს ნერვები ვერ მოვთოკე და წყობიდან გამოვედი. I'm sorry about that – ძალიან ვწუხვარ... ყურებმა დამაღალატეს...

– დიახ, ყურებმა. – ჩავურთე საქმეში ჩახედულის იერით. სინამდვილეში კი ვერაფერი გავიგე.

– ძალიან მგრძნობიარე ყურების პატრონი ვარ. იმ ღმუილის ატანა აღარ შემეძლო. მაგრად ვცემე. აი, გესმით, რადიოს ხმაური რომ შეგაწუხებს ძალიან, აიღებ და ერთი გულიანად მიახეთქებ კედელს...

კიზი ჩაფიქრდა, მაგრამ პირი არ გაუჩერებია. მახსენდება, რომ მის თვალებში ისევ ამოვიკითხე ის, რასაც scheming-ის გარდა ვერაფერს დავარქმევ. ეს იმათ ახასიათებს, ვისაც რაღაც გეგმა აკვიატებად გადაჰქცევია.

– დააბრუნეთ ძაღლი საშენში. მე მივხედავ. ამას დრო დასჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გამომივა.

კიზმა ქარვისფერ სიროფმოსხმული ბლინი ოთხად გაჭრა და დასძინა:

– მე ყოველთვის გამომდის.

– გნებავთ, რომ ჯეკი გავაფრთხილო?

– არ ღირს. მოვრჩები ჭამას და სამუშაოს დავუბრუნდები. კარგი იქნება, თუ ძაღლს შუადღისთვის მომიყვანთ.

კიზს ეტყობოდა, რომ მადას არ უჩიოდა.

– საუცხოო ძაღლია. აფსუსი იქნებოდა მისი დაკარგვა.

კიზმა ფართოდ გაიღიმა და ოცდათორმეტივე ბასრი კბილი გადმოყარა.

– იცით თუ არა, რომ უოტსის შემდეგ კარგად გაწვრთნილი მოდარაჯე ძაღლისთვის თეთრები ექვსას დოლარამდე იხდიან?

არაფერი მითქვამს. წამოვდექი და უსიტყვოდ გავეცალე იქაურობას. „ეს გაიძვერა აშკარად თეთრკანიანად მთვლის“, – გავიფიქრე ჩემთვის.

3

ბატკა საშენში წავიყვანე და კერათერსს თავისი ფასდაუ-
დებელი თანამშრომლის მობრუნების ამბავიც ვაუწყე. გვე-
ლებს მიეცემათ ბედნიერი შანსი კაცობრიობის სასარგებლოდ
შხამის გადმონთხევისა.

როცა მივედი, ჯეკი, მაიმუნების ვოლიერს ზურგით მიყ-
რდნობილი, ტრადიციულ დილის ყავას მიირთმევდა. ერთი
მოკლებალნიანი, უისტიტიზე ოდნავ უფრო დიდი არსება მის
ზურგს უკნიდან თითის ფინჯანში ჩაყოფას ცდილობდა. დრო-
დადრო კერათერსი პატარა მაიმუნს კარაქიანი პურით უმას-
პინძლდებოდა, უფრო სწორად, რიგრიგობით ძმურად კბეჩ-
დნენ კარგა მოზრდილ ნაჭრებს.

– დილით ჩემს კენგურუებთან მთელი დავიდარაბა გადამ-
ხდა. – წამოიწყო ჯეკმა, – ერთი სიტყვით, აირია მონასტერი.
დედამ შავი დღე დააყარა ძვირფას ქმარს. ხომ იცი, როგორც
ხდება ხოლმე ხანდახან ოჯახში. კენგურუების ფსიქოლოგია
ზოგჯერ თავგზას მიბნევს და ვერაფერი გამირკვევია. ამბო-
ბენ, ავსტრალიელები ამერიკელებს ჰგვანანო, მაგრამ კენგუ-
რუებზე იმავეს ნამდვილად ვერ იტყვი; ვერ გამირკვევია, რა
ჭირი ეტაკა იმ როკაპს. ჩემი ბიჭი სხვა ქალებს ზედაც არ
უყურებს. ამიტომ გამორიცხულია, სცენა საყვარლისა და ეჭ-

ვიანობის გამო გაემართა. საგონებელში ვარ პირდაპირ ჩავარდნილი. დღეს ორივემ სპექტაკლი უნდა გამართოს კრივში და შემოსული თანხა კორეელი უპატრონო ბავშვების კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს. ეს კაცი კიდევ ვერ არის საბრძოლო ფორმაში. სრულ პანიკაშია ჩავარდნილი. ეტყობა, ცოლმა მაგრა დაურხია. ასე რომ, იცოდეთ, ყველა კენგურუ დაქნეულია. ვერ არიან ნორმალურ ჭკუაზე. მყავდა კიდევ ერთი რამდენიმე წლის წინ. როგორც კი მასთან გალიაში ახურებულ მდედრს შევუშვებდი, იმ უბედურს გული მისდიოდა – სუნთქვა უხშირდებოდა კურდღელივით, შემდეგ თვალებს გადაატრიალებდა და გულწასული ძირს მოადენდა ბრაგვანს. მოკლედ, ძალიან მგრძნობიარე ვინმე იყო. ქალბატონი მის ამ საქციელს პირად შეურაცხყოფად იღებდა და, განაწყენებული, უბედურს შავ დღეში აგდებდა: გულწასულს გარბენით ზედ ახტებოდა, სხეულის მთელი სიმძიმით; ფსიქოლოგიას, ჩემო კეთილო ადამიანო, უსიამოვნების გარდა არაფერი მოაქვს. ყავას ხომ არ მიირთმევდით? არა? მაშ კიზი ბრუნდება და თვითონვე მიხედავს ჩვენს ცუგას.

– კარგი ტიპია კიზი, ვერაფერს იტყვი!

კერათერსმა მორიგი ყლუპით ჩაიტკბარუნა პირი. შეფიქრიანებული ჩანდა.

– გეთანხმებით, – წარმოთქვა ნოე-კერათერსმა ეჭვნარევი ხმით. წამიერად უსიცოცხლო თვალებით შემომხედა. შემდეგ მზერა სხვაგან გადაიტანა.

მაიმუნმა ხელი გამოყო და ჯეკს კარაქიანი პურის დარჩენილი ნაწილი ხელიდან აართვა.

– გველებსაც უყვართ, – დასძინა ჯეკმა, – კიზი ნამდვილად მომნუსხველია.

ჯეკმა ფინჯანში დარჩენილი ყავა გაზონში გადაღვარა.

– მაგისთანა ღვარძლიანი ადამიანი ცხოვრებაში არ შემხვედრია, – ჯეკის ხმაში პატივისცემა იგრძნობოდა, – სასიამოვნოა, როცა უყურებ... კარგი, კარგი, გავიქეცი, ჩემს კენგურუს ცოტა გუნება-განწყობა უნდა გამოვუკეთო.

ჯეკმა ალმაცერად გამომხედა.

– და რატომ შვრებით ამას?

– ვერ გავიგე?

– ძაღლზე გეკითხებით.

– მისი ხსნა მინდა. ეს არის და ეს.

– აი, თურმე... You bet. ზუსტად ამიხსენით, რის დამტკიცება გინდათ ამით.

– ღმერთო ჩემო, არაფრის.

– ვერ დავიჯერებ. კარგად გიცნობთ ინტელექტუალებს. თქვენთვის ეს პრინციპის საქმეა. იმის დამტკიცება გინდათ, რომ ძაღლის განკურნება შესაძლებელია?

– განიკურნება!

– რა თქმა უნდა, უეჭველად, მაგრამ ყველაფრის თავიდან, თუ შეიძლება ითქვას, აკვნიდან დაწყება მოგიწევთ და ამას ერთი ორმოცდაათი წელი მაინც დასჭირდება. თუმცა კიზის ხელში...

– და რა მოხდება კიზის ხელში ასეთი?

– მოკლედ გეტყვით: თქვენ საიმედო ხელში აღმოჩნდით. კიზი მხეცია საწამლავებში. Be seeing you – დროებით.

ჯეკი წავიდა. მაიმუნი გისოსებზე ჩამოეკიდა. ხელს მიწვდიდა, თან გულის გამაწვრილებლად ჭყიპინებდა.

4

არდენში დავბრუნდი. ჩვენმა ესპანელმა ახლობელმა სელიამ გადმომცა, ვიღაც უცხო კაცი ორჯერ იყო შენთან სალაპარაკოდ მოსული და ნაშუადღევს ისევ გამოივლისო. საღამოს ექვსი საათია. ვზივარ პატიოში, აუზის წინ. ჯინი მონტესორის სკოლისთვის შეწირულობების მოსაგროვებლადაა წასული. აგერ უკვე ერთი წელია გასული მას შემდეგ, რაც ამ სასწავლო დაწესებულებაზე ზრუნვა დაიწყო. სკოლის მთავარი მიზანია, შავკანიან მოზარდებს მისცეს „უსიძულვილო“ განათლება. შავით თეთრზე იმავეს ამოიკითხავდით პროსპექტებშიც: „აღზრდა-განათლება – სიძულვილის გარეშე“. თუ ამ დაწესებულებას სხვებისგან სწორედ ეს განასხვავებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფრაზაში ღრმა აზრია ჩადებული... აქამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ, იქ, სადაც სიძულვილია, საერთოდ გამორიცხულია აღზრდა-განათლებაზე ლაპარაკი, მხოლოდ დეფორმაცია-დამახინჯება და წვრთნა თუ შეიძლება ვივარაუდოთ. არაერთხელ მითქვამს საკუთარი თავისთვის, რომ ფაქტობრივად გადაუჭრელია ამერიკელი შავკანიანების პრობლემა – ეს გახლავთ სისულელე, უგუნურება და უმეცრება. ყველა დროში ის დაპატრონებული იყო ჩვენი ცნობიერების ყველაზე დიდ ნაწილს; ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა,

რომ გონიერებას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის თუნდაც ერთი პრობლემის გადაწყვეტაში გაემარჯვოს, თუკი მას ოდნავი შეხება მაინც ჰქონდა სისულელესთან.

უგუნურება ყოველთვის ახერხებდა პრობლემებისთვის გვერდის ავლას, მათ თავიდან აცილებას, ცბიერებით ან ძალით მათთან სასურველი გარიგების მიღწევას. როცა გონიერებას მტკიცედ სჯეროდა საკუთარი გამარჯვებისა, ათიდან ცხრა შემთხვევაში თვალნათლივ ხედავდა, რომ მისი წიაღიდან ისევ მძლავრად იყო ამოხეთქილი დაუთრგუნველი, მარად უკვდავი სისულელე. საკმარისია, დავინახოთ, რა დღე დააწია სისულელემ კომუნიზმის გამარჯვებებს, ანდა, მაგალითად, „კულტურული რევოლუციის“ შედეგად გადმონთხეულ „სპერმატოზოიდების ნიაღვარს“, ან კიდევ ჩვენს დროში – „მარქსისტული იდეის სიწმინდის დაცვის“ სახელით – „პრაღის გაზაფხულს“.

მოძალებულ სევდა-მოწყენილობასა და ჩემი, როგორც პენსიაზე გასული ყოფილი სამხედრო მოსამსახურის სურვილს „ამიერიდან აღარაფერში ჩავერევი“ უფრო პირადი ხასიათის, – სხვათა შორის, სასაცილო – გაღიზიანება დაემატა. მას შემდეგ, რაც ჰოლივუდში ჩამოვედი, ჩემი სახლი, უფრო სწორად ჩემი მეუღლისა, კეთილი ნების თეთრკანიან ამერიკელ ლიბერალთა ნამდვილ შტაბბინად გარდაიქმნა. ლიბერალები (ამ სიტყვას ფრანგული გაგებით „ფილანთროპი“, უფრო ზუსტად კი „ჰუმანისტი“ შეესატყვისება) იქ დღეში თვრამეტ საათს ატარებდნენ, რჩებოდნენ მაშინაც, როცა ჯინი სამუშაოდ სტუდიაში მიდიოდა. ეს გახლდათ ლამაზი სულების მუდმივი მორიგეობა. და ჯობია, იმან, ვინც ერთი წამით მაინც გულში გაივლებს, რომ ამ სიტყვებს ირონიულ დატვირთვას ვანიჭებ, ახლავე დახუროს წიგნი და სადმე გაიარ-გამოიაროს. ორმოცი წელია, რაც ჩემს ილუზიებს, უცვლელს და აბეზარს, ქვეყნიდან ქვეყანაში

დავათრევ. მათგან გათავისუფლების ყოველი ჩემი მცდელობა ამაო გამოდგა. ვერა და ვერ შევძელი, ერთხელ და სამუდამოდ მივცემოდი სასოწარკვეთას. ამისთვის ფსიქოლოგიურად სრულიად მოუმზადებელი და უუნარო აღმოვჩნდი. შეიძლება, სწორედ ამან მაქცია ყველა ამ ლამაზი სულის მოწინააღმდეგედ. მათში საკუთარი სულის ანარეკლს ვხედავ: მორიელს, რომელიც მზადაა, სხეული დაიგესლოს, ან იმ შავკანიანებს, ერთმანეთი რომ ვერ აუტანიათ მხოლოდ იმიტომ, რომ თანაბრად გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებში აღმოჩნდნენ, ანდა სულაც ებრაელ ანტისემიტებს. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სულ უფრო ხშირად გამოვყავარ მოთმინებიდან ჯინის გარშემო მოტრიალე პარაზიტთა მზარდ რიცხვს. სასოებას მიკარგავენ. სამოქალაქო უფლებებისთვის გაჩაღებული საყოველთაო ბრძოლის მიღმა თითქმის ყოველდღე იქმნება პატარ-პატარა უსუსური ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთა საქმიანობის მთავარი მიზანი მმართველი კომიტეტებისათვის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაა. მათ მომლოდინე პოზიცია უჭირავთ და ყოველთვის მზად არიან, პირი გამოივსონ ზეციური მანანით, რომელსაც სხვადასხვა ფონდები ან ფედერალური ხელისუფლება გაიმეტებენ. პირადად მე არასდროს მქონია სურვილი, ცხვირი ჩამეყო ჯინის ფინანსურ საქმეებში, მაგრამ ჩამოსვლის დღიდანვე აშკარად ვხედავ დუჟინობით con-man-ს, იმ მარად თაღლითებს, ინტრიგანებსა და გამომძალველებს, გამოუსწორებელ შულერებსა და მატყუარებს, რომლებსაც მოგება უგემიათ და ფსონს ჯინის დანაშაულის ორმაგ გრძნობაზე ჩამოდიან! ჯერ ერთი, კინოვარსკვლავია, ერთ-ერთი ყველაზე შურის აღმძვრელი არსება და ამიტომაც ბევრისგან უზომოდ შეძულებული, მეორეც, ჯინი ლუთერანია, პირველცოდვის აპოთეოზი.

რაც ყველაზე მეტად მტანჯავს, ის გახლავთ, რომ არ ვცნობ ნაპოლეონის კოდექსით მონიჭებულ „ქმრის ძალაუფლებას“! ისე, გამოგიტყდებით, ზოგჯერ მიჩნდება სურვილი, ვისარგებლო ამ უფლებით და ერთიმეორის მიყოლებით სულ პანლურების კვრით გავრეკო ის შავკანიანი ვიგინდარები, რომლებსაც ჩემი თეთრკანიანი მეუღლე მხოლოდ „დანაშაულის განცდისთვის“ ჰყავთ ასე უმოწყალოდ „დაბეგრილი“. ვერ ვიტყვი, რომ ამერიკაში უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე საფრანგეთში. ორივეგან თითქმის ერთნაირად ვიქცევი. ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. საკმაო ხანს ვიყავი იქ, რომ თავი უცხოდ არ მიმაჩნდეს.

დავურეკე ჩემს აგენტს და დავავალე, რომ იაპონიაში გასვლითი რეპორტაჟის ორგანიზებაზე ეზრუნა. ერთხელ უკვე ვიყავი ნამყოფი იქ და, მიუხედავად ვიზიტის სიმოკლისა, მაინც დამეუფლა განცდა, რომ იაპონია ერთ-ერთი იმ უიშვიათეს ქვეყანათაგანია, სადაც თავს უცხოდ ვგრძნობ... ცდილობ, ამ სამყაროში შეაღწიო, მაგრამ მარად გაღმა დარჩენის საოცარი გრძნობა გიპყრობს. გამაოგნებელია, როგორ გისპობს ენობრივი ბარიერი რეალობის გათავისების ნებისმიერ შანსს, შორს უკუგაგდებს და წინ ფეხის გადადგმის საშუალებას არ გაძლევს. მალევე მომიხდა იქიდან წამოსვლა, მაგრამ საოცარი რამ კი დამემართა: იაპონელების მიმართ წარმოუდგენელი სიმპათიები გამიჩნდა. ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ჩემგან დიამეტრულად განსხვავებულ ადამიანებთან მიწევს ურთიერთობა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა იმისთვის, რომ კარგად დამექოქა ჩემში არსებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი, ჩამელაგებინა ჩემოდანი და სასწრაფოდ გავცლოდი შტატებს. არ ჰქონდა მნიშვნელობა, საით ავიღებდი ამჯერად გეზს; მთავარი იყო, აღარ გამეგო ის მარადი ტვინის წამღე-

ბი რეფრენი: „რა თქმა უნდა, ეს შავკანიანი პირწავარდნილი არამზადა და ავაზაკია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, სწორედ თეთრებმა აქციეს ის ასეთად“. ბრძოლის ამ ჩახშობილმა ჟინმა ავად გამხადა.

მუხლებზე მეი შემომახტა და მყუდროდ მოეწყო. ეს სიამის კატა ერთი წამითაც არ მეშვება, სულ კუდში დამდევს. შემომაჯდება ხოლმე მხარზე და მარად ცვალებადი ინტონაციით თავს გადამხდარ გაუგებარ თავგადასავლებს მიყვება წვრილ-წვრილად. როგორც ჩანს, ამჯერადაც კატისებრთა სამყაროს საიდუმლოებებთან ჩემი ზიარება ჰქონდა გადაწყვეტილი; ამაოდ ვცდილობდი ჩაწვდომას. მხოლოდ პუშკინმა მოახერხა საოცარი ფოლკლორის ბრწყინვალე პოეზიად ქცევა. ალბათ მთელი „კატური ფილოსოფია“, რომელიც ჩემთვის გაუგებარი და მიუწვდომელი დარჩა, ნამდვილი ფილოლოგისთვის კატასტროფაა. როგორც იქნა, ამ სფინქსმა ენა ამოიდგა და გული გადაგიშალათ, ყველაფერი გაუწყათ, თქვენ კიდევ გაქვავდით ამ დიდი აღმოჩენის წინაშე და გაიყინეთ უცხო ენების არცოდნის გამო.

ჯინი სახლში დაბრუნდა. ცოტა ხანს იწრიალა, მაგრამ ხმა არ გამიცია. ჩემთვის ვიჯექი ენაწართმეულივით. არც არაფერი მქონდა სასაყვედურო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ცოტა გავლიზიანდი. ეს იყო გაღიზიანება ქმრისა – ჩემთვის საკმაოდ უჩვეულო, რომ არ ვთქვა სასაცილო, – რომელიც აშკარად ამჩნევს, რომ საკუთარი ცოლი ქვეყნის უბედურებებზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ოჯახზე.

კარზე დარეკეს და გასაღებად წამოვდექი. ჩემ წინ ბიჭი და გოგონა იდგნენ, სავარაუდოდ, შვიდი-რვა წლის თვალხატულა ქერათმიანი ამერიკელი ბავშვები, პირდაპირ ჯადოსნური ზღაპრის პატარა გმირები.

– Excuse us, sir, ფიდო თქვენთან არის?

– არა, ფიდო ჩემთან არ არის.

მაცივრისკენ გავქანდი და უკან შოკოლადში ამოვლებული ნამცხვრებით დავბრუნდი. დიეტა მაქვს დანიშნული და მათი მირთმევა სასტიკად მეკრძალება, მაგრამ გულმოდგინედ კი ვინახავ მაცივარში. ეს ისე, თვალმა მაინც რომ დაიცხროს ავხორცული ჟინი.

– No, thank you, sir.

უარით აღფრთოვანებულმა ნამცხვრებს ხახაში გადავუძახე. გაკვირვებულმა ბავშვებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ კი გამკაცრებული მზერა ისევ ჩემზე გადმოიტანეს. გეგონება, მათ წინ იდგა ადამიანი, რომელიც უდავოდ იმსახურებდა ექვსი წლით დილეგში ჩაგდებას. ლაპარაკიც ზედმეტია შეწყალებაზე ან განაჩენის შინაპატიმრობით შეცვლაზე.

– ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში გვითხრეს, რომ ფიდო თქვენთანაა.

ნელ-ნელა ვხვდებოდი, ვინც იყო ფიდო. ამ დროს სახლის წინ სულ რამდენიმე წამით ადრე გაჩერებული „შევროლედან“ ხანში შესული ხმელი აყლაყუდა კაცი გადმოვიდა. სქელ თმას ჭაღარა შერეოდა. ის ბაბუა გამახსენდა, ორმოცი წლის წინანდელი რეკლამიდან „კრიუშენის მარილები მარადი სიჭაბუკეა“, რომელიც მხნედ ახტებოდა მესერს. გამიხარდა, რომ ის სიმპათიური ბაბუა ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა და თანაც შესაშურ ფიზიკურ ფორმაში. კაცმა მსუბუქი ნაბიჯებით გადმოჭრა გაზონი. ახლოდან რომ შევხედე, მივხვდი, სამოცდაათს გვარიანად იყო გადაცილებული. მხიარულ და გახსნილ გარუჯულ სახეზე ნაოჭების სიმრავლემ მაფიქრებინა ასე. უმალ მიხვდებოდით, რომ ამ მოხუცს ხანგრძლივი ბედნიერი ცხოვრება აქვს გამოვლილი, ახლა კი რიგიანი პენსიით სარ-

გებლობს; შენახულიც ექნება შავი დღისათვის, ყველა გირაო – კარგა ხნის გასტუმრებული აქვს, ჯიბეში CROSS – საუკეთესო სადაზღვევო ბარათი უდევს, თავისუფალ დროს თევზაობასა და იხვებზე ნადირობაში კლავს... ჩემს ვარაუდებს „პენდლტონში“ შეძენილი კუბოკრული პერანგი მეტ დამაჯერებლობას სძენს. ბრგე ბაბუა ბავშვებს შორის ჩადგა, ხელები მათ მხრებზე დააწყო.

– Good afternoon, sir, „ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში“ გვითხრეს, რომ სამი კვირის წინ ქუჩაში ძაღლი გიპოვიათ. ჩვენი უნდა იყოს. გერმანული ნაგაზია, დრუნჩზე პატარა მეჭეჭით და ჟღალი ბალნით... იცით, გარდენიაში ჩვენს ფურგონს ცეცხლი მოეკიდა და სულ დაიწვა: ჩვენ ამ დროს სასეირნოდ ვიყავით გასული. საწყალმა ძაღლმა გაქცევით უშველა თავს... აორთქლდა... დღემდე ამაოდ ვეძებთ...

– Fido is the name, – ფიდო ჰქვია, – ჩაერთო საუბარში ბიჭუნა.

ზურგს უკნიდან ნაბიჯების ხმა მომესმა. ჩემი მეუღლე იყო. ვეცადე, არ შევბრუნებულიყავი. ჯინს არ სჩვევია ტყუილების თქმა.

– შემობრძანდით, შემობრძანდით...

მიპატიჟება მიიღეს. ბავშვები თვალს არ მაცილებდნენ. წარმოვიდგინე, რამდენი ცრემლი ღვარეს, როცა ფიდო უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბავშვებს გავუღიმე და თან შევეცადე, დედამიწის ზურგზე ყველაზე გულწრფელი და პატიოსანი კაცის გამომეტყველება მიმეღო. ჩემდათავად მოვლენების ამგვარ განვითარებას, დიდი ხანია, ვვარაუდობდი. თითქმის დარწმუნებულიც კი ვიყავი, რომ ყველაფერი ამგვარი შეხვედრით დამთავრდებოდა. შინაგანად ხელებსაც ვიფშვნეტდი.

– თქვენს ძაღლს საყელური ჰქონდა?

ბაბუამ თავი გაიქნია.

– არა, არ ჰქონდა. ბოლო დროს ძალიან გაგვისუქდა. საყელური პირდაპირ ახრჩობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაბმა გვიწევდა. ამის გამო მოვხსენით. აი, სწორედ ვაპირებდით ახლის შეძენას, პირადი ნომრით, მაგრამ...

ხელი ავწიე.

– რა მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, ერთსა და იმავე მეჭეჭიან ძაღლზე ვლაპარაკობთ, ჟღალი ბალნით ცხვირის გარშემო, როგორც გამოუსწორებელ მწეველებს აქვთ ხოლმე, ჰა, ჰა, ჰა...

პატარა ანგელოზებს სახეზე ნათელი გადაეფინათ.

– ნამდვილად ფიდოა, – თქვა ბაბუა კრიუშენმა.

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ძაღლი უკვე აღარ არის ჩემთან. ცხოველთა დაცვის საზოგადოებას მივმართე, „ეგზამინერში“ განცხადებაც კი გამოვაქვეყნე. არავინ გამომხმაურებია.

– აქ არდადეგებზე ჩამოვედით, – თქვა მოხუცმა, – ჩემი ვაჟი და რძალიც შემოგვიერთდნენ ლოს-ანჯელესიდან; შტატის დათვალიერებას აპირებდნენ და, თუ მოეწონებოდათ, სადმე სახლიც უნდა შეეძინათ. შემდეგ ჩემი ვაჟიშვილი საქმეების მოსაგვარებლად ალაბამაში დაბრუნდა... სანამ აქ საბოლოოდ დამკვიდრდება.

– ლამაზი ადგილია ალაბამა, – წარმოვთქვი თავაზიანად. მოხუცს სახეზე ერთ-ერთი ისეთი ღიმილთაგანი გადაეფინა, რომელიც ოთახსაც კი მთლიანად გაგინათებდათ.

– ყველაზე ლამაზი, – დამეთანხმა მოხუცი.

– კალიფორნიასაც არა უშავს, – დავძინე მე.

ბაბუა კრიუშენს საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს.

– აქ მეტი შესაძლებლობაა, რომ საინტერესო ადგილს გადააწყდე. ჩემი ვაჟი ოც წელს მუშაობდა პოლიციაში. ამჟამად

პენსიაზეა და თავშესაქცევად საშენის გახსნა აქვს გადაწყვეტილი. ჯერ ორმოცდაშვიდი წლისაა. დიახ, გითხარით, პოლიციაში რომ მუშაობდა. მე თვითონაც შერიფი გახლდით...

გამელიმა:

– ვატყობ, პოლიციელობა თქვენთვის ოჯახური პროფესია ყოფილა.

– დიახ, ჯერ კიდევ მამაჩემი იყო deputy sheriff და...

ვიფიქრე, ახლა ფოტოებს დამიძრობს-მეთქი. ზურგს უკან სიბნელეში ჩემი ცოლი ალაპარაკდა. აკანკალებული ხმით ფრანგულად წარმოთქვა:

– თუ ძაღლს დაუბრუნებ, მივდივარ.

სახეზე ფართო ღიმილი გადამეფინა.

– მოკეტე, – ვუპასუხე თავაზიანი ხმით, – უბრალოდ სულელს ვთამაშობ. მორჩა და გათავდა.

ბაბუა კრიუშენი აღფრთოვანებას ვერ მალავს.

– ფრანგი ბრძანდებით?

– დიახ, ვერდენში ვარ დაბადებული. კიდევ „მარნის სასწაულსაც“ ეძახიან.

– ნამყოფი ვარ საფრანგეთში. 1917-ში, მოხალისედ ვიყავი, „მადლონი“, მარშალი ფოში... ღმერთო, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ.

– ეს ტრადიციული კლიშეები კარგად კი ჩააკვეხა საუბარში ამ ბებერმა გმირმა, – თქვა ჯინმა.

ერთი უნდა უსმინოთ ჯინს, არგოზე რომ ლაპარაკობს, თანაც ამერიკული აქცენტით.

– ძალიან ვწუხვარ ძაღლის გამო, მაგრამ უკვე აღარ არის ჩემთან.

მზერა მოხუცზე გადავიტანე.

– არაჩვეულებრივად გაწვრთნილი კი იყო, – შევნიშნე.

ჰო, მე სულ გადამავიწყდა, რომ ამ პატიოსანი და ომახიანი მოხუცისთვის ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავია, აზრადაც არ მოუვა, საკუთარ თავს რამე უსაყვედუროს. ჩემი, ასე ვთქვათ, კვიმატი და მწარე მინიშნება, ცხადია, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

– ეს პოლიციის სამსახურისთვის საგანგებოდ გაწვრთნილი ძაღლია, – მოჰყვა მოხუცი ახსნა-განმარტებას, – ერთ-ერთი საუკეთესოა. პირადად ჩემი შვილი წვრთნიდა. პოლიციაშიც ეს საქმე ჰქონდა ჩაბარებული. ყოველთვის უყვარდა ცხოველები. ფიდოს მშობლებმაც მის ხელში გაიარეს. ფიდო პოლიციის ძაღლების მესამე თაობაა. როგორც კი რვა წელს მიაღწევენ, ძაღლები პენსიაზე გადიან. დიდი ტაციობაა მათზე. ჩემმა შვილმა საკუთარი რჩეული გამოისყიდა; თქვენს სახლს მაგაზე უკეთესად ვერავინ დაიცავს.

– ჰო, აბა, კი. – ჯინმა მოულოდნელად წამოისროლა თავისი რეპლიკა ფილმიდან „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“ ბელმონდოსთან დიალოგის დროს. მოხუცს კი ვუთარგმნე:

– მიუტევეთ ჩემს მეუღლეს, სერ, ერთი ღერი ინგლისური არ იცის... გეკითხებათ, რამეს ხომ არ დალევდითო?

– და ყურებით არაფერს შვრება? – მეკითხება ჯინი.

ეს ფრაზა ჩვენს ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ერთგვარი გასაღებია და მას მსახიობ მარიო დევიდს უნდა ვუმადლოდე. ერთხელ მადრიდის აეროპორტის ბუფეტში სრულიად შემთხვევით მოვკარი თვალი. უზომოდ გამიხარდა. მეგობრული გრძნობით შეპყრობილი, მისკენ შურდულივით გავექანე. გზად სიჩქარეში ღვინით სავსე ბოთლს გავკარი ხელი და გადავაყირავე, ვცადე დაჭერა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში ოფიციანტს შევადექი ფეხზე, უხერხულად მოვტრიალდი და მარიოს იდაყვები პირდაპირ თვალებში ვა-

ტაკე. და ვიდრე ვბოდიშობდი, ჰოი საშინელებავ, პირიდან ოქროს გვირგვინი გადმომივარდა და მარიოს წვნიანში მოადინა ტყაპანი.

მეგობარმა ინტერესით შემათვალიერა და მკითხა:

– ყურებით არაფერს შვრებით ხოლმე?

ყოფილ შერიფს სკოჩი შევთავაზე.

– არა, გმადლობთ, არ მინდა... ძაღლი ვინმეს მიეცით?

– დიახ, სხვა გამოსავალი არ მქონდა. იმის გამო, რომ ამდენ ხანს არავის მოუკითხავს... საბოლოოდ ერთი ჩემი მეგობარი ძალიან დაუმეგობრდა...

– გაქვთ მისი მისამართი?

ყოყმანი გავითამაშე.

თავის მხრივ, ჩემმა შერიფმა მშრალი ოფიციალური ტონი მოირგო.

– გთხოვთ, მომცეთ თქვენი ახლობლის მისამართი.

– ყური მიგდეთ, – ჩავერიე, – სანამ რამე გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, მეც გთხოვთ, კარგად დაფიქრდეთ. თავად ვიყავი უზომოდ გაოცებული, რომ ჩემი ახლობელი და თქვენი ძაღლი განუსაზღვრელი, მე ვიტყოდი, ინსტინქტური, თითქმის ცხოველური სიყვარულით განიმსჭვალნენ ერთმანეთის მიმართ... შევნიშნავ, რომ ჩემი მეგობარი აფრიკელია... ზანგი.

ბაბუა კრიუშენი გაშეშდა. ხვანჩი ზემოთ აეწია, სახიდან ღიმილი გაუქრა, თუმცა პირი ღია დარჩა, რამაც სახეს ღრმა შეცბუნების გამომეტყველება შესძინა.

ყოველი ცოლქმრული წყვილის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ერთობლივად გატარებული ხანგრძლივი წლები სრულიად მოულოდნელად ვლინდება, ცოლი ქმრის ენაზე იწყებს ლაპარაკს, ან პირიქით. ქვემოთ მოყვანილი გამოთქმა, ახლა რომ ოთახის სიღრმიდან გაისმა და ერთგვარი პატი-

ვისცემის, მეტიც, აღფრთოვანების ელფერი დაჰკრავდა, ჩემი მეუღლის არაჩვეულებრივ ბაგეებს აქამდე არასდროს მოსწყვეტია, მე კიდევ თავის დროზე უცხოურ ლეგიონში ავითვისე:

– მიდი, მიაწექი! – მითხრა სიბერგმა.

ამგვარად გამხნევებულს ხელ-ფეხიც გამეხსნა. ახლა უკვე ველარაფერი შემაკავებდა:

– ჩემი მეგობარი ახალგაზრდა აფრიკელი სტუდენტია. გრანტს გამოჰკრა ხელი და ამან სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში ერთწლიანი სტაჟირების შანსი მისცა. როცა თქვენი ძაღლი დაინახა, მინდა გითხრათ, რომ ეს იყო ნამდვილი ერთი ნახვით დამეგობრება... მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა: ისინი ერთგვარმა მიზიდულობის ძალამ შეადუღა ერთმანეთს. არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც გეტყვით: მათი ერთმანეთისაგან დაცილება თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა...

ბებერმა კრიუშენმა ნელ-ნელა მოიკრიბა გონება. ვერ გეტყვით, რამდენად შეძრა ჩემმა გამოსვლამ, მაგრამ ერთი თვალის შევლებით ჩემ წინ იდგა ბრგე, ჯან-ღონით აღსავსე ჭაბუკი, რომელსაც აზრადაც არ მოუვა დამარცხების აღიარება. მასში მოახალშენის, პიონერის ყველა ნიშან-თვისება ამოვიკითხე. ამგვარი ადამიანები აშენებდნენ თავის დროზე ამერიკას.

– თქვენმა ზანგმა მეგობარმა ძაღლი აფრიკაში წაიყვანა? – მკითხა კრიუშენმა ამჯერად ოდნავ ჩახრენწილი ხმით.

– დიახ, ბილეთის თანხა მე ვიტვირთე. არ მინდოდა, ერთმანეთს დასცილებოდნენ. სხვანაირად ვერც კი მოვიქცეოდი. ხომ გესმით, ცხოვრებაში არსებობს პრინციპები, რომლებსაც ვერ უღალატებ.

პატარა გოგონამ მუშტები თვალებზე მიიდო და ცრემლებად დაიღვარა.

– I want Fido! – ფიდო მინდაა! – ზმუოდა წვრილი, გულის გამგმირავი ხმით.

ბარემ აქვე შევნიშნავ, რომ ეს მხოლოდ მეტყველების მანერაა, ერთგვარი სტილისტიკური ხერხი, თორემ გოგონას ცრემლებმა იმაზე მეტად არ შემძრა, ვიდრე ჩინგიზ-ყაენს შეძრავდა „სოფის უბედურებანი“.

– საწყალი ფისო, – თქვა ჯინმა და, დამიჯერეთ, მის ხმაში ნამდვილად იგრძნობოდა გულწრფელი, სრულიად შეულამაზებელი თანაგრძნობა.

აქვე გეტყვით, მე მიყვარს პატარები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შვილი შემეძინა. და თუკი ერთი ნერვიც კი არ ამიტოკდა ამ ორი თვალხატულა ანგელოზის შემხედვარეს, რომლებიც ცრემლებად იღვრებოდნენ საყვარელი ფიდოს დაკარგვის გამო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ყოჩაღი შერიფის იერ-სახემ სხვა რამეზე დამაწყებინა ფიქრი: რატომაა, რომ გეტოებში პოლიციის მიერ რასისტული შეხლა-შემოხლის დროს ნაბეგვთა საშუალო ასაკი თოთხმეტიდან თვრამეტ წლამდე მერყეობს?

ჩვენ შორის სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, უძირო თეთრი სიჩუმე.

შერიფი ნელ-ნელა ხვდებოდა ყველაფერს. საერთოდ, ჩვენ გვესმოდა ერთმანეთისა.

– თქვენ არ გქონდათ უფლება, რომ ძაღლს ისე მოჰქცეოდით, როგორც მოგეპრიანებოდათ, – მითხრა მან.

შევეცადე, სიტუაცია შემერბილებინა.

– ყური მიგდეთ, წერილს მივწერ აფრიკაში. დარწმუნებული ვარ, იქ თქვენი ძაღლი დიდ პატივშია და ხელმწიფის საკადრისად ეპყრობიან; ყოველ შემთხვევაში, არაფერი აკლია. აფრიკაში დაახლოებით ორასი მილიონი ზანგი ცხოვრობს, ასე რომ...

შერიფი წამოდგა. მისი დაკორძილი ხელები პატარა ქერა თავებზე დაეშვა, გეგონება, საფრთხისაგან მათ დაცვას ლამობსო; ნამდვილად სანიმუშო ბაბუა იყო ეს არამზადა.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის გახლდათ, რომ შერიფი არ იყო არამზადა. გადამდგარი შერიფი პატიოსანი კაცი გახლდათ.

– ჩვენ ადვოკატს მივმართავთ, – თქვა მან.

– კარგად ეძებეთ და აუცილებლად შემატყობინეთ, როგორ გამოიყურება.

მეუღლემ სტუმრები კარამდე მიაცილა. ამერიკული სტუმართმოყვარეობა! შემდეგ ჯინი ჩემკენ გამოეშურა; კისერზე ხელები მომხვია და ლოყა თავზე მომადო. ერთხანს ასე ვიდექით. ლაპარაკი არც მე მინდოდა და არც იმას. საბოლოოდ სიჩუმე მაინც მე დავარღვიე, თუმცა, ჯობდა, ხმა არ ამომეღო. კი ვეცადე, მისთვის მეჩვენებინა, როგორ აზროვნებს მოწიფული ადამიანი, ანუ, მარტივად თუ ვიტყვი, მიმენიშნებინა, რომ დავიღალე. მგონი, არ გამომივიდა.

– ჯინ, გირჩევ შეეშვა: „ნამდვილ ადამიანებს“ შენ ვერ შეეხები, ვერც ხმას მიაწვდენ, ძალიან შორს არიან ჩვენგან; მათი უსაფრთხოება უზრუნველყოფილია. თანაც ერთი-ორი კი არ არის, მათი ლაშქარი მილიონობით ჯარისკაცს ითვლის. დანარჩენები ყალბების, მატყუარების, ფარისევლების და სხვების პროფესიონალ მტანჯველთა რიგებს ავსებენ. რა თქმა უნდა, არსებობს გადაულახავი ბარიერი და აქ კანის ფერი არაფერ შუაშია. გითხრა, რა მოხდება, როცა შენი პროფესიის ადამიანი – კინოვარსკვლავი, ყველაზე გულწრფელი, ყველაზე ერთგული და თავგამოდებული, ყველაზე ალალმართალი და პატიოსანიც კი, – სოციალური პრობლემების მოგვარებას და ნამდვილი ჭრილობების მოშუშებას მიყოფს ხელს? არც არა-

ფერი. ის ყველას თვალში კინოვარსკვლავად დარჩება. გადაჭარბებული რეკლამა გაქვთ, ფოტორეპორტიორების მთელი ამალით მოძრაობთ და ამას დასასრული არ უჩანს. საზოგადოება თქვენს ქცევას ახალი რეკლამის ძიების და კამერების წინ პოზიორობის, კეკლუცობისა და თავმომწონეობის მორიგ მცდელობად აღიქვამს. სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს. ანდა მაშინ საერთოდ უნდა შეაქციო კინოს ზურგი და იღვაწო, ოღონდ უხმაუროდ, როგორც ამას ბევრი შვრება, ოღონდ აქ აუცილებლად დადგები ერთი გარდაუვალი საფრთხის წინაშე: ისინი, ვინც ახლა გახვევია გარს, სათოფეზე არ მოგეკარებიან. მათ მარტო ვარსკვლავი აინტერესებთ...

– მესმის, მშვენივრად მესმის, რასაც ამბობ და მიმიფურთხებია ასეთი დამოკიდებულებისთვის. მე ერთი რამ არ მაძლევს მოსვენებას. ეს სკოლაა... არ შემიძლია, ოცდაათი ბავშვი ასე უპატრონოდ და უყურადღებოდ მივყარო... თან, სხვათა შორის, ბილ ფიშერმა კიდევ ერთი ხუთმილიონიანი ჩეკი გამოგვიგზავნა მარშალთაუნიდან და...

ვგრძნობ, როგორ მეწვეთება ყელზე ჯინის ცრემლები.

– მისმინე, ჯინ, მოდი ვილაპარაკოთ იმ სკოლაზე, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ უსიძულვილო აღზრდა-განათლებას იძლევა. თუ ეს უმადური ბავშვები სპეციალურად მათთვის მოფიქრებულ სასწავლო დაწესებულებაში სრულიად უსიძულვილოდ გაიზრდებიან, მერწმუნე, როგორც კი სკოლის საზღვრებს გასცდებიან, სრულიად უმწეონი და უუნარონი აღმოჩნდებიან. თქვენ მათ შემგუებლობის უნარს ნულამდე დაიყვანთ...

– მე მინდა, რომ მათ დავეხმარო. ვიცი, რომ ეს დაწყებული იარლიყი „კინოვარსკვლავი“ მაქვს მოკერებული, მაგრამ გამოსავალი ვიპოვე: გადაღებებს თავს დავანებებ.

– თუ მსახიობობას შეელევი, აღარ დაგჭირდება თავის მართლება, რომ ჯინ სიბერგი, ანუ კინოვარსკვლავი ხარ. ამას გარდა, შეიძლება მათი დახმარების სურვილიც გაგიქრეს...

– იქნებ ფიქრობ, რომ სწორედ ჩემი დღევანდელი სტატუსი მიბიძგებს?

ავდექი.

– არ ვიცი, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში მე უკვე ამომივიდა ყელში ყველაფერი და მივდივარ. მეტი აღარ შემიძლია. ჩვიდმეტი მილიონი შავკანიანი სახლში – ეს ძალიან ბევრია პროფესიონალი მწერლისთვისაც კი. რა შეიძლება ჩემი მხრიდან ამას შედეგად მოჰყვეს? დიდი-დიდი, შემიძლია, კიდევ ერთი წიგნი გამოვაცხო. მე უკვე დავწერე ომზე, დედასთან ერთად გადატანილ ოკუპაციის წლებზე, თავისუფლებისათვის ბრძოლაზე აფრიკის კონტინენტზე, ატომურ ბომბებზე. უარს ვაცხადებ, ცალკე წიგნი მივუძღვნა ამერიკელ შავკანიანებს. მშვენივრად მოგეხსენება, რა მემართება ამ დროს: როცა ისეთ რამეს ვეჯახები, რის არც შეცვლა შემიძლია, არც გადაწყვეტა და არც გამოსწორება, მარტო ერთ გამოსავალს ვპოულობ – პრობლემის თავიდან მოცილებას: მოცილება კი ჩემთვის ნიშნავს მის წიგნში გადატანას. შემდეგ უკვე აღარ ვგრძნობ თავს დათრგუნულად და ღამეც უკეთესად მძინავს. ვიმეორებ, მივდივარ აქედან. ველარ დავწერ შავკანიანებზე. კატეგორიულ უარს ვაცხადებ. მე...

– ამის შესახებ აუცილებლად დაწერ, – მიპასუხა ჯინმა.

– ჯინ, გაჩერდი, ათი წელია, უცხოეთში დაწანწალებ. ფრანგის ცოლი ხარ.

– სანამ სული არ ამომხდება, ამერიკელი ვიქნები...

– მე კიდევ ველარ ვიცხოვრებ ზურგზე მოკიდებული ამერიკით...

კარზე ვიღაცამ დარეკა. გასაღებად გავემართე. ხუთნი იყვნენ. ქალები და კაცები, ტომის ტრადიციულ სამოსში გახვეულნი. „ო, დასწყევლოს ეშმაკმა, ეს უკვე მეტისმეტია!“ კარი ცხვირწინ მივუკეტე. ჯინისკენ შემოვტრიალდი. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ კი არ ვყვიროდი, ვბღაოდი. თუმცა ამაში დარწმუნებული არ ვიყავი.

– მობრძანდნენ შენი ბატონები და ქალბატონები. მაგარი ჯიუტები არიან! კი არ შეგეშვებიან ეს ნაძირალები! რახან დაჟინებით გადმოდიან შეტევაზე, მოდი, მე მიმიშვი, ვიცი, რაც უნდა ვქნა; იცი, რომ ეს ჩემს მოთმინებასა და ძალებს აღემატება: ცხვირ-პირში ერთ წიგნს მივახლი. წიგნს შავკანიანთა ტანჯვა-წამებაზე, სადაც ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით საამური ცხოვრება დადგება და ზანგების ყველა პრობლემას საბოლოო წერტილი დაესმება. მოხდება ზუსტად ის, რაც ეს „ომისა და მშვიდობის“ ან კიდევ „დასავლეთის ფრონტი უცვლელიას“ გამოსვლის შემდეგ მოხდა – შეწყდება ყოველგვარი ომი. ვინ მოთვლის წიგნებს, რომლებმაც სამყარო შეცვალეს, მაგრამ ერთს მაინც თუ დამისახელებ, მზად ვარ, ფეხები დაგიკოცნო... მოკლედ, შავკანიანთა პრობლემისაგან გაათავისუფლებ სახლსაც და პირადად მეც! თუ ამის თავი არა გაქვს, მე თვითონ გავთავისუფლდები: იმ შენს ჩვიდმეტ მილიონ შავკანიანს ერთ წიგნში მოვაქცევ და ამის შემდეგ მათ შესახებ აღარავინ ილაპარაკებს. და ისინი დავიწყების წყვდიადში ჩაიძირებიან. თავდაცვის საშუალებად ესღა მაქვს დარჩენილი.

– ერთი წამით, – თქვა ჯინმა, – ჩემი ქმარი ტანსაცმელს იცვლის.

– დასწყევლოს ეშმაკმა, – შევყვირე, – არა, მე წავედი.

– წადი.

გარაჟში ჩავედი და საჭეს მივუჯექი.

პრუსტის ცნობილ კითხვარში ერთგან წერია: „რომელი სამხედრო მანევრი აღგაფრთოვანებთ ყველაზე მეტად?“. ამ კითხვაზე მე ვუპასუხებდი: „გაქცევა“.

ბევრი მიბრძოლია ცხოვრებაში. ჩემი ვალი უკვე მოვიხადე. მეტი აღარ შემიძლია. ახლა მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვ: მომცენ რამდენიმე სიგარის მშვიდად და წყნარად მოწევის საშუალება. მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია. საშინელებაა, როცა ადამიანს არ შეუძლია, სასოწარკვეთის უფლება მისცეს თავს. რა შეიძლება ამაზე უარესი იყოს? მაშ ასე, გაქცევა! უყოყმანოდ, უკან მოუხედავად.

ოკეანის სანაპიროსკენ ჩამავალ სანსეტ ბულვარს დავუყევი. ცოტა ხანში უცბად შემოვატრიალე მანქანა და გოლდუოტერისკენ გავუტიე. გიჟივით ვატარე ჯეკ კერათერსის „ნოეს კიდობნამდე“, გადავჭერი რანჩო და საშენში შევედი. ბატკამ სახე ამილოკა, მეფერა, უკანა ფეხებზეც დადგა. მეც გულწრფელად გადავეხვიე, მკლავებში მოვიქციე და გულში ძლიერად ჩავიკარი.

– მშვიდობით, ბატიუშკა...

რუსულად ველაპარაკებოდი, რომ არავის არაფერი გაეგო.

– კარგად მიგდე ყური, მეგობარო, იმას კი არ გთხოვ, ამიერიდან ზანგებს აღარ უკბინო-მეთქი. უბრალოდ გემუდარები, მარტო ზანგებს ნუღა დაკბენ.

შევიძინე კბილის ჯაგრისი და ბილეთი ჰონოლულუსკენ მიმავალ პირველსავე რეისზე. ამას მოჰყვა მანილა, ჰონკონგი, კალკუტა, თეირანი... ხან ერთგან დავყავი ორი-სამი დღე, ხან მეორეგან. დიდხანს არსად გავჩერებულვარ. მინდოდა, ორიენტაცია დამკარგვოდა, გზა ამბნეოდა, სადღაც ჩავკარგულიყავი, მესუნთქა „ეგზოტიკით“, თვალი გამეხარებინა „ადგილობრივი ფერებით“, „ფერწერულობით“, მსურდა, უც-

ხოობის, გადამთიელობის, გადახვეწილობის სრული განცდა დამპატრონებოდა. რამდენიმე დღე აქ, რამდენიმე დღე იქ. ღრმად არ უნდა შემეტოპა, უნდა გამეძლო ცდუნებისათვის, რომ ვიზიტი გამეხანგრძლივებინა, თორემ გავიცნობიერებდი, რომ მთელი ამ ნიღბის უკან მიუღებელი, ჩვენი უბადრუკი და ულირსი პირველადი მოცემულობა იმალება და ისევ და ისევ საკუთარ თავთან აღმოვჩნდებოდი პირისპირ.

ამ სტრიქონებს გუამში ვწერ ჩემი სულიერი მეგობრის – ოკეანის წინ მჯდარი. ყურს ვუგდებ, მისი ბობოქარი სუნთქვა მამშვიდებს, მათავისუფლებს. ვგრძნობ, რომ ჩემი ესმის. მეც დამრთო ნება, მეთქვა ჩემი სათქმელი; მხოლოდ ოკეანესა აქვს ის ხმა, რომელიც აუცილებელია ადამიანის, კაცობრიობის სახელით მეტყველებისათვის.

5

ლოს-ანჯელესში დილის ექვსი საათი იყო. ამ დროს ჩემი თვითმფრინავი წკვარამში ჩაფლული ქხმერული ქალაქებისა და ბრინჯის ნათესების თავზე მიფრინავდა.

...სენდიმ, რომელიც ჯინის ფეხებთან მშვიდად მოკალათებულიყო, ყურები ცქვიტა; წამოდგა და ფრთხილი ნაბიჯებით კარისკენ გაემართა. დრუნჩი პირდაპირ იატაკს დაადო და დაძაბულ ნერვიულ ყნოსვას მოჰყვა. რამდენიმე წამში კუდის ქიცინი დაიწყო. როგორც ჩანს, მოსალოდნელი ვიზიტი სასიამოვნო უნდა ყოფილიყო.

ბატკა იყო. საშენიდან გამოქცეულიყო, სან-ფერნანდო ველი და ბევერლი ჰილზი სულ სირბილ-სირბილით გადმოესერა და თავისიანებს დაბრუნებოდა...

მოგვიანებით ჯინმა გამანდო, თავი ვერ შევიკავე და ცხარე ცრემლებით ვიტირე, იმხელა სიყვარული ამოვიკითხე ძაღლის თვალებშიო. შეიძლება, გული იმის გამოც დაეთუთქა, რომ ცხოველს სახლში ვერაფრის დიდებით ვერ დატოვებდა. ის ხომ ჩვენი შავკანიანი მეგობრებისთვის სამარცხვინო მონობით დაღდასმული საუკუნეების მუდმივი დემონსტრირება-შეხსენება იქნებოდა. „შეურიგებელთა შერიგებაში“ საშინელი ღამე გავატარე. სინამდვილეში ჩემი ძალისხმევა სხვა არაფე-

რი იყო, თუ არა განებივრებული ბურჟუას დილეტანტური, ერთგვარი სიბარიტული მორალით გაჟღენთილი ფუჭი მცდელობანი. არც კი მქონდა დრო ხანგრძლივი, სერიოზული ფიქრისთვის – გადაწყვეტილება დროზე უნდა მიმეღო.

მეორე დღეს ჯინმა კერათერსს დაურეკა და მომხდარის შესახებ გააფრთხილა.

– რას მეუბნებით, გზაც არ აბნევია და სახლსაც მოაგნო. ძალიან კარგი, ძალიან კარგი! ჩვენც კარგა მძიმე ტვირთი ჩამოვიცილეთ.

კერათერსის ხმაში მარტო შვება კი არა, ენით აღუწერელი სიხარული და ბედნიერებაც იგრძნობოდა.

– ჯეკ, თქვენ აშკარად არ მოგიაზრებთ იმათ რიგებში, ვისაც სამყაროს ძირფესვიანი გარდაქმნა აქვს მიზნად დასახული.

– აი, რას ნიშნავს მწერლის გვერდით ცხოვრება, ჯინ. თქვენ შეგიძლიათ, ქუჩაში შემთხვევით ნაპოვნი ძაღლი შეიკედლოთ და მისგან მთელი სამყარო შექმნათ... თქვენ, რა თქმა უნდა, არ იცით, რა მოხდა რამდენიმე დღის წინ. ერთმა აქაურმა ყველაზე ახალგაზრდა შავკანიანმა თანამშრომელმა თქვენი „ცენტურიონის“ მოწამვლა გადაწყვიტა. იმდენი სტრიქნინი ჩაუყარა საჭმელში, ბარე ოცს გააფრთხობინებდა სულს. თქვენი ბატკა არც კი წამომდგარა, რომ დაეყნოსა მაინც, ჭამაზე ლაპარაკიც ზედმეტია: ზანგის მორთმეულ საკვებს აუბზუა ცხვირი. გესმით თქვენ?

– შეუძლებელია, ჯეკ...

– რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ნახევარზე მეტი იმისა, რაც დედამიწის ზურგზე ტრიალებს, შეუძლებელია, რომ ხდებოდეს. თავიდან კი არაფერი ვიცოდი სტრიქნინის საჭმელში გარევის შესახებ. მე საშენის პატრონი გახლავართ და,

ცხადია, ყველაფერს არ მეუბნებიან. ჰოდა, მეორე დღეს ეს ტერი, თვრამეტი წლის ვაჟბატონი, – მაგარი სანაქებო ახალგაზრდობა კი წამოვიდა, – ტეიტამთან მისულა. ბილ ტეიტამი საშენის მცველია; სწორედ ის აჭმევდა თქვენს ძაღლს და, რაც მთავარია, თეთრკანიანია. როგორც ჩანს, მისი კანის სითეთრეს ას მილზე გრძნობდა. ყოველ შემთხვევაში, ამას კუდის ქიცინით და ლოკვით გამოხატავდა; ალბათ, ხვდებით, ჯინ, რის თქმა მინდა. თურმე ჩვენც, თეთრკანიანებიც ვყარვართ. ეს სუნი შეიძლება ზოგს სიამოვნებდეს, ზოგსაც კი სულაც არ ეპიტნავებოდეს. დაგიმტკიცებთ, რასაც ვამბობ dogs-in-hand. ბატკა ამის უტყუარი საბუთია; ტერიმ ტეიტამს ძაღლის მოწამვლა სთხოვა. ამ უკანასკნელს ქვა აუგდია და თავი შეუშვერია, სამოცდაათი წლის კაცი ვარ და ამ ასაკში ძაღლს მოვწამლავ კი არა, ჭიანჭველასაც ვერ გავიმეტებ სასიკვდილოდ, სად მაქვს მაგის ძალა და გამბედაობაო. he didn't have it in him – მოკლედ, უთქვამს, არც ვინმეს მოწამვლის თავი მაქვს და არც სურვილიო. ისიც ცხადია, რომ ტეიტამი ამ საქმის პრინციპულ აუცილებლობაში იმ ავაზაკმა ვერ დაარწმუნა. მცველი უკვე დაჩაჩანაკდა და აღარც გონება უჭრის უწინდებურად, არაფერს ვამბობ გამბედაობაზე. ხედავთ, რა ხდებოდა ჩემს ზურგს უკან? ვერც ვერაფერს გავიგებდი, ტერი და კიზი რომ არ წაკიდებულიყვნენ. სულ ცხვირ-პირი დაულეწავთ ერთმანეთისთვის. კიზს იმ ცინგლიანისთვის სულ გაჩენის დღე უწყევლინებია, ოღონდ არ მკითხოთ, რატომ...

– სრული აბსურდია, იმ უბედურ ცხოველს აგებინო რამეზე პასუხი. კიზი საკმაოდ გონიერია და ეს ჯეროვნად ექნება გასიგრძეგანებული.

– არა, სრულიადაც არა, ჯინ, თქვენ ცდებით. კიზი იმაზე ბევრად გონიერია, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. ისეთი

ჭკვიანია, რომ ზოგჯერ შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს კი არ ფიქრობს, არამედ ითვლის და ანგარიშობს. ის არ უნდა მოვიაზროთ იმ ახალგაზრდათა რიგებში, რომლებიც აზროვნებენ და გამუდმებით ფიქრობენ. კიზი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ცდილობს, წინასწარ განჭვრიტოს, უფრო სწორად, ისეთია, დღე და ღამე რომ რაღაცას ჩმახავენ და მზაკვრობენ. ასეა თუ ისე, ის ცხვირმოუხოცავი კარგად კი მითეთქვა. მგონი, ინციდენტი ამით ამოიწურა.

გუშინწინ იყო მთელი ამბავი: გარდერობის მხრიდან ყვირილი შემომესმა და ვიფიქრე, ვნახავ ერთი, რა ხდება-მეთქი: დგას ტერი შიშველ-ტიტველი, კიზს კი რევოლვერი მოუმარჯვებია. რევოლვერი ჩემი იყო. ამ არამზადა ტერის იარაღი მოუპარავს ჩემი კაბინეტიდან და პერანგის ქვეშ დაუმალავს. როგორც ჩანს, პატარას გადაწყვეტილი ჰქონდა, თქვენი პოლიციელი დაეცხრილა. ხედავ, სადამდე დაეცა ეს ქვეყანა? გესმით, ალბათ, რა შეიძლება იყოს დაგროვილი ამ მტრობის უკან. ეს უკვე მარტო რასისტული ან პოლიტიკური პრობლემა აღარ არის: ეს სრული სიგიჟეა, ფსიქიკური დაავადება. ამჯერად ალბათ მიმიხვდით, რატომ ვიყავი ასეთი კმაყოფილი, თქვენი ძაღლი რომ გაიქცა.

– ვერაფრით დაეხმარებოდით?

– მე? რას ბრძანებთ, შეუძლებელია!

ბილ ტეიტამს ან რომელიმე ძმობისა და სოლიდარობის იდეით შეპყრობილ სხვა თეთრკანიანს ნამდვილად არ გამოვრიცხავ... ამ დროს პარიზში რომ ვყოფილიყავი, სავარაუდოდ, მივიღებდი დეპეშას, რომელიც მაუწყებდა, რომ უნდა გამოვცხადებულიყავი ორლის აეროპორტში და იქიდან შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი ძაღლი წამომეყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ჰონკონგში გახლდით.

პრობლემა ჯინისთვის კი გადაწყდა, მაგრამ საკმაოდ მოულოდნელი ფორმით. კი არ ვსაყვედურობ, ხაფანგში რომ გაება. იმის ადგილას, ალბათ, მეც იგივე გადამხდებოდა თავს.

საღამოს რვა თუ ცხრა საათი იქნებოდა. ჯინი, რომელიც იმხანად ემ-ჯი-ემის სტუდიაში „აეროპორტში" თამაშობდა, ღამის გადაღებებისთვის ემზადებოდა. ის-ის იყო ბატკასა და სენდის სამზარეულოში ერთობ ნოყიერი საკვები მიერთმიათ და ახლა შუაგულ მისაღებ ოთახში გაშხლართულიყვნენ. სახლის წინ მანქანა გაჩერდა, ბატკას რეაქციის მიხედვით ძნელი არ იყო, მძღოლის კანის ფერი დაგედგინათ: წამოხტა და შურდულივით კარისკენ გაქანდა. კბილები დაკრიჭა და ისეთი ყმუილი ატეხა, გეგონებოდათ, ეს ხმა საუკუნეების სიღრმიდან, პირველყოფილი ბუნების წიაღიდან ამოსკდაო.

ჯინს ფეხის ხმა მოესმა. ცოტაც და, ზარიც დაირეკებოდა. ამასობაში ძაღლი უცნაურად გარდაიქმნა. ბატკამ კუდი უკანა ფეხებს შორის ამოიძუა და უკანდახევა დაიწყო. ყეფა არ შეუწყვეტია, მაგრამ ამჯერად ხმაში განსაკუთრებული ტონი შეეპარა: შიში და უმწეობა, – აი, რა იგრძნობოდა მის ყეფაში. დაუცველობა ხან შესაბრალისი წკმუტუნის, ლამის კვნესის, ფორმას იღებდა, ხანაც ღვარძლიანი ღრენისა. ძაღლი უკან-უკან სვლას განაგრძობდა.

ჯინმა კარი ოდნავ შეაღო. ჯაჭვი არ აუხსნია: მის წინ გაბადრული კიზი იდგა. თავისუფალი, შეუბორკავი ჟესტები, მსუბუქი და მარჯვე მოძრაობები, მიჯრით მიწყობილი წვრილი და ბასრი, თეთრად მოელვარე კბილები – ახლაც წინ მიდგას მისი სახე...

– Hi there – გამარჯობა.

– Hi. მოითმინეთ ერთი წუთით, ძაღლს გარაჟში ჩავკეტავ.

კიზს პირი ყურებამდე გაეხა.

– არა, ნუ შეწუხდებით, ძაღლი მე ახლოსაც არ გამეკარება.

– ყური მიგდეთ...

– მე კარგად ვიცნობ ძაღლების ზნეს, მის სიბერგ. გიმეორებთ, ახლოსაც არ გამეკარება-მეთქი. გადაბმული ძმაკაცები ჯერჯერობით ნამდვილად არ გვეთქმის, მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში უკვე ბევრი რამ შეიცვალა, თვალსაჩინო პროგრესია. თუ ჩემთვის ერთი წუთი მაინც გექნებოდათ...

ჯინი ხანმოკლე ორჭოფობამ შეიპყრო. ჯაჭვი კი მაინც ახსნა. სტუმართმოყვარეობა!

კიზმა ფართოდ გააღო კარი და ოთახში შეაბიჯა. ბატკა ისევ აბობოქრდა: ბრაზი და ღვარძლი გაუათკეცდა. ჯინი, რომელსაც არაერთხელ უნახავს, თუ როგორ ესხმოდა შავკანიანს წამიერი რეფლექსით ანთებული ბატკა, მართლაც შეძრა ცვლილებამ.

კიზი ოთახის შუაგულისკენ გაემართა. თეთრი ძაღლი ისევ ყეფდა და თან გარს უვლიდა. ეტყობოდა, რომ გადამწყვეტი ნახტომისათვის ემზადებოდა; თან ისიც იგრძნობოდა, რომ ბატკას ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერი აკავებდა, რომელიც ვერა და ვერ გადაელახა. სასოწარკვეთილი კვნესაც, რომელსაც დროდადრო გაავებული ღრიალი ენაცვლებოდა, აშკარად იმ სწავლების შედეგი იყო, რომელიც ერთგულ თეთრ ძაღლს გაევლო და ეწინააღმდეგებოდა წვრთნის პრინციპებს, რომლებსაც ასეთი მორჩილებით იყო ნაზიარები.

თეთრ ძაღლს – და ეს აშკარად ეტყობოდა – ღალატის განცდა დაეუფლა. ჯინი ღამის წყვდიადში გამავალ ღია კართან იდგა და შიშისგან ცახცახებდა: კიზი ოთახის შუაგულში იყო დარჭობილი და არ იძვროდა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. წკიპურტის კვრით ერთი ღერი დააძრო და ტუჩებთან მიიტანა.

– ხომ ხედავთ, ცვლილება აშკარაა,– თქვა მან, – „ახლა მათ ეშინიათ“.

დიახ, ნამდვილად ასე იყო, არაფერს ვიგონებ. ჯინმა გარკვევით გაიგონა ეს ფრაზა: „ახლა მათ ეშინიათ“. თუ ამ საღ აზრს მოკლებულმა, თითქმის გიჟურმა გამონათქვამმა არაფერი მიგანიშნათ იმაზე, თუ რა გროვდებოდა საუკუნეების მანძილზე ზანგის სულში, გამოდის, რომ სრულებით არ გაინტერესებთ და გულგრილი ხართ არა მარტო შავკანიანების, არამედ ზოგადად ადამიანების მიმართ. ისეთ პოლიციელ ძაღლებში, როგორიც ბატკაა და რომლებსაც პროფესიონალების ენაზე „თავდამსხმელ ძაღლებს“ ეძახიან, უპრიანია, საგანგებოდ თავდასხმისთვის გაწვრთნილი რამდენიმე თაობა მოვიაზროთ. ამგვარი ხანგრძლივი წვრთნა ძაღლის ატავისტური ბუნების შენარჩუნებას უწყობს ხელს. აი, სწორედ ამ ატავიზმს, საკუთარ ბუნებასა და ზნეს უძალიანდებოდა ამჯერად ბატკა...

თეთრმა ძაღლმა თავდაცვით პოზიციაში ყოფნა ამჯობინა. სიძულვილი და ზიზღი ვერ მოეთოკა. შიში უშლიდა ხელს, ამუხრუჭებდა, რომ პირდაპირ შეტევაზე გადასულიყო. დროდადრო ბატკა საკუთარი ყეფის რიტმში რამდენიმე სანტიმეტრით წაიწევდა წინ, მაგრამ უმალ უკან იხევდა, თითქმის ადგილზე ბუქნავდა. ზურგზე ბალანი აეჯაგრა, ყურები თავს მჭიდროდ მიეკრა. ღრიალში აშკარად გაიჟღერა ფსიქიკური გაორების ნოტებმა, რაც ამ უკიდურესად ერთგული ძაღლის სასოწარკვეთაზე მიანიშნებდა. ბატკამ ხომ სამსახურებრივი დანაშაული ჩაიდინა? მან ხომ საკუთარ მოწოდებას უღალატა? დიახ, თეთრმა ძაღლმა იცოდა, რომ „თავისიანებს“ ღალატობდა. კიზმა სიგარეტს მოუკიდა. მოგვიანებით ჯინი მიყვებოდა, სცენამ სიბილწისა და სიმდაბლის განცდა დამიტო-

ვა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო კიზის სიცილი ღირს გასახსენებლადო. ეს გამარჯვებულის სიცილი იყო.

ცხადია, გამარჯვება ბევრნაირი არსებობს. კიზის გამარჯვება არაფრით გამოირჩეოდა ტერორის ნებისმიერი სხვა ტრიუმფისაგან. პირველი კითხვა, რომელიც თავში მომივიდა, ასეთი იყო: როგორ მიაღწიე ამ შედეგს? წამებით? ცემით?

ყველაზე მძიმე და მტანჯველი ამ შეშლილი და დაბნეული ძაღლის ცქერა იყო. წარმოიდგინეთ ცხოველი, რომელიც საკუთარ რეფლექსებს ვეღარ ემორჩილება, ძაღლი, უკიდურესობამდე შეშინებული და დაზაფრული, ადამიანთან ისტორიულ ბრძოლაში დამარცხებული, მიწასთან გასწორებული...

ეს დამამცირებელი და აუტანელი რამე იყო. იმ მომენტში თითქმის ვეღარ ვიტანდი კიზს. პირადად მას – არა. მძულდა „ეს ყველაფერი". შეუძლებელია, ყოველთვის ყველაფერი საზოგადოებას დავაბრალოთ. არის პერიოდები, როცა თქვენ თვითონ ხართ ნაძირალა. „ძაღლის გადარჩენის", „მისი განკურნების" კეთილი განზრახვა აქ არაფერ შუაში იყო. ჩემი რწმენით, აქ მხოლოდ ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულება გამოვლინდა...

ჯინმა მშრალად უთხრა:

– აშკარად ჩანს, წარუშლელი შთაბეჭდილება მოგიხდენიათ ძაღლზე.

– მე მარტო თავდაცვის კანონიერი უფლებით ვისარგებლე, – შეეპასუხა კიზი, – მარტო ერთხელ ვცემე და ისიც მაშინ, როცა საერთოდ დავკარგე გონება და თავგზა ამებნა. ძაღლი უბრალოდ მომეჩვია. ეს არის და ეს. სპექტანსაცმელში გამოწყობილს ხშირად მიწევდა მასთან ერთად ორი-სამი საათით ყოფნა. ამ დროს ის მორჩილებას სწავლობდა; ხომ ხედავთ, როგორ მოთვინიერდა? ახლა იცის, რომ ვერაფერს მი-

ზამს და ვერც ვერასდროს მომიცილებს თავიდან. ასეა! ისიც იცის, რომ ახლა უკვე ველარ შემაშინებს, რომ ჩემთან ბრძოლა წაგებული აქვს.

მოგვიანებით მომხდარი მოვლენების შუქზე, ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე მეგობრებს, ჩემს ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით-მეთქი. ამბავი ძალიან გახმაურდა და არაერთი კეთილი თუ ბოროტი განზრახვით შეპყრობილი ურეკავდა ჯინს და არწმუნებდა, ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მოსავლელად ძაღლს მე მომაბარებდითო. ძაღლის გასხვისებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რადგან ამ წინადადებების ნამდვილი მიზეზი აშკარად ჩანდა. მეგობრების უმეტესობა, რომლებსაც კითხვით მივმართე, მპასუხობდა, თქვენს ადგილას ძაღლს დავაძინებდი, მგრძნობიარობასაც აქვს საზღვარიო. მე არ ვიზიარებ ამ აზრს. პირიქით, ჩვენ გარშემო უამრავი რამაა, რითაც დავამტკიცებთ, რომ მგრძნობიარობა უსაზღვროა. პირადად მე უარს ვამბობ, დავემორჩილო დღევანდელობისათვის ნიშნეულ უგულობა-უგრძნობლობას.

ვერ ვაღიარებ გაუფასურებას. დღეს ერთ ფრანკზე იმდენივე ტანჯვა მოდის, რამდენიც უწინ ასზე მოდიოდა, სხვანაირად რომ განგიმარტოთ, დღეს თქვენ ასი ადამიანის სიკვდილი გჭირდებათ, მაშინ, როდესაც უწინ ერთისაც საკმარისი იქნებოდა.

ჯინი ორჭოფობდა. ერთადერთი, რაც მესმის და მხიბლავს დიდსულოვანი ადამიანებისა, ის არის, რომ მათ აუცილებლად შეიპყრობს ხოლმე თქვენდამი ნდობა, რაც ბევრს სისუსტედ მიაჩნია. მე არა ვარ დიდსულოვანი: არავის არაფერს ვაპატიებ და, რაც მთავარია, არაფერს ვივიწყებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთხელ მეც დამიბრიყვა ერთმა გაქექილმა თაღლითმა და პირნავარდნილმა გამომძალველმა მხოლოდ იმიტომ, რომ

გულისამრევი სიფათი ჰქონდა და დამეუფლა საშინელი განცდა, რომ როგორმე მართალი უნდა ვყოფილიყავი საკუთარ თავთან მის მიმართ ინსტინქტური ანტიპათიის გამო: ავდექი და მასთან ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე.

– რა თქმა უნდა, – თქვა კიზმა, – თუ მის გაყიდვას გადაწყვეტთ, ჩათვალეთ, რომ დაახლოებით რვაას დოლარამდე ჯიბეში გაქვთ. ეს მარტო მცველი ძაღლი კი არ არის, თავდამსხმელიცაა. An attack dog. მათზე დიდი მოთხოვნაა.

– კარგი რა, კიზ, გეყოფათ, თავი დაანებეთ ჩემს პროვოცირებას. ხომ იცით, რომ ყველაფერი კარგად მომეხსენება და მზად ვარ, თქვენი მხარეც კი დავიჭირო.

კიზმა ღრმა პატივისცემით აღსავსე გამომეტყველება მიიღო და ხმიდან ირონიის ნიშან-წყალიც კი გაუქრა.

– ვიცი, რომ დიდი დახმარება გაგვიწიეთ, ვიცნობ თქვენისთანა ადამიანებსაც... ბერტ ლანკასტერს, პოლ ნიუმენს, მარლონ ბრანდოს... რა თქმა უნდა, ყველაფერი ვიცი.

შინაგანად კიზი, ალბათ, სიცილით კვდებოდა, მაგრამ გარეგნულად არაფერი დასტყობია. აშკარად ეტყობოდა, რომ ამ ურჩხულს მშვენივრად ესმოდა ყველაფერი! მინდა გითხრათ, რომ ზიზღი და სიძულვილი წარმოუდგენელ ენერგიასა და გამძლეობას მატებს ადამიანს; შეიძლება მთებიც გადაადგმევინოს. ასე არაერთი თვალწარმტაცი ქვეყანა აშენებულა. სიძულვილი სერიოზული რამაა, ხელწამოსაკრავი არ გეგონოთ.

ჯინს თავისთვის უკვე ჰქონდა გადაწყვეტილი: კიდევ ერთხელ გამოეცხადებინა ნდობა. ასეთი გახლავთ ბუნებით ქალბატონი სიბერგი. მას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის.

– კარგი, შეგიძლიათ ძაღლი რანჩოში წაიყვანოთ. თუ არ ვცდები, თქვენც ამას მთხოვდით, არა? თუ, ცხადია, ჯეკი თანახმაა...

– ჯეკი ვერ იქნება წინააღმდეგი. დღეს გაწვრთნილი და კვალიფიცირებული მომსახურე პერსონალი ძვირად ღირებული ფუფუნებაა. რაც შეეხება რეპტილიებს, ვერც ვერავის იპოვის. წლები სჭირდება იმუნიტეტის გამომუშავებას. ჩემთვის, მაგალითად, ასპიტსაც კი უკბენია. არაფერი დამემართება. ორად-ორი ადამიანი მეგულება მთელ კალიფორნიაში, მარჯნის ასპიტის ხელში აყვანაზე გული რომ არ მისდის.

– და რატომ ხართ ასეთი დაჟინებული?

კიზმა სიცილით თავი გაიქნია.

– There you‘ve got me. – აქ ნამდვილად გამომიჭირეთ. მე ყოველთვის მიყვარდა ცხოველები, პატარაობიდანვე. მალე საკუთარი საშენის მფლობელი გავხდები. ამას ჩემი ჯიბეც გასწვდება და ვიქნები სრულიად დამოუკიდებელი; მე პროფესიონალი ვარ, თანაც ნამდვილი; თუ გამომივიდა, რაც ამ ძაღლთან დაკავშირებით ჩავიფიქრე, ეს იმის ნათელი დასტური იქნება, რომ საუკეთესო ვარ. Yes, ma’am, საუკეთესო...

დარწმუნებული ვარ, რომ ეს სცენა ვარდების სურნელით გაჯერებულ გარემოში გათამაშდა; ალბათ ჩემ უკან უჩვეულო სიცარიელეს ვტოვებ. საკმარისია, სადმე გავემგზავრო, რომ უმალვე ვარდების ათეულობით თაიგული ჩამენაცვლება ხოლმე. საიდან გინდა, რომ არ გზავნიდნენ. ზოგს სავიზიტო ბარათიც კი ახლავს. ძალიან სასიამოვნოა იმის გააზრება, რომ, როგორც კი მომხიბლავ მეუღლეს ტოვებთ, კაცები ყვავილების მაღაზიებში გარბიან, იმისათვის რომ აქროლებული სურნელი შეავსონ.

– და კიდევ ერთი რამ, კიზ. ვიცი, რომ ერთმა თქვენმა კოლეგამ ძაღლის მოკვლა სცადა. დარწმუნებული ხართ, რომ ეს პირველი და უკანასკნელი იყო?

– ტერი? იმან ყველაფერი ძალიან კარგად გაიგო. ყველაფერი გავუსიგრძეგანე. სხვათა შორის, თან მახლავს. მანქანაში მელოდება. სახლში უნდა წავიყვანო. გინდათ, დაელაპარაკოთ?

ტერი მართლა გარეთ აღმოჩნდა. მანქანას დაყრდნობოდა და ვარსკვლავებს ითვლიდა. თვრამეტი წლისა იქნებოდა. მოზარდი თაობა.

– დარდი ნუ გექნებათ, მის სიბერგ. კი, დიდი სისულელე ჩავიდინე, მაგრამ გპირდებით, ეს აღარასდროს განმეორდება. გამორიცხულია. შეგიძლიათ, ჩვენი იმედი გქონდეთ.

ესეც ასე. მეორე დღეს ჯინმა ბატკა რანჩოში დააბრუნა. მეც ასე მოვიქცეოდი. სიბერგთან ურთიერთობისას ხანდახან მეც მომეცხება ხოლმე სიალალისა და მიამიტობის ის წილი, რომელიც ზოგჯერ გამამარჯვებინებს. მიუხედავად ამისა, დამარცხების დამთრგუნველი აზრისაგან თითქმის არასოდეს გავთავისუფლებულვარ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ადამიანებს ზურგი კი არ უნდა შევაქციოთ, არამედ უწინდებურად ვენდოთ. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს იმედი გაგვიცრუვდეს და გაცურებული აღმოვჩნდეთ, შეიძლება დაცინვის ობიექტადაც ვიქცეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, გაცილებით მნიშვნელოვანია ადამიანის მოდგმისადმი ნდობისა და სოლიდარობის შენარჩუნება. არც ის არის მნიშვნელოვანი და საგანგაშო, კიდევ რამდენ ხანს მივცემთ უფლებას ღვარძლითა და სიძულვილით შეპყრობილ სხვა ცხოველებს, რომ ამ წმიდათაწმიდა წყაროდან ჩვენს ხარჯზე მოიკლან წყურვილი. სადარდებელი ის კი არ არის, რომ დაკარგო, არამედ ის, რომ თვითონ დაიკარგო.

ამ დროს სადღაც პნომპენსა და ანგკორ-ვატს შორის ვიმყოფებოდი.

ნაწილი მეორე

6

პარიზში დაბრუნებიდან სულ რაღაც ორი დღის შემდეგ „ფრანს-სუარის“ ჟურნალისტმა შემატყობინა, ჯინ სიბერგის ძმა ავტოკატასტროფაში მოჰყვა და გარდაიცვალაო. თვრამეტი წლისა! დაუყოვნებლივ აეროპორტში გავქანდი და აიოვის შტატში, მარშალთაუნში, სიბერგების დამწუხრებულ ოჯახს შევუერთდი. ეს შუა დასავლეთი გახლავთ, შუაგული ამერიკის ყველაზე „ამერიკული“ ნაწილი, ისეთი როგორიც „ჯერ კიდევ ახსოვთ ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს“. სამგლოვიარო ცერემონიალის დროს დამწუხრებული ოჯახისთვის სამძიმრის გამოსაცხადებლად მოსულ ნაცნობ-მეგობრებს შორის ყური მოვკარი საუბარს ამ პაწაწინა, სულ რაღაც ოცი ათასი კაცით დასახლებულ ქალაქში დატრიალებული „მეორე დრამის“ შესახებ. „უბედურების“ გამო ლამის საყოველთაო გლოვა გამოეცხადებინათ: ფრიად რესპექტაბელურ და კეთილშობილ ოჯახში დაბადებული და აღზრდილი გოგონა – მშობლები დასაფასებელ და პატივსაცემ ადამიანებად ითვლებოდნენ ამ ქალაქში – ზანგს გაჰყოლოდა. ამ ამბისაგან თავზარდაცემული მამა კინაღამ ინფარქტს უმსხვერპლია და არც დედა ყოფილა უკეთეს დღეში. ეს რა მოსვლიათ

ამ ღირსეულ ადამიანებს! Such nice people... მართალი გითხრათ, ლამის გამაგიჟა „შერეულ ქორწინებასა“ და საწყალი მოზარდის ტრაგიკულ სიკვდილზე ერთნაირი სასოწარკვეთით ლაპარაკმა. კი ვეცადე, თავი შემეკავებინა, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, დუმილი თანხმობის ნიშანია. ვერც ღრმა მწუხარებაში ჩავარდნილი ადამიანის იერი შევინარჩუნე და ველარც მოსაუბრეებს ავუბი მხარი. აბა თავი მექნია და მეწუწუნა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მეტნაკლებად ღია კანის ფერი კარგად მმალავს? ჩემთვის თავდაცვის საუკეთესო საშუალება პროვოცირებაა. პატივცემულ საზოგადოებას გამოვუცხადე, თქვენი „ტრაგედიისა“ ძალიან კარგად მესმის: პირველი ცოლი, რომელიც 1941 წელს შევირთე, აფრიკელი შავკანიანი იყო და როცა გავიცანი, დედიშობილა დარბოდა-მეთქი. მართლაც არაფერი შემითხზავს. ერთი კია, რომ ომის დროს შარიში ამგვარი ქორწინებები ადგილობრივ ტომებს თითქმის ჩვევად ჰქონდათ ქცეული და მამამისმა თავისი ქალიშვილი სანადირო თოფის, ოცი მეტრი ქსოვილისა და ხუთი ქილა მდოგვის სანაცვლოდ გამომატანა. ოჯახის მეგობრები დამთრგუნველმა სიჩუმემ მოიცვა. აქ არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ჯინ სიბერგი ღირსეულ და კეთილშობილ მამაკაცს გაჰყვა ცოლად. როგორც მჩვევია, გუდას პირი მოვხსენი და ისიც დავძინე, იმ ზანგი ქალისაგან 26 წლის ვაჟი მყავს, რომელიც საფრანგეთში კომუნისტური პარტიის აქტიური წევრია-მეთქი. ზოგმა თანამოსაუბრემ გაქცევაც კი სცადა, მაგრამ მე დროულად წარმოვთქვი მაგიური სიტყვა „დე გოლი“, რამაც მათ განზრახვაზე ხელი ააღებინა: დარჩნენ. კინაღამ წამოვაყრანტალე, დე გოლის ძარღვებში აფრიკულ სისხლი ჩქეფს-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე: არა მაქვს საფრანგეთის გაებრაელების უფლება: გესმით, არა, რას ვამბობ? მარ-

ტო იმის თქმით დავკმაყოფილდი, რომ დე გოლი ბანგიში ჩემი მეჯვარე იყო. არც ის დამიმალავს, რომ ის ჩემი კომუნისტი ზანგი ვაჟის ნათლიაა. ჩემს განცხადებებზე ამ ფრიად პატივცემულმა და ღირსეულმა ადამიანებმა სულ დაკარგეს მეტყველების უნარი. ის კია, რომ ჩემი ცოლის ნათესავებს გაორმაგებული გულწრფელობით მიუსამძიმრეს.

ისე, სიმართლე გითხრათ, მათგან რა უნდა მწყენოდა: უკან მონათმფლობელობის არაერთი საუკუნე ჰქონდათ ჩამოტოვებული. მე შავკანიანები კი არ მყავს მხედველობაში, არამედ თეთრკანიანები. ორი საუკუნეა გასული მას შემდეგ, რაც თეთრები მამიდან შვილისთვის მოწიწებითა და პატივისცემით, ლამის რელიგიური აღტყინებით გადმოცემული მზამზარეული იდეების, კლიშეებისა და ცრურწმენების მონობაში ცხოვრობენ. მათი ტვინი ვიწრო ყალიბშია მოქცეული და ვეღარ აზროვნებს. აი იმ საბოებივით, ჩინეთში ქალებს სიყრმიდანვე ფეხებს რომ უმახინჯებს. ვცდილობ, წყობიდან არ გამოვიდე, ვიდრე მიხსნიან: – თქვენთვის ძნელია ამის გაგება. თქვენ საფრანგეთში არ გყავთ ჩვიდმეტი მილიონი შავკანიანი.

ისე, მართალს ბრძანებდნენ. სამაგიეროდ, საფრანგეთი ორმოცდაათი მილიონი ფრანგითაა დასახლებული, რაც ღვთის წყალობა ნამდვილად არ გახლავთ.

– კარგად გაგვიგეთ, შავკანიანთა შევიწროება და ჩაგვრა კი არ გვინდა, პირიქით, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მათ თავიანთი უფლებებით სრულად ისარგებლონ. პრობლემა ისაა, რომ რასების აღრევას კარგი არაფერი მოაქვს.

ის ღამე ჯინმა ჩემს მკლავებში გაატარა. მოთქმით ტიროდა და ვეღარ ვამშვიდებდი. მის სადარდებელში ბევრი ქალის საყვედურს ვგრძნობდი. დიახ, წარმოუთქმელ საყვედურს იმ მამაკაცების მიმართ, ვისი გაგებითაც კაცობა, უწინარეს ყოვ-

ლისა, მეორის დაცვის, მფარველობის, ნუგეშისცემისა და განკურნების მოთხოვნილებას ნიშნავს. ცხოვრებაში ფრუსტრაციისა და მძიმე იმედგაცრუების საშინელი პერიოდებიც გადამიტანია, მაგრამ იმ კაცურს, რაც ჩემშია, არასდროს მოუწყვია ამბოხება ისეთი სიმძაფრით იმის წინააღმდეგ, რასაც ჩვენ, უფრო უხეში სიტყვის არარსებობის გამო ბედ-იღბალს ვუწოდებთ. ამ წინასწარ წაგებულ ომში ჩაბმის უფლება ჩვენ თავიდანვე არ მოგვცემია, არც არავის უბიძგებია. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი თანდასწრებით ისევ ჩამოვარდა საუბარი „მეორე დრამაზე“ და აი, სწორედ მაშინ მოხდა გარდაუვალი: ჩემი მოთმინების ფიალა აივსო და მასპინძელს მოურიდებლად მივახალე, რომ თავისი არაერთი თეთრკანიანისათვის დამახასიათებელი სტერილური და გადარეცხილი სიფათით – პასტერნაკი მათ „გასიებულებს“ უწოდებდა – ყველაფერი უნდა გაეწირა ზანგების საკეთილდღეოდ, რათა ამ უკანასკნელებს მისი შთამომავლებისათვის ცოტა ფერი მაინც ეწილადებინათ. სახლის დატოვება ჩემდამი გამოცხადებული ფაიფურივით ნაზი, მყიფე და მოწყვლადი ნდობის ნამსხვრევებზე მომიხდა. გეზი სიმინდის ყანებისკენ ავიღე. გზად საკუთარ თავს შევახსენე, ორმოცდათოთხმეტი წლის ზღვარს უკვე მიაღწიე და ნამდვილად დროა, ამ ასაკის კაცმა, ფიზიკური და სულიერი ტკივილებით გატანჯულმა, ცოტა თვინიერება და ბედის მორჩილება ისწავლო-მეთქი. ამავდროულად გონებაში ერთმა შეკითხვამაც გამიელვა: შესაძლებელია თუ არა თვინიერების შეთავსება ნორმალურ სექსუალურ ცხოვრებასთან? როგორც ალბათ სიბრძნე, ისიც ასაკთან ერთად მოდის.

ფსიქიატრიული კვლევებით კარგა ხანია გამოვლენილია, რომ თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის არსებულ ურთიერთობებში სექსუალურ ნიადაგზე წარმოშობილი შიშები

ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაუცნობიერებლად. ამასთანავე შავების ასოს დაუჯერებელ სიგრძე-სიგანეზე შეთხზული ლეგენდები მეტწილად უსაფუძვლოა და მხოლოდ ღიმილს თუ იწვევს.

როდესაც 1958-1960 წლებში ლოს-ანჯელესში საფრანგეთის გენერალური კონსული გახლდით, ხშირად მიწევდა პატაკების მომზადება კალიფორნიის შტატში არსებული რასისტული პრობლემების შესახებ. არაერთხელ მომიკრავს ყური, რომ თეთრების სიძულვილს შავების მიმართ მნიშვნელოვანწილად „მასშტაბურობის“ შიში აღვივებდა, რომ ამ სფეროში თეთრებს „არასრულფასოვნების კომპლექსი“ განუვითარდათ. საქმე იმით დამთავრდა, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ადგილობრივ ინსტიტუტს საკუთარი ინიციატივით ამ გაუგებრობისათვის ნათელის მოფენა ვთხოვე. გამოიკითხა დაახლოებით ას ოცი ლოს-ანჯელესელი „გოგონა გამოძახებით“, როგორც თეთრი, ასევე შავიც. შედეგები გამაოგნებელი და დაუჯერებელი აღმოჩნდა. მოკლედ, ინსტიტუტმა კონკრეტული დასკვნების გამოტანა და გამოქვეყნება ვერ მოახერხა.

კითხვაზე „პირადი გამოცდილება გაძლევთ თუ არა იმის თქმის საშუალებას, რომ თქვენი შავკანიანი პარტნიორები ბევრად უფრო „შემძლენი“ არიან, ვიდრე თეთრკანიანები?“ თეთრკანიან პროფესიონალ მეძავთა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა. ხოლო შავკანიანები მათ შორის არსებით განსხვავებას ვერ ხედავდნენ. ამ უკანასკნელთა მტკიცებით, კაცს გააჩნია. ჩვენს იმჟამინდელ ელჩს, მესიე კუვ დე მურვილს ზუსტი და ნათელი პატაკები ხიბლავდა. სამწუხაროდ, ხსენებულ თემაზე რამე კონკრეტული და განსაზღვრული ინფორმაცია ვერ მივაწოდე. ძალიან კარგი პასუხი გასცა ერთმა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც მოგვიანებით შეხვედრა

ვთხოვე. მან ანკეტაში ჩაწერა შემდეგი: საქმე რაოდენობაში კი არ არის, არამედ ხარისხში და, ამას გარდა, არსებობს გრძნობა. პასუხის პირველი ნაწილი ოსტატის პროფესიულ სიამაყესა და უზადოდ შესრულებული სამუშაოს სიყვარულს შეიძლება მიეწეროს, მაგრამ ფრაზამ „მაგრამ, ამას გარდა, არსებობს გრძნობა“, ვაღიარებ, ძალიან ამაღელვა. ისიც კი გავიფიქრე ბოლოს, ჩემი ცხოვრების ქალს ხომ არ გადავეყარე-მეთქი. მისი ვინაობის დასადგენად დახმარებისთვის „პოლ სერვისს“ მივმართე. თავდაპირველი ცივი უარის შემდეგ მალევე მოლბნენ და ქალის სახელი და გვარი გამანდეს. სადილზე დავპატიჟე „რომანოვებთან“. სულ ახალგაზრდა, ოცდასამი წლისა იქნებოდა. თან პირმშვენიერი იყო და მიმზიდველი. კალიფორნიის უნივერსიტეტში მებაღეობის ფაკულტეტზე სწავლობდა და მოცალეობის ჟამს დიპლომზე მუშაობდა. შეუძლებელია, ინტელექტუალი რამემ უფრო შეძრას, ვიდრე ისეთ მეძავთან შეხვედრამ, რომელიც სორბონის უნივერსიტეტში სწავლობს, ანუ მის კალიფორნიულ შესატყვისში. ნამდვილად ვიგრძენი, რომ ღვთის წყალობა გადმომეფინა. როცა ჯერი ნესვზე მიდგა, უკვე ლიტერატურაზე ვმასლაათობდით, ხოლო დესერტზე სიტყვა „ეგზისტენციალიზმმაც“ კი გაიჟღერა. ამერიკელი მეძავები ოცი წლით მაინც ჩამორჩებიან: ჩვენთან, დარწმუნებული ვარ, სტრუქტურალიზმზე ან, თუ გნებავთ, მიშელ ფუკოზე იყბედებდნენ. არ მიკითხავს, რატომ აირჩია ეს „პროფესია“, რომელიც მისთვის შეუფერებლად მიმაჩნდა. გამოვფხიზლდი და ცოტა იმედგაცრუების განცდაც კი დამეუფლა, როცა შევიტყვე, რომ ჩემი მომხიბვლელი თანამეინახე უკვე გათხოვილი ყოფილა და თანაც ხუთი წლის გოგონას დედა, ქმარი კი – მოგვიანებით ის ნიუ-იორკში ტელეპროდიუსერი გახდა – კლიენტებთან საკუთარი ტაქსით დაატარებდა. ცოტა ხანში

საერთოდ მომეღო ბოლო. საშინლად დავითრგუნე და ამას სულიერ დაცემას თუ გუნება-განწყობის გაუარესებას კი არ მივაწერდი, უბრალოდ გავისიგრძეგანე, რომ სიბერემ დამრია ხელი, რომ ახალმა თაობამ კარგა მანძილით ჩამომიტოვა უკან. სრულ ნოკაუტში აღმოვჩნდი, როცა დესერტზე მიდგა საქმე: ლამაზმანმა გამანდო, დღეში თხუთმეტამდე კლიენტის მომსახურებას ვასწრებ, არ ვეწევი და არც ყავას ვსვამო – მორმონთა ეკლესიის მრევლთაგანი აღმოჩნდა და მოწევა და ყავის მირთმევა სასტიკად ეკრძალებოდა. ეს ხდებოდა 1959 წელს. ხსენებული წყვილი დროს ათი წლით მაინც უსწრებდა წინ. ჩემს მეგობარს, პროფესორ გოლდბერგს ვკითხე, თქვენი აზრით, გამოკითხულ თეთრკანიანთა 90% რატომ აცხადებს, რომ ჩვენი შავკანიანი პარტნიორები თეთრკანიანებს საგრძნობლად ჯაბნიან, ხოლო მათი შავკანიანი კოლეგები კი ირწმუნებიან, მათ შორის არსებით განსხვავებას ვერ ვხედავთო. ამ სახელგანთქმული ფსიქოანალიტიკოსის აზრით, შავკანიანი მეძავები თეთრების შიშით სექსუალურ პოტენციასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელთა დაშოშმინებასა და გულის მოგებას ცდილობდნენ, თეთრები კი, „საკუთარ კაცებზე დაბოღმილები“, მათ ჩაწიხვლას ამჯობინებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ამაში იყოს ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა: მესიე კუვ დე მურვილი ამ საკითხთან დაკავშირებით დამაჯერებლად ვერ გავანათლე, თუმცა, ბარემ აქვე გეტყვით, რომ მის უბრწყინვალესობას ღრმა წიაღსვლები არც მოუთხოვია. გაოცებული ვარ, რატომ ექცა „გაბარიტების კომპლექსი“ მთელ ამერიკას მოუცილებელ აკვიატებად. ეს განსაკუთრებით მწერლებთან იგრძნობა, მეილერით დაწყებული და ჯეიმს ჯოუნზით დამთავრებული, ფოლკნერზე და მის სახელგანთქმულ თანამოძმეებზე – ჰემინგუეისა და

ფილიპ როთზე რომ არაფერი ვთქვათ. ზრდასრული გონებასხარტი ამერიკელი ინტელექტუალის ჭმუნვა და დარდი საკუთარი პენისის შესაძლებლობათა გამო ერთგვარ ტოტალურ კასტრაციაზე გვაფიქრებინებს. ამის ყველაზე პათეტიკური, ყველაზე დამრთგუნველი და ამავდროულად ამაღელვებელი მაგალითი გახლავთ სკოტ ფიცჯერალდის ამბავი, რომელსაც ჰემინგუეი მოგვითხრობს რომანში „განუყრელი დღესასწაული". როგორც ჩანს, ფიცჯერალდს მოსვენებას არ აძლევდა საკუთარი პენისის მოკრძალებული ზომა. მისი წამების ობიექტის შეთვალიერების შემდეგ ჰემინგუეის დაურწმუნებია თავისი უფროსი თანამოძმე, რომ საწუწუნო არაფერი ჰქონდა; საბოლოო ეჭვების გასაქარწყლებლად კი ლუვრში წაუყვანია და საკუთარი მოსაზრების დასტურად ბერძნული ქანდაკებების ფალოსები უჩვენებია. როგორ დავიდა აქამდე ეს ორი ზრდასრული, თავისი დროის ყველაზე სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი? რა ღრმა სევდა და ნაღველი იმალება ამ ამერიკულ აკვიატებაში, რომელიც მე არც ერთ სხვა ქვეყანაში არ დამიფიქსირებია? ამას გარდა, როგორც ეს მართებულად აღნიშნა ღირსმა შაპელმა, ნუთუ ჰემინგუეიმ თავად არ იცოდა, რომ „მიძინებულ" მდგომარეობაში მისი ზომა თავისთავად არაფრის მთქმელია და მხოლოდ გადიდებულს ენიჭება მნიშვნელობა?

იქნებ ყოველგვარი სათამაშოებისადმი სწრაფვაში, ამერიკელების ამ გაუნელებელ საზრუნავსა და სადარდებელში უნდა მოვიაზროთ მხოლოდ ამერიკული პერფექციონიზმი – სურვილი, ხელი გამოჰკრას ბოლო, ყველაზე ძლიერ და საუკეთესო მოდელს. მაგრამ, ჩემი აზრით, მიზეზი ბევრად უფრო ღრმაა. თანამედროვე სამყაროს სულ უფრო და უფრო რთულ სტრუქტურებში გახლართული, ამ ხელოვნურ არსებობაში თა-

ვით ფეხებამდე ჩათრეული, ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი ამერიკელი, – ამას დაუმატეთ კიდევ ძლიერი სოციალური მანქანა, რომელიც გზად ყველაფერს თელავს და ანადგურებს, – დღენიადაგ იმის მეცადინეობაშია, როგორმე საკუთარ თავში მაინც იპოვოს ერთგვარი გამაწონასწორებელი და შვების მომგვრელი ძალა. როცა ოდესმე მდგომარეობას გაიუმჯობესებს და სხვებისთვის ანგარიშგასაწევი გახდება, თავგზააბნეულმა, იმედგადაწურულმა და ფრთებმოჭრილმა, ყველგან – ქუჩის გადასასვლელით დაწყებული და ბიუროკრატიული კაბინეტებით დამთავრებული – მშვენივრად უწყის, რომ ის მხოლოდ სადისტრიბუციო ქსელის ერთი უბრალო ჟეტონია, სოციალური მანქანის მიერ ისევ მისივე გამართული ფუნქციონირებისათვის წარმოებული უტილიტარული დანიშნულების მზა პროდუქტი. ასეთი ამერიკელი საკუთარი „ძლიერების" დემონსტრირების შესაძლებლობას მხოლოდ ერექციაშიღა ხედავს. პორნოგრაფიის წამლეკავი ნაკადი, გენიტალიების უსირცხვილო გამომზეურება თეატრის სცენაზე თუ კინოეკრანზე – ეს მხოლოდ გამოწვევაა, უღიმღამო სურვილი თვითდამკვიდრებისა იმათ თვალში, ვისაც, გნებავთ, იდეოლოგიური, გნებავთ, ფილოსოფიური თუ მორალური თვალსაზრისით, გადაუწყვეტია, მედგრად აღუდგეს წინ საყოველთაო დასაჭურისებას. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადზე უცხადესია: The American dream is becoming a prick – ამერიკული ოცნება ყ...დ იქცევა.

ეს საჯარო ფალოიდური გამოთქმები მხოლოდ სრული თავგზააბნეულობის, მღელვარებისა და შფოთვის, ეჭვისა და ყოყმანის მაუწყებელია. იმ დროს, როდესაც არსებული ღირებულებები დანგრეულ-დაქცეულია, ერთადერთი, რაშიც ადამიანი შეიძლება დარწმუნებული იყოს, ორგაზმია. მახსენდება ომის ყველაზე შავბნელი დღეები. სანამ ჯარისკაცები ფრონ-

ტზე წავიდოდნენ და მტრის უმოწყალო ტყვიას ემსხვერპლებოდნენ, საროსკიპოებს ასეთი შეძახილით ტოვებდნენ: „ეს შლოები ამასაც კი ვერ ელირსებიან!“. როგორც ჩანს, ამგვარ ფსიქოლოგიურ ფონზე „შავკანიანი გიგანტი“, სტადიონების, წიდაყრილი ბილიკების, ფეხბურთის, ბეისბოლის დაუმარცხებელი მპყრობელი, ჯუნგლებს სულ რაღაც სამი თაობით დაცილებული „აფრიკელი“, „ვეფხვი“, „პანტერა“ შურის აღმძვრელ და, მაშასადამე, შიშისა და სიძულვილის მომგვრელ სიმბოლოდ გარდაიქმნება.

სექსუალური ექსჰიბიციონიზმი „საწყისისკენ, სათავისკენ“ მიბრუნების ერთ-ერთი კომიკური გამოვლინებაა, რაც, თავის მხრივ, სამოთხეში მოხვედრასთან ერთად კაცობრიობის ერთ-ერთ ძირძველ ოცნებას უნდა წარმოადგენდეს. რაც უფრო უმძიმს გონებას გადაწყვეტილების მიღება, ძაბუნდება, კნინდება და ფესვებს ღრმად ვერ იდგამს, მით უფრო ესახებათ გამოსავლად მოკვდავებს სქესობრივი შეერთება. ამაში რომ დარწმუნდეთ, სრულიად საკმარისია, თვალი გადაავლოთ თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურას. გეგონება, ეს ფილიპ როთები, ნორმან მეილერები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ნიჭიერი ვინმე, სიბნელეში სხედან, ყურადღებით ითვალიერებენ კუტუს და ბუტბუტებენ: Look, ma, no hands! – მიყურე, დე, რა მაგარი ვარ, უხელოდ გამომივიდა!

7

ჯინი სასწრაფოდ უნდა გაფრენილიყო ვაშინგტონში გადაღებაზე და ჩვენც დასაფლავებიდან სამი დღის შემდეგ დავტოვეთ მარშალთაუნი; მაგრამ გარდაცვლილი ძმა არსად გამქრალა, ისევ აქაა, ჩვენ შორის და, ალბათ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება ასე. ვხედავ, ჯინს დროდადრო ცრემლების ნიაღვარი წასკდება ხოლმე. ამ მოუშორებელი მწუხარების მოწმეს მიპყრობს საომარი სულისკვეთება, რომელიც გამოსავალს ვერსად პოვებს. ამაოდ ვკრავ მუშტებს და ვიბოღმები; ასე მემართება ყოველ ჯერზე, როცა რამე გამოუსწორებელს ვეჯახები. ჩემში დამალულ სამართლიანობის ინფანტილურ ქომაგს, საყოველთაო დამცველს, მართლმსაჯულების მარჯვენა ხელს უმწეობის განცდა ეუფლება, ივსება განსაკუთრებით საკუთარი თავისადმი მიმართული გაუნელებელი ღვარძლითა და ზიზღით, ასე ნიშნეულით ყველა ჯურის მეამბოხეთათვის, რომლებსაც გარემოებათა გამო ფარ-ხმალი დაუყრიათ და თავისთვის ბუტბუტებენ: „რა გინდა, რომ ქნა, ვერაფერს გააწყობ!“.

ჯინის მარჯვენას ხელებში ვიქცევ. მის დამშვიდებას ვცდილობ; ყურადღების სხვა რამეზე გადასატანად სახლის ამბებით ვინტერესდები; ვიგებ, რომ ჩვენს ვაჟს ჯერ ხუთიც კი

არ შესრულებია, მაგრამ მამამისივით უკვე იჩენს ინტერესს ინტროსპექციისადმი და არ არის გამორიცხული, რომ სოკრატეს რჩევაც იღოს ყურად: „შეიცან თავი შენი“ – შიგთავსის კვლევის მიზნით საზომი რულეტი გადაუყლაპავს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გაუქანებიათ. ასევე შევიტყვე, რომ კატები შესანიშნავად გრძნობენ თავს.

– ბატკა?

ჯინის სახეს შავი ღრუბელი გადაეფარა. თუმცა უნდა შევნიშნო, რომ ჩემმა მეუღლემ რაღაც ეშმაკის მანქანებით გრძნობების გამოხატვაში გასაოცარი ბუნებრიობა შეინარჩუნა. განსაკუთრებით გულწრფელია სულიერი მდგომარეობის აღიარებისას. ამ დროს ღიმილისა და სევდის სწრაფ მონაცვლეობაში ბავშვობიდან შემორჩენილ ბოლო ნაკვალევს ვხედავ...

– I don’t want to talk about it... არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

ცოტა არ იყოს დავიძაბე.

– ვერ გავიგე, მოკლა კიზმა?

– არა.

ჯინმა პირში წყალი ჩაიგუბა და ძირს გადაჭიმული მონაცრისფრო-მოწითალო მთაგრეხილის თვალიერებას მოჰყვა.

– ყური მიგდე, ჯინ...

– თავიდან ხომ ლამის შიმშილით ამოხადა სული... იმის თქმა მინდა, რომ ბატკა უარს ამბობს ჭამაზე, როცა მასთან საკვები შავკანიანს შეაქვს. ერთი უნდა ნახო, რას დაემსგავსა: ძვალზე გადაკრული ტყავია, ნამდვილი ჩონჩხი. მერე კიზმა და ჯეკ კერათერსმაც მაგრა დასცხეს ერთმანეთს და ეს – იმის გამო, რომ ჯეკმა გადაწყვიტა, საკუთარი ხელით ეჭმია ძაღლისთვის... „ან ჩემი ხელიდან შეჭამს, ან საერთოდ მშიერი დარჩება!“ – ასეთია შეუვალი კიზის პოზიცია. ერთხელ თავად

კერათერსმა დამირეკა, გაჰყვიროდა და მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდა. წარმოიდგინე კერათერსი, რომელზეც გამიგია, არასდროს გამოდის წყობიდანო. ადამიანი, რომელსაც ყველაფერი უნახავს და ყველაფერი სმენია: ისიც კი გაგიჟდა და გადაირია. ღრიალებდა პირდაპირ. ბრახ, ბრახ, ბრახ! არ ვიცი, მაგიდა თუ გადაურჩა დალეწვას. „მომაშორეთ დროზე ეს ცხოველი თავიდან, თორემ მე ვიცი, რასაც ვიზამ. ნუ მაიძულებთ, ამ საღამოსვე საკუთარი ხელით გავუკეთო ნემსი და სამუდამოდ დავაძინო. გესმით თუ არა ჩემი, ჯინ? ამას წერტილი უნდა დაესვას! მო-მა-შო-რეთ ძაღლი!“ *ამას წერტილი უნდა დაესვას!* – ძნელი წარმოსადგენია ჩვიდმეტი მილიონი შავკანიანის დეპორტაცია აფრიკაში.

– მერე, მერე?

– რა მექნა, დავეთანხმე, ვუთხარი, მოვდივარ-მეთქი. ჩავჯექი მანქანაში და გეზი საშენისკენ ავიღე, მაგრამ ახლა სხვა პრობლემის პირისპირ აღმოვჩნდი – კიზმა მომახალა, ძაღლს ცოცხალი თავით არ გაგატანო.

– რას მეუბნები? დაუჯერებელია პირდაპირ.

– ჰოდა, გიყვები, არაფრის დიდებით არ უნდა ძაღლის დათმობა. როცა ჩავედი, კაბინეტში კიზი შემობრძანდა. ერთიცა და მეორეც დასაბმელ გიჟებს ჰგავდნენ. ჯეკ კერათერსი – ადამიანი კლდე, აისბერგი – ისტერიკის ზღვარზე! ერთი წამით მაინც შეგიძლია ამ სცენის წარმოდგენა? რა თქმა უნდა არა! მე კიდევ საკუთარი თვალით ვიხილე! არც კიზი იყო უკეთეს დღეში. ჯეკი განაგრძობდა ბღავილს, ნახევრად პარალიზებულ სიფათზე ტიკებიც კი შევამჩნიე. ცოტა არ იყოს შევშინდი; ჯეკს ბრაზისაგან მეტყველების უნარი ჰქონდა წართმეული: პირს კი აღებდა, მაგრამ სიტყვები არ ამოსდიოდა. მხოლოდ ხრიალი მესმოდა. რამდენიმე სიტყვის ამოღერღვა მაინც მოახერხა. შე-

ვაკონინე და აი, რა გამოვიდა: „ჩვენ არ გვაქვს უფლება, ეს ძაღლი შიმშილით მოვკლათ. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვენთან არ მოხდება. ვიმეორებ, ეს ჩვენს საშენში არამც და არამც არ მოხდება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წვრთნის ამგვარი მეთოდი ჩემთვის ყოვლად მიუღებელია". „და რომელი მეთოდია თქვენთვის მისაღები?" – შეჰყვირა კიზმა და ბოღმისგან კინაღამ დაიხრჩო. – „ის, რომელიც ამ ძაღლის წვრთნისას სამხრეთში ზედმიწევნით გამოიყენეს?". ვიფიქრე, ნოე-ჯეკს ინფარქტი არ მოუვიდეს-მეთქი: დაკერებული სახე ისე დაეჭიმა, ცოტაც და დაუსკდებოდა. მისი თავი მუშტს დაემსგავსა; ხმა კი არ ჩაუწყდა, რაღაცნაირად ჩაუვარდა. იცი? ასე მაშინ ხდება, როცა ადამიანს თავშეკავება გიგანტური ძალისხმევის ფასად უჯდება; ცოტა ხანში დაბოხებული ხმით ალაპარაკდა. გეგონება, ათი მეტრის სიღრმეზე მიწაში ჩამარხულმა ამოიდგა ენაო. „Listen to me – ყური მიგდეთ, კიზ. დამდეთ ბრალი რასიზმში და მე თქვენ აუცილებლად გაგამართლებთ." კიზს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. გაირინდა და გაოცებისგან პირი დააღო. „მე რასისტი ვარ, მაგრამ ისეთი არა, როგორიც თქვენ – შავკანიანები თუ თეთრკანიანები. რასისტი ვარ იმიტომ, რომ დაგი...თ მთელ თქვენ დედააფეთქებულ ადამიანთა მოდგმაზე. მკიდია, ყვითელი იქნება თუ მწვანე, ცისფერი თუ ყავისფერი. ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც არჩევანი გავაკეთე – ცხოველებზე გადავერთე, ჩემო ძვირფასებო".

მომეჩვენა, რომ ორივე ცოტათი დაშოშმინდა.

– თქვენ ამ ძაღლს წინ და უკან თავისუფლად წანწალის უფლებას ვერ მისცემთ, – განაგრძო კიზმა, – ის, უწინარეს ყოვლისა, უნდა განიკურნოს.

– ეს „განებივრებული", უფრო სწორად, სულით ხორცამდე „გაფუჭებული" ძაღლია, კიზ, და ამის შესახებ ბრწყინვა-

ლედ მოგეხსენებათ. ის ყველასთვის დაკარგულია! ვერ განკურნავთ და ვერც ვერანაირად შეუცვლით ზნეს...

– მიმიშვით და თავი დამანებეთ. მერე მე ვიცი, რასაც ვიზამ.

– თქვენ შიმშილით კლავთ და ადამიანის ენაზე ამას სადიზმი ჰქვია, სხვა არაფერი. თქვენ შურისმაძიებელი ხართ, მარტივად რომ ვთქვათ...

სიბრაზისგან კიზს სახეზე ნაცრისფერი დაედო.

– მე სულაც არ მჭირდება ძაღლის ძებნა, პატრონზე შური რომ ვიძიო. იმათ როგორმე პირდაპირ მივაკვლევ ჩემი რევოლვერით.

ვიფიქრე, ახლა თუ არ ჩავერიე, საქმე ცუდად დამთავრდება-მეთქი, მაგრამ ვერაფერი ვიღონე... ჯეკმა თითი ჩემკენ გამოიშვირა.

– მე მინდა, რომ ამ ქალბატონმა სასწრაფოდ წაიყვანოს ძაღლი აქედან. ის საწყალი შიმშილისაგან მოკვდება და ამას ყველა შეიტყობს. მერე იტყვიან, ჯეკ კერათერსი ცხოველებს წამებით წვრთნისო და ცხოველთა დაცვის საზოგადოებასაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავიკიდებ. მათმა ინსპექტორმა უკვე დამისვა უხერხული კითხვები. რა თქმა უნდა, იძულებული გავხდი, მეცრუა. ვუთხარი, ძაღლი ავადაა და პირს არაფერს აკარებს-მეთქი. ჩემი უმწიკვლო რეპუტაცია, შესაძლოა, მთელი ქვეყნის მასშტაბით დასამარდეს.

როგორც ჩანს, კიზმა ეს არგუმენტი დამაჯერებლად მიიჩნია. ასე მისმა თანხმობის მაუწყებელმა ჟესტმა მაფიქრებინა.

– It's bad for business – ცუდია ბიზნესისთვის. ვიცი, ვიცი. მარტო ერთ რამეს გთხოვთ: დამიტოვეთ ძაღლი კიდევ ერთ-ორ კვირას. მერწმუნეთ, არ მოკვდება, გასაოცრად ამტანი აღმოჩნდა.

კიზმა იქვე ერთობ უცნაური რამ მოაყოლა:

– ლამაზი ძაღლია!

ეს ისე გულწრფელად წარმოთქვა, რომ ჯეკმა შემდგომ კითხვებს ვერც კი მოუყარა თავი.

– კარგი, – მოკლედ მოჭრა მან.

ამ განცხადების შემდეგ კიზმა იქაურობა დატოვა, ჯეკი კი ჩემკენ შემოტრიალდა:

– რამე გაიგეთ? ვატყობ, რომ სინამდვილეში ძაღლი მისთვის ძვირფასია. რატომ? რატომ უნდა ეგრე მისი გამოჯანმრთელება და ფეხზე დაყენება? კიზი მუსლიმი შავკანიანია. ამბობენ, თუ მის სამშობლოში ხუთ თეთრკანიანს სკალპს ააძრობენ, მექაში მოსალოცად უფასო გამგზავრება გარანტირებული აქვთო. ეს წმინდა წყლის სიძულვილია, სხვა არაფერი. კეთილი, ბატონო, მაგრამ ვერ გამიგია, რის დამტკიცება უნდა ამ ძაღლის დახმარებით? რომ სიძულვილის მორჩენა შესაძლებელია? რომ ეს უხეირო წვრთნის შედეგია და განკურნებას ექვემდებარება? მაშინ რატომ არ მიხედავს ჯერ საკუთარ თავს?

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამაზე ჯეკს ვუპასუხე:

– მე მგონი, სიტყვა „სიძულვილი“ მარტო კლინიკურ შემთხვევებს შეიძლება მივუსადაგოთ. თვით ბოროტება კი ბევრად უფრო ღრმა და სერიოზულია.

– ეგ კარგად გამჯდარი გადამდები ნევროზია...

მოკლედ რომ გითხრა, ამ ჩემს ქადაგებას ჯეკი უკვე აღარ უსმენდა.

– ეს ძაღლი ყველას ჭკუიდან შეშლის. აი, რა მოხდება, მე თუ მკითხავთ, – დაასკვნა ღრმად პატივცემულმა „ნოემ“.

პირადად მე ვგრძნობდი, რომ მთლიანად კიზის მხარეს ვიყავი.

„დარწმუნებული ვარ, რომ ძაღლის განკურნება შესაძლებელია“.

ვფიქრობ, ადამიანებში ასე მწარედ იშვიათად შევმცდარვარ. კიზს მივაწერდი ჩემში დაწყებულ იდეალისტურ და ნოსტალგიურ უღიმღამო ფერმენტაციას, უფრო სწორად, აღშფოთებას, თანმხლები ცრემლების ღვრით, ტრემოლოებით, სლუკუნით და ზლუქუნით, შეძახილით „გიყვარდეს მოყვასი შენი!“, რომელიც ერთნაირად ეხებოდა ადამიანებსაც, პირაღმა მწოლიარე ძაღლებსაც და მაისის ხოჭოებსაც, რომლებსაც დაუყოვნებლივ წამოყენება სჭირდებათ. ეს მგრძნობიარობის, ძმური სიყვარულისა და ადამიანური სიკეთის მარადი „ავე მარიაა“! როცა წარმოვიდგენდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს მონათხრობი დაიბეჭდებოდა და ჩემი კალმის წვერიდან გადმოღვრილ სენტიმენტალურ ბოდვას წაიკითხავდნენ, უკვე ჩამესმოდა გამოუსწორებელი და გაჯიქებული, ყოველგვარი ჰუმანისტური და ფილანთროპიული სიფაქიზისგან დაცლილი რაციონალისტების დამცინავი და სარკასტული ხარხარი; ხარხარი ნამდვილი მამაკაცებისა; ხარხარი იმათი, ვინც ეს სამყარო ააშენა. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ქვეყანა სწორედ ძლიერებმა შექმნეს, ხსნას კი მხოლოდ ქალურობისა და სინაზისგან უნდა ველოდეთ...

8

ჩვენი თვითმფრინავი ჩიკაგოს აეროპორტში დაეშვა. შავკანიანთა უბნის ბოლოში „ბონ მარშეს“ ტიპის ორი უნივერმაღი იწვოდა. სავარაუდოდ, გაჩენილ ხანძარში კრიმინალური ელემენტების ხელი ერია. მოსაცდელ დარბაზში რამდენიმე თეთრკანიანი და შავკანიანი მგზავრი ტელევიზორის ეკრანზე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ცაში ატყორცნილი კვამლის უზარმაზარ ღრუბლებს. მაგიდის უკან ახალგაზრდა ცრემლმორეული ბორტგამცილებელი ამეტყველდა:

– ღმერთო, როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი? მალე მთელი ჩვენი კულტურა ნაცარტუტად იქცევა.

შევნიშნავ, რომ საუბარში სიტყვა „კულტურას“ აქ „ცივილიზაციის“ მნიშვნელობით იყენებენ. ჩემდათავად ვცდილობ, მომხდარში მხოლოდ დადებითი მხარე დავინახო: უბადრუკი ოცდამეხუთე კატეგორიის აეროპორტის მაგიდის უკან მდგომი ერთი უბრალო ამერიკელი ქალი შუა დასავლეთიდან „კულტურაზე“ მელაპარაკება. ზედმიწევნითაა გარკვეული მიმდინარე მოვლენების არსში.

ვუყურებთ ცეცხლის ალში გახვეულ მაღაზიებს. ხანძარი დილით გაჩენილა და ამბავი სულ ცხელ-ცხელია. სიამოვნების განცდა მეუფლება. გულწრფელად მიხარია, იმიტომ, რომ

ძალიან მიყვარს ამერიკა. ბედნიერი ვარ, რომ ის გაინძრა, ტკივილები აწუხებს და იმედი მაქვს, საბოლოოდ გაიღვიძებს. შეუძლებელია, ვიეტნამს ომზე უარესი რამე დამართოდა. სამაგიეროდ ამერიკას ამაზე უკეთესი არაფერი გადახდომია თავს: ადამიანებს რწმენა შეერყათ, ეჭვები გაუჩნდათ, ფასეულობები გადააფასეს. მეტამორფოზები აუცილებლობად იქცა. ვერ გეტყვით, როგორი იქნება ახალი ამერიკა, მაგრამ ვგრძნობ, რომ შავკანიანთა უბანში გაჩენილი ხანძარი მას ზეზეულად, ცოცხლად ლპობის საშუალებას არ მისცემს; სკლეროზული უმოძრაო სტრუქტურებისა და საფუძვლების უხილავი ნგრევა შეიძლება შეწყდეს; ამერიკას შავკანიანთა გამოწვევა გადაარჩენს, ეს ის challenge-ია, რომელიც, ტოინბის თქმით, გადაგვარებულ ცივლიზაციას ჰაერივით სჭირდება: თორემ ამ ქვეყანას გადარჩენა არ უწერია.

ახალგაზრდა სტიუარდესას გვერდით მდგომი თავზე წითელ კარტუზჩამოფხატული შავკანიანი მებარგული წუხს და უკმაყოფილოდ იქნევს თავს.

– ეს ისევ იმათი ნამოქმედარია. ისევ ისინი არიან!

მებარგული გამიჯვნას ცდილობს: ბორტგამცილებელი ცრემლებს იმშრალებს და ნდობით შემომცქერის. ეს ის მზერაა, რომლითაც აქ საუკუნეთა სიბრძნის მპყრობელებს – ევროპელებს სწყალობენ. ანაზდად გამიჩნდა სურვილი, ამომელო ჩემი გვირგვინი საფრანგეთის მოქალაქისა და მშრალი ტილოთი გამეპრიალებინა, რათა უფრო ძლიერ ებრწყინა.

– როგორ ფიქრობთ, ყველაფერი მოწესრიგდება? – მეკითხება აეროპორტის ახალგაზრდა თანამშრომელი. მე, რბილად რომ ვთქვა, უნდობლობას ვუცხადებ ყველაფერს, რაც ნელ-ნელა „მწყობრში დგება“. ხშირად ეს ორ დამარცხებულს იძლევა შედეგად.

– ყური მიგდეთ, გეთაყვა, – წამოვიწყე მე, – თქვენ შეგიძლიათ, სახლში მშვიდად იძინოთ: არაფერიც არ ჩადგება მწყობრში. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გაჩაღებული ომი, თქვენდა საბედნიეროდ, დღემდე გრძელდება და, როგორც მოგეხსენებათ, დღემდე არაფერი მოგვარებულა. შავკანიანთა ერთი პატარა ჯგუფი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თეთრები მონობისაგან გაათავისუფლოს, მაგრამ, მერწმუნეთ, იმ მარწუხებისაგან დახსნა, რომლებშიც, აგერ უკვე ორი საუკუნეა, თქვენი გონებაა მოქცეული, ადვილი საქმე არ არის. არჩევანის გაკეთება გარდუვალია. ორიდან ერთია: ან შავკანიანები გაიმარჯვებენ და ამერიკა შეიცვლება, ან წააგებენ; ამ მეორე შემთხვევაშიც ამერიკა სახეს იცვლის; ასე რომ, თქვენ ორივე ვარიანტი გაძლევთ ხელს. დაკარგვით არაფერს კარგავთ.

მოსაცდელ დარბაზში ექვსი შავკანიანი და თხუთმეტამდე თეთრკანიანი დავითვალე. უყურებენ გადაბუგულ ნაგებობებს და დუმან. არსებობს ერთი გარემოება, რომლის ხსენებას აქაური ჟურნალ-გაზეთები ყოველთვის ერიდებიან. აქ გამორიცხულია ის, რასაც საფრანგეთში „ხელჩართულ ბრძოლაში გადაზრდილ დისკუსიას“ უწოდებენ. აქ ყველა უბედურების, ნებისმიერი ძალადობის თავი და თავი ან უტაქტობაა, ან პოლიციის მხრიდან ძალაუფლების გადამეტება, ან კიდევ ცრუ ინფორმაცია, ხშირად პროვოკაციაც, მაგრამ არამც და არამც – „დისკუსია“...

– სიამოვნებით წავიდოდი ევროპაში, – თქვა ახალგაზრდა ქალმა.

ჩემმა ცოლმა წამსვე დაუჯღაბნა ქაღალდის ნაგლეჯზე ჩვენი პარიზის მისამართი; გამაჟრჟოლა. სიბერგს არასდროს ეზარება, ჩვენი კოორდინატები ჩამოურიგოს ყოველ იმ ახალ-

გაზრდა ხელმოცარულსა და ვიგინდარას, ვისაც ღრმად სწამს, რომ ატლანტიდა სინამდვილეში არსებობდა; ერთხელ ჩვენს ბაკის ქუჩაზე მდებარე ბინაში ექვსი ბიტნიკი დამხვდა. პირდაპირ იატაკზე იყვნენ მიყრილები; საძილე ტომრებში ხვრინავდნენ. ერთ-ერთმა ჩვენი მისამართი ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ მოიპოვა და, როგორც ჩანს, თავის თანამოაზრეებს „უსასყიდლოდ“ გაუზიარა: არიან ადამიანები, ვისაც სიმბოლური ჟესტებისა არაფერი გაეგება.

ვაშინგტონში ნაშუადღევს ჩავედით; აყვავებულმა ალუბლებმა სასიამოვნო დახვედრა მოგვიწყვეს. ვაშინგტონი ლოს-ანჯელესის დარად იმ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებსაც ვერასდროს მიაგნებთ იქ, სადაც დატოვეთ. მათ ქალაქებსაც ვერ დაარქმევთ. ეს უფრო უბნებია, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიიწევენ ქალაქის საძებრად. ჩემი ბოლო სტუმრობა აქ იმ პერიოდით თარიღდება, როცა ლოს-ანჯელესში საფრანგეთის გენერალური კონსულის მოვალეობას ვასრულებდი; ხოლო კუვ დე მურვილი – საფრანგეთის პირველი ელჩისას ვაშინგტონში. შესაძლოა, მე ერთადერთი ადამიანი ვარ დედამიწის ზურგზე, ვისაც აყვავებული ალუბლის ხეების დანახვაზე საფრანგეთის ყოფილი ელჩი აგონდება. მსუბუქმა ნოსტალგიამ შემიპყრო. ვერ ვიტყვი, კუვ დე მურვილი მომენატრა-მეთქი. ნამდვილად არ გახლდათ ის ადამიანი, ვინც მისი ნახვის მწველ სურვილს გაუჩენდა ვინმეს. მიუხედავად ყველაფრისა, მხიბლავდა მისი ოსტატურად შენიღბული გულცივობა, ასევე გაყინული, შეუვალი მზერა, რომელიც შინაგან შფოთვასა და მღელვარებას მალავდა, ის შეუდარებელი თავშეკავება და თვითკონტროლი, რომელიც ძალიან იშვიათად, წამიერი გაღიზიანებისას თუ ღალატობდა.

იმავე საღამოს, როცა ტაქსით მივდიოდით სავახშმოდ, რადიოთი მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის ამბავი შევიტყვეთ. მძღოლი შავკანიანი იყო. ჯინი გაგონილისგან ისე გაფითრდა, რომ ტაქსისტი ჩვეულებრივზე უფრო შავი მეჩვენა. საჭეს ჩაფრენილმა რესტორნის მისამართის შეხსენება მთხოვა. შევახსენე. სულ წინ იცქირებოდა. ჩვენკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. ბოლოს ყრუდ ამოღერღა:

– What was that address again? – რა მისამართი მითხარით?

გამეორება უაზრობა იქნებოდა. დაველოდე, სანამ გონს მოეგებოდა. კარგა ხანს ვიტრიალეთ ყვავილოვან სამოსელში გახვეული ალუბლის ხეების გარშემო, რომლებიც პროჟექტორების გამოციებული განათებისაგან გაყინულ მოცეკვავეებს წააგავდნენ.

– რა მისამართი მითხარით?

– თეთრკანიანმა მოკლა? – დაინტერესდა ჯინი.

მალკოლმ იქსი „შავებმა“ მოკლეს, მუსლიმმა შავკანიანებმა, იმ გათახსირებული ელაიჯას მიერ მართული ორგანიზაციის წევრებმა, რომელმაც თავისი „მრევლიდან“ არაერთი დააორსულა. ცხადია, მალკოლმის ტრიუმფი მისთვის უსაფრთხო ვერ იქნებოდა. თუ მოარულ ხმებს დაეჯერება, მავან N-ს, ნავთობის ულტრამემარჯვენე მაგნატს, თეთრი რასის განსახიერებასა და მის პირუთვნელ დამცველს ამერიკაში, მნიშვნელოვანი სახსრები გამოუყვია მუსლიმებისთვის. ზუსტად გაუთვლია, რომ შავკანიანთა რასისტული ლიგების დაბადება თეთრებს „გამოაღვიძებდა“.

– მკვლელი თეთრკანიანი იყო?

მძღოლმა ჯინის კითხვა უპასუხოდ დატოვა. მე კი ვთხოვე, სასტუმროში დაბრუნებულიყო. მისი მოხრილი ზურგის შემხედვარე ვგრძნობდი, რომ დასანახად ვერ გვიტანდა: შეიძ-

ლება პირადად ჩვენ არც არაფერს გვერჩოდა. უბრალოდ, ცხელ გულზე ჩვენ პირველები შევეჩხირეთ თვალში. პროჟექ-ტორებით გაჩახჩახებული ალუბლის ხეები ამჟამად იმ გამოპ-რანჭულ სტუმრებს ჰგავდნენ, შეცდომით მეჯლისზე ერთი დღით ადრე რომ გამოცხადებულან. მძღოლმა სასტუმროს წინ ჩამოგვსვა. ვერ ვუძლებ ცდუნებას, ამოვიღო ჯიბიდან სა-ფულე და ბლომად დავუტოვო უბრალოდ იმიტომ, რომ ზან-გია და დღეს კი მარტინ ლუთერ კინგი მოკლეს.

– ახლა აგორდება, – თქვა ჯინმა.

9

მართლაც მეორე დღიდანვე „აგორდა“. დღის ორ საათზე შვიდასამდე შენობა იწვოდა. მათგან რამდენიმე – თეთრი სახლიდან სულ რაღაც ორ ნაბიჯზე. როგორც წესი, ახალგაზრდა მეამბოხეები ჯერ საკუთარ სახლზე იყრიან ხოლმე ჯავრს. თეთრკანიანის ერთ გადაბუგულ მაღაზიაზე შავკანიანთა ხუთი უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი მოდიოდა. ტელეეკრანზე ჩნდება ანტიკვარიატით მოვაჭრე თეთრწვერა ებრაელი, რომლის მაღაზიაც პირწმინდად გაუძარცვავთ.

– კი არაფერს ვსაყვედურობ. მათიც უნდა გვესმოდეს...

განსაკუთრებით ებრაელებს ერჩიან. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაღაზიების ნახევარზე მეტი იმათია, მეორეც, იმიტომ, რომ ყველა ებრაელებზე იყრის ჯავრს, მათ შორის ზანგებიც.

აი, კიდევ ერთი გაურკვეველი წარმოშობის თეთრკანიანი – ბერძენი, იტალიელი თუ სომეხი. დგას სასოწარკვეთილი საკუთარი ტრიკოტაჟის მაღაზიის დამსხვრეული ვიტრინის წინ და მოთქვამს. იქვე გდია გრძელტოტებიანი კალსონი. გეგონება, რომელიღაც უნიფხოსთვის სახელდახელოდ გაუმზადებიათო; „რატომ არ ესროლა პოლიციამ? რა სამარცხვინოა! არც კი იკადრეს მანქანებიდან გადმოსვლა, ჩემს მაღაზიას კი მათ ცხვირწინ ძარცვავდნენ“. ის უბედური სიამოვნებით

ისურვებდა, რომ რამდენიმე კალსონის გულისთვის ადგილზევე დაეცხრილათ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილები; ეტყობა, უმაღლესი ხარისხისა იყო.

ვაშინგტონის მერმა, რომელიც თვითონაც ვაშინგტონია გვარად და შავკანიანია, პოლიციას კატეგორიულად აუკრძალა სროლა, თუკი ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნებოდა. გაზეთებიდან შევიტყვე, რომ ჩემი მეგობარი სელვინ დრესლერი დაეჭრათ დანით ტელეფონის ჯიხურში, როცა მოვლენების ფოტოფირზე აღბეჭდვას ლამობდა. ისე, რამ მოაფიქრა ასეთ დროს ჯიხურში შეძრომა, სადაც თაგვივით ხარ გამოჭერილი! ამას გარდა, ტელევიზორში შავკანიანი რეპორტიორების მიერ მომზადებული ძარცვის არაერთი სცენაც აჩვენეს. რამდენიმე საათის შემდეგ ქალაქში აშკარად გამოიკვეთა ერთგვარი „კონგოლიზაციის“ ნიშნები. „ჰილტონი“, სადაც ვიყავით გაჩერებული, ღია ზღვაში მოდრეიფე მაღალი კლასის თბომავალს ჰგავდა. შავკანიანმა მომსახურე პერსონალმა საკუთარი უბნის გადმოჭრა და სამსახურში გამოცხადება ვერ გაბედა. ისე, უნდა ითქვას, რომ ამერიკის მეგაპოლისები ექსტრემალური სიტუაციებისათვის სრულიად მოუმზადებელია. პირველივე ქარბუქისთანავე ნიუიორკელი ჩვილი ბავშვები ურძეოდ რჩებიან და ჩვეული ცხოვრების რიტმი პარალიზებულია. აი, ახლაც პროდუქტებით მომარაგების შეფერხების გამო ერთიმეორის მიყოლებით იკეტება რესტორნები, ნარჩენების გროვები ჩვენ თვალწინ სოკოებივით მრავლდება. ეს ნაგვის მთები ცივილიზაციის რღვევის პირველი მაუწყებელია; ხანძრისგან წარმოქმნილი სქელი ღრუბლები ყოველგვარი „საფრთხისგან“ დაზღვეულ უბნებსაც გადაეფინა. აქ ელვის სისწრაფით ვრცელდება ხმა „მოდიან!“. გადაადგილება შეუძლებელია. გზებზე საგიჟეთია. ყველა, ვისაც მანქანა ჰყავს,

ჩქარობს, გაიქცეს ქალაქიდან, რომელშიც თეთრკანიანები მთლიანი მოსახლეობის 47%-ზე ნაკლებს შეადგენენ და რომელსაც გარს „შავი სარტყელი“ ეკვრის. დედაქალაქში დანაშაულის რიცხვი საგრძნობლად მატულობს. ერთი ორმოცდათი წლის ქალბატონი მაღალი საზოგადოებიდან, სახელგანთქმული სალონების დიასახლისი, როცა ის ძაღლებს ასეირნებდა, დღისით მზისით ქალაქის ცენტრში, უფრო ზუსტად, სკვერში შავკანიანებმა გააუპატიურეს; მოგვიანებით გულადი დიასახლისი ელჩს გამოუტყდა, უფრო მეტად ძაღლები მადარდებდა, ის ვიგინდარები იმათი მოკვლით მემუქრებოდნენო.

„ჰილტონის“ ვესტიბიულში „ალუბლების ფესტივალზე“ საგანგებოდ ჩამოსული ტურისტები ჩემოდნებზე ჩამომსხდარიყვნენ და ნერვიულად ელოდნენ მათთვის გამოყოფილი ავტობუსების გამოცხადებას. აეროპორტშიც უსაფრთხოების ზომები გარემოებათა კვალობაზე გაეათკეცებინათ; ყველას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. მოკლედ, ყველა იმაზე მეტად ნერვიულობდა, ვიდრე მოითხოვდა არსებული ვითარება, ანუ საფრთხე, რომელსაც საფრთხეც კი არ ეთქმოდა. ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ამერიკამ ახალი წითელკანიანები კი გაიჩინა, მაგრამ მოახალშენეები – ვერა... საბედნიეროდ, უკაცრიელ ალუბლის ხეივანში სეირნობისას ერთ ხანდაზმულ წყვილს გადავეყარე. სავარაუდოდ, ცოლ-ქმარს, იმ ამერიკული ტიპისას, რომელიც ჩემთვის ყველაზე სასურველი იყო და მომწონდა. ორივეს ასაკი, ერთად აღებული, ალბათ ას ორმოცდაათს გაუტოლდებოდა. ხანდაზმულ ქალბატონს სხვებისგან მკვეთრად გამორჩეული, ერთი განსაკუთრებით აყვავებული ალუბალი ამოეჩემებინა და იმას უღებდა სურათებს. გეფიცებით, იმ წამს მომეჩვენა, რომ ხეც პოზას იჭერდა, ობიექტივს ეპრანჭებოდა. ქმარი თავად წააგავდა გამომშრალ

ხეს ნაოჭებით დასერილი ქერქით, რომელსაც უკვე ვერანაირი გაზაფხული ვერ ააყვავილებდა: მოხუცმა თანამოაზრის მზერით შემათვალიერა. წარმოიდგინეთ მთელი ამ ქაოსისა და ალიაქოთის ფონზე... With all that mess... აქ გასაოცარი სიწყნარეა... We have it all to ourselves. დაუჯერებელია, მთელი ეს პარკი ჩვენ – სამ ადამიანს გვეკუთვნის. I love you – ვუპასუხე და წყვილი თავიანთ ალუბლის ხეებთან დავტოვე.

საღამოსთვის მდგომარეობა იმდენად „გაუარესდა" (ამ სიტყვის ნებისმიერი გაგებით), რომ საჭირო შეიქნა ფედერალური ჯარების თორმეტიათასკაციანი ბატალიონის ვაშინგტონში გადმოსროლა; გამოცხადდა კომენდანტის საათიც. მანამდე, რამდენიმე წუთით ადრე, თეთრი სახლის წინ უნდა ჩამევლო; გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, გავხდი ისტორიული სცენის მომსწრე, რომელსაც ვერც მე და, ალბათ, ვერც სხვა თვითმხილველები ასე ადვილად ვერ დავივიწყებთ: შენობის კიბეებზე მდგარი ტყვიამფრქვევი ქუჩისკენ მიშვერილი ცხვირით. მართალია, ჯონსონის პირადი ბრძანებით იარაღი იქიდან რამდენიმე საათის შემდეგ გაქრება, მაგრამ მე საკუთარი თვალით ვიხილე. ვერ ვიტყვი, რომ ულამაზო იყო. არაფერი არ შეგვიქმნის ისეთი უმწეობის და უუნარობის შთაბეჭდილებას, როგორც მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური და ყოვლისშემძლე დემოკრატიის კარიბჭესთან მიგორებული უბადრუკი ტყვიამფრქვევი ხალხისკენ მიშვერილი ლულით. აი, მაშინ კი დამეუფლა განცდა, რომ ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც შეიძლება აქამდე არნახული და წარმოუდგენელი მოხდეს.

ქუჩები მანქანებისგან პირწმინდად დაიცალა; ტროტუარებზე კი განსაკუთრებით დამთრგუნველ მოვლენას ვამჩნევ: თეთრები და შავები შეხვედრისას ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებენ: ერთნიც და მეორენიც დამნაშავის იერით დაიარე-

ბიან და ვერც კი გაუაზრებიათ, რომ მათ ერგოთ პატივი და პრივილეგია, იცხოვრონ გამორჩეული, თუმცა ახალი ცივილიზაციის დაბადების ჯერჯერობით არც ისე ხმაურიანი ისტორიული მომენტით. მე რომ რუსი ან ჩინელი ვყოფილიყავი, მთელი სულით და გულით ვუსურვებდი ამერიკას წარმატებულ გარდაქმნა-გარდასახვას, სახადის დროულად მოხდას. ხოლო იმ „ყვითლებს“ თუ „წითლებს“, ამერიკის დასამარება რომ გადაუწყვეტიათ, მოკრძალებით შევახსენებდი, რომ ამერიკა გიგანტური კონტინენტია და ასეთი უშველებელი გვამის დასაფლავებისთვის ასეთივე ვეებერთელა ადგილი, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მთელი დედამიწა სჭირდება. ვინც ამერიკას სამარეს უთხრის, მერწმუნეთ, თავისთვის სამუდამო განსასვენებელს იმზადებს.

სასტუმროს დერეფნებშიც სრულ სიცარიელეს დაესადგურებინა, ჩამიჩუმი არ ისმოდა. ერთ-ერთი კარღია ნომრის წინ ჩავლისას მახინჯი სცენის თვითმხილველი მაინც აღმოვჩნდი: საწოლზე იჯდა ფუმფულა ქალი საცვლისა და ლიფის ამარა და ხმამაღლა ზლუქუნებდა და თან ყვირილით მიმართავდა ვიღაც უხილავს, რომელშიც ტიპური ამერიკელი ქმარი ვივარაუდე.

– I want to go home. I want to get out of there. – სახლში მინდა. აქედან წასვლა მინდა.

– Sure, baby, sure. We'll be alright, we are getting out tomorrow. We'll be alright. – რა თქმა უნდა, პატარავ, რა თქმა უნდა. ხვალ წავალთ აქედან. ყველაფერი კარგად იქნება.

მიუხედავად ყველაფრისა, დარხეული ხმები გარდაუვალი საფრთხის შესახებ, ჩემი რწმენით, წმინდა წყლის იდიოტიზმია. ვიღაცამ ჰოლში ისიც კი წამოროშა, შავები „ჰილტონში“ შემოვარდებიან, ყველა შესასვლელ-გასასვლელს გადაკეტა-

ვენ, რომ სასტუმროს ბინადარნი ვირთხებივით ამოგუდონო. აზრი საინტერესოა სწორედ იმიტომ, რომ სავსებით ვირთხულია; ცხადია, მთელ ამ დავიდარაბაში შეიძლება შინაგანი შფოთი და პანიკა დავინახოთ, რომელსაც არანაირი გარეშე საფრთხე არ კვებავდა; ერთი რამ მკაფიოდ გამოჩნდა, მთლად ზედაპირზე ამოტივტივდა – დანაშაულის შეგრძნება – ნებისმიერი ჯურის შიშის მშობელი; საბოლოოდ, ნაცნობი სრულიად უცხოდ გარდაიქმნა. ამერიკას, რომელიც „თავის“ შავებს მოხარშულს იცნობდა, მყისიერად მეხსიერება მოეშალა. ამერიკა მათ უკვე ველარ იხსენებდა; იუცხოვა ისინი; შიშიც კი დაეუფლა მათ დანახვაზე. გსმენიათ, ცარევიჩის, რუსეთის სამეფო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის ერთგული მცველის, მეზღვაურ დიბიენკოს ამბავი? ის გულისამაჩუყებელი ერთგულებით მფარველობდა მცირეწლოვან ცისფერსისხლიანს, რისთვისაც დედოფლის უსაზღვრო ნდობა ჰქონდა დამსახურებული. გადატრიალების შემდეგ მეფის ოჯახი სასახლეში გამოკეტეს და დაცვის მკაცრი რეჟიმი დაუწესეს. ერთ-ერთმა მსახურმა სრულიად შემთხვევით ცარევიჩის ოთახში შეიხედა და რას ხედავს: მატროსი სავარძელში გაშხლართულა, მეწაღესავით იგინება და შეშინებულ ტახტის მემკვიდრეს ჩექმებს მუქარით ახდევინებს. ასეა, ბატონო, მსახურებს არასდროს უნდა ენდო! ერთი წამითაც კი.

IO

არეულობის დაწყებიდან მოყოლებული, ვცდილობ, დავუკავშირდე ერთ კაცს, რომელსაც აქ, თქვენი ნებართვით, მისი მეთერთმეტე შვილის, ნაბოლარა რედის სახელით მოვიხსენიებ. პარიზში გავიცანი გათავისუფლების მეორე დღეს. მაშინ, არც მეტი, არც ნაკლები, სუტენიორი გახლდათ, მაგრამ ამავდროულად სორბონაში სწავლობდა. თუმცა მთლად სუტენიორი არ იყო, ჟიგოლო უფრო ეთქმოდა, რადგან ქალების კმაყოფაზე ცხოვრობდა; პიგალის მოედნის ლამაზმანები სულაც არ უცდიდნენ „შავი პანტერების“ პარიზში შემოსვლას იმისათვის, რომ შავი ფერისთვის გაეგოთ გემო. ფიზიკური სილამაზე და მოხდენილობა გახლდათ ის სიმდიდრე, რომლის ექსპლუატაციაც ამ საზოგადოებისაგან უკუგდებულ კალიფორნიელ ყმაწვილს უწევდა. არც ფერადკანიანი ტანმოვარჯიშეების მიმართ ჰქონდა განსხვავებული მიდგომა საზოგადოებას. მათაც აიძულებდა, კუნთებით ემუშავათ ლამის სულის ამოხდომამდე, რათა თავისუფლად ესუნთქათ. საძაგელი ფარისეველი ან ზნედაცემული მორალისტი უნდა იყო, რომ გეყოს თავხედობა და გაბედო მალკოლმ იქსის სუტენიორობაში დადანაშაულება, ან კიდევ ჩემს მეგობარ რედზე ჯავრის ყრა მხოლოდ იმის გამო, რომ მეძავებს თავისი რჩენის

უფლებას აძლევდა. შევნიშნავ, რომ დღეს პარიზში შანსების უქონლობას არც ერთი შავკანიანი არ უნდა უჩიოდეს. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ვიდრე სუტენიორობისათვის მათი ლანძღვა-გინებით გულს ვიჯერებდეთ, მოდი ის ურიცხვი ამერიკელი თეთრკანიანი გავიხსენოთ, რომლებიც მთელი საუკუნის განმავლობაში თავიანთ boy-ს უბრძანებდნენ, ღამისთვის რომელიმე გომბიო მომიყვანეო. ის, ვისაც ინდოჩინეთსა და ამერიკაში გაჩაღებულ სექსუალურ კოლონიალიზმთან ჰქონია შეხება, წესით, ასჯერ უნდა დაფიქრდეს, ვიდრე განაცხადებდეს, ყველა ევროპელი შავკანიანი სუტენიორი ან ჟიგოლოაო; ის გარემოება, რომ კოლონიალიზმი – გლობალური გაგებით – პირველი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი და მეტად ღირებული ეტაპი გახლდათ და უდავოდ არაერთი სიკეთე მოუტანა ზანგებს, სულაც არ გვაძლევს უფლებას, დავივიწყოთ ის მოუშუშებელი ჭრილობები, ასე ხელაღებით რომ მივაყენეთ აფრიკულ სულს. ამიტომ, ბატონებო, ზნეობაზე ყბედობისას მეტი სიფრთხილე, თავშეკავება და დაფიქრება გვმართებს. ცხადია, ხსენებული სექსუალური კოლონიზაცია აბერაციების გარეშე ვერ ჩაივლიდა: ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „მწოველი ბიჭების“ ფრიად სამარცხვინო ფენომენი, რომელიც პირადად მე შავკანიანი მოზარდის სულიერ და ფიზიკურ განადგურებად მიმაჩნია. ამ მოვლენას საფუძვლად ედო შავი რასის ტოტალური იგნორირება, მათი ცხოველებად, ანუ არაადამიანებად მიჩნევა. გარწმუნებთ, ნებსით თუ უნებლიეთ ამ საძაგლობაში ჩათრეულთაგან ბევრი არც იყო ბუნებით მამათმავლობისკენ მიდრეკილი. ახლა ამერიკასაც უნდა გადავწვდე. საკმარისია, გაეცნოთ კლოდ ბრაუნის, კლივერისა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენის ავტობიოგრაფიებს, რომ მიხვდეთ: იმ ფსიქოლოგიური, მორალური თუ ეკონომიკური

პირობების გამო, რომლებშიც გეტოდან გამოსულ შავკანიან მოზარდს უწევდა ბრძოლა და განვითარება, იგი ნადგურდებოდა. არსებითად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომ დღეს მავანი და მავანი ზანგისგან ადვოკატი, პოლიტიკური ლიდერი ან მწერალი დადგა. ის მშფოთვარე და დაუდგრომელი ახალგაზრდობის წლებში სუტენიორი, ბოროტმოქმედი, ნარკოვაჭარი ან ნარკომანი იყო. იშვიათია ზანგი, რომელსაც გვარში დედის მხრიდან ერთი მეძავი მაინც არ ჰყოლია. ძნელად თუ გადაეყრებით ბავშვებს, რომელთა ბებიები თუ დიდი ბებიები თეთრკანიანებს თავიანთი მუწუკიანი ნაშიერების მამაკაცად ქცევის საპატიო საქმეში არ გამოეყენებინოთ. დღეს ვერ იპოვით ზანგს, რომელიც მშვიდად და აუღელვებლად არ აღიარებს, რომ დედამისი სხეულით ვაჭრობდა. სიმართლე თუ გნებავთ, მთავარი მეძავი ჩვენი თეთრკანიანი საზოგადოება გახლდათ. ამგვარ სიტუაციაში სუტენიორად გახდომა უბრალოდ შემგუებლობას, გადარჩენისთვის ბრძოლას, ყოვლისშემძლე თეთრი რასის მიერ დამკვიდრებული „დიქტატისადმი“ მორჩილებას ნიშნავს. როგორც ებრაელები იყვნენ განწირული მევახშეობისთვის, ისე შავკანიანები – მეძავობის, სპორტისა თუ ბოროტმოქმედებისათვის. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ამერიკაში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა ოთხი მეხუთედი შავკანიანებზე მოდის.

პარიზში მე ვეხმარებოდი რედს, როცა ტუბერკულოზით იყო ავად. რაც შეეხება ასაკს, ათი წლითაა ჩემზე უმცროსი. ძალიან მიყვარდა ეს ჭაბუკი, მასში ოკეანის მღელვარებასა და ბობოქრობას, საკუთარი ყმაწვილკაცობის სიშმაგესა და უსახლკარო-უსამშობლოსთვის ნიშნეულ დაუდგრომლობას ვგრძნობდი. ჩვენ ფაქტობრივად ერთნაირი ცხოვრებისეული გამოცდები ჩავაბარეთ. წარმოიდგინეთ, მეც მომიხ-

და ხანგრძლივი ბრძოლა გადარჩენისათვის. ძალიან სწრაფად დაეუფლა ფრანგულს, შესანიშნავად გაითავისა ჟარგონიც, თუმცა ამერიკულად კი უქცევდა, რაც ხშირად ღიმილს მგვრიდა. რედ, ძალიან კარგად მახსოვს 1957 წელს პიკასოს გამოფენაზე წარმოთქმული შენი წინასწარმეტყველური ფრაზა; პენიცილინით გაჭყეპილი – რისკიანი პროფესია მოითხოვდა! – უკანასკნელ ხმაზე გაჰყვიროდი: „ადრე თუ გვიან ახალგაზრდობა ზუსტად ისე მოეპყრობა საზოგადოებას, როგორც პიკასო რეალობას: ნაკუწებად აქცევს!..“ ყველაფერი ახდა. გაიხარე! რედის უფროსი ვაჟები ტყუპები არიან და ერთი ჩემს ბინაში ცხოვრობს, უფრო სწორად, მსახურის ოთახში იმალება.

ოდესმე შეგიმჩნევიათ, რომ თითქმის ვერ ნახავთ ტყუპ ზანგს? ამას სრულიად მარტივი მიზეზი აქვს: თქვენთვის ყველა ზანგი ტყუპია – ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ყველა ერთნაირი გეჩვენებათ.

ლოს-ანჯელესელი მეგობრების დახმარებით სამ საათზე უკვე მქონდა რედის პირადი ტელეფონის ნომერი. კომენდანტის საათი კი ვაშინგტონის მერის, მისტერ ვაშინგტონის ბრძანებით ხუთის ნახევარზე გამოცხადდა. დრო მქონდა და მასთან დაკავშირებას თავისუფლად ვასწრებდი. უმალ ვიცანი რედის თბილი, ლამის ცხელი, ხმა, რომლისთვისაც განვლილ წლებს ვერაფერი დაეკლო.

– აქ მარტო ვერ ჩამოხვალ, pale face – მკრთალსახიანო.

– რედ, სასწრაფოდ უნდა გნახო.

– აუცილებელია მაინცდამაინც ახლა?

– მაინცდამაინც ახლა. ამ წუთას არ შემიძლია, რაღაც განსაკუთრებული გითხრა, მაგრამ გიმეორებ, ეს მართლაც მეტისმეტად მნიშვნელოვანია.

– კარგი, ბიჭებს გამოგიგზავნი.

ამერიკული აქცენტი კიდევ უფრო გამძაფრებოდა, თუმცა პიგალიც აშკარად იგრძნობოდა.

ორ კოლოსთან შეხვედრას ველოდი. შევროლეთი კი ორი გაწრიპულ-გაძვალტყავებული მოზარდი მომადგა. რამდენის იქნებოდნენ ნეტავ? თხუთმეტ-თექვსმეტის? თუმცა ერთი შეხედვით გამცილებლებლად მაინც ივარგებდნენ: რამდენიმე ახალგაზრდა cat საწვავით სავსე ბოთლებით გამოექანა ჩვენკენ, მაგრამ იმწამსვე განზე გადგნენ, როგორც კი მოესმათ Soul Brothers – „მონათესავე სულები“ – სიტყვები, რომლებიც ახლა ამერიკაში ყველას პირზე აკერია. თავისთავად სიტყვა „სულის“ შეჭრა ამერიკელ შავკანიანთა ლექსიკონში ძალზე საინტერესოა. შავკანიანთა რადიოსადგური „სული“ – ხომ შავკანიანებისთვის მაუწყებლობს. „სულის მუსიკაც“ ნამდვილი შავკანიანთა მუსიკაა. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ რუსეთში 1860 წელს ბატონყმობის გადავარდნამდე, ყმებს „სულებად“ მოიხსენიებდნენ. „სული“ – ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო. გოგოლის „მკვდარი სულებიდან“ მოყოლებული, ერთი სული დაახლოებით 250 რუბლი ღირდა, ანუ ძველი კურსით – 25 ათასი ფრანკი. ძველ რუსეთში სასტიკად იკრძალებოდა ერთი ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. ამერიკაში სრულიად საწინააღმდეგო ხდებოდა: შავკანიან მონა ქალებს აუცილებლად დააცილებდნენ ოჯახს ან ბატონის ნება-სურვილის მიხედვით გასამრავლებლად ათხოვებდნენ; მოკლედ, ზუსტად ისევე ეპყრობოდნენ, როგორც ცხენსაშენში ან რემაში ჭაკებს. Soul Brothers, Soul Brothers... ყმაწვილები თავს გვანებებენ და მალევე ტოვებენ იქაურობას...

სახლი იწვის, მაგრამ კაციშვილი არ აქცევს ყურადღებას, სამაგიეროდ სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრში, მაღაზიის

ვიტრინის წინ დგანან ადამიანები და ტელევიზორის ეკრანზე გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ცეცხლის ალში გახვეულ შენობებს. რეალობა აქვეა, მათგან ორ ნაბიჯზე, მაგრამ მისი ცქერა ცისფერ ეკრანზე ურჩევნიათ. რახან შენთვის მისი ჩვენება გადაუწყვეტიათ, გამოდის, რომ ასე უფრო შვების მომგვრელია, ვიდრე ეს ალმოდებული სახლი. სახვითმა ხელოვნებამ უმაღლეს მწერვალს მიაღწია.

შავკანიანთა ამბოხებანი არც „ბელადებზეა" დამოკიდებული და არც პროვოკატორებზე, თუმცა ფედერალური სადაზვერვო ბიურო საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს. მათ სამი ფსიქოლოგიური ან სულაც სოციოლოგიური მიზეზი წარმოშობს. ჯერ ერთი, – ესაა საქმის არსი, რის სრულ იგნორირებასაც ცდილობდნენ ხელისუფალნი, – ახალგაზრდა შავკანიანმა არც კი იცის, რომ ის უმცირესობას განეკუთვნება. ცხოვრობს გეტოში კონცენტრირებულ ასეულ ათასობით თავის მსგავსს შორის, ხედავს მხოლოდ თავისი რასის თანამოძმეებს და საერთოდ ავიწყდება, რომ თეთრკანიანები რიცხობრივად აღემატებიან. მეორეც, აქ მომაკვდინებელი სევდაა გამეფებული. რომელ მოგზაურს არ უნახავს საკუთარი სახლების წინ მთელი დღის განმავლობაში კიბეებზე ჩამომსხდარი ათასობით უსაქმური შავკანიანი, სივიწროვე, არა სათამაშო მოედნები, არა გართობა, ულიმღამო უქმე დღეები, უმანქანობა, რაც ქალაქგარეთ გასვლის და ზაფხულში სულის მოთქმის ყოველგვარ იმედს სპობს.

მოლოდინი, მაგრამ საკითხავია, რის? ალბათ, განსაკუთრებული მოვლენის, ბედნიერი დასასრულისა. მოვლენის მოთხოვნილება იმდენად მწველი და დამპყრობელია, რომ ხანძარი სანახაობად, თვალისმომჭრელ წარმოდგენად გარდაიქმნება. Burn, baby, burn! – იგიზგიზე, პატარავ, იგიზგიზე! ცეცხლი

მყისიერად იძენს იმ მნიშვნელობას, რომელსაც კაცობრიობა მას უხსოვარი დროიდან ანიჭებდა და დღესაც ანიჭებს: წარმოდგენა! რომელ ჩვენგანს არ ჰქონია კმაყოფილებისა და თავისუფლების წუთები ცეცხლის თუნდაც საკუთარ ბუხარში ცქერისას? ახლაც ცეცხლი ჯერ „თეთრ“ მაღაზიას წაუკიდეს, მაგრამ გიზგიზებენ შავკანიანთა სახლები, მათი გასაცოდავებული და უბადრუკი სადგომები. თუმცა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ვისი სახლი იწვის. „სულის შეკუმშვა-გაფართოება“, სასოწარკვეთა, ზიზღი, ფრუსტრაცია, უპოვრობა და გამოუვალობა ხშირად აქცევს კაცს მორიელად, რომელიც საკუთარ თავს ერჩის და უმოწყალოდ კბენს. ეს სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი აუტოდაფეთი ტკბობა. ამერიკელ შავკანიანთა, მათი ელიტისა და ლიდერების მთავარი პრობლემა ის ზიზღი და სიძულვილია, ხშირად შავები თვით შავებს რომ აღუძრავენ. ამგვარ დამოკიდებულებას მხოლოდ ერთი რამ კვებავს – საერთო ბედ-იღბალი და ერთ უღელქვეშ ყოფნა. იმისათვის, რომ ცხოვრების ამაოებასა და უდროობის განცდას გაექცეს, აფრიკელს სძინავს ისე, როგორც აქამდე არავის სძინებია. ძილი კლავს ცარიელ დროს. ჩვენ გავკილეთ და ბევრი ვაკრიტიკეთ თანამედროვე თუ გასული აფრიკული ომების თანამდევი წამება და ხოცვა-ჟლეტა: მსხვერპლი ტკივილისაგან რომ იკლაკნება, უწინარეს ყოვლისა, სანახაობა და გართობაა. არაჩვეულებრივმა ფილმმა „შიშველი მსხვერპლი“ (სხვათა შორის, სრულიად უმართებულოდ დასდეს რასიზმში ბრალი!) გაბედა და ეს ყველაფერი თვალნათლივ დაგვანახვა: თიხაში ამოვლებული და გროტესკულად შამფურზე წამოგებული და გოჭივით შებრაწული თეთრკანიანი საყოველთაო მხიარულების საბაბი გამხდარა. ეს, უპირველეს ყოვლისა, სპექტაკლია, Living Theater, მხოლოდ ერთ რამეზე

მეტყველებს და, სამაგიეროდ, გვამცნობს წმინდა წყლის ჭეშმარიტებას: როგორც აფრიკელი შავკანიანი, ასევე შავკანიანი ამერიკული გეტოდან ერთნაირად იტანჯებიან კულტურის უკმარისობისგან...

რედის ბინაში ათიოდე ადამიანს მოუყრია თავი; ძირითადად აფრიკულ სამოსში გამოხვეულ უპარიკო ქალებს. ამერიკაში ცხოვრების ბოლო ათი წლის მანძილზე, სიმართლე გითხრათ, უპარიკო შავკანიანი ქალი არც შემხვედრია. მე მიყვარდა შავკანიანი ქალები და აზრადაც არ მომდიოდა, რომ მათი არაჩვეულებრივი სწორი თმა ჰონკონგის გავლით აზიიდან იყო ჩამოტანილი. თაობების მანძილზე – და ახლაც კი – შავკანიანი ქალების მთავარი უბედურება მათი ხუჭუჭა თმა იყო, „ნორმალურად რომ ვერც კი შეხედავ“.

ირონიანარევი მიღება მომიწყვეს. ჰაერში სიამაყის სუნი ტრიალებდა, იგრძნობოდა შეკრებილთა დამცინავი მფარველობის სურვილიც: ასე ღებულობენ ხოლმე დაბნეულ სამოქალაქო პირს ფრონტის წინა ხაზზე გამართულ სასადილოში. რედიც ჩემი მოსვლიდან ათი წუთის თავზე გამოცხადდა. ის ახლა ორმოცდაექვსი წლის მამაკაცია. ოცწლიანი ბრძოლის კვალი სახეზე ოდნავ ეტყობა. ისევ ისეთივე ბრგე, ძლიერი და მხარბეჭიანია, როგორიც ყმაწვილკაცობაში იყო. მისი აღნაგობა შავკანიანთა მიერ საუკუნეების მანძილზე დაღვრილ ოფლს, მძიმე ჭაპანსა და ფიზიკურ ცვეთას მახსენებს: manpower – „ადამიანური მასალა“... ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ასეთი ადამიანი, მიუხედავად განიერი დაკუნთული მხრების და ლოდივით ტორსისა, ერთი შეხედვით ჩია და უსუსური გეჩვენება: რედის სახის ნაკვთებს სიმკვეთრე და სინატიფე დაჰკარგვია, მაგრამ არ გადასწორებია; არც ქონი მოჰკიდებია, უბრალოდ ახლა შეცვლილი სტრუქტურის კუნთები-

სა და ძვლების წყობით განპირობებულ გამომეტყველებასა და მიმიკის სიმკვეთრეზე შეიძლება ლაპარაკი. რედი აღელვებულია. მისმა მეუღლემ დღე-დღეზე უნდა იმშობიაროს, შიშობს, მეამბოხეებმა კლინიკას ცეცხლი არ წაუკიდონო.

– გესმის? ამაზე ადვილი არაფერია. ძაღლები გადაბუგავენ კლინიკას და მერე ყველაფერს ჩვენ დაგვაბრალებენ...

რედი ისევ გამართული ფრანგულით ლაპარაკობს. როგორც იტყვიან, ჟანგი ჯერ არ მოჰკიდებია.

– რას ამბობ, რედ, ასეთ უმსგავსობას როგორ ჩაიდენენ?

– შეიძლება არ ჩაიდინონ, მაგრამ აზრი თავისთავად დაუშვებელი როდია. ასე არ არის?

– ცხადია, ამ აზრს აქვს არსებობის უფლება...

რედი გაღიზიანებულ მზერას არ მაცილებდა. „თუ აზრზეა ლაპარაკი, შენი აზრი ნამდვილად აზრია", – უპასუხა ჩემმა შინაგანმა ხმამ. გაცვეთილ სავარძელში ჩავჯექი. ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ შეიძლება აზრები დამებადოს.

– თქვენ თვითონ რომ წაგეკიდებინათ კლინიკისთვის ცეცხლი და მერე გეთქვათ, ეს პოლიციის მოწყობილი პროვოკაციაა?

– ასეთი რამ დასაშვებია, თუ კლინიკა თეთრებისა იქნება.

რედმა სიგარეტის კოლოფი გამომიწოდა. „გოლუაზი". ორივეს სიცილი აგვიტყდა.

– ბავშვს როდის ელოდებით?

– Any time. წუთი წუთზე... ეს ჩემი მეორე ცოლია და მეთორმეტე შვილი... გაჩერებას ჯერჯერობით არ ვაპირებ.

რედმა ცეცხლი გამომიწოდა.

– იცი, შავებისთვის თეთრების გაკუზვის საუკეთესო საშუალება სულის ამოხდომამდე ჟიმაობაა. ეს დიადი ბრძოლაა. ახლა ჩემი მთავარი მოვალეობაა, ავუკრძალო საკუთარ ცოლს

კონტრაცეპტივების ყლაპვა. გიმეორებ, რაც უფრო მეტს გავ-ჟიმავ, მით უფრო ადვილად გაიჟიმებიან ისინი. ჩვენ ჩავატა-რეთ სტატისტიკური კვლევები და ყველაფერი ზედმიწევნით გამოვითვალეთ: თუ ამ საქმეს არ შევეშვებით, ათი წლის თავზე ჩვენ ორმოცდაათი მილიონი, ანუ მოსახლეობის მეოთხედი ვიქ-ნებით. მეძავებსაც კი უნდა აეკრძალოთ დიაფრაგმების ჩადგმა და ყოველგვარი კონტრაცეპტივები. ათი წლის შემდეგ კი...

– ამას სასოწარკვეთა ჰქვია, – ჩავერიე მე.

რედმა გაკვირვებული მზერა მომაპყრო:

– ზანგი, რომელიც სასოწარკვეთილი არაა, დაღუპული ზანგია.

მართალია, ინგლისური სიტყვა desperate უფრო ახლო დგას გაშმაგებულთან, გაცოფებულთან, ვიდრე სასოწარკვე-თილთან. აი, სწორედ ამის გამო მომეფონა ცოტათი გულზე.

– პრობლემას გინდა აქედან შეხედე, გინდა იქიდან, რამ-დენიც არ უნდა ატრიალო წალმა-უკუღმა, გამოსავალი მხო-ლოდ ერთია: ან გენოციდი, ან სიყვარული.

– შავკანიანთა პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა თეთრკანიანი ქალების ფეხებს შორის გადის.

– და რატომ პირიქით არა?! თეთრკანიანთა პრობლემე-ბის გადაწყვეტის გზა შავკანიანი ქალების ფეხებს შორის რომ გადიოდეს?

– ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. ამ ოთახში ხე-დავ ვინმეს, ვის ძარღვებშიც თეთრის სისხლი არ ჩქეფს? ამას არანაირი ანტიბიოტიკი არ შველის, განუკურნებელია, მაგ-რამ დღეს ეს ყველაფერი ძალზე ბუნდოვანია. სექსუალურობა ისეთი უმწეო, როგორც დღესაა, არასდროს ყოფილა. მას არ შესწევს ძალა, გადალახოს ბარიერები. რაც მართალია, მარ-თალია.

რა პარადოქსულადაც უნდა მოეჩვენოს კაცს, რაც უფრო ლიბერალი ხარ, მით უფრო მდგრადი და ურყევია შენი იდეოლოგიური მრწამსი და შეხედულებები. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, შავკანიანი ხარ თუ თეთრკანიანი, ქალი თუ კაცი. ხარ ასეთი – მით უფრო გაურბიხარ რასათშორის სექსუალურ ურთიერთობებს და პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებ იმ რასისტებს, დუჟმორეულები რომ ამტკიცებენ, შავკანიანთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში თეთრი ქალების წვლილი მხოლოდ „სექსუალური აღვირახსნილობით“ ამოიწურებაო; ასეც რომ იყოს, კონტრაცეპტივები და სპირალები საერთოდ გამორიცხავს ამგვარი „წვლილის“ გენეტიკურ მომავალს. რასათა აღრევა უწინ ძირითადად შავკანიანი ქალების ნამუსზე იყო. დღეს კი მე ვიტყოდი, რომ თეთრკანიანი ქალები უფრო აწყდებიან ზანგებს, ვიდრე შავკანიანი ქალები – თეთრ მამაკაცებს. ყველა სიკეთესთან ერთად მხედველობიდან არ გამომრჩენია ერთი მეტად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, გულისამაჩუყებელი და ამაღელვებელი გარემოება: როცა შავკანიანებს თეთრ სისხლზე ჩამოუგდებ ლაპარაკს, რომელიც მათ გვარში არაერთის ძარღვებში ჩქეფს, იშვიათად თუ წამოსცდება ვინმეს, ბაბუა თეთრკანიანი მყავდაო. უცდომლად აკერიათ პირზე „ბებიაჩემი (ან დიდი ბებია) თეთრია“. რატომ? რა სევდის მომგვრელი ხარ, ჭეშმარიტებავ და რა უგუნური და უმეცარი შეიძლება იყო ხანდახან, ფსიქოლოგიავ! არც ერთი ახალგაზრდა შავკანიანი არ ისურვებს, აღიაროს, რომ დედამისმა „თეთრკანიანს მისცა“, სამაგიეროდ იმის ხმამაღლა აღიარება, რომ თეთრმა ქალმა ბაბუამისს აუწია ფეხები, მათ განმაიარაღებელ კმაყოფილებას ჰგვრის... საკუთარი სისხლის მიერ სიკვდილის შემდგომი შურისძიება – აი, რა ხდება მათ თავს.

მოულოდნელად რედმა მხრებზე ხელი მომიტყაპუნა.

– წარმოგიდგენია? ალბათ ერთი საათი იქნება, რაც ვკინკლაობთ და ნორმალურად არც კი გავსაუბრებივართ ერთმანეთს.

რედმა მხრები აიჩეჩა.

– საშინელებაა, არა?

– კი, გეთანხმები.

დღეს ამერიკაში ძალზე კურიოზული ვითარებაა: როგორც კი თეთრკანიანი და შავკანიანი შეხვდებიან ერთმანეთს, მაშინვე კანის ფერზე იწყებენ საუბარს და არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად სერიოზული და ღრმაა მათ შორის მეგობრული ურთიერთობა. რალფ ელისონმა თავის აღიარებულ წიგნებში ამერიკელი შავკანიანი „უჩინარ კაცად“ მონათლა. საკითხავია, რატომ გახდა ის დღეს ხილული? ხომ არ მალავს ერთგვარი გაგებით ეს მარად მზარდი ხილულობა ჩვენს ინდივიდუუმს? უცნაური შემობრუნებაა საწყისი წერტილისკენ. უწინ ამერიკელი შავკანიანი მთლიანად კანის ფერამდე იყო დაყვანილი, რადგან თვითონ ფაქტობრივად არც არსებობდა. დღესაც იგივე ხდება. მისი ფერი არავის დავიწყებია. სამაგიეროდ ის არსებობს, შედგა როგორც შავკანიანი. სხვათა შორის, აქედან იშვა ახალი სოციალური ფენომენი: „პროფესიონალი ზანგი“. ის „თეთრ“ წრეებში საკუთარი კანის წყალობით არსებობს.

რედს ვუთხარი, მეი ავად გაგვიხდა-მეთქი. რაც ვაშინგტონში ჩამოვედი, თითქმის ყოველდღე ვურეკავ ბევერლი ჰილზში მოსაკითხად.

– ალბათ, მალე მოკვდება... ისე სევდიანად კნავის ტელეფონში...

რედმა გულიანად იცინა.

– ოდესმე გინახავს, კატა მხიარულად კნაოდეს? მე – არა!

ბედნიერი ვარ, რომ ამ შუაგულ ძალადობაში, როცა მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობიდან რამდენიმე საათი იყო გასული, რედმა არ მომახალა:

– აი, ყოჩაღ, მომიკალი გული, მელაპარაკე შენს სიამის კატაზე, თან დროც რა კარგი შეარჩიე!

ზურგს უკან აფეთქების ხმა გაისმა: ერთმა ზანგმა ბოთლი პირდაპირ ტელევიზორს გაუქანა მთელი ძალით. აპარატმა ცოტა ხანს იხიხინა, იხროტინა და ბოლოს სული განუტევა.

– The bastards – ნაბიჭვრები!

ცამდე მართალია. ახლა კი იღვრება კინგის ქება-დიდება ყოველი კუთხე-კუნჭულიდან. არადა სულ რაღაც თვე-ნახევრის წინ ფედერალური სადაზვერვო ბიუროს მარადმა მესვეურმა ედგარ ჰუვერმა პრესის ჟურნალისტების წინ „დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი ცრუპენტელა“ უწოდა. მარტინ ლუთერ კინგის ტელეფონს მაშინდელი იუსტიციის მინისტრ ბობ კენედის საგანგებო ბრძანების საფუძველზე ფედერალური ხელისუფლება 24 საათის განმავლობაში ისმენდა: ახლა კიდევ ის „დამწუხრებული“ ვაჟბატონი კუბოს მისდევდა გარდაცვლილის ქვრივის გვერდით. თვე-ნახევრის წინ პოპულარობის მწვერვალზე მყოფმა შავმა ოპოზიციონერებმა კინგს coon უწოდეს, რაც უფრო დამამცირებელია, ვიდრე nigger. ბევრი მიიჩნევდა, რომ არაძალადობის მოციქულის საქმეს საბოლოო წერტილი დაესვა, თვითონ კი სამარადჟამოდ „დასამარდა“. მაგრამ, არა! კინგის სიკვდილი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ის მკვდრეთით აღმდგარიყო. ისე, ტელევიზია ნამდვილად ამაზრზენია: თეთრი და შავი სიფათების ეს უსასრულო პარადი, ყალბი დითირამბების გალობა იმ ადამიანისათვის, ვინც პირველმა გაბედა, ბრბოში ეყვირა: Black is Beautiful – „შავი მშვენიერია!“, დიქტორების დამწუხრებული მგლოვიარე ხმები,

რადიოდან, ტელევიზიიდან, პრესის ფურცლებიდან გადმოღვრილი გულისამრევი ვარდისფერი ამბები – ეს სხვა არაფერია, თუ არა დანაშაულის აღიარებითა და მონანიებით საკუთარი სინდის-ნამუსის გაყუჩების და მისთვის სალბუნის დადების ძველისძველი მეთოდი. ასეთი ფარისევლური პატივის მიგება სიკვდილის შემდეგ არასოდეს მინახავს. არადა სულ ორი დღის წინ ამ კაცს ლაფს ესროდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა.

მე მაინც ყველას იმ ჩათლახი თეთრკანიანი ქალის ხმამაღლა ცინიკურად ნათქვამი მირჩევნია, მკვლელობის შემდეგ სასტუმროს ჰოლში რომ მოვკარით ყური: „ესეც ასე, როგორც იქნა, კარგი საქმე გაკეთდა!“ – A good job well done.

რედი თვალ-ყურს ადევნებდა მოზარდებს, რომლებიც წინ და უკან დაძრწოდნენ ბენზინით სავსე ბოთლებით.

– რა ტაქტიკა გაქვთ ამჟამად?

რედმა თავი გაიქნია.

– ტაქტიკა არ არსებობს. ყველაფერი სპონტანურად, თითქმის გაუაზრებლად ხდება. ჩვენი ხალხი მუდმივი პროვოკაციის მოლოდინში ცხოვრობს: მდიდარი და უზრუნველი თეთრი ამერიკა ყოველგვარ უფლებებსა და ყიდვის საშუალებას მოკლებულ ჯიბეგაღლეტილ შავკანიანთა ოცმილიონიანი არმიის პირისპირ; შენ, ალბათ, ფიქრობ, რომ ჩვენ მოვაწყვეთ უოტსში ამბოხი, რომელმაც ოცდათორმეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ნამდვილი ორგანიზატორები კი თეთრი კომერსანტები არიან, საქონელს 30 პროცენტით უფრო ძვირად რომ ყიდიან ღარიბების უბნებში, ვიდრე მდიდრებისა... ჩვენ საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც ვერ ვსარგებლობთ. თვალს ვერსად მოჰკრავ ავტობუსს... ასე რომ, თუ ზანგს მანქანა არა ჰყავს, ვერც სამსახურში მოხვდება, თუკი, რა თქმა უნდა, ბედმა გაუღიმა და ასეთს ხელი გამოჰკრა.

– შენ?

– ვიეტნამში წასვლის მსურველებს ვაგროვებ.

რედს ნათქვამს ვერ მივუხვდი, თუმცა პირიქით კი უნდა მომხდარიყო, რადგან აბსურდულობა დღევანდელი შავკანიანი საზოგადოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. როგორც ჩანს, ამ ჯერზე კონტაქტი დავკარგე რეალობასთან, ან სულაც აბსურდულობასთან; თუმცა მათ შორის მე განსხვავებას ვერ ვხედავ.

– რედ, რაებს ბოდავ?

– გიმეორებ, ვიეტნამის ომში წასვლის მსურველ ზანგ ბიჭებს ვაგროვებ-მეთქი.

რედს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ სახეზე შიში აღმებეჭდა. და თავის კანტურით დამიდასტურა:

– არაფერიც არ მოგესმა, ნამდვილად ასეა.

ერთ წუთს ორივე ვდუმდით. სიჩუმე პირველმა მე დავარღვიე.

– მერე ვიეტნამელებს რა ბედი ეწევათ?

– ახლავე მოგახსენებ: ამ მომენტში ვიეტნამელების ბედ-იღბალი მაგრად მკიდია. სანამ ომი გრძელდება, ჩვენი ძმები მარტო შავკანიანები არიან. ჩვენი საფიქრალიც აბა სხვა ვინ უნდა იყოს? ყველა დანარჩენს გავკარი. ერთ რამესა აქვს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა: ვიეტნამის წყალობით ჩვენ გვეყოლება პარტიზანული ომისთვის შესანიშნავად გაწვრთნილი სამოცდათხუთმეტი ათასი შავკანიანი. ამერიკის მთავარსარდლობის ტაქტიკა, სურს მას ეს თუ არა, საბოლოო ჯამში სხვის ტერიტორიაზე შეჭრის, ჯუნგლებსა და ქუჩებში სამარი მოქმედებების წარმოების მეთოდებს გულისხმობს. ეს შავკანიანი ჯარისკაცებისგან დაკომპლექტებული პროფესიონალური არმიის შექმნამდე მიგვიყვანს. ყველაზე მოკრძა-

ლებული გათვლებით ეს, სულ მცირე, ორმოცი ათას „საკადრო ერთეულს“ მოგვცემს. მოგვიანებით ყოველი მათგანი იზრუნებს აქ მეომართა საკუთარი ჯგუფის ფორმირებაზე. ახლა მიმიხვდი, ალბათ, რატომ ვეძახი „მოღალატეებს“ იმათ, ვინც ჩვენს ბიჭებს ომში წასვლაში ხელს უშლის. თუ ვიეტნამში ომი ახლავე დამთავრდება, ვერ წარმოიდგენ, რა კატასტროფა იქნება ეს ჩვენთვის. ყველაფერს რიგიანად თავი რომ მოებას, მინიმუმ სამი-ოთხი წელი მაინც იქნება საჭირო.

– მერე, მერე...

– შემდეგ ეს უბრალოდ წმინდა წყლის მეტაფიზიკაა.

რედი ერთხანს ორჭოფობამ შეიპყრო.

– თუმცა, რატომაც არა. გეტყვი, რა მოხდება შემდეგ. ის, რასაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ – და ეჭვი არ შეგეპაროს, უსიკვდილოდ მივაღწევთ – უბრალო წარმოსახვის საზღვრებს სცილდება: შავკანიანთა დამოუკიდებელ, ოცდაათი წლის მანძილზე მაინც მთლიანად თეთრების მიერ დაფინანსებულ სახელმწიფოს. უიმათოდ დასაწყისში ჩვენ უბრალოდ თავს ვერ გავიტანთ; წარმოგიდგენია, იძულებული ვართ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვებრძოლოთ თეთრებს, რომელთა გარეშეც თავს ვერ გავიტანთ...

როცა ძველი მეგობარი, მაგალითად ისეთი, როგორიც რედია, ჰიმნებს უგალობებს ახალ აფრიკულ რესპუბლიკას, რომელიც, სავარაუდოდ, ხუთი, თეთრებისათვის ძალით წაგლეჯილი სამხრეთული სახელმწიფოსაგან იქნება შემდგარი და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ლიკვიდაციისა და ასი მილიონი მოქალაქის ამოჟუჟვის შემდეგ წარმოიქმნება, შეუძლებელია, ამან არ დაგაფიქროთ ზომიერთა „იძულებით“ გააფთრებასა და ფანატიზმის აბობოქრებაზე.

მე ვთქვი:

– მიდი ეგ სხვებს მოუყევი. შენი ახალი აფრიკული რეს-პუბლიკა თეთრებზე ზეწოლისა და წნეხის საშუალებად თუ გამოდგება. ეს არის და ეს. წერტილი.

– სხვა გამოსავალს ხედავ?

– კი...

ისინი პარიზში დავტოვე, მსახურებისთვის განკუთვნილ ორ კეთილმოწყობილ ოთახში: ამერიკელი ახალგაზრდა შავ-კანიანი და თეთრი, ქათქათა ნორჩი ფრანგი ქალი. ჭაბუკი რედის ერთ-ერთი ვაჟია, უკვე შეუსრულდა ოცდაორი წელი. გერმანიაში დაბანაკებული ამერიკული არმიის ნაწილიდანაა გამოქცეული. მოკლედ, დეზერტირია, მაგრამ იმიტომ კი არა, რატომაც მისმა ბევრმა თანატოლმა არ ისურვა ვიეტნამის ომში წასვლა; ის სიყვარულის გამო გახდა დეზერტირი. ვის-ბადენში ბალარი ერთ ტანმორჩილ ფრანგ გოგოს გადაეყა-რა, რომელიც გერმანელების ოჯახში ბავშვების მომვლელად მუშაობდა და დღე-დღეზე პარიზში აპირებდა დაბრუნებას. განშორებიდან ორი თვის თავზე ბალარი არმიიდან გამოიქცა. ახლაც თვალწინ მიდგას ბალარი. საწოლზე ჩამომჯდარა, შიშ-ველ მკერდზე ჰიპების მედალიონი აქვს ჩამოკონწიალებული. სანამ მე და რედი ვდუმვართ, მისი ხმა მკაფიოდ ჩამესმის. სი-ჩუმე თითქოს დამცირებული ჭეშმარიტების ხმებითაა სავსე.

– Fuck them all – ერთი მაგათი...

ამას იმეორებს ველური ღვარძლით, რომელიც ადამიანს უხსოვარი დროიდან უჩნდება ყველა დაუნდობელი კანონის წინააღმდეგ და ამით საკუთარ ხელ-ფეხზე თვითონ იდებს ბორკილებს, როცა ბუნების კანონები ისედაც უწყალოა მის მიმართ.

– Fuck them dead – ძაღლი მიაკვდათ სულში; ჯერ ერ-თი, არანაირი სურვილი არა მაქვს, ყვითლები ვჟლიტო, იმათ-

ზე ხელი გავივარჯიშო და მერე თეთრებზე ვიყარო ჯავრი. ამისკენ მარტო იმიტომ მიბიძგებენ, რომ ზანგი ვარ. მე კანის ფერთან ნუ გამაიგივებთ, სხვა ღირსებებიცა მაქვს.

სიგარეტი ფანჯარაში მოისროლა.

– ამას გარდა, ბავშვი ჩავუსახე.

მადლენი ფანჯარასთან ახლოს ბაკში ჭურჭელს რეცხავს. კანის ფერი მქრქალი აქვს – „მზის ჩრდილს“ დავარქმევდი, თუ ამგვარი რამის წარმოდგენა შესაძლებელია, თხელი მაჯები და წვივები, სქელი თმა. ერთი იმათგანია, ვინც ასე გაგიჟებით უყვარდა კამიუს.

მადლენის მშობლები ტულუზიდან რამდენიმე დღის წინ ჩამოსულიყვნენ. იქ რესტორანი ჰქონიათ. ჩრდილოეთ აფრიკაში დაბადებული ფრანგები იყვნენ, „შავფეხიანებს“ რომ უწოდებენ, გვარად სანჩესები, ოვერნთანაც იყვნენ ნათესაურად დაკავშირებული. ეს პატიოსანი ხალხი არავის გაუფრთხილებია, რომ ბალარი შავკანიანია.

ჩემთან მივიპატიჟე და ავუხსენი, ასე და ასე, ბალარი ზანგია-მეთქი.

– აი თურმე რაში ყოფილა საქმე, – წამოსცდა მამას.

ოქროს კბილებით პირსავსე დედა, რომელსაც სახეზე ნერვიული ღიმილი დასთამაშებდა, რატომღაც არც გაკვირვებული ჩანდა და არც თავზარდაცემული.

შემდეგ მადლენის მამამ წარმოთქვა ფრაზა, რომელმაც კანის ფერს ჩვენს საუბარში იოტისოდენა ადგილიც კი არ დაუტოვა.

– ჩვენ ვისურვებდით მის ნახვას.

როგორც წესი, ჩვენთანაც, ისევე როგორც ამერიკაში, სავსებით საკმარისია სიტყვა „ზანგის“ წარმოთქმა იმისათვის, რომ ადამიანზე სრული წარმოდგენა შეიქმნას. როგორც ჩანს,

იმ ალჟირელ ფრანგებს გული იქ უცემდათ, სადაც საჭიროა. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და ერთადერთ რამეზე შეწუხდნენ – ბალარის დეზერტირობაზე;

– ამას საკუთარ ქვეყანას ვერ ვაკადრებდი, – განაცხადა მესიე სანჩესმა, რომლის გვარიც სინამდვილეში სულ არ იყო სანჩესი.

ბალარს გაუბედურებული ადამიანის იერი დასდებოდა. ვგრძნობდი, ცოტაც და დიალექტების ამ მაგმაზე ფეხი დამიცურდებოდა და დაბნეულობისა და არეულ-დარეულობის მორევი ჩამითრევდა. ალჟირიდან განდევნილი ევროპული წარმოშობის ფრანგები ახალგაზრდა ამერიკელ შავკანიანს უჩიჩინებდნენ, პატრიოტი უნდა იყოო; ამ დროს ზანგების ერთი ფრაქცია დამოუკიდებელ სახელმწიფოს ითხოვდა, მაგალითად ისეთს, როგორიც ალჟირია.

– ამნისტია გამოცხადდება, – ჩავერიე მე, – როგორც კი ომი დამთავრდება...

– მაგრამ მანამდე?

– მე მოვუგვარებ საბუთებს.

...მე და რედი ხმას არ ვიღებთ. ნუთუ ისე გამიშვებს, რომ არაფერს მკითხავს? თავის ვაჟს კი არ მიუტევა, რომელმაც უარი სტკიცა, ვიეტნამელების ტყავზე „გაწვრთნილიყო“, რომ შემდეგ ამერიკაში დაბრუნებულიყო, მოემზადებინა „ძმები“ და პარტიზანული ომი გაეჩაღებინა „შავი ხელისუფლების“ დასამყარებლად. ღვარძლი, რომელიც ბალარის წინააღმდეგ უგროვდება, დიდად არ განსხვავდება იმ დამთრგუნველი „სირცხვილის“ გრძნობისგან, რომელიც იპყრობს იმ უკვე დაფეხვილ მეომრებს, რომელთა ვაჟებიც კატეგორიულ უარს ამბობენ ომში წასვლაზე.

– ფილიპისგან ისმის რამე? – ვარღვევ სიჩუმეს.

რედს სახე დაუწყნარდა, ნაკვთები გადაუსწორდა. ჯერ გაიღიმა, შემდეგ კი შეეცადა, მოძალებული სიამაყის გრძნობა სიცილით დაემალა.

– თავის საქმეს სწავლობს. ორ წელს ფლოტში დაყოფს, შემდეგ კი ელიტარულ კორპუსში გადაიყვანენ. „მწვანე ბერეტები“ გაგიგია? აი, ისეთი იქნება...

ცოტათი თავბრუ დამეხვა: აბსურდულობამ, შმაგმა პარადოქსულობამ, ამ „ამაყი მამის“ ალოგიკურმა ბოდვამ, რბილად რომ ვთქვა, ძალიან გამაღიზიანა; ჩემი გაღიზიანება მეტად მტკივნეული იყო, მაგრამ მის რომელიმე მხარეს მიმართვას სულაც არ ვაპირებდი. მიზანში ჩვენ გარდა ვერავის ამოვიღებდი. განსხვავებული იდეოლოგიები დღეს სულ უფრო და უფრო მზარდი თავგამოდებით იკვლევენ არა ჩვენი საზოგადოების მოწყობის ფორმებს, მის ნიშან-თვისებებსა და ზნებუნებას, როგორც ეს თვითონ ჰგონიათ, არამედ ჩვენი ტვინის სტრუქტურასა და მისი ფუნქციონირების მექანიზმებს.

დიდი ხანია, მივხვდი, რომ ჩვენი გონება იმ აბერაციების სამსახურშია, დაბადებიდან რომ მოგვდგამს. ბევრს ეს არცა აქვს გააზრებული; როცა რედს შევცქერი, მხოლოდ ერთი დასკვნა გამომაქვს – მის ანთებულ გონებას გადაუდებელი შველა და მკურნალობა სჭირდება. მის სიამაყეს საზღვარი არ ექნება, თუკი მისი ვაჟი დაჰკრავს ფეხს და ვიეტნამში წავა საომრად. ამაყობს იმითაც, რომ მეორე ვაჟი „ვალდებულებას“ ელიტარულ კორპუსში იხდის. ეს შესანიშნავი მებრძოლი ერთ მშვენიერ დღეს იარაღს აისხამს, ბელადი გახდება და დღევანდელ თავისსავე თანამებრძოლებს დაცხრილავს; არც იმათ დაინდობს, ვინც ის სხვის წინააღმდეგ წარმოებულ ომში გახედნა. ეს ფანტასმაგორიული ხატებანი, სისხლიანი აბსტრაქცია და თავდავიწყება მხოლოდ გეტოს მარწუხებში

მოქცეულმა, გამოუვალობითა და განწირულობით დასნეულებულმა ფსიქიკამ თუ შეიძლება შვას...

ირგვლივ მიმოვიხედე. კიდევ ერთხელ შევათვალიერე გარშემო მყოფთა სახეები, აფრიკული სამოსი. ამ ნიღბებისა და აღკაზმულობა-მორთულობის ქვეშ იმალება ყველაზე ამერიკული, რაც ამერიკაში შეიძლება არსებობდეს: შავკანიანები... იდეალიზმისა და მიამიტობის ნარევი, ოდესღაც ასე რომ განასხვავებდა და მიმზიდველს ხდიდა „ამერიკულ ოცნებას".

ერთი სული მაქვს, სიმართლე მივახალო ყველას პირში. მხოლოდ მე ვიცი ჭეშმარიტება რედის გმირი ვაჟის, შავკანიანთა მომავალი ჯანყის ერთ-ერთი ბელადის შესახებ... კარგი, ჯანდაბას, იყოს გმირი... ვაღიაროთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გმირია. Sure thing, he is a hero, all right... მაგრამ უფლება არა მაქვს... მე შევპირდი. ეს იქნებოდა უკვე გაბზარული მეგობრობის სრული განადგურება. რედი ურწმუნო თომასავით არც ერთ შემთხვევაში არ შეისმენდა ჩემსას.

პარიზში ფილიპის მიერ ძმისთვის გამოგზავნილ რამდენიმე წერილს გავეცანი.

ერთი ახლაც წინ მიდევს. 1967 წლითაა დათარიღებული. იმხანად ბალარი ჯერ კიდევ გერმანიაში მსახურობდა. აი, რა გამოვიდა თარგმანისგან: „ხმები მომივიდა, რომ ზოგიერთები გარბიან. აქ დეზერტირების შესახებ ჯერჯერობით არაფერი მსმენია. ერთსაც კი არ ვიცნობ. ვინ იქნება ცხვირმოუხოცავი ახალბედების გარდა, იარაღის დანახვაზე რომ კანკალებენ და ქვეშ იფსამენ. მოკლედ არაფრის ტრაკი არა აქვთ. They have no guts. აქ ჩვენთან მარტო მოხალისეები არიან, ტიპები, რომლებსაც ომი სწყურიათ და არა ვიღაც ცინგლიანი სამოქალაქოები".

მოკლედ რომ მოვჭრა, ფილიპს არმიაში დარჩენა, ოფიცრობა და სამხედრო კარიერის გაგრძელება აქვს გადაწყვეტი-

ლი და ეს ბალარისადმი გაგზავნილ ყოველ წერილში იგრძნობა; არ ვიცი, თავიდან რა გეგმები უტრიალებდა თავში, მაგრამ ამჟამად ერთი ნათლად გამოიკვეთა: ვიეტნამელების ხოცვის წყალობით ზანგმა ადგილი დაიმკვიდრა ამერიკულ საძმოში. ეს ნორმალურია – ძმობა. ყველას ესმის, რას ნიშნავს. გასაგებია, რომ ძაღლების მოსაშენებლად არ შექმნილა. იმათ, ვისაც ჩემსავით წლების განმავლობაში უხოცია, იციან, ძმობა მხოლოდ ბრძოლებში იკვრება, მყარდება და იფურჩქნება. უცხოურ ლეგიონებში არც ფრანგები ირიცხებოდნენ და არც ალჟირელები, არც ებრაელები, შავკანიანები და ბერძნები... არამედ მხოლოდ მკვლელი ძმები და მოკლულნი.

იშვიათად თუ გავმსჭვალულვარ რედის მიმართ ისეთი სიბრალულით და სითბოთი, როგორც მაშინ, როცა, სიამაყით შეპყრობილი, ყვებოდა საკუთარ ვაჟზე, რომელიც სადღაც იქ, აზიაში „სამხედრო საქმეს“ ეუფლებოდა, რომ მერე – რა იცი, რა ხდება – მისგან „შავი ძალების“ ჩე გევარა დამდგარიყო...

– ის მამაძაღლი კი არ მწერს წერილებს, – თქვა მან, – ალბათ ძალიან დაკავებულია. ამას გარდა, სამხედრო ცენზურაც ხომ არსებობს? ყოველ შემთხვევაში, რასაც ფიქრობს, თავისუფლად ვერ დაწერს... სასწრაფოდ ჩამოაშორებდნენ საბრძოლო შენაერთს. იცი, ვის მაგონებს ფილი? ბენ ბელას; საფრანგეთის არმიის ოფიცერი, თხუთმეტი წლის ერთგული და უდრტვინველი სამსახური, ორდენი... თქვი, არ გამოგყარათ სულ პანღურების ცემით ალჟირიდან?

ბოლოს რედი დაშაქრული ხმით მეკითხება:

– რას შვრება ბალარი?

– ცოლის მოყვანას აპირებს.

– ის ისე დაამთავრებს, როგორც მე დავიწყე იქ, – ყრუდ წარმოთქვა რედმა, – სუტენიორობით.

– არა მგონია.

რედმა მხრები აიჩეჩა.

– ვიცი მე, რასაც იზამს: იმ ქალს პიგალის მოედანზე მიუჩენს ადგილს და მისი ტრაკის ხარჯზე იცხოვრებს. როგორ გინდა, ზანგმა პარიზში სამსახური იშოვოს? იმ გამოსირებულს არანაირი შანსი არა აქვს. He hasn't got a chance. ჯერ თამაში არ დაუწყია და უკვე წაგებული აქვს.

– ცოლის ოჯახი მიხედავს.

რედმა გაიკვირვა.

– თანახმანი არიან?

– კი.

რედი გაირინდა. საფრანგეთი... ნამდვილად არ არის მონოლითური... ნაძირალების გარდა კარგი ადამიანებიც ცხოვრობენ.

– იცი, ფილიპს მალე ოფიცრობას მისცემენ.

რედმა სცადა, ირონიულად გაეღიმა, მაგრამ ამაში სიამაყემ შეუშალა ხელი. რედი აენთო.

– ჩვენ შორის ჯერ კიდევ არიან იმბეცილები, ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირიან, ვიეტნამთან ომი არ გვინდაო. მიუხედავად ყველაფრისა, საკმარისია, ადამიანი ერთი წუთით დაფიქრდეს, რომ მიხვდეს, ამ ომზე უკეთესი თავს ჯერჯეროობით არაფერი გადაგვხდენია. ყოველ ჯერზე, როცა ჰანოისთან მოლაპარაკებების აუცილებლობაზე საუბრობენ, პირდაპირ ჩემი მემართება... მსოფლიოში საუკეთესო წვრთნა, საუკეთესო მომზადება – აი, რა არის ვიეტნამი. ქუჩის ბრძოლები და პარტიზანული ომი ჩვენი მოგონილი კი არ არის, თავად ჯეკ კენედიმ გააკეთა აქცენტი ამ ასპექტზე...

ახლა, როცა ამ გვერდებს ვათეთრებ, ფილიპის ათამდე წერილი მიდევს წინ. ყოველი მათგანი სავსეა სიტყვით „ჩვენ".

ავტორის წერის ნიჭზე ან ლიტერატურულ ალღოზე ლაპარაკი გამორიცხულია. პირადად მე აზრად არ მომივიდოდა, „ჩვენ“, „ჩვენი“ მეძახა... „ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ამ ადამიანებს დახმარების ხელი გაუწოდოთ; და თუკი თვითონაც ოდნავ მაინც გაანძრევენ თითს, ხომ მთლად უკეთესი. საკუთრივ ჩვენ იმათ საქმეს ვაკეთებთ, ისინი კი მხარ-თეძოზე არიან წამოწოლილი. ტრაკის განძრევაც ეზარებათ იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოს ელირსონ... ჩვენ...“

ამას ამერიკელი შავკანიანი ქადაგებს!

უძველესი კითხვა, ოდითგანვე საკუთარ თავს რომ უსვამს კაცობრიობა: რა ჯობია, როცა კლავ, თუ როცა გკლავენ?

ამ პატარა, სიცხისაგან ადუღებულ ოთახში პანიკამ შემიპყრო. ისევ და ისევ ჩემი მისტერიული კლაუსტროფობია; შეუცნობი და უცნაური რამ ცოცხლობს ჩემს სხეულში. ეს რაღაც შემთხვევით მოხდა ჩემ კანქვეშ, გამუდმებით ტრიალებს ჩემში, რადგან გამოსავალი დაგმანულია.

– მე წაგიყვან.

ჩვენ გავედით. კიბეზე დამცინავი ხმით მეკითხება:

– და შენი თეთრი ძაღლი?

გავჩერდი.

– შენ მაინც საიდან...

– ლოს-ანჯელესში ერთი თვის წინ ჯინი ყველაფერს მომიყვა ტელეფონით... საწყალი ცხოველი.

– ამჟამად მის მორჯულებას ცდილობენ...

რედმა მშვიდად წარმოთქვა:

– ბოლოს და ბოლოს ჩვენ თვითონ მოვარჯულებთ ყველას.

დაღლილად გააქნია თავი:

– ყოველ შემთხვევაში, ეს ასე უცბად არ დამთავრდება. იცი, რა ვუთხარი? გადაასხით ძაღლს ბენზინი და დაწვითმეთქი. იმდენი იტირა მაშინ ჯინმა...

რედის მონაყოლს ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო, მაგრამ არც შეკითხვების დასმის დრო იყო. ყოველდღე კი არ ვხდებით დიდების, ძლიერებისა და სიმდიდრის მწვერვალზე მოქცეული ცივილიზაციის რყევისა და ნგრევის თვითმხილველნი; ...კბილებამდე შეიარაღებული ცენტურიონები თავიანთ მანქანებში ყბედობენ, ეწევიან, ხორხოცებენ. მათ ირგვლივ კი რკინის ძელების ძლიერი დარტყმებით ინგრევა და იმსხვრევა ვიტრინები.

რასისტული ძალადობის აღზევებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის კულმინაციას აღწევს, შეუძლებელია, ერთი მნიშვნელოვანი რამ გამოგეპაროთ მხედველობიდან: ყველა – საკუთარი თავისთვის! ყველა გამოსვლის საერთო მახასიათებელი; მძარცველების ასაკს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს – ერთმანეთს პირდაპირ შუბლებით ეჯახებიან, ველარ ძღებიან ნადავლით, პერიოდულად უშვერი სიტყვებით ამკობენ ერთმანეთს. დიასახლისები აყირავებულ დახლებსა და თაროებს შორის ისეთი სახით დაბორიალებენ, გეგონება, პატიოსნად საყიდლებზე იყვნენ გამოსული. დედები შედარებით გონივრულად მოქმედებენ; სერიოზული დაფიქრების შემდეგ პირველი მოხმარების საგნებს ეტანებიან. ეს ყველაფერი პოლიციის ცხვირწინ ხდება; ნაბრძანები აქვთ, შეეშვით, რაც უნდათ, ის უქნიათო.

მასობრივი ძარცვა – ბუნებრივად გაცემული პასუხია მომხმარებელთა მრავალრიცხოვანი „პროვოკაციული საზოგადოებისათვის“. ეს ის მომხმარებლები არიან, რომლებსაც ყოველი მხრიდან უჩიჩინებენ, იყიდე, იყიდეო და აზრადაც

არავის მოუვა, ამ მოწოდებებს ბარემ ფულიც მოაყოლონ. „პროვოკაციულს“ ვეძახი ყოველ აყვავებულ და დალხენილ, მუდმივი ეკონომიკური აღმავლობის პროცესში მყოფ საზოგადოებას; საზოგადოებას, რომელიც არ ერიდება თავისი სიმდიდრის გამომზეურებას და დაუღალავად უბიძგებს მომხმარებელს, იყიდოს, გახდეს მესაკუთრე, აღიზიანებს და აცდუნებს თავბრუდამხვევი რეკლამებით, მდიდრულად მორთული ვიტრინებით და მადისაღმძვრელი პროდუქტებით სავსე დახლებით. ამავდროულად ბორტს მიღმა რჩება საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელსაც საზოგადოების ეს ნაწილი გამუდმებით უბიძგებდა რეალური თუ ხელოვნურად შექმნილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, წყურვილის მოკვლისა და ძღომისკენ. დიახ, თან იწვევდა, თან აღძრული მადის დაცხრობის ყოველგვარ საშუალებას უსპობდა და არც არაფერს სთავაზობდა. არც არის გასაკვირი. შავკანიანთა გეტოს ახალგაზრდა ბინადარი, კადილაკებითა და ძვირად ღირებული ბუტიკებით გარშემორტყმული, მასმედიის საშუალებებიდან გადმოღვრილი აგრესიული რეკლამით გონებაამღვრეული და მოწამლული, საბოლოოდ იჯერებს, რომ ამ ნაქები სიკეთეების გარეშე მის ცხოვრებას აზრი არა აქვს. „ჯენერალ მოტორსისა“ და „უესტინ ჰაუსის“ ბოლო ცინცხალი მოდელები, სამოსი, ტკბობის მომგვრელი აუდიო-ვიზუალური აპარატურა, ათასი ჯურის სეზონურად გამოშვებული ახალი, სახეცვლილი თუ განახლებული სათამაშო მას, რა თქმა უნდა, აუცილებლად აღუძრავს წადილს. განა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ ჭაბუკმა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში აიღოს და დამსხვრეული ვიტრინის იქით უყურადღებოდ დატოვებულ გამომწვევ თაროებს ეცეს? თუ განვაზოგადებთ, თეთრი ამერიკის თავბრუდამხვევი პროგრესი და, აქედან გამომდინარე კეთილ-

დღეობა ისევე მოქმედებს სუსტად განვითარებულ, მაგრამ „ინფორმირებულ“ მესამე სამყაროს ქვეყნებზე, როგორც ეს მეხუთე ავენიუზე მდებარე ძვირფასი ვიტრინა ჰარლემიდან ახლახან გამოხეტებულ ახალგაზრდა უმუშევარზე.

ასე რომ, დასკვნის სახით ვიტყოდი შემდეგს: „პროვოკაციული საზოგადოება ის საზოგადოებაა, რომელიც მარად ზრუნავს, მკაფიოდ შემოსაზღვროს თავის განკარგულებაში არსებული სიმდიდრეები და ამგვარად შექმნას ერთგვარი მიმზიდველი ველი, რომელსაც გამუდმებით ასხამს ქება-დიდებას თავბრუდამხვევი, ეგრეთ წოდებული „სარეკლამო სტრიპტიზებით“, ცხოვრების ნირის ექსჰიბიციონიზმით, მესაკუთრის ფსიქოზის დათესვით და მუდმივი მოწოდებით შეძენისაკენ. ამავდროულად საშუალებები, რომლებსაც ის მომხმარებელს სთავაზობს, ველარ სწვდება არა მარტო ხელოვნურად შექმნილი, არამედ ელემენტარული ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასეთი მასშტაბებისთვის პროვოკაციას არასდროს მიუღწევია. ის გაუპატიურებისკენ მოწოდების ტოლფასია.

ცეცხლმოკიდებულ გეტოში ადამიანები ყველაფერს ეპატრონებიან. ნეტა ვინმემ ამიხსნას, რა ჯანდაბად უნდა ამ ახალგაზრდა ზანგს ეს ცვილის შიშველი მანეკენი, რომლისთვისაც სამოსის შემოძარცვა მისთვის უკვე ვიღაცას დაუსწრია? ამოუჩრია იღლიაში და სადღაც მიაქანებს, ან კიდევ ამან ეს ნაგვის ვედრო რა თავში უნდა იხალოს? გაცილებით უკეთ მესმის აი, იმ მესამისა, რომელსაც ტუალეტის ქაღალდის რულონების მთელი აცმა ჩამოუკიდია გულზე: ცხადია, ზურგის დაცვაზე ზრუნავს! მურაბით ცხვირპირმოთხუპნილი ბავშვები gefilte fish-ის ქილებს ამსხვრევენ და შიგთავსს ორივე ხელით იტენიან პირში. მსუქანი ფაშფაშა ქალი მაქმანებიან პაწია შავ

საცვალს დასძგერებია, ჭიმავს, შესაფასებლად მაღლა აუწევია და სინათლეზეც კი გასცქერის. აი, მისი მეზობელი ქალი მედიტაციაშია იაფფასიანი ბიჟუტერიის დახლთან და ჯერჯერობით არჩევანი ვერ გაუკეთებია. დრაგსტორები გამოტენილია ამნაირი ხარახურით! ალბათ, ამგვარ შუშებს სტენლისა და ლივინგსტონის ეპოქაში აფრიკელი ტომების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად იყენებდნენ. მომწონს აი, ეს ქალბატონიც, რომლის ყურადღებაც ნესვს მიუპყრია. იღებს ერთს, კარგა ხანს ატრიალებს და ბოლოს დებს და ისევ აგრძელებს არჩევას. ვინ თქვა, რომ ესენი ძარცვავენ? ესენი უბრალოდ ემორჩილებიან, სარეკლამო „დიქტატზე" რეაგირებენ. მათ უბრძანეს, იყიდეთ და მოიხმარეთო. ეს მოწოდებები დღე-ღამეში თვრამეტ საათს მაინც ესმით. რადიოდან და ტელევიზიიდან გადმოღვრილი რეკლამა მათ გამუდმებით რევოლუციისაკენ უბიძგებს.

„შევროლეს" საჭეს ჩაფრენილი რედი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ: თავით მანიშნებს მოზარდებზე, რომლებიც საკანცელარიო მაღაზიის ვიტრინას ნესვებს უშენენ.

– ალბათ, მაგათ არც იციან, ვინ წაუკიდა ცეცხლი დენთის კასრს.

რედმა უხეშად დაამუხრუჭა.

– შენ, გეტყობა, რომ ჩემი არ გჯერა. მოდი ვკითხოთ.

რედმა კარი გამოაღო და ერთ-ერთი ბიჭისკენ გადაიხარა. 16-17 წლისა იქნებოდა. ქუჩის კატასავით იყო გაძვალტყავებული: განიერი სქელი ტუჩები ჰქონდა. შეუძლებელია, ასეთმა პირმა თეთრ ქალს კოცნისას სიამოვნება მიანიჭოს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ასეთმა ტუჩებმა მავანსა და მავანს შეიძლება გაუპატიურების აქტი მაცდურად და მიმზიდველად მოაჩვენოს.

– Sonny, იცი, ვინ იყო მარტინ ლუთერ კინგი?

ბიჭი აღელდა.

– No, sir.

– And you?

– No, sir.

მესამეს სახე მოექცა.

– ეს-ეს არის მოკლეს.

– იცი, ვინ იყო?

ბავშვი თავიდან შეყოყმანდა, შემდეგ კი დაუფიქრებლად მოგვაყარა ის, რაც უფროსებისგან ჰქონდა გაგონილი.

– He was an Uncle Tom. ის „ბიძია თომა“ იყო.

„ბიძია თომა“ – ეს ერთი ზანგის მიერ მეორისადმი სრული ზიზღის გამოხატვაა.

რომანმა „ბიძია თომას ქოხი“ გარკვეული როლი ითამაშა მონობის გაუქმებაში. ბიძია თომა სიმპათიური მონაა, რომელსაც, ისევე როგორც დიკენსის „ტკბილ“ გოგონებს, თავისი სიკეთით ბევრისთვის უღვრევინებია ცრემლები. დღეს კი „ბიძია თომა“ ისეთივე სამარცხვინო დამღაა, როგორიც იყო სიტყვა „კოლაბორაციონისტი“ საფრანგეთის გათავისუფლების დროს.

რედმა კარი კმაყოფილი იერით მოიხურა და მანქანაც უმალ დაძრა.

He was an Uncle Tom.

ანაზდად თვალწინ კორეტა ლუთერ კინგის სახე წარმომიდგა. შესაძლოა, ეს ქალის ყველაზე მომხიბლავი სახეა, რომელიც ოდესმე მინახავს. ჩემთვის ის განასახიერებს მთელ მითოლოგიურ ქალურობას რუთიდან დაწყებული და იუდეისა და ეგვიპტის დედოფლებით დამთავრებული: პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ უკვდავყოფილი სახე სწორედ იმ წუთებ-

ში მოევლინა ქვეყნიერებას – მწუხარებითა და ტანჯვით შეძრული, მაგრამ გასაოცარი ღირსების გრძნობით აღბეჭდილი. მერწმუნეთ, რომ ეცადათ კიდეც, ამგვარ ხატებას ვერასდროს შექმნიდნენ ის საწყალი მიქელანჯელო და ბელინი, ან კიდევ პიეტას სხვა სახელგანთქმული ოსტატები; მოულოდნელმა სიძულვილმა შემიპყრო, ნამდვილმა სიძულვილმა იმ ძაღლისა, რომელიც ყელს ეძებს გამოსაჭმელად. ამგვარი სიძულვილი მიპყრობს ყოველ ჯერზე, როცა ყველა დროის უძლიერეს არამატერიალურ ძალასთან – უგუნურებასთან მიწევს შეხვედრა...

– რედ, როგორ ფიქრობ, მარტინ ლუთერ კინგი შავკანიანმა მოკლა?

რედი არც განძრეულა. წინ იყურება.

– შეიძლება... ამ შემთხვევაში აუცილებლად თეთრების მოსყიდული იქნება.

– რატომ გამორიცხავ, რომ შავების მოსყიდულმა თეთრმა მოკლა?

– არც ეგ არის ძნელი წარმოსადგენი: მშვენივრად იცი, რომ ზანგები თეთრებმა აქციეთ ასეთებად...

– რას ამბობ, არც კი გამივლია გულში, – შევეპასუხე.

– რა?

– რახან ამბობ, თქვენ, თეთრებმაო, გამოდის, რომ მეც მრევ საქმეში.

– ეგ უბრალოდ სიტყვის მასალაა.

კიდევ ერთი მაღაზიის წინ ჩავიარეთ. მოზარდებს გაცხოველებული ძარცვა გაეჩაღებინათ. ზოგი უკვე გამოდიოდა „რუბისა“ და „ტამპაქსის“ კოლოფებით დატვირთული. სიცილი ვერ შევიკავე.

რედი ალმაცერად მიყურებს.

– სასაცილოს ვერაფერს ვხედავ. „მოლოტოვის კოქტეილის“ დასამზადებლად ჰიგიენურ საფენზე უკეთესს ვერაფერს იპოვი. საუცხოოდ იჟღინთება ბენზინით.

ამჯერად თითქმის ცარიელი ქუჩების გავლა გვიწევს.

ერთ-ერთ შესახვევთან რედმა მოულოდნელად დაამუხრუჭა. რაც შემდეგ მოხდა, მე დავარქმევდი „სიმართლეს სტოკლი კარმაიკლის შესახებ“. საკუთარი თვალით ვიხილე; დიდი მაღაზიის წინ, შავკანიანთა ბრბოთი გარშემორტყმული, მთელი ხმით რაღაცას გაჰყვიროდა. ჩემამდე მხოლოდ ინტონაციები აღწევდა ადამიანისა, რომელიც ოპოზიციონერ ლიდერთა შორის საუკეთესო ორატორად იყო მიჩნეული და, ასევე, ერთადერთ ინტელექტუალად, რომელმაც მოახერხა ქუჩასთან საერთო ენის გამონახვა და მისი აყოლიება. ღია ფერის ზანგი, რომელიც არასდროს იტყვის, „ბაბუაჩემი თეთრკანიანი იყოო“, მაგრამ სამაგიეროდ ბევრს იყბედებს იმ თეთრ ქალებზე, რომლებსაც წარსულში მის ჯილაგთან კავშირი გაუბამთ; ამ უმოწყალო ბრძოლაში იოტისოდენასაც არავის დაუთმობენ – ეს ნიშნავს, რომ „თეთრმა მისცა შავს“. კარგა შორს ვიყავი და მისი ტირადა ჩემამდე ვერ აღწევდა, მაგრამ იქ დამსწრე ცნობილ შავკანიან ჟურნალისტთა პუბლიკაციებს დავესესხები.

სცენარი დაახლოებით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: ქუჩაში ჩნდება სტოკლი კარმაიკლი ახალგაზრდების თანხლებით, შედის მაღაზიაში და მომსახურე პერსონალს უბრძანებს, მაღაზია სასწრაფოდ დაკეტონ და შენობა დაცალონ. ქუჩაში ბრუნდება, ჯიბიდან მცირეკალიბრიან რევოლვერს იღებს და ისედაც ჭკუიდან შეშლილ უკიდურესად გაღიზიანებულ ახალგაზრდობას მიმართავს. ამ დროს ერთი ახალგაზრდა ზანგი რევოლვერს აძრობს ჯიბიდან, ფარაონები კი სულ რაღაც ორმოცდაათი მეტრის იქით დგანან. სტოკლის რეაქცია:

– არა! მე არ მინდა, რომ დაიღვაროს შავი სისხლის ერთი წვეთიც კი.

მიმაჩნია, რომ ეს ეპიზოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი გსურთ, რომ ოპოზიციონერ მებრძოლთა ვერბალურად გამოთქმულ მრისხანებას თავი და ბოლო გაუგოთ: ჩემს პარიზის ბინაში მე არაერთხელ მსმენია მათგან, რომ სამყარო იქამდე ვერ გადარჩება, ვიდრე ის „თეთრი დემონებისაგან“ არ გაიწმინდება. სინამდვილეში კი აქ ლაპარაკია რამდენიმე ფსიქოლოგიურ ფაქტორზე, რომელიც აუცილებლად უნდა აიწონ-დაიწონოს და მხედველობაში იქნეს მიღებული, თორემ ვერ ავცდებით ყველაზე მარტივ გზას – სიძულვილს სიძულვილითვე ვუპასუხოთ.

რეპ ბრაუნის, კლივერის, ჰილიარდისა და სხვა ეგრეთ წოდებულ „კატალიზატორთა“ (მაგალითად, ლერუა ჯოუნზის) „მოწოდებანი განადგურებისაკენ“ ზემოქმედებენ გამოსაბოლქვი სარქველებივით, საიდანაც ჩვიდმეტ მილიონ გარიყულში დაგროვილი ღვარძლი პოულობს გზას. ვერბალური ძალმომრეობის ერთ-ერთ შედეგად თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ფიზიკური ძალადობის შემცირება და თანაც ახალგაზრდებში სიამაყის ჩასახვა იმ სიტყვებისაგან, რომელთა თქმაც მათ ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ აზრადაც არ მოუვიდოდათ. მეტსაც გეტყვით, ამ სიტყვიერ მრისხანებას არამცთუ ხოცვა-ჟლეტა არ მოჰყოლია, – აბა, სადღაა, მიჩვენეთ ერთი! – არამედ, შესაძლოა, უარესსაც კი აგვარიდა.

სიტყვას საოცარი ძალა აქვს. საკმარისია, გაბედო მისი წარმოთქმა, რომ „გათავისუფლდე“. ის, რასაც „გეტოს რიტორიკას“ ეძახიან, სხვა არაფერია, თუ არა თქმის გაბედვა. ნუ დავივიწყებთ აფრიკულ კვალსაც.

ჩემი აფრიკელი მეგობრები პირველები გამომიტყდნენ,

რომ შავ კონტინენტზე ხშირ შემთხვევაში „თქმა“ „კეთებას“ ნიშნავს, ერთით მეორის ჩანაცვლება შეიძლება: სიტყვა მოქმედების ტოლფასია, ყბედობის სურვილი იქ დღემდე ბევრად უფრო მწველი და მიმზიდველია, ვიდრე სურვილი შესრულებისა, სისრულეში მოყვანისა. ამერიკელი ზანგების შემთხვევაში, თეთრების წინააღმდეგ დაუფარავი სიძულვილით გამსჭვალული სიტყვების ნიაღვარი უკვე მოქმედებაზე გადასვლას, კონკრეტულ აქტს ნიშნავს. ვერბალური გამოწვევა მათ საკუთარი მამაკაცურობისა და ღირსების განცდას უათკეცებს. ამ გაგებით სტოკლი კარმაიკლის ქცევა სრულიად ტიპურია. თავიდან ის მაღაზიაში შედის და ბრძანებს, თეთრები გარეკეთ აქედან და კარები ჩარაზეთო. შემდეგ კი მოზარდებს მოუწოდებს, სახლებში დაბრუნდით და იარაღი აისხითო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ათიდან ცხრას ცეცხლსასროლი იარაღი არ გააჩნია, ეს დაახლოებით ქუჩის გათავისუფლების ბრძანებას ნიშნავს. როცა ერთმა თავქარიანმა მოულოდნელად იარაღი ამოიღო, სტოკლი მას ეუბნება: „არა, არ მინდა, რომ დაიღვაროს შავი სისხლის ერთი წვეთიც კი!“ ამის მომიზეზებით ის გარდაუვალ სისხლისღვრას იცილებს თავიდან. აქვე ვაღიაროთ, რომ ჩვენი დროისთვის ნიშნეული დაუჯერებელი „ვერბალური ინფლაცია“ – არაფრის მთქმელი სიტყვების უსასრულო რახარუხი, რომელიც მთელ პლანეტას მოედო, ჩვენი ლექსიკონის სრულ გაღარიბებაზეც მიგვანიშნებს. შესაძლოა, ამას სიტყვასა და ჭეშმარიტებას შორის აწ დაკარგული შესატყვისობისა და თანაფარდობის აღორძინება მოჰყვეს. კომერციული რეკლამებისა და პოლიტიკური პროპაგანდის სიჭარბემ მოსპო და გაანადგურა ის უმნიშვნელო კავშირიც კი, რომელიც აქამდე ბაზარზე გასაყიდად გამოყრილ საქონელსა – დეზოდორანტი იქნება თუ იდეოლოგია – და

საგანთა ნამდვილ არსს შორის არსებობდა. პასტას, რომელიც დასავლეთევროპელთა „კბილებს იცავს“, წითელი ჩინეთი ნიშნის მოგებით უპასუხებს: „ბეთჰოვენი ხალხის მტერია“. სამწუხაროდ, არც რომის პაპ პავლე VI-ს მოეკითხება დიდი ჭკუა. მან არ გამოაცხადა ამას წინათ, ჰოლანდიელი მღვდლების ბრძოლა ცელიბატის წინააღმდეგ „ეკლესიის ჯვარცმაა“? რა უნდა თქვა ამის შემდეგ! ნუთუ საჭიროა, პაპს შევახსენოთ, რას ნიშნავს სინამდვილეში ჯვარცმა და გოლგოთა? სწორედ ამ ზღვარგადასულ „ვერბალურ ინფლაციაში“, მე ვიტყოდი ენობრივ ბოდვაში, ასევე თანამდევ რეალური შინაარსისაგან დაცლილ ხელოვნურად შექმნილ სუპერლატივებში უნდა მივუჩინოთ კუთვნილი ადგილი „შავი ძალაუფლების ბელადთა“ ცეცხლოვან „მოწოდებებს განადგურებისაკენ“.

რედმა „ჰილტონის“ წინ ჩამომსვა. გამომშვიდობებისას კინაღამ წამომცდა, რედ, ფრთხილად იყავი-მეთქი. მაგრამ ამ რჩევის უადგილობამ დედაჩემი გამახსენა, რომელმაც ომის დროს სრულიად სერიოზულად მირჩია, თვითმფრინავში რომ ჯდები, შარფის ყელზე შემოხვევა არ დაგავიწყდესო. ეს ის დრო იყო, როცა მოკლევადიანი შვებულებით დავტოვე ჭურვებითა და „მესერშმიტებით“ გაჭედილი ცა.

– რედ, სად არის სიმართლე? კიდეც რომ მოუყაროთ თავი ვიეტნამიდან დაბრუნებულ ოცი ათას შავკანიან პროფესიონალს, რაღას უშვრებით იმავე ვიეტნამიდან დაბრუნებულ ოთხმოცი ათას თეთრკანიან პროფესიონალს, რომელთა პირისპირაც აღმოჩნდებით?..

რედი გახევებული სახით იჯდა. ასეთი სევდიანი არასდროს მენახა; სევდა-კაეშანს ის დიდი ხანია დაემშვიდობა. La tristesse c’est le Noir de papa.

– ვერაფერს გავაწყობთ, დამარცხების შემთხვევაში...

რედი ცოტა ხნით შეყოყმანდა. მგონი, მოისაზრა, რომ მღალატობდა.

ბუნებრივია, უკვე ოცი წელი იყო, რაც ვმეგობრობდით...

– შესაძლოა, წავაგოთ. ჩვენ ისინი ვართ, ვისაც თქვენ ექსტრემისტებს ეძახით. ყოველ შემთხვევაში „ზომიერთათვის“ კარგ საქმეს გავაკეთებთ. უჩვენოდ არაფერი გამოუვათ. შავკანიანთა ამბოხი თუ იფეთქებს, ჩვენ ზომიერებისათვის ვიბრძოლებთ.

– აბა, კარგად იყავი.

– ბედნიერად.

რედმა მანქანა დაძრა.

II

სასტუმროში დავბრუნდი და სულ რაღაც ათი წუთის შემდეგ იძულებული გავხდი, მთელი ჩემი ცივსისხლიანობისთვის მომეხმო, რომ გულიანად წიხლებით არ შევდგომოდი ჰოლივუდის ერთ კინოვარსკვლავს – საკუთარ თავზე საგანგებოდ შეთითხნილ მითში დაკარგულ მორიგ პლეიბოის, რომელსაც ერთადერთი სადარდებლი აქვს, ემანდ ვინმეს ღმერთი არ გაუწყრეს და ყურადღება სხვა რამეზე ან ვინმეზე არ გადაიტანოსო. ფილმის გადაღება, რომელშიც ჩემს მეუღლეს უნდა ეთამაშა, შეჩერებულია. სამაგიეროდ სხვა ფილმში გადაიღებენ, სადაც ეს ორმოცდაორი წლის დამწყები მსახიობი გაუწევს პარტნიორობას. ბარემ აქვე გეტყვით, რომ მომავალი პროექტის რეჟისორობა მე მაქვს მონდობილი. ჰოდა ეს ვაჟბატონი, უკვე რამდენიმე დღეა, ჯინს აჩრდილივით დასდევს, რომ „ხასიათების გახსნაზე“ იმსჯელონ. სინამდვილეში ჯინის მომავალი პარტნიორი Actor's Studio-ს გამოშვებული მორიგი უდღეური ვინმეა. იქ მსმენელებს მსახიობის ოსტატობასთან ზიარების სახელით ფსიქოდრამისა და ფსიქოანალიზის ერთგვარი ნაზავით ულაყებენ ტვინს, აქაოდა აუცილებელია, გარდასახვისას მსახიობი უფრო დამაჯერებელი და პერსონაჟის ადეკვატური იყოსო. ხსენებული მეთოდის ძვირფასი

შედეგები არავისთვის არ არის საიდუმლო: სტუდიის ბევრი აღზრდილი მარტო ხელოვნებას კი არ მოსწყდა სამუდამოდ, არამედ საერთოდ რეალობასაც. ამ ჩვენს პლეიბოის თურმე განსაკუთრებით ერთმა სცენამ დააკარგვინა მოსვენება. აგერ უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც მისი ჭმუნვის მიზეზად ქცეულიყო სასიყვარულო ეპიზოდები, რომლებიც, თავისი აზრით, ჯინთან ერთად უნდა დაემუშავებინა ჯეროვნად.

სცენით უნდა ვიცხოვროო, გაიძახოდა წამდაუწუმ. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ jeune premier ნომერში გატრეტილი მთვრალი მობრძანდა.

ტელევიზორი სამგლოვიარო ცერემონიალს გადმოსცემდა: მეგობრები და თანამოაზრეები მარტინ ლუთერ კინგს ემშვიდობებოდნენ. მსვლელობას თავახდილი კუბოს წინ დასასრული არ უჩანდა. ზემამაკაცს სხვა სადარდებელი ჰქონდა, მის გამოციებულ თვალებს რაღაცნაირი სიფერმკრთალე გადაჰკრავდა – ერთდროულად გამჭვირვალე და ამღვრეული ცისფერი გამოუსწორებელ ლოთს ამსგავსებდა. ჩივის, წუწუნებს, აღარ ჩერდება. ახლავე სურს რეპეტიციის გავლა, თან ყოველგვარი მოწმეების გარეშე; ვერ გაუგია, რატომ ითხოვს ჯინ სიბერგი ასე დაჟინებით რეჟისორის დასწრებას. სცენა ხომ ისეთი ინტიმურია და რეჟისორის იქ ბორიალი ყოვლად გამორიცხულია. უკვირს, რომ ჩემი ცოლი ნომერში არ მიჰყვება და სრულ სიმარტოვეში რეპეტიციის გავლაზე უარს ეუბნება: მიხსნის, რომ პარტნიორებისათვის მნიშვნელოვანია ერთმანეთის უკეთ გაცნობა, სექსუალური აქტისთვის დამახასიათებელი ჟესტების წინასწარ დახვეწა, რათა შემდეგ კამერის წინ სცენამ ბუნებრივობა არ დაკარგოს. მისი თქმით, Actor's Studio-ს წმიდათაწმიდა მეთოდი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ორივემ „ამ სცენით იცხოვროს", რათა შემდეგ გადასა-

ღებ მოედანზე გონებაში ცალკეული დეტალები გამოიხმოს. ახსნა-განმარტებებმა უფრო სერიოზული ხასიათი შეიძინა: ბოლოს და ბოლოს შენც ხომ „შემოქმედი“ ხარ, არაფერი დაგიშავდება, თუ შუამდგომლობას გამიწევ, ჯინს დაუყვავებ და ჩემს ნომერში წამოსვლაზე დაითანხმებო. მოკლედ, ეს ბოზიშვილი ჩემგან მოითხოვდა, რომ ცოლი მეიძულებინა, მასთან ლოგინში ეკოტრიალა.

ტელევიზორის ეკრანზე მარტინ ლუთერ კინგის მკვდარი სახე ჩანს. ზემამრი გამოსახულებას არც კი აქცევს ყურადღებას. მის ზედმეტად აღგზნებულ მზერაში აშკარად იგრძნობა შიში, რომელსაც მომავალი სექსუალური აქტი უნერგავს. მას დამშვიდება სჭირდება. უეცრად წამომიარა სურვილმა, ხელი დამევლო ვისკის ბოთლისთვის და ამ ნაგიჟარისთვის გამექანებინა თავში. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილო იქნებოდა, ეკრანი არაძალადობის შავკანიან მოციქულს რომ არ დაეფარა. ჩემ გვერდით კი ეს თახსირი ზემამრი, შავკანიანებზე ლაპარაკის დროს თავი „პროგრესულად“ რომ მოაქვს, ვითომც არაფერი, ხახაში ჩაიმხობს ვისკით პირთამდე სავსე კიდევ ერთ ჭიქას. არც კორეტას სახისთვის სცხელა და არც მარტინ ლუთერ კინგისა.

სტუმარი მარწმუნებს, რომ ეს ახირება არ არის და მისი დაჟინება მხოლოდ „ხელოვნებისთვის“ ზრუნვითაა განპირობებული, რომ აუცილებელია, „ვარჯიში“ უსიკვდილოდ მის ლოგინში ჩატარდეს, მოწმის გარეშე. ვცდილობ, თავი შევიკავო. არაძალადობა!.. არაძალადობა... მეტი აღარ შემიძლია. სუნთქვა მიჭირს. ხელები მუშტებად შემეკრა. იმ მომენტში ფიზიკურად შევიგრძენი შეურაცხყოფილი და დამცირებული შავკანიანების განწყობა, მათი მწველი სურვილი, ძალადობას ძალადობითვე უპასუხონ. პასტორო მარტინ ლუთერ კინგ, ნუ-

თუ მართლა გქონდა შეგნებული, როგორ ველურ ძალაზე მიგქონდა ასეთი პაციფისტური იერიში? ჩემი მოთმინების ფიალა აივსო. ერთი პანღური უკანალში ნამდვილად არ არის ძალადობა, ასე არ არის? მე უფრო გულუბრყვილო ბავშვურ ხუმრობას ვუწოდებდი. არც ყინულის ნატეხებით სავსე ვედროს თავზე ჩამოცმა იქნებოდა ურიგო. ეს ხომ მხოლოდ გამაგრილებელია?..

მოკლედ, ცდა არ დამიკლია, რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე. წამოდგომაშიც კი შევაშველე ხელი, მეტი აბა რა მექნა? ერთი კია, რომ ჩემს ფილმსაც დაერხა საბოლოოდ და მას გადაღება არასდროს უწერია. მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული პანღურის ავტორი კი გამოვდექი. სურათის ბიუჯეტი, არც მეტი არც ნაკლები, სამ მილიონ დოლარს შეადგენდა.

ტელევიზორი გამოვრთე. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ მიცვალებულის თვალებმა დამინახეს. ველარ ვისვენებ. მისაღებში ბორიალს ვიწყებ, თან მუშტებს ვიქნევ. თავს კონტროლს ველარ ვუწევ.

დასაძინებლად რომ ვწვებოდი, მოულოდნელად თავში რედის დაუფიქრებლად წამოსროლილი ფრაზა ამომიტივტივდა. ჯინისკენ შევტრიალდი.

– ძაღლს ბენზინი როგორ მოასხეს? მომიყევი ერთი, ტელეფონზე გაგინდვია რედისთვის.

როცა სიბერგი დამნაშავის როლს ირგებს, რვა წელზე მეტს ვერ მისცემ.

– არაფერი გითხარი. ვიცოდი, რომ გაცოფდებოდი...

– რაში იყო მაინც საქმე, ვერ მეტყვი?

ჩემი მეგობრების უმეტესობამ მშვენივრად უწყოდა იმ „პრობლემის“ შესახებ, თეთრმა ძაღლმა ძღვნად რომ მომარ-

თვა. ჩვენი არდენელი მეზობლებიც საქმის კურსში იყვნენ. მე სადღაც ინდოეთსა და ტაილანდს შორის ვიმყოფებოდი, როცა ჯინს ხუთი-ექვსი ახალგაზრდისგან შემდგარი ჯგუფი მიადგა. ბანდის თავი მდიდარი მრეწველის ვაჟი აღმოჩნდა, იმავე ქუჩაზე მდებარე პალმის ხეებსა და ბუგენვილეებში ჩაფლული არაჩვეულებრივი ვილის მეპატრონე. ჯინმა ისინი შეიპატიჟა. ძველი ამერიკული ტრადიციის თანახმად, ზღურბლზე ადამიანებთან საუბარი ცუდ ტონად ითვლება; თუ ლაპარაკი გსურს, კარის გაღებაც და გამასპინძლებაც უნდა ინებო. ამიტომ ადვილი გასაგებია ამ ქვეყანაში მკვლელობების ამგვარი სიმრავლე.

– მის სიბერგ, ჩვენ წარმოვადგენთ ორგანიზაციას, რომელსაც ჰქვია „სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. ამჟამად მთელი ქვეყნის მასშტაბით ვამზადებთ უზარმაზარ მანიფესტაციას ვიეტნამში ომის წინააღმდეგ. – გრძელთმიანი სათვალიანი ყმაწვილი, ლაპარაკი რომ ითავა, ოცი წლისა იქნებოდა; ჯინი გამომიტყდა, საკმაოდ ლამაზი იყოო. ეს დეტალი სხვას შეიძლება უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ მე – არა. სიბერგს სჯერა სილამაზისა და მისი წარმოდგენით ადამიანის დიდსულოვნება, მისი შინაგანი სულიერი სიმდიდრე კეთილშობილურ სახის ნაკვთებში აისახება. დანარჩენები ჰიპებს ჰგავდნენო, რაც მისთვის ასევე სულიერების ნათელი დასტური იყო.

– ჩვენ ვამზადებთ გრანდიოზულ სანახაობა-მანიფესტაციას, რომლის მსგავსიც ადამიანის გონებას ჯერ არ წარმოუსახავს. უფრო სწორად, ის შეძრავს ბევრის წარმოსახვას, გრძნობებს აუფორიაქებს. თუ რამდენიმე წუთს დაგვითმობთ, დეტალურად აგიხსნით, რაშია საქმე. ჩვენი იდეა სრულიად ახალია, ორიგინალური და სრულიად განსხვავებული.

– დაბრძანდით, გთხოვთ.

ისინი დასხდნენ. სენდი იქვე ტრიალებდა, კმაყოფილი კუდს აქიცინებდა; ყველას სათითაოდ ჩამოართვა თათი. ბატკა იქ არ იყო. ბიჭების ვიზიტამდე რამდენიმე საათით ადრე ჯინმა ის რანჩოში დააბრუნა. ყოველ შემთხვევაში, ამ თეთრებს არაფერი ემუქრებოდა – სასიამოვნო სურნელს აფრქვევდნენ.

– თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ბევრი სტუდენტი სასტიკ პროტესტს უცხადებს ვიეტნამში გაჩაღებულ ომს. ამას წინათ ჩვენმა ერთმა ამხანაგმა ბენზინი გადაისხა და პენტაგონის შენობის წინ ცეცხლი წაიკიდა. ამას მნიშვნელოვანი შედეგი, რა თქმა უნდა, არ მოჰყოლია. ყველაფერთან ერთად, ადამიანები მიეჩვივნენ ასეთ აქტებს... საჭიროა უფრო დიდი ნაბიჯების გადადგმა...

გამომსვლელი დადუმდა. ცხვირზე დაკოსებული სათვალე გაისწორა და ჯინს გადახედა.

ჯინმა მითხრა, მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ მეც შემომთავაზებდნენ ბენზინის გადასხმას და თავის დაწვას, როგორც ამას ბონზები შვრებიან. ალბათ, სჭირდებათ ხმაურიანი სახელი, ცნობილი სახე, მაგალითად, კინოვარსკვლავი, რომელიც მასებზე შთაბეჭდილების მოხდენას შეძლებს, ასევე მყვირალა სათაურები ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე. ალბათ, ბენზინით სავსე ბიდონი გარეთ მელოდება. ცოტაც და მანქანაში ჩაჯდომას მთხოვენ უკანასკნელი გასეირნებისთვისო...

ჯინი ცდებოდა.

– ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ გყავთ ავი ძაღლი, რომელიც, გინდათ, თავიდან მოიშოროთ.

სენდი ქერათმიანი სიმპათიური ახალგაზრდის გვერდით იდგა, კუდს აქიცინებდა. ყმაწვილმა ძაღლს ხელი გადაუსვა.

სენდიმ მადლიერების ნიშნად თათი გაუწოდა. ამ ძაღლს ყველა თანაბრად როგორ უყვარს? ნამდვილად მოიკოჭლებს ერთგულებაში.

– მე ვერ ვხედავ კავშირს, – წარმოთქვა სიბერგმა.

– ადვილი ასახსნელია. უკვე წლებია, რაც ვიეტნამელებს ნაპალმით ვწვავთ. ათასობით სოფელი გადავბუგეთ. ამ ამბებს ადამიანები გაზეთებით ეცნობიან და თან დილით მშვიდად საუზმობენ; მომხდარში კონკრეტულს ვერაფერს ხედავენ. ყველაფერს აბსტრაქტულად ან განყენებულად აღიქვამენ. მე და ჩემს ამხანაგებს გვინდა ისინი შევანჯღრიოთ და მათი მგრძნობელობა გამოვაღვიძოთ. გადაბუგულ სოფლებსა და ქალაქებს მილიონები უსულგულოდ უყურებენ ტელევიზორში, მაგრამ, თუ ამას ძაღლებს დავმართებთ, ერთ ამბავს ატეხენ, ამბოხს მოაწყობენ. ასე რომ, ვაპირებთ, რამდენიმე ძაღლს ცეცხლი წავუკიდოთ და ქალაქში გავუშვათ ტელეკამერების წინ. რადგან ყველანი საშინლად იცოდებენ ძაღლებს და ადამიანების დარდი კი არა აქვთ, ჩვენ მათ ნათლად და კონკრეტულად დავანახვებთ იმას, რაც ვიეტნამში ტრიალებს. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ მშვიდობის აქტიური დამცველი ხართ, მის სიბერგ. ვიფიქრეთ, რომ თქვენ ყველაზე უკეთ გაიგებდით ამ ჰუმანიტარული მანიფესტაციის მთელ მნიშვნელობას... გსურთ მასში აქტიური მონაწილეობის მიღება და შეელევით თქვენს ძაღლს?

...1968 წელი იდგა ქრისტეს აქეთ.

– Get the hell out of here! – გაეთრიეთ აქედან! – უთხრა ჯინმა.

– თქვენ არ დაუფიქრდით...

– Get out! – დაახვიეთ!

– ვფიქრობ, ბევრად აჯობებდა, რომ ინსტინქტური რეა-

გირების მაგიერ ჩვენი იდეის ანალიზს შესდგომოდით. თქვენ ველარ უარყოფთ, რომ, თუ რამდენიმე ძაღლის სანაცვლოდ ერთ მშვენიერ დღეს ვიეტნამში ომი...

– მე არა ვარ მარქსიზმ-ლენინიზმის მიმდევარი, – მოუჭრა ჯინმა.

– ამაში დარწმუნებულები ვართ. ჩვენ მხოლოდ თქვენს ადამიანურ გრძნობებს მოვუხმობთ...

ჯინი ფეხზე წამოდგა.

რა ცუდია, რომ მაშინ იქ არ ვიყავი. მისი სახე ნამდვილად არ არის შექმნილი სიძულვილის გამოხატვისთვის.

– ეგ თქვენი უბადრუკი იდეა არაფრით განსხვავდება სტალინის ორგანიზებული სასამართლო პროცესებისაგან; პრაღაში სლანსკის ჩამოხრჩობასაც მაგონებს და იმ უდანაშაულოთა დასჯას „პარტიის უზენაესი მიზნების სახელით“ თავადვე რომ იდანაშაულებდნენ თავს. მისამართი შეგეშალათ. საამისოდ ჩემი პოლიტიკური მრწამსი და პლატფორმა ასეთი ურყევი არ არის. ისინიც წამოიმართნენ. ერთ-ერთმა მათგანმა შესანიშნავი ფრაზა წარმოთქვა.

– ვიეტნამი უკვე პოლიტიკური საკითხიც კი აღარ არის. ის სულის არჩევანია, გულის კარნახი.

შეიძლება იფიქროთ, რომ ეს ვიზიტი სტუდენტების მიერ მოწყობილი იდიოტური გათამაშება იყო, რომ ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, მასხარად აეგდოთ კინოვარსკვლავი, რომელმაც ასე თავხედურად გადაწყვიტა სერიოზულ საქმეებში ცხვირის ჩაყოფა. თავს ვალდებულად არ ვთვლი, რომ ილუზიები გაგიფანტოთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

ხსენებული „ჰუმანიტარული“ აქცია მოგვიანებით არაერთ ქვეყანაში გამოცხადდა; სულ ახლახან ამ აქციას ბერლინიც შეუერთდა; მეტი ინფორმაციისათვის, საკმარისია, იმდროინ-

დელ პრესას გადახედოთ. 1969 წლის ნოემბერში ამის შესახებ დაუზარლად გვამცნობდნენ მასმედიის საშუალებები.

მე იქ არ ვყოფილვარ, ასე რომ, იმ ლაწირაკებმა სახლი უვნებლად დატოვეს.

მეორე დღეს ლოს-ანჯელესში დავბრუნდით. აეროპორ-ტიდან პირდაპირ საშენს მივაშურე.

12

ვაღიარებ, რომ ჩემს გონებაში ბატკას განკურნების იდეა სიმბოლური ხდებოდა. ის, ვინც ადამიანის პიროვნებას ერთგვარი არისტოკრატიზმის გარეშე მოიაზრებს, ამის პასუხად მხოლოდ დამცინავად აიჩეჩავს მხრებს. მე იმ დემოკრატთა რიგებს მივეკუთვნები, ვინც მიიჩნევს, რომ დემოკრატიის მთავარი მიზანია, დაეხმაროს ყველას, აზიაროს კეთილშობილებას. ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, რომელმაც დემოკრატიით დაიწყო...

ჩემი რკინის – ეს არაერთხელ აღუნიშნავთ – ნერვული სისტემა მოსუსტდა. ზოგჯერ ღამე დაზაფრულს მეღვიძებოდა და რატომღაც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ მათ – კიზმა და ჯეკ კერათერსმა – ჩემს არყოფნაში თეთრი ძაღლი დააძინეს – განწირულია, განუკურნებელიაო. იმ წუთებში ერთი გერმანელი მახსენდებოდა, რომელთან ერთადაც 1937 წელს ერთ კუპეში ვიმგზავრე, როცა შვეიცარიიდან ვბრუნდებოდი.

– შევთანხმდით, ამაზე უკვე აღარ ვდავობთ, ებრაელები აქ არაფერ შუაში არიან. ასეთებად ისინი სხვებმა აქციეს. ორი ათასი წლის მანძილზე მათ აფურთხებდნენ და ამცირებდნენ; ამის შედეგად, ცხადია, საზიზღრები და აუტანლები გახდნენ. მეტიც, თვითონაც დაარწმუნეს ამაში; ახლა კიდევ ისინი უბ-

რალოდ „გაფუჭებულები“ არიან, მოწამლულები, გარყვნილები და განადგურებულები. მათ რეაბილიტაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უბრალოდ, უნდა შეიცოდო და სათითაოდ სიცოცხლეს გამოასალმო; უმტკივნეულოდ! ამ დროს ერთი ნერვიც კი არ უნდა აგიტოკდეს. ამით მათ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევთ.

ტიპს ლუდის ბოთლი ჩავცხე თავში, რის გამოც დიუსელდორფში ხუთი დღე პოლიციის განყოფილებაში მაყურყუტეს.

კერათერსს ყოველ ცისმარე დღე ვურეკავდი. პირდაპირ გავუწყალე გული. ისიც ყოველ ჯერზე შეღონებული მპასუხობდა:

– აღარა ვარ უკვე ბატკაზე პასუხისმგებელი. თქვენს ძაღლს ამჯერად კიზი უვლის. მომწყდით თავიდან!

კიზი... იშვიათად თუ შემხვედრია ადამიანი, რომელიც ჩემი აგრერიგად... არც კი ვიცი, როგორ ვთქვა... „სიმეტრიული“ იქნებოდა.

კვირადღეა. რანჩოზე კაცის ჭაჭანება არ არის. დარაჯი ბილ ტეიტამი, Ring Bro-ს ყოფილი აკრობატი, დღეს უკვე სამოცდაორს მიღწეული, ჩემს დამშვიდებას ცდილობს.

– ძაღლი ძალიან კარგად გრძნობს თავს, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი: დიახ, ბატკა ისევ კიზის საიმედო ხელშია...

მოხუცი დადუმდა; თითქოსდა რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ იუხერხულა; შემდეგ წაილუღლუღა, გააწყალა გული ამ ხვატმა, გაზაფხული გაზაფხულს არ ჰგავსო და გასაღებების აცმა გადმომაწოდა.

ბატკამ უმალ მიცნო. მართლაც, მშვენივრად გამოიყურებოდა, რამაც უდიდესი შვება მომგვარა. ჩანდა, რომ არც საჭმელი აკლდა და არც სასმელი. ბალანიც კი უბზინავდა.

როგორც კი აღფრთოვანების პირველმა შეტევამ გაუარა, საბელს მივარდა. ჩემკენ გამოიხედა და ყეფა იწყო: სა-

სეირნოდ მიწვევდა. გრიფიტს-პარკში წავიყვანე, სადაც მთელ საათს წინ და უკან დაქროდა, ველური სურნელებით თვრებოდა. აქეთობას „ჰიუს მარკეტში“ შევიარე. უქმე დღე იყო, მაგრამ ღია დამხვდა. გადავწყვიტე, რამე საჭმელი მეყიდა. ბატკა მანქანაში დავტოვე.

საყიდლებს, ალბათ, თხუთმეტი წუთი მოვანდომე. ავტოსადგომზე რომ დავბრუნდი, რას ვხედავ, ძაღლი მანქანაში აღარ არის! ცხადია, დრუნჩით ჩაეწია შუშა, რომელიც ოდნავ შეღებული დავუტოვე სასუნთქად. იქვე კედელთან ბავშვის ეტლს მოვკარი თვალი. ჭრელაჭრულა შარვალში გამოკვართული რომელიმე გამოუცდელი ახალგაზრდა შავკანიანი დედა თუ დატოვებდა თოთო ბავშვს ასე უყურადღებოდ. ბატკა წინა თათებით ეტლზე შემდგარიყო და შიგ საეჭვო ყურადღებით იცქირებოდა. ცხოვრებაში ასე არასდროს შემშინებია. დატვირთული ადგილზე გავშეშდი; ძარღვებში სისხლი გამეყინა...

ჩვილი ბავშვი შავკანიანი იყო. ბატკა სახეში მიშტერებოდა. დრუნჩით ლამის პატარას სახეს ეხებოდა.

და მერე...

ბატკამ ხალისიანი მზერა მესროლა. მერე ისევ ჩვილს მიუბრუნდა კუდის ქიცინით.

ისეთი შვებით აღვივსე და ისეთი მადლიერების გრძნობით განვიმსჭვალე, რომ ცრემლები ძლივს შევიკავე. მივუახლოვდი ძაღლს და საყელურში ნელა ჩავავლე ხელი. ყურებდაცქვეტილი კუდს ვერ აჩერებდა, ყურადღებიან და მოციმციმე თვალებზე ეტყობოდა, რომ უზომოდ კმაყოფილი იყო. მან ხომ სათამაშოდ შესანიშნავ პარტნიორს მიაგნო.

ბავშვი ფეხებს იქნევდა და იცინოდა; ბატკამ ინტერესით დაყნოსა და ბოლოს შეეცადა, მისთვის სახე აელოკა. მანქა-

ნისკენ ძალდაუტანებლად წავიყვანე და შიგ ჩავკეტე. საჭეს რომ მივუჯექი, კარგა ხანს ველარ გავინძერი; ვგრძნობდი, რომ ყოველგვარი ძალ-ღონე გამომელია; თავი საჭეს დავადე; ნელ-ნელა დავმშვიდდი და სან-ფერნანდო ველისკენ ავიღე გეზი. დროდადრო ჩემ გვერდით სავარძელში მოკალათებულ ბატკას გრძნობით გადავუსვამდი ხოლმე ხელს. სასწაულის შესახებ მოხუც ტეიტამს მოვუყევი, მაგრამ ამ უკანასკნელს დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს. დროდადრო ბატკას უცნაურ მზერას თუ შეავლებდა. ეტყობოდა, რომ მის მიმართ დიდი ნდობით არ იყო გამსჭვალული, პირიქით, ეშინოდა.

– Animals, – წარმოთქვა მან გაუცხოებული მზერით, – ვიცი, რა თქმა უნდა, ყველაფერი ვიცი. ცხოველისგან, რასაც გინდა, იმას გამოძერწავ.

მოუთმენლად ველოდი ჯინის დაბრუნებას, რომ ახალი ამბავი მეხარებინა: თეთრი ძაღლი გამოჯანმრთელების გზას დაადგა. ერთი კია, რომ ეს ნამდვილი ზანგი კი არა, ჩვილი ბავშვი იყო, მაგრამ პროგრესი აშკარად გამოიკვეთა... ჯინ-მა ჩემი ენთუზიაზმი არ გაიზიარა. ყურადღებით მომისმინა, ფეხსაცმელები გაიძრო და ოდნავი გაღიზიანებით წარმოთქვა:

– ჰო, ასეთი ტემპით სრულ გამოჯანმრთელებას, სულ ცოტა, სამოცდაათი წელი მაინც დასჭირდება და ვის ეყოფა მოთმინება ამდენ ხანს?

ჩემდა გასაკვირად, მეორე დღეს დილით ჯეკმა თითქმის იგივე მომახალა:

– თუ, როგორც იტყვიან, აკვნიდან დავიწყებთ, „საამურ“ დღეებს დასასრული არ ექნება, მოკლედ, მაგრად გაერთობა კაცი – There'll be lots of fun.

ჯეკს მედპუნქტში დავადექი თავზე. ჩემს დანახვაზე სახე მოექცა.

– O shit – ოჰ, შენი, ახლა უკვე ამისგან მოსვენება არ მიწერია!

ჩემი სიფათი აშკარად გულს ურევდა. წარმოიდგინეთ, ვინმე ძმრის წრუპვა-წრუპვით გასინჯვას რომ გაიძულებდეთ. საინტერესო გარემოცვაში კი წავასწარი: მაგიდაზე ჩიჰუა-ჰუას მთელი ოჯახი ფუთფუთებდა, ზომით თაგვებზე ოდნავ დიდები იყვნენ, ვარდის ჟელესგან დამზადებული გეგონებოდათ. ჯეკი მათ პიპეტით აჭმევდა. ოთახის სიღრმეში ვეტერინარი და მისი ასისტენტი სახელგანთქმულ შიმპანზეს, მის ბოს, დასტრიალებდნენ. ეს ის მის ბოა, ყოველ საღამოს ცისფერი ეკრანიდან რომ გვმოძღვრავს, გამუდმებით მოგვიწოდებს, მივბაძოთ და კბილები მხოლოდ მისი მოწონებული ახალი, ენზიმებით გამდიდრებული პასტით ვიხეხოთ. ახლა თურმე მის ბოს მთელი ტუბი პასტა გამოეწოვა და კუჭის ამორეცხვას უპირებდნენ.

– იცით, რა უნდა გითხრათ, გარი...

ამერიკელები ჩემს სუფთა რუსულ გვარს, – ზმნა „горeть“ ბრძანებით კილოში, – ფონეტიკურად ცვლიან და ამერიკულ ყაიდაზე წარმოთქვამენ, რადგან გარი აქ ყველაზე გავრცელებულია. ყოველ ჯერზე მგონია, რომ მეტსახელით მომმართავენ.

– თქვენ არ გიყვართ ცხოველები – You have no use for animals.

– ჰკითხეთ ჩემს მეგობრებს თუ...

– ამ ძაღლმა თქვენთვის, არც მეტი არც ნაკლები, აბსტრაქტული შინაარსი შეიძინა. მე ეს თავიდანვე ვიგრძენი. იმავეს ვიტყოდი კიზზეც. მე თქვენ, ინტელექტუალებს, გადამდებ დაავადებას შეგადარებდით.

– შემეშვით თქვენი ინტელექტუალებით, კერათერს. თუ ვერ იტანთ, აარჩევინეთ თავი ლოს-ანჯელესის მერად.

– The son of a bitch – ო, ეს ძაღლიშვილი, წარმოთქვა აღფრთოვანებით. – მგონი, სულ გააფრინა თავისი იდეის გამო ... უკვე თვე-ნახევარია, რაც თავის სამი წლის ბიჭს წინ და უკან დაატარებს... ასე მოიყვანს და პირდაპირ ძაღლის ვოლიერში უკრავს ხოლმე თავს.

– რას ამბობთ?

– The first time he scared the shit out of me – პირველად ისე შემეშინდა, კინაღამ სული გავაცხე...

კერათერსი რანჩოზე მაგნოლიების ბულვარის გავლით შემოდიოდა. ამ მხრიდან შემოღობილს სანახევროდ ფარავს თეთრი და ვარდისფერი დაფნის ბუჩქები, მაგრამ მის მიღმა საშენი და ბატკას ვოლიერი წინა პლანზე მაინც ჩანს. ასევე შეიძლება თვალი მოჰკრათ მარტოხელა ჟირაფ მატილდას (არაფერია ჟირაფზე მარტოსული, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოწმენდილ ჰორიზონტზე გამოიკვეთება ეულად) და გველების თხრილისკენ გამავალ კარიბჭეს მსხვილი წითელი ასოებით გამოყვანილი წარწერით: WE ARE A BUNCH OF DEADLY SNAKES AND WE DON'T LIKE YOU EITHER. KEEP OUT. – „შხამიანი გველები ვართ და არც ჩვენ მოგვწონხართ. გვერიდეთ". შიმპანზეების საცხოვრებელი ცოტა მოშორებითაა, მარჯვენა მხარეს, ამ დასახლების სხვა ნაგებობებთან შედარებით ბევრად უფრო კომფორტული. გასაგებია რატომაც. კერათერსის შიმპანზეთა უმეტესობა ეკრანის დიდი თუ პატარა ვარსკვლავი ბრძანდება და ჯეკიც თავს ვალდებულად მიიჩნევს, რომ მათ სტატუსს სათანადო პატივი მიაგოს.

შესახვევთან ჯეკმა ბატკას შეავლო მზერა და კინაღამ სახანძრო ამწეს შეასკდა:

ვოლიერის შუაგულში ძაღლის წინ შავკანიანი ბავშვი იდგა. ჯეკმა წკიპზე მოასწრო საჭის გასწორება. ძირს დავარ-

დნილი სიგარაც ჩაიჩარა პირში, შეუხვია და პირდაპირ რანჩოს ჭიშკრისკენ გააქროლა. ორ წუთში უკვე ვოლიერში იყო.

მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ბავშვი აქ შემთხვევით კი არ აღმოჩენილა, არამედ ვიღაცამ გამიზნულად შესვა; ძაღლი დაბმული იყო. პატარა კი გისოსებზე ქამრით მიებათ. მას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა. ჯეკი კიზის ოჯახს არ იცნობდა და იმ მომენტში, ცხადია, არ იცოდა, რომ ის მისი ფრიად დაფასებული თანამშრომლის ვაჟი იყო; ჯეკი არაადამიანური ხმით აყვირდა. წყობიდან გამოსული ჯეკის ხილვა კი მთელი სანახაობაა; არ უნდა გამოგრჩეთ არც ერთი სიტყვა მისი ტირადიდან. აქ მარტო ფოლკლორზე კი არ შეიძლება ლაპარაკი, არამედ კულტურაზეც, ღრმა, ამომწურავ ცოდნაზე ლიტერატურისა და რელიგიის სფეროში და შესაშურ ლტოლვაზე ხატოვანებისა და ფერწერულობისაკენ. მოცვივდა ყველა, ვის სმენამდეც მიაღწია ამ ბღავილმა და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში კიზი მოვარდა. მკლავზე გველი ჰყავდა შემოხვეული, ვერ გეტყვით, რა ჯიშის. ორიოდე წამით ადრე შხამისაგან დაეცალა და თხრილში ჩაბრუნება ველარ მოესწრო. ახლა კი იდგა ჯეკის წინ მკლავზე შემოხვეული პირდაღებული გველით. ახსნა-განმარტება კი ხმაურიანი გამოუვიდა. აი, სწორედ მაშინ გაიგო კერათერსმა, რომ აგერ უკვე კვირაზე მეტი იყო, რაც კიზი თავის შვილს თეთრი ძაღლის გალიაში სვამდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ პირველმა ახსნამ, უფრო სწორად, პირველმა ეჭვმა, რომელიც გონებაში გამიკრთა, კერათერსსაც გაუელვა თავში. ცხადია, ეს არც მე შემშვენის და არც მას, არც ჩემს ღირსებაზე მეტყველებს და არც მისაზე. ერთი წამით გავიფიქრეთ, რომ კიზი თავის შვილს „წვრთნიდა“. გაავებული ბატკა შიშის მომგვრელი სანახაობაა. პერვერ-

სიული წარმოსახვით შეპყრობილმა, რაც ხშირად ჩემი აგზნებული გონების, გნებავთ ლოგიკის, მიერ მოვლენათა მცდარი ინტერპრეტაციის შედეგია, რატომღაც ამოვიჩემე: კიზი ბავშვს წვრთნის; უნდა, რომ მისმა შვილმა სიძულვილისთვის თვალის გასწორება შეძლოს, შეეგუოს მას. უნდა, რომ ისწავლოს და შეისისხლხორცოს; გთხოვთ, ნუ გამაიგივებთ ისეთ მწერალთან, რომელიც ხშირად მოუხელთებელი წარმოსახვის მიერ გადმოგდებულ ანკესზე ადვილად წამოეგება: იმავე აზრმა დაიბუდა ჯეკ კერათერსის გონებაშიც. ამით აიხსნება მისი მრისხანებაც. სინამდვილეში სულ სხვა რამ ხდებოდა. კიზი ძალიან კარგად იცნობდა ძაღლებს და მშვენივრად უწყოდა, რა მფარველურად და მამობრივად ეპყრობიან დიდი ნაგაზები, როგორც ცხოველის, ისე ადამიანის ნაშიერებს. ბიჭუნას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ კიზმა მაინც მიიღო უსაფრთხოების ზომები: ერთიც და მეორეც ცალ-ცალკე დააბა შორიახლო.

– ბავშვი ჯერ გარეთ დავაყენე, – გვიხსნიდა კიზი, – ძაღლი მაშინვე მეგობრულად განეწყო მის მიმართ. ასე ვიქცეოდი რამდენიმე დღის განმავლობაში, რომ უმნიშვნელო ეჭვიც გამფანტვოდა და ჩემს სისწორეში საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი. შემდეგ ჩაკმა მასთან თამაშის სურვილი გამოთქვა...

– რატომ ქენით ეს?

კიზი ჯეკს ღიმილით შესცქეროდა.

ჯეკმა მითხრა:

– არა, კი არ მიყურებდა, როგორ გეკადრება, თვალებით პირდაპირ მიზანში ვყავდი ამოღებული.

– და რატომ აკეთებთ ამ ყველაფერს; რისთვის? ვისთვის?

– მინდა, რომ ძაღლი ჩვენს სუნს შეეგუოს...

– გიჟივით მომინდა, მისთვის სახეში გამერტყა, – მეუბნებოდა ჯეკი, – პირად შეურაცხყოფად მივიღე, მაგრამ, უნდა

ითქვას, რომ ამ სიბრიყვემ სუნთან დაკავშირებით სერიოზული როლი შეასრულა ამერიკული საზოგადოების სეგრეგაციაში. მოკლედ, აღმოჩნდა, რომ ვერაფერი ვუპასუხე. ამიტომაც ყველაფერი გადავყლაპე.

– საქმე მოგებულია, – დაასკვნა კიზმა, – თუ გნებავთ, შეგიძლიათ, გალიაში შეხვიდეთ და ახსნათ ერთიც და მეორეც. გარწმუნებთ, სარისკო არაფერია. მე ვიღებ ამაზე პასუხისმგებლობას.

– თუ საერთოდ გააფრინეთ, შეგიძლიათ, თავად შებრძანდეთ და რაც გინდათ, ის ქნათ.

კიზმა ხელი გამოიშვირა:

– დამიჭირეთ.

ჯეკმა გველი პირდაპირ გამოსტაცა კიზს ხელიდან.

– ასეთ დროს დაყოვნება კარგს არაფერს გიქადის, სწრაფად უნდა იმოქმედო, – მიხსნიდა ჯეკი, – ხელი უნდა ჩაავლო იქ, სადაც საჭიროა. დარწმუნებული ვარ, ყოყმანი რომ დამეწყო, კიზი გველს პირდაპირ ჩემკენ გამოაქანებდა. გონება გველზე ფიქრით მქონდა გაბრუებული და იმ დემონის შეყოვნების თავიც არ მქონდა, იმ ურჩხულისა, რომელსაც თვეში რვაას დოლარს ვუხდი. ჰოდა ვიდექი იქ, მკლავზე გველშემოხვეული. მთელ სიგრძეზე იკლაკნებოდა. ამასობაში კიზი გალიაში შევიდა. ოთხი-ხუთი კაცი გაშეშებული ვადევნებდით თვალ-ყურს. არავინ იცოდა, რომ კიზსა და თეთრ ძაღლს კარგად ესმოდათ ერთმანეთის. შეიძლება ახალგაზრდა ტერიმ ცოტა მეტი იცოდა მათი დაძმაკაცების შესახებ. ისე ხალისობდა, ეჭვი მაქვს, რომ იცოდა; მოკლედ, კიზი უკვე გალიაში იყო. ჯაჭვით დაბმული ცხოველიც და ბავშვიც აუშვა. თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი მომხდარა; კიზმა მართლაც გაიმარჯვა: ეს თქვენი პოლიციელი მიუახლოვდა ბავშვს და სახის

ლოკვას მოჰყვა. პატარა სიხარულისგან ჭყლოპინებდა. კიზი ძაღლს გავაზე სიყვარულით უსვამდა ხელს. ერთი სიტყვით, მონოლითურ, ბედნიერ ოჯახს შევცქეროდით. რაღა უნდა მეთქვა ამის შემდეგ? გესმით, ალბათ, ჩემი. ვაღიარებ, რომ შევცდი. ვერასდროს დავიჯერებდი, რომ ბებერი ცენტურიონის მორჯულება შეიძლებოდა. მეგონა, რომ ეს ზნე სისხლში ჰქონდა გამჯდარი და მისი მოტეხვა წარმოუდგენელი, ყოველ შემთხვევაში, დაგვიანებული იყო. თურმე მწარედ ვცდებოდი. ყოველ ცისმარე დღე რანჩოში მოვდიოდი და ვხედავდი, როგორი სითბოთი ეფერებოდნენ ბავშვი და ძაღლი ერთმანეთს გალიაში და დავრწმუნდი, რომ მწვრთნელების ჩემმა თაობამ თავისი დრო მოჭამა და ახლებმა კარგა შორს ჩამოგვიტოვეს უკან. აშკარაა, რომ დღეს ამ საქმეს ბევრად უკეთესად ართმევენ თავს. ეს არის და ეს. ახლა გალიაში სრული იდილია სუფევს. ამას შეიძლება მიწიერ სამოთხეში დაბრუნება ეწოდოს... მხოლოდ გველებს არ სჯერათ ამისა. სრულ უნდობლობას იჩენენ. სიმართლე გითხრათ, მეც მიჭირს ამის აღიარება.

ალბათ, ძალიან აღელვებული სახე მქონდა. გულიც კი ამიჩუყდა. წამიერად ვირწმუნე, რომ დედამიწაზე ციურმა სიკეთემ და საყოველთაო სიყვარულმა დაისადგურა ქორალის სასიამოვნო ჰანგების თანხლებით.

– ჰო, თქვენი კიზი საოცარი ვინმეა.

ძნელია ამტკიცო, რომ აზრების თვალებში ამოკითხვა თავისუფლად შეიძლება, მაგრამ ჯეკის შთაგონებულ და მეტყველ მზერაში აშკარად არაორაზროვნად იკითხებოდა: „აუტანელი მუდოა“. ოთახის სილრმეში მის ბომ ისეთი კვნესა დაიწყო, გეგონება, მშობიარობს და მუცელში ნაყოფი ეძრაო. ჯეკმა სიგარა გადააგდო.

– კიზი და თქვენი ძაღლი განუყრელი ძმაკაცები გახდნენ.

ამაში თავად შეგიძლიათ დარწმუნდეთ. მიბრძანდით და ნახეთ. მე არ მცალია, უამრავი საქმე მაყრია თავზე.

ჯეკი მიბრუნდა.

ალბათ აუცილებლად უნდა შეინარჩუნო ერთი მისხალი იმ ნეტარი დროისა, რომელიც, შემდეგ, ასაკთან ერთად უკვალოდ გაქრება, იმისათვის რომ დაგეუფლოს ისეთი მღელვარება და ბედნიერება, რომელიც გალიასთან მიახლოებისას განვიცადე. კიზი ძირს იჯდა და ბატკას გულმოდგინედ აცლიდა ტკიპებს, რომლებიც მინდორში კოტრიალისას შესეოდნენ: ძაღლი ზურგზე გაწოლილიყო და თათები აეშვირა; ნეტარებდა. კიზმა თავი ასწია, Hi there მესროლა და თავის საქმეს მიუბრუნდა.

მშვიდობის, თანხმობისა და მეგობრობის იდილიური სცენა იყო. მზე. ევკალიპტები. სიტკბოება სილამაზისა. გალიის გარშემო ქათმები კაკანებდნენ. „თეთრი“ დედლები... ამ ქვეყანაში შეიძლება გააფრინო!

ბატკა ისევ ზურგზე წევს, სრულ ექსტაზშია, მიუხედავად იმისა, რომ კიზი მას მუცელს უხეში ჯაგრისით უვარცხნის. ჩემს დანახვაზე მოჭუტული თვალები ნახევრად გაახილა. კუდის ქნევით მომესალმა. აშკარად გაუხარდა ჩემი ვიზიტი; გამიღიმა; ცხოვრებაში მოღიმარი ძაღლი ორჯერ-სამჯერ თუ მინახავს. მათგან ერთი უეჭველად ბატკაა. ამ დროს ძაღლი ეშვებს აშიშვლებს და ტუჩები უთრთის, თუ უფრო ზუსტი განმარტება გირჩევნიათ, რუსულად გეტყვით: Скалится.

– ვხედავ, გამოგსვლიათ, – ვუთხარი.

კიზი მუცლის ფხანას განაგრძობდა.

– ჯერჯერობით ვერა, – მიპასუხა.

– ამაზე უკეთესი რაღა უნდა იყოს?

– უკეთესის მიღწევაც შეიძლება. ნამდვილად შეიძლება – Sure you can.

კიზი თავის ფეხებთან გაშხლართულ ძაღლს გამოცდილი სპეციალისტის მზერით დასცქეროდა.

– უფრო წინ წასვლაც შეიძლება, მაგრამ ამისთვის მეტი დრო დაგვჭირდება...

...ახლაც თვალწინ მიდგას ვოლიერის შუაგულში აყუდებული კიზი. მას შემდეგ ერთმა წელმა გაიარა და ჩემს ცხოვრებაში უამრავი რამ მოხდა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ამ მოგონებას სიმქრქალე არ შეჰპარვია. პირიქით, ჩემს მეხსიერებაში მითოლოგიური შეფერილობა შეიძინა.

...არა მგონია, ეს სცენა მეხსიერებიდან ოდესმე წამეშალოს.

ის ერთ-ერთი იმ ვიწროთეძოებიანი ამერიკელთაგანია – Lanky Americans, აქაური ნიადაგის, მე ვიტყოდი, ჯადოსნური თვისებების წყალობით სიმაღლეში უსასრულოდ რომ აიშოლტებიან ხოლმე. მოკლე შავი ულვაშები თხელ ევროპულ ტუჩებს ზემოდან, შორეული ლათინური წარსული. მზერა ადამიანისა, რომელიც თქვენგან არაფერს მოელის და არც თავად ძალუძს, შემოგთავაზოთ რამე: არც ნდობა, არც სიმპათია და არც ბრაზი. ეს მზერა ბევრ რამეს მალავს და თქვენკენ არასოდეს არ არის მოპყრობილი. სახეზე გადაკრული სიმკაცრისგან ნაკვთების სინატიფე უკვალოდ გამქრალა. ამის გამო ის უემოციო და შეუვალი, არაექსპრესიული გამხდარა. ეს გრანიტისებრი სიმყარე „ველურობად ან რომაულ პროფილად“ აღიქმება. გააჩნია, ვისზე ჩამოვარდება სიტყვა, აფრიკელ მეომრებზე, რომაელ ლეგიონერებზე თუ რენესანსის ეპოქის კონდოტიერებზე. ხელები სულ გველების ნაკბენებით აქვს დასერილი. ტეიტამმა გამანდო, ეს უცნაური კაცი ყველა ჯურის ამერიკული გველის ურიცხვი ნაკბენისგან მაგიური იმუნიტეტით არის დაცული, რამდენჯერაც უნდა უკბინონ, მისი კანი ვერაფერს გრძნობსო.

– იქნებ, – დასძინა მოხუცმა და თან თვალი ჩამიკრა, – იქნებ კიზს თავისი პატარა საიდუმლო აქვს, რომელიც მამიდან შვილს მემკვიდრეობით გადაეცემა, უებარი ჯადოსნური მცენარეები, რა ვიცი...

ჩემი აზრით, აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ გაუტკივარებაზე, რომელიც შრატისა და შხამის მცირე დოზების წყალობით მიიღწევა თანდათანობით. მე თვითონ ვნახე, როგორ იდგა გველების ორმოში და შიშველი ხელებით ასპიტს შხამს ანთხევინებდა. სამწუხაროა, რომ ადამიანებთან ამის გაკეთება გაცილებით ძნელია...

...აი დგას კიზი შუა თხრილში უემოციო და გაყინული იერით, ირგვლივ უთვალავი გველი ფუთფუთებს. გვიმტკიცებს, რომ გაიმარჯვა, რომ ის ხელშეუხებელი ამერიკელია...

კიზი ბატკასკენ იხრება და მუცელზე ეფერება. ბედნიერი ძაღლი თვალებს ჭუტავს და ნეტარებას ეძლევა.

სახეზე ღიმილი გადამეკრა – გულაჩუყებული ძლივს ვიკავებ ცრემლებს. არა, ძველი ვიქტორიანული ეპოქის დროინდელი ცხვირსახოცი ნამდვილად თან უნდა ატაროს კაცმა.

– ამასთან ჯერ კიდევ მომიწევს ჯახირი და ოფლის ღვრა, – თქვა კიზმა. – ცხადია, მიმიღო. ეს ბუნებრივიცაა, მე ვაძლევ საჭმელს, მე გამყავს სასეირნოდ, მე ვფხან მუცელს. როგორც იტყვიან, ჩიტის რძეს არ ვაკლებ. თვითონაც ცდილობს, ჩემთან თავაზიანი იყოს. მე მისი house-nigger-ი ვარ.

სახეზე ღიმილი მეყინება და მალე მისგან კვალიც აღარ რჩება.

ეს ნაძირალა გამოუსწორებელია. ისიც მართალია, ისტორიულ მეხსიერებას ვერაფერს უზამ, ვერ ამოძირკვავ. გახსოვთ, ვის ეძახდნენ House-nigger-ს – „ბატონის ზანგს“? ბატონს მიტმასნილ ქლესა შავკანიანს, ერთგულ მსახურს,

ბავშვების გამრთობს. თავის მხრივ, ბატონიც სწყალობდა და სხვა მონებისგან გამორჩეული ჰყავდა.

დღეს აქტივისტები ამ გამოთქმას იყენებენ, როცა იმ შავკანიანებზე მიუთითებენ, რომლებმაც თეთრების სამსახურში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

– I'm his house-nigger.

კიზი გალიიდან გამოვიდა. სიგარეტს მოუკიდა, მეოცნებე სახით ნაფაზი დაარტყა; ასანთი გადააგდო და ჩემკენ არ გამოუხედავს, ისე მკითხა:

– არ გინდათ, ეს ძაღლი მე მომცეთ?

ვიგრძენი, რომ რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული. აბა, რატომ მარიდებდა მზერას?

– და რატომ არის მისი დატოვება თქვენთვის ასე მნიშვნელოვანი?

კიზმა ზურგი შემომაქცია.

– You can't give up on a dog, – მომიგო ძლივს გასაგონად. – არ შეიძლება ძაღლის ასე მიგდება.

შევყოყმანდი. ვუპასუხე:

– ჩემს ცოლს ვკითხავ.

გადავუქროლე ბორცვებს და ქოლდუოტერსზე დავეშვი, გავიარე ევკალიპტებისა და პალმების ხეივნები. ასე მეგონა, კიზის მზერა მომყვება-მეთქი; ზურგი მეწვოდა ამ შენიღბული მზერისგან, რომელიც მარად ფრთხილობს, რომ თავი არ გასცეს...

სტასის სახლის წინ გავაჩერე. სტასი იდეალური ქალაქების მოდელებს ქმნის. მითხრეს, დიდი დღე არ დარჩენიაო, მაგრამ შეუპოვრობის სასწაულს კი ახდენს. მე მგონი, „მზიანი ქალაქის" დასრულების მწველი სურვილი უხანგრძლივებს სიცოცხლეს.

13

ახალგაზრდა შავკანიანმა ლორელ კანიონის დაბურულ სიმწვანეში ჩაფლული, ბოძებზე შემდგარი პატარა სახლის კარი გამიღო. სტასი შინ იყო, თავისი „მზიანი ქალაქის“ წინ, რომელიც გაზრდილიყო: კულტურის სახლი, მუშათა სასახლეები, მუზეუმები, უნივერსიტეტები, გასართობი ცენტრები, პროფესიული კლუბები, პერიფერიებზე განლაგებული ქარხნები, მწვანე სივრცეები, ერთი შენობისათვის წაეწერა: „თავისუფლება – მუდამ!“, მწერლების, მუსიკოსების და მხატვრების უბნები, აუზები და სტადიონები – მთელი ეს დასახლება შესანიშნავად გამოიყურებოდა, მხოლოდ უნივერსალური ეკლესია მერყეობდა რამდენიმე არქიტექტურულ კონცეფციას შორის; მინარეთები, გუმბათები, შპილები, ჯვარი, ნამგალი და ურო, ნახევარმთვარე და სხვა მეტნაკლებად გაუგებარი სიმბოლოები კომპლექსს ნამდვილ საწყობს ამსგავსებდა, ცარიელს, სხვათა შორის. სტასი საშინლად იყო გამხდარი. ეცვა ფსიქოდელიური ფერის ხალათი, სავარძელში ისვენებდა და დროდადრო თავის ნაშრომს სევდიანად გადახედავდა ხოლმე. ჩვენს მზერაში ის ყოველთვის თავისი ბრაზილიის მოწონებას ეძებდა.

– ძალიან ლამაზია, – ვუთხარი, – ეტყობა, ციხეზე არ გიფიქრია და ჯობდა, სტადიონისთვის ეკლიანი მავთულხლარ-

თები შემოგევლო. დღეს თითქმის ყველა მატჩი სისხლიანი შეხლა-შემოხლით მთავრდება. ბურთს დაცვა სჭირდება.

შევიტყვე, რომ სტასის შეკედლებულ ზანგს თურმე პოლიცია დასდევს. სწორედ ამ მომენტში ხიზანმა შემოიტანა ჩაით სავსე თერმოსი, რომელიც თავისი ავადმყოფობისათვის დამახასიათებელი წყურვილით გაწამებულმა სტასმა სულმოუთქმელად გამოცალა. ჭაბუკს ხელში „ეგზამინერი“ ეჭირა.

მოვიდა თუ არა, იმწამსვე ენად გაიკრიფა. ამას განსამუხტ უაზრო ქაქანს უფრო დავარქმევდი, ვიდრე აზრის გამოთქმას. მისი აღშფოთების საგანი, გაზეთში გამოქვეყნებული ორი პწკარი, მკითხველს ამცნობდა სპირტიანი სასმელების მაღაზიის სალაროზე „ორი უცნობი მამაკაცის“ თავდასხმის შესახებ. სროლისას პოლიციამ ბოროტმოქმედები დაჭრა და დააპატიმრა. გაზეთში გამოქვეყნებულია მათი გვარებიც. სტასის პროტეჟე მათ იცნობს. საშინლადაა გაბრაზებული, რადგან ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები, რომ თავდამსხმელები შავები იყვნენ...

– პრესას ამ ინციდენტის მიჩუმათება აქვს ნაბრძანები. ჩვენ რეკლამით სარგებლობის შანსი ყოველ ჯერზე უნდა მოგვისპონ. მათ უნდათ, რომ ჩვენს ბრძოლას ყაჩაღობის იარლიყი მიაწებონ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ მიზნადა აქვთ „შავი ძაღლის“კასტრირება, ისინი ცდილობენ, ყველა გზა მოგვიჭრან და მოგვისპონ ჩვენი რევოლუციური ბრძოლის ნაყოფით სარგებლობის შესაძლებლობა. ჩვენი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაშლილი შეტევების მისაჩუმათებლადაც ყოველ ღონეს ხმარობენ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყოველ ჯერზე, როცა რომელიმე ჩვენი ძმათაგანი „დანაშაულს“ ჩაიდენს, გაზეთებმა გარკვევით დაწერონ, რომ დარტყმა ზანგებმა განახორციელეს, თორემ ქვას ქვაზე არ დავტოვებთ –

ყველა რედაქციას ავაფეთქებთ. ისინი კიდევ თავს იკავებენ და ფერზე არ მიუთითებენ. წერენ ჯონ სმითიო და მორჩა. რატომ? – ჩაიქირქილა.

სახეზე ოფლი ნაკადულებად ჩამოსდიოდა. ყუთზე ჩამომჯდარი ჩაის მიეძალა – ფინჯანს ფინჯანზე ცლიდა. საკუთარი თავი იმაზე დავიჭირე, რომ გავიფიქრე, ცხოვრებაში პირველად ვხედავ შავკანიანს, რომელიც ჩაით ასე რუსივით იჭყიპება-მეთქი.

ჯეელი ნერვიული კანკალით იყო ატანილი. კარგად ვიცნობ შინაგან დაძაბულობას და ციებ-ცხელებას, აგრესიას, თრთოლას და კანკალს: ეს აშკარად გამოკვეთილი შიში იყო.

– გეკითხებით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ძალა დაუმალონ შავკანიანთა მასებს, იმათ, ვინც ჩვენით იამაყებდა, იმათ, ვისაც ჩვენი ენთუზიაზმი გაამხნევებდა და, უფრო მეტი, დახმარებისა და თანადგომის სურვილს ჩაუსახავდა. ცხადია, არ უნდათ, ყველასთვის ნათელი გახდეს ის მასშტაბები, რომელსაც ჩვენი მოძრაობა იძენს. სამოცდათხუთმეტი პროცენტი ეგრეთ წოდებული „კრიმინალისა“ ჩვენი ძმების მიერაა ჩადენილი. ეს ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ „თეთრ პრესას“ პირში წყალი აქვს ჩაგუბებული: იმათ იციან, რომ ყოველი ასეთი დანაშაული სინამდვილეში პარტიზანული ომის უდავო აქტია. რა თქმა უნდა, არ სურთ, რომ სამყაროს შეშინებაში ხელი წაგვაშველონ.

გამოვშტერდი. ოდითგანვე, ყოველ შემთხვევაში ბოლო რამდენიმე თაობის მანძილზე, ამერიკული პრესა ღრმად სცემდა პატივს ერთ დაუწერელ კანონს: არავითარ შემთხვევაში არ მიეთითებინა ეთნიკურ წარმომავლობაზე, დამნაშავის რასაზე. თუკი რომელიმე რეაქციული გაზეთი არღვევდა კოდექსის ამ მნიშვნელოვან მუხლს და მკვლელის კანის ფერზე მიუთითებ-

და, შავკანიანი ბელადები მძვინვარე პროტესტით უპასუხებდნენ. ეს რასიზმის წაქეზებად, დაუფარავ პროპაგანდად იყო მიჩნეული. დღეს კიდევ ყველაფერი პირიქით შეტრიალდა. შავკანიანთა ლეგიტიმური უფლებებისათვის მებრძოლ აქტივისტებს ბოროტმოქმედთა „ანექსირება“ და მათი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება აქვთ გადაწყვეტილი. ასე იქცეოდნენ ანარქისტებიც XIX საუკუნეში. ნებისმიერი კრიმინალური აქტი მათ მიერ მოწყობილ სოციალურ ამბოხებად აღიქმებოდა. დღეს „განგსტერობას“ „ტერორიზმი“ ჰქვია. ყოველი შავკანიანი, რომელიც თეთრკანიან ქალს აუპატიურებს, მხოლოდ იდეოლოგიურად იძიებს შურს. თავად კლივერმა განაცხადა ყველას გასაგონად, კი, ნამდვილად გავაუპატიურე თეთრი ქალი იდეოლოგიური მოსაზრებებითო. ამ განმარტებას არც თავის წიგნში მოერიდა და, საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე ფსიქიატრიაში აშკარად გამოიკვეთა ერთი ტენდენცია – ყოველ დანაშაულს დაედოს სოციალური სარჩული. მკვლელობა წმინდა ომად იქცა. ამიერიდან აღარ არსებობენ გაიძვერები და ნაძირალები. მხოლოდ გმირები შეგვრჩა ხელში. აზრი თავისთავად ურიგო როდია, მაგრამ ერთი თანამდევი უხერხულობა არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან: ამერიკელების თვალში ამ შემთხვევაში კანის ფერს არა აქვს მნიშვნელობა. ყოველი პოლიტიკური ტერორისტი, შავი იქნება თუ თეთრი, საერთო „უფლებების დამრღვევ ბოროტმოქმედად იქცევა“. სხვა სიტყვებით, რახან საყოველთაო კანონების პირსისხლიანი დამრღვევები ჭეშმარიტ გმირებად გამოვაცხადეთ, იშვიათი ჭეშმარიტი გმირების გამოუსწორებელ კრიმინალებად წარმოჩენა დიდ სიძნელეს ნამდვილად არ უნდა წარმოადგენდეს.

სტასს ჩქარ-ჩქარა ვუთხარი პოლონურად:

– რაღაცას ბოდავს ეგ შენი ზებრა.

ჩემმა საწყალმა საამური მომავლის რაინდმა ძაღლის კუდივით ჩამოშვებულ ქერა ულვაშებში ჩაიბურდღუნა:

– უსიამოვნებები აქვს ამჟამად.

ვუყურებდი ამ ხელმოცარულ გაუბედურებულ ჭაბუკს, მაგრამ არ ვუსმენდი, რამაც მისი უკეთესად შეთვალიერების საშუალება მომცა: ხელები უკანკალებდა; ოფლად იღვრებოდა და თან ჩაის გამო არა, როგორც ეს თავიდან მეგონა. თვალები უზომოდ გაფართოებოდა. შიგ უძრაობა, სიცარიელე ჩასდგომოდა. უსიცოცხლო ტუჩებიც გაყინვოდა.

– დეპრესიაშია ჩავარდნილი, – დასძინა სტასმა.

– რამე კონკრეტული მიზეზი აქვს?

სტასი შეყოყმანდა. მზერა მიწიერი სამოთხის შუაგულში გადაიტანა, „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმზე“, ღრმად ამოიოხრა, მაგრამ არაფერი მიპასუხა...

– აი, ნდობაც ამას ჰქვია, – ვუთხარი.

ერთი რამ ცხადია: ტიპი უკიდურესად შეშინებული ჩანდა. უზარმაზარ, მძვინვარე შავ ზაფრას დაემონებინა.

– იქნებ ტრანკვილიზატორები მიგეცა...

– სისულელეებს ნუ როშავ...

სტასი მართალი იყო: წარმოიდგინეთ თეთრკანიანი, რომელიც შავკანიან აქტივისტს ტრანკვილიზატორებით აბრუებს. ის აუცილებლად დამცირებულად იგრძნობდა თავს. ეს იმას ნიშნავს, პირდაპირ მიგეხალა, ბოდავო და ყველა მისი საქციელის სამართლიანობა და მართებულობაც საეჭვოდ გაგეხადა. ყველაზე უსიამოვნო ამ გადარეულებთან და აგზნებულებთან ურთიერთობაში ის გახლავთ, რომ ეს გადამდებია. „ვგრძნობ, როგორ მიპყრობს უმიზეზო ბრაზი“ – ხაზს ვუსვამ ამ ფრაზას, რადგან შესანიშნავად გვიხსნის, როგორ გადაიზრდება

ხოლმე შმაგი აულაგმავი ვნებები სიმდაბლეში. წარმოიდგინეთ მთის მწვერვალიდან მოწყვეტილი თოვლის გუნდა, თანდათან დამანგრეველ ზვავად რომ გარდაიქმნება. სუნთქვა გამიხშირდა, ნერვიული გამიხდა. იძულებული ვხდები, რადაც არ უნდა დამიჯდეს, თავი ხელში ავიყვანო.

ეტყობა, ჩემს მზერაში რაღაც უსიამოვნო ამოიკითხა, რადგან ყველა რასისტისა და ნაციონალისტის საყვარელი ფორმულა მომახალა მოურიდებლად.

– თქვენ ვერ გაიგებთ, რადგან ამერიკელი არა ხართ.

– და თქვენ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საბოლოო ანგარიშში თავს ჭეშმარიტ ამერიკელად მიიჩნევთ?

ჭაბუკმა სტასს გადახედა. ეს იყო შეურაცხყოფილი, მძიმედ დაჭრილი ბავშვის მზერა.

– როგორ შეგიძლია, ასე არაკეთილგანწყობილი იყო? – ჩაიბურდღუნა ჩემმა მეგობარმა.

– უნდა შევიცოდო? ამის თქმა გინდა?

– ჩემზე ლაპარაკობთ? – იკითხა შავმა ეჭვნარევი ხმით.

– დიახ, – ვუპასუხე, – ეტყობა, ყოველ ზანგს, რომელიც სისულელეებს ბოდავს, ისე უნდა ელოლიაო, როგორც ორსულ ქალს. ამოვიდა ყელში!

– იქნებ ბაღში გაგესეირნა? – ტაქტიანად მირჩია სტასმა. თავი შევიკავე, უფრო სწორად ვეცადე, მაგრამ იმ გადარეულს ნერვიული ტიკები დაეწყო, სახე მოეღრიცა. ზიზღით სავსე თვალებით შემომცქეროდა. ვაღიარებ, რომ ნამდვილად გადამდებია: სახეზე ზიგზაგების ტალღამ გადამიარა, აქა-იქ კანიც ამომებურცა, გეგონება, ზიზღის ნაკადი მისი სახიდან ჩემსაზე გადმოდინდა. ჩუმად ვიდექით და ერთმანეთს ნერვიულ ტიკებს ვუგზავნიდით. ბოლოს მკვახედ წარმოვთქვი:

– თქვენ დუჟმორეული ყველგან გაიძახოდით, რომ ვერ იტანთ ლიბერალებს. მაშინ ვერ გამიგია, რაღას აკეთებთ ამ მიამიტი ადამიანის ჭერქვეშ? არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ სტასი სულით ხორცამდე ლიბერალია.

ტიპმა განსაკუთრებით მეტყველი ტიკი მტყორცნა, რომელიც დაუყოვნებლივ უკან დავუბრუნე. ამას ძლიერი ყელისმიერი ხმით წარმოთქმული მორიგი კლასიკური ფორმულა მოჰყვა, გეგონება გაზუთხულ გაკვეთილს ჰყვებაო:

– ეს მისი პრობლემაა...

მას ხვანჩი აუმოძრავდა, მე კიდევ ნერწყვი გადავყლაპე.

– თუ ჩვენი დახმარება აქვს გადაწყვეტილი, ეს მისი პირადი საქმეა. იცის, რომ ვიყენებთ.

– ჭეშმარიტებას ბრძანებს, – თქვა იმ ღამის ქოთანმა, იმ მაზოხისტმა სტასმა.

– თქვენ, ლიბერალები, ჩვენი დახმარებით საკუთარ თავს ანიჭებთ სიამოვნებას. ეს სიამოვნების მიღების თქვენეული ფორმაა. ჩვენ თქვენი არაფერი გვმართებს.

– ამ შენს დეგენერატს მართლაც გაუვიდა თავს და რაღაცას გამომტყუებს, – ვთქვი მოგუდული ხმით.

ცოფისა და მრისხანებისაგან მთელი სხეული დამეძაბა და დამეჭიმა. ტოტალური დანაწევრების, ნეტარი შეშლილობის, ყოველივე ადამიანურისგან გათავისუფლების ლამის ფიზიკური მოთხოვნილება გამიჩნდა. მისი დაკმაყოფილება მიუწვდომელი ოცნების – ადამიანად კურთხევის შანსს მომცემდა. და, როგორც ყოველთვის, ჩემი ფიქრების დინებამ მყისიერად მიმართულება იცვალა.

მოულოდნელად გავიფიქრე: არავისა აქვს უფლება, ასე მოექცეს ძაღლს... იმ მომენტში ბატკაზე კი არ ვიფიქრობდი, არამედ თითოეულ ჩვენგანზე. ყველაზე... ვინც „ასე“ მოგვექ-

ცა. ვინ გვაქცია „ასეთად“? ოღონდ არ მითხრათ, „საზოგადოებამო“. დამნაშავეა თავად ჩვენი ტვინის გადაგვარებული უჯრედები, „საზოგადოება“ მხოლოდ დიაგნოზია.

– ამ ბიჭს სიკვდილი ემუქრება, – ამოღერღა სტასმა.

– პოლიციის შპიკები ერჩიან?

– არა.

არ ვიცი, იცოდა თუ არა სტასმა – მშვიდობა მის სულს იმ მზიან ქალაქში, სადაც უეჭველად უფრო სამართლიან და კეთილმოწყობილ სამოთხეს აშენებს გონივრულად და სამართლიანად გადანაწილებული თანხებით, – ესმოდა თუ არა ამ ბიჭის მდგომარეობის მთელი საშინელება?

ის, რომ თითქოს პოლიცია მასზე ნადირობდა, ვფიქრობ, თავად პოლიციის ეშმაკურად მოფიქრებული ფანდი იყო; ერთი ჩამშვები მაინც ხომ უნდა ჰყოლოდათ. ამის მტკიცების უფლება არც მაქვს, იქნებ მწარედ ვცდები. იმ უბედურის გვარს მარტო ერთხელ მოვკარი ყური: რეკლი ვითომ? ან იქნებ სულაც რიგლი ან რაღაც ამის მსგავსი. მაგრამ ზუსტად მახსოვს, რომ ალექსს ეძახდნენ. 1969 წლის შემოდგომაზე კონექტიკუტში იპოვეს ვინმე რეკლის გვამი. ოცის იქნებოდა. გვამს აშკარად ეტყობოდა წამების კვალი: სიგარეტით და მდუღარე წყლით დამწვარი ადგილები, ბასრი საგნით ნაჩხვლეტები. იმავე წლის აგვისტოში დააპატიმრეს ბობი სილი, „შავი პანტერების“ წინამძღოლი. მას ალექს რეკლის მკვლელობა დაედო ბრალად.

ალექს რეკლი ფედერალური ბიუროს ინფორმატორი იყო, პოლიციის მონაცემების თანახმად ბობი სილი აქტიურად მონაწილეობდა მის დასჯაში – წამებით დაკითხვაში, რომელიც ძველისძველი, ალჟირში ჩვენი ჯარებისა და იქაური პარტიზანების მიერ კარგად აპრობირებული მეთოდებით წარმოებდა.

რეკლი „შავ პანტერებში“ მხოლოდ რვა თვეს თუ იყო: თარიღები ზუსტად ემთხვევა და თუ აქ საქმე ერთსა და იმავე კაცთან გვაქვს, მაშინ დეპრესია ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს. უეჭველად ღალატმა შეიწირა.

დიდი მნიშვნელობა არა აქვს მოკლულის პიროვნებას. საიდანაც არ უნდა მივუდგეთ ამ შემთხვევას, აქ აშკარად იკვეთება პროვოკაცია, ინფორმატორი, დამსმენის შეგზავნა, შიში და ტანჯვა. ნიშნეულია, რომ ამ ამბავში კიდევ ერთი „ჩანერგილი“ იყო გახვეული – ჯორჯ სამს უმცროსი, რომელმაც ოცდასამი წლის ბობი სილი თხასავით გაყიდა. ეს თავისთავად კიდევ უფრო საინტერესო შეკითხვების დასმისა და არანაკლებ საინტერესო ჰიპოთეზების გამოთქმის საბაბს იძლევა... ბობი სილი „შავი პანტერების“ ის ბელადი იყო, რომელსაც მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული და ყველგან არხეინად გრძნობდა თავს. როგორ უნდა ჩაევლოთ მისთვის? ხმების დაყრით, რომ მათ რიგებში მოღალატეა. ამ მომენტიდან მოყოლებული, თავისუფლად შეიძლებოდა მოვლენების მომავალი განვითარების განჭვრეტა... გამოდის, რომ რეკლი შეგნებულად გაწირეს იმათ, ვინც მას იყენებდა.

უკვე გაგაფრთხილეთ და კიდევ ვიმეორებ, რომ მე მხოლოდ ჰიპოთეზებს გთავაზობთ, იმისათვის, რომ ოდნავი წარმოდგენა მაინც შეგიქმნათ იმ მოწამლულ, უმოწყალო, ველურ, ეჭვებით, საფრთხეებით, უნდობლობითა და პროვოკაციებით გაჯერებულ ატმოსფეროზე, რომელშიც შავკანიან აქტივისტებს უხდებოდათ ცხოვრება. იქაურობა საშინლად გაღიზიანებულმა, დანაშაულის გრძნობით გატანჯულმა დავტოვე. თავი მეზიზღებოდა. არა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, თავი უნდა შემეკავებინა, მაგრამ, აბა, როგორ? ძალიან გადამდები იყო! მარტო გაწონასწორებულ ადამიანს თუ ძალუძს, წინ

ალუდგეს გაუწონასწორებელთა შემოტევას. ისე, სიმართლე გითხრათ, შავკანიანთა პრობლემები, ცოტა არ იყოს, ყელში ამომივიდა. თუმცა ამან, რაც მართალია, მართალია, მცირედი აზრი მაინც შემიქმნა იმაზე, თუ რას გრძნობენ თავად შავკანიანები! „მე განვიცდი სეგრეგაციის, სიმარტოვის ისტორიაში უმაგალითო სიშლეგის, ურთიერთგაუცხოების აუცილებლობას“.

სეპარატიზმის ამგვარი სურვილით შეპყრობილს, წესით, ახალი სამყაროს შექმნაზეც უნდა მეფიქრა; არა, ამის გადადება წარმოუდგენელია და უპრიანი იქნება, თუ ახლავე შევუდგები საქმეს.

შუადღის მერე თავი არ ამიწევია, თავჩაღუნული ვწერდი და ვწერდი.

14

ახლა საშენში გამოცხადებისას უცნაური განცდა მეუფლებოდა. თავს სრულიად ზედმეტად, მეტიც, ხელის შემშლელად ვგრძნობდი. ჩემ თვალწინ კი სრულიად ახალი მეგობრობა იბადებოდა. როგორც კი „მწვრთნელი“ გალიაში აღმოჩნდებოდა, ძაღლი უკანა თათებზე წამოიმართებოდა და ცდილობდა, „შავი კაცისთვის“ სახე აელოკა. როცა კიზი სახეს აარიდებდა, ძაღლი ფეხებზე მთელი სხეულით ეტმასნებოდა და კმაყოფილი და ნასიამოვნები ღრინებოდა.

გამეღიმა. სიყვარულის ამ გულწრფელ ურთიერთგაზიარებას გულაჩვილებული შევცქეროდი, თან უზომო შვების განცდა მეუფლებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ იმედი საბოლოოდ არასდროს უნდა გადაიწურო, რომ ერთ დღესაც გვირაბის ბოლოს სინათლე აუცილებლად გამოჩნდება. არა, ნამდვილად ვამაყობდი საკუთარი თავით. კეთილი საქმე ჩავიდინე და ამ სცენას დამსახურებულ ჯილდოდ აღვიქვამდი: უტაქტობა ბატკას ქცევას არც მაშინ დასტყობია, როცა ვოლიერში სამივენი ერთად აღმოვჩნდით. როგორც კი დამინახავდა, ჩემკენ მოიწევდა, ლაშებს ზემოთ სწევდა და მეგობრულად მიღიმოდა; თან გავას ენერგიულად იქნევდა. იმწამსვე თავის საყვარელ თამაშს მთავაზობდა:

კბილებით წვერზე მსუბუქად მკბენდა, გეგონება, რწყილებს ეძებსო, შემდეგ კიზს უბრუნდებოდა, ფეხებზე გვერდებს გაუსვ-გამოუსვამდა და ისევ ჩემკენ გამორბოდა და ასე რამდენჯერმე. მწერლის წარმოსახვითა და ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი აუცილებლად იტყვის, რომ ამგვარად ძაღლი ჩვენც დაძმობილების, ერთმანეთთან დაახლოების, მეგობრობისა და სამშვიდობო პაქტის ხელმოწერისკენ მოგვიწოდებდა.

– მაშ ასე, – მივმართე კიზს ერთ-ერთი მორიგი ვიზიტის დროს, – ვფიქრობ, ძაღლი მზადაა, დატოვოს ზოოპარკი და საზოგადოებაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს... განკურნებულია.

– უსიამოვნებები ჯერ კიდევ მოსალოდნელია. ის მხოლოდ მე მაღიარებს გამონაკლისის სახით. ჩემი ცნობა ისწავლა და ამ მხრივ პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ, საკმარისია, ტერი ან რომელიმე სხვა შავკანიანი გალიას მიუახლოვდეს, რომ ძველი ზნე ისევ წამოუვლის ხოლმე, მხეცდება და დუჟი გადმოსდის. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მე ვარ მისი house-nigger.

კბილებგადმოყრილი კიზი დიდხანს, მაგრამ ჩუმად იცინოდა.

– ახლა მისთვის არსებობენ good nigger და bad nigger.

– მგონი, შეუძლებელია, ძაღლს უცნობ-ნაცნობის გამორჩევა დაუშალოთ. ეს ნორმალურია.

– დიახ, ეს სავსებით ნორმალურია. არანორმალური ის არის, რომ თეთრკანიანების სუნისგან მას არაფერი ემართება, შავკანიანებისა კი...

– ყური მიგდეთ, მეგობარო. იცით, რას გეტყვით...

კიზი ჩაცუცქდა. ძაღლს კიდევ ერთხელ გაჰკრა მუჯლუგუნი და შემდეგ ადგა.

– მოდი ამას ფაქტის კონსტატაცია დავარქვათ. მწვრთნელისთვის უპირველესი მნიშვნელობა ყნოსვას ენიჭება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე პოლიციის ძაღლებს ეხება. ამის დამადასტურებელი საბუთი თვალწინ გვყავს. ჩვენ ძაღლს „ჩვენების“ ამოცნობა ვასწავლეთ...

კიზის ნათქვამში სრულებით არ იგრძნობა ქედმაღლობა ან გამოწვევა; პირიქით, მშვიდი და სრულიად გაწონასწორებული ჩანს; ლიტერატურა სავსეა მსჯელობით შავკანიანთა „აღგზნებადობის“ თაობაზე და, მიუხედავად ამისა, სამართალდამცავებს ყოველთვის მათი ცივსისხლიანობა აოცებთ. ხშირად ისე იქცევიან, გეგონება, კარგა ხნის წინ ამოიხოცნენო.

– რის თქმა გინდათ ამით?

– მე ვფიქრობ, რომ აქ ხშირად აღარ უნდა იაროთ. ძაღლს ჯერჯერობით ვერ გაურკვევია, რა ხდება მის თავს. ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია, კარგად დააკვირდეთ. შეგიძლიათ, მითხრათ, რა გაქვთ განზრახული? მისი ევროპაში წაყვანა გინდათ თუ რას აპირებთ? მოდი გულწრფელი ვიქნები: ძაღლმა ძალიან დიდი დრო დამაკარგვინა და ახლაც უამრავ საზრუნავს მიჩენს.

– ვიცი.

– თუ ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგით, რომ ერთ მშვენიერ დღეს უკანვე წაიყვანოთ, მაშინ გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ...

ბატკა ჩვენ შორის იჯდა, კუდით ქვიშას გვიდა. ხან მე გადმომხედავდა, ხან კიზს. გეგონება, გრძნობდა, რომ ამ წუთებში მისი ბედ-იღბალი წყდებოდა. ვყოყმანობდი. მორალურ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი.

გამორიცხული იყო, რომ ძაღლს ჩემთან ერთად ეწანწალა

მთელ მსოფლიოში. და მაინც. კიზისთვის რომ მეთქვა, ძაღლი წაიყვანეთ-მეთქი, თავს მოღალატედ ვიგრძნობდი.

– მინდა, გავიგო, მიტოვებთ ძაღლს თუ არა? მე თქვენ კითხვა დაგისვით.

ისევ ვდუმდი. თავისი დაჟინებული კითხვით კიზმა ჩემში სრულიად შეუგნებლად გააღვიძა ის, რასაც მე ჩემი ხასიათის აღმოსავლურ თავისებურებად მივიჩნევ: შიში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა, შეუქცევადობისა და ბოლო სიტყვის თქმისა.

ამას თან ერთვის ტომის ბელადისა თუ ბანდის მეთაურის, კონდოტიერისა თუ აზიელი სატრაპის ცნობისმოყვარე აზროვნების მანერა. უკვე აღარ ვიცი, რა ვთქვა: არა მაქვს უფლება, მივატოვო ისინი, ვინც ჩემზეა დამოკიდებული... უცნაური ატავიზმი, რომელიც იმ უხსოვარი დროიდან მომდგამს. როცა ჩემი აზიელი წინაპარი კვდებოდა, იბარებდა, რომ საფლავში მისთვის აუცილებლად ცხენები, შევარდნები და ზოგჯერ რჩეული მეუღლე ჩაეტანებინათ.

– რა პასუხს მაძლევთ?

– ძაღლი აუცილებლად ამერიკაში დარჩება. რახან ეს თქვენთვის მართლაც აუცილებელია...

– დიახ.

– მოგვიანებით კიდევ ვილაპარაკოთ.

არდენში დავბრუნდი და მთლიანად გადავეშვი ჩემს წარმოსახვით სამყაროში – სასიყვარულო რომანის წერა დავიწყე. ღრუბლებიდან ჩამომაბრძანა ერთმა ქალბატონმა, რომელსაც აქ კლარად მოვიხსენიებ. მარტო კი არ ჩამოვიდა, არამედ თავის საყვარელთან ერთად. ისე, კარგა ხანს გავურბოდი მასთან შეხვედრას. ჰოლივუდში ჩემი ჩამოსვლიდან დღემდე ამას წარმატებით ვახერხებდი. ძალიან მიყვარს, მაგრამ მასთან ურთიერთობა დიდ ტკივილს მაყენებს. მართალი გითხრათ, უზომო სიბრალულის გრძნობას აღმიძრავს. კლარა იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც, კიდეც რომ გინდოდეს, ვერანაირად დაეხმარები და ვისაც სწორედ ამის გამო გაურბიან ხოლმე. კლარა ჰოლივუდის ვარსკვლავი კი არის, მაგრამ „ნახევრად“. სამაგიეროდ ამ სტატუსს „სრულად“ იმსახურებს საკმაოდ წარმატებულ ტელესერიალში. აქ ის მართლაც უდავო ვარსკვლავია. შავკანიან აქტივისტთა შორის კი ცნობილია, როგორც უპირობო nigger-lover. ეს ფაქტობრივად უაპელაციო განაჩენის აღმნიშვნელი ტერმინი ადრე თეთრკანიან რასისტთა ბაგეთ თუ მოსწყდებოდა, დღეს კი თანაბარი დოზით იყენებენ როგორც თეთრები, ისე შავები.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შავკანიან ექსტრემისტებს დედამიწის ზურგზე არავინ სძულთ ისე, როგორც ქალი,

რომელსაც ზანგი ჰყავს საყვარლად. მიუხედავად ყველაფრისა, სულ რაღაც 5-6 წლის წინ, როცა კლარა ჯერ კიდევ იწყებდა შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლას, ეს არანაირი სექსუალური მოტივაციით არ იყო განპირობებული და მახსოვს, ერთხელ კრებაზე დიდი იუმორით საკუთარი მოსაზრებაც კი გამოთქვა. საქმე ეხებოდა გარკვეული თანხების მოძიებას ჩემთვის უცნობი ორგანიზაციის დასახმარებლად. შეხვედრა შედგა ბელ-ერში, კლარას სახლში. იმხანად კლარა სატელევიზიო პოპულარობის მწვერვალზე იყო ასული. უსაშველოდ მაღალი იყო, წითური თმა და სახეზე უხვად დაყრილი ჭორფლი მოზარდ გოგონას ამსგავსებდა. ასეთი იერსახისთვის ორმოცს გადაცილებული ქალები ლამის ბოდიშს იხდიან, ისე ეუხერხულებათ ხოლმე თავისი მარადი ბავშვურობა...

კრებას რამდენიმე თეთრი და ოციოდე შავკანიანი მამაკაცი და ქალი ესწრებოდა. ზოგს საკუთარი ცოლი და ქმარი წამოეყვანა. სალონში წრიულად დასხდნენ. ყველა აფრიკულ სამოსში იყო გამოხვეული. ქალები ამჯერად შელეოდნენ პარიკებს. ეს იყო რასობრივი კუთვნილებისა და ტომობრივი ნოსტალგიის ხაზგასმული დემონსტრირება, რომელიც დასაბამს იღებს დაახლოებით მანჩესტერში ბამბის მრეწველობის ჩასახვის დროიდან. ვშიშობ, ამ აუთენტურობისკენ სწრაფვას დიდი მომავალი არ უწერია და ცხვირში რგოლების გარჭობითა და ტუჩებში ფირფიტების ჩადგმით შემოიფარგლება.

კლარამ ტაში შემოჰკრა და დამსწრე საზოგადოებას სიჩუმისა და ყურადღებისკენ უხმო. მისი გამოსვლა ერთდროულად მოკლეც იყო და საკმაოდ მკაცრიც.

– სანამ დღის წესრიგზე გადავიდოდეთ, მინდა, აქ დამსწრე ზოგიერთი მამაკაცის საყურადღებოდ ერთი პატარა განცხადება გავაკეთო. მას შემდეგ, რაც მოძრაობას შევუერთდი,

ვისაც არ ეზარებოდა, ყველა დაწვა ჩემთან; ვინც უარით გავისტუმრე, სცენა მომიწყო და აშკარად მიმანიშნა, ქვეცნობიერად ვერა და ვერ გათავისუფლდი შენი ჯორჯიული რასიზმისგანო. კარგი, ეგრე იყოს. მაგრამ მოდი ამას ერთხელ და სამუდამოდ დავუსვათ წერტილი. თუ თქვენ შორის მოიძებნება კაცი, რომელიც მიიჩნევს, რომ მასთან დაწოლით შავკანიანთა უფლებებისათვის ბრძოლაში ფასდაუდებელ წვლილს შევიტან, ჩემი საძინებელი მეორე სართულზეა; მზად ვარ, ახლავე გავყვე და ლოგინში ჩავუგორდე. კარგი?

განცხადებას საერთო ხორხოცი მოჰყვა, მე მგონი, უფრო უხერხულობის დასაფარად.

შემდეგ კი სერიოზული საკითხების განხილვას შეუდგნენ. კლარამ პირველმა უჩვენა მაგალითი: იმ საღამოს ორმოციათასდოლარიან ჩეკს მოაწერა ხელი. გადასახადების გადახდის შემდეგ ამერიკელ მსახიობს ორმოცი ათასი დოლარი რომ შერჩეს, მისი შემოსავალი ორასი ათასი მაინც უნდა იყოს. ამ გოგოს ყოველთვიური ანაზღაურების სამი მეოთხედი მაინც შავკანიანთა თავისუფლებისა და თანასწორობისათვის ბრძოლას ხმარდებოდა, მაგრამ შეუძლებელია, იცხოვრო და იბრძოლო იმათ გვერდით, ვისი გამბედაობა და ურყევობა აღგაფრთოვანებთ, თუ მათში უბრალოდ ქალს ან კაცს ვერ დაინახავთ. ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ურთიერთობებს მხოლოდ აბსტრაქტული მნიშვნელობა ექნება. კლარას შეუყვარდა ერთი შავკანიანი და საყვარლად გაიხადა; მალე ერთი მეორემ შეცვალა. მგონი, საერთოდ ვერც ხვდებოდა, რომ ისინი შავკანიანები იყვნენ. მათ შორის ხანგრძლივმა მუშაობამ და ცხოვრებამ კანის ფერის აღქმის უნარი მოუდუნა, მაგრამ ეს იყო წლები, მალკოლმ იქსის მკვლელობას რომ მოჰყვა, როცა ფანატიზმი სრულ სიგიჟესა და უგუნურებაში გადაიზარდა. ფანატიზმი

ხომ ამის გარეშე წარმოუდგენელია? შავკანიანმა აქტივისტებმა თანამგრძნობ თეთრკანიანთა გამოყენება წესად გაიხადეს. მთავარ ლოზუნგად აქციეს, მაგრამ ამავდროულად ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ, რომ თეთრები მათი მტრები არიან. ამას ელემენტარულად gaming whitey ჰქვია.

ძნელია, წარმოიდგინოთ, სადამდე შეიძლება მივიდეს სიძულვილი, რევანშიზმისა და დაშინების, წამებისა და დამცირების სურვილი იმ ფანატიკოსი ზანგისა, რომელიც თეთრკანიან ქალთან იყოფს სარეცელს ან აუპატიურებს მას. ექსტრემისტების უდავო ბელადი კლივერი, რომელიც დღეს გადასახლებულია – მის კისერზეა ერთი გაუპატიურება – მშვენივრად გვიხსნის ძალადობისადმი საკუთარ დამოკიდებულებას თავის ბრწყინვალე ავტობიოგრაფიაში „გაყინული სული". კლარას იყენებდნენ და, პირდაპირ ვთქვათ, ხმარობდნენ. კლარა სულით ხორცამდე სძულდათ.

როგორც ეს ხშირად ახასიათებთ პროტესტანტებს, ქვეცნობიერში ღრმად გამჯდარ ბუნდოვან დანაშაულის გრძნობას, მათ პირდაპირ მაზოხიზმისაკენ რომ მიაქანებს, კლარას ფსიქიკამ ვერ გაუძლო და დაინგრა. ის თავს იმ წმინდა მსხვერპლად მიიჩნევდა, რომელსაც თეთრი რასის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული და ამასთან ერთად თეთრი მამაკაცების მიერ შავკანიანი ქალებისადმი მიყენებული თითქმის ორსაუკუნოვანი დამცირებაც უნდა გამოესყიდა.

ზუსტად ამ ტიპის ქალები ქმნიან ხშირ შემთხვევაში არასრულფასოვან, პათოლოგიურ წყვილებს. დღეს რატომღაც მგონია, რომ კლარას იუმორით აღსავსე მოკლე გამოსვლა, განსაკუთრებით ფრაზა: „თუ თქვენ შორის მოიძებნება კაცი, რომელიც მიიჩნევს, რომ მასთან დაწოლით შავკანიანთა უფლებებისათვის ბრძოლაში ფასდაუდებელ წვლილს შევიტან"

თვითნგრევისთვის განწირული ქვეცნობიერის სიღრმეებიდან მოდიოდა. მწერლის პროფესია საოცრად გულწრფელი აღსარებისკენ უბიძგებს. კლარას ნაჯღაბნი „სასიყვარულო დიალოგები“ ყველა სადომაზოხისტური ურთიერთობისთვის დამახასიათებელი შემაძრწუნებელი ბანალურობით იყო აღსავსე: კლასიკური რეპლიკები: „მიდი, ბოზო, აიღე“, „კი, საყვარელო, მაგაზე გაწყენინებ?“ მთელი თავისი პიკანტურობით იყო წარმოჩენილი.

კლარა მომიახლოვდა და გადამკოცნა. მის სიგამხდრეს ანორექსია უფრო ეთქმოდა – მოსიარულე ძვლების გროვა იყო, სიტყვა-პასუხი – დაძაბული და ნერვიული. დაჭიმული და სინკოპური მოძრაობები სტიმულატორების ხშირ გამოყენებაზე მიანიშნებდა. კლარა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სილამაზეს, მაგრამ მის მშვენიერებას უკვე შეჰპარვოდა პერგამენტის სიმშრალე, რომელშიც ჟამთასვლისადმი მგრძნობიარე თვალი აუცილებლად განჭვრეტდა, როგორი იქნებოდა ის ათი წლის შემდეგ, ორმოცდაათი წლის ქალბატონის ნიღაბს ამოფარებული. თან ახლდა ცისფერ ქურთუკში გამოწკეპილი ახალგაზრდა ზანგი თავაზიანი და თან დამცინავი იერ-სახით. ეტყობოდა, რომ ამ გარემოში მშვენივრად გრძნობდა თავს. ამის ნათელი დასტური გახლდათ თავისუფალი და უშუალო მანერები... პირველი ოცი წუთი ტრადიციულად პოლიციის მიერ ბოლო ხანებში ჩადენილი სასტიკი სადამსჯელო ოპერაციებისა და რონ კარანგისათვის წაყენებული ბრალდებების განხილვას დაეთმო. ამას მოჰყვა მტანჯველი მომენტი, როდესაც კინოვარსკვლავი – ამ დროს განსაკუთრებით მძიმეა, შეურიგდე „ექსის“ სტატუსს, – კლარა ქაქანებდა როლებზე, რომლებსაც ვითომ სთავაზობდნენ და ის კიდევ ცოცხალი თავით არ თანხმდებოდა, უარყოფილი აგენტების კალეიდოსკოპურ მონაცვლეობაზე...

ახალგაზრდა ზანგი საკუთარი ფრჩხილების თვალიერებით იქცევდა თავს... ყველას უხერხულობის გრძნობა დაეუფლა. ყველამ ვიცოდით და კლარამაც იცოდა, რომ ვიცოდით... ამას წინათ კლარას 200.000 დოლარი შესთავაზეს ალან ლერნერის სურათში „Paint Your Wagon" მთავარი როლის შესრულებისათვის ლი მარვინთან ერთად. საერთო ბიუჯეტი – 20 000 000. ჯინმა სასოწარკვეთილი მზერა მესროლა. ორი კვირის წინ დასთანხმდა ქალის მთავარ როლს და ხელშეკრულებაზეც მოაწერა ხელი. ახალგაზრდა ზანგი მოულოდნელად თავის გასაცოდავებულ თანამგზავრს მიუტრიალდა.

– Why don't you shut up? – შეუყვირა. – რატომ არ მოკეტავ?

– But, honey... კი მაგრამ, საყვარელო...

ახალგაზრდა წამოხტა და მეგობარს ჭიქა ხელიდან გამოგლიჯა.

– You had enough – გეყოფა.

კლარას ცისფერი თვალები ცრემლებით აევსო.

– You are a bastard, – თქვა მან, – You are such bastards, all of you. Now, that I have no money left... ყველანი ნაძირალები ხართ. ახლა, როცა ჯიბეგაფხეკილი დავრჩი...

ზანგი ამჯერად ჩვენ მოგვიტრიალდა. ურიგო ჭაბუკი ნამდვილად არ ეთქმოდა. ნიჭიერიც კი გამოდგა. მისი პირველი პიესა „ნეგროიდული სკოლის" დადგმებიდან საუკეთესოდ აღიარეს და „ებრაულ სკოლას" ჩაენაცვლა, და იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ საერთოდ დაცლილია ყოველგვარი სიძულვილისაგან. მან გამანდო, რომ იმ სამასი ათასი დოლარიდან, რომელიც ბოლო რვა წლის მანძილზე კლარამ გაიღო, ერთი ცენტიც არ დახარჯულა დანიშნულებისამებრ. მთელი თანხა არსებული ორმოცდაორი კომიტეტის წევრთა ჯიბეებში გადანაწილებულა. ეს კომიტეტებიც, ფაქტია, სა-

განგებოდ თეთრების დასამშვიდებლად იქმნებოდა და არა შავების. მართლა არსებობდა შავკანიანთა პატარ-პატარა კომიტეტები, რომელთა ერთადერთი მიზანი თეთრკანიანთა დამშვიდება და მათივე ხარჯებით ამ უკანასკნელთა სინდის-ნამუსისათვის სალბუნის დადება იყო. მოკლედ, ფულს შავები ჯიბეში იდებენ, შედეგად კი თეთრები წყნარდებიან, მალე დადგება დრო, როცა ყოველი შეძლებული თეთრკანიანი „დამნაშავე" შავკანიანთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე იზრუნებს, იმისათვის რომ მისი თანადგომითა და დახმარებით თავი ნორმალურ ადამიანად იგრძნოს. ამ ქვეყანაში ღირსეულ და პატიოსან შავკანიანთა მარტო თორმეტამდე ორგანიზაციას თუ დაითვლით. დანარჩენთა მიზანი მოქმედება და ხალხის გასაჭირზე ზრუნვა კი არ არის, არამედ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფა...

ასე შორს ვერ წავალთ...

ვცდილობდი, კლარასთვის არ შემეხედა. ეს აღარც იყო ის კლარა, რომელსაც მე ვიცნობდი. ალკოჰოლით გაზავებული ტრანკვილიზატორების ზემოქმედებამ მისგან აღარაფერი დატოვა. ვიცნობდი მის მსგავს კიდევ ერთ გოგონას. ტეხასელი იყო წარმოშობით და სუნთქვის შემკვრელად ლამაზი. ფილმ „ისარი და ხანძარის" ნამდვილი ვარსკვლავი იყო. ლინი ერქვა. ერთ საღამოსაც ნარკოტიკებით გაბრუებული დასაძინებლად დაწვა. მისი უსიცოცხლო მშვენიერი სხეული სამი დღის მერე იპოვეს. ასაკეც საწოლს კედლისათვის მიეჭყლიტა და გაეგუდა.

კლარა ისტერიკულად ზლუქუნებდა, რაღაც მომენტში ჯინს მიუბრუნდა და უთხრა.

– I'll tell you, honey. You either work for them or you screw with them... ძვირფასო, ან მათთვის მუშაობ, ან ლოგინში უწვები. ორივე ერთდროულად შეუძლებელია: ან ერთი, ან მეორე.

– Shut up, I am telling you. – ილრიალა მარკმა, – მოკეტე-მეთქი, გეუბნები!

– მიეცით ლაპარაკის უფლება, დაწყნარდება მაინც ცოტას, – ჩაერია ჯინი.

– თუ ერთმანეთში აურევ, ყველა იფიქრებს, რომ პათოლოგიური ხარ. They think, you are gone pathological. არავის სჯერა, შავებთან იდეის გამო რომ ვმუშაობ და არა სექსის...

– Give me another drink – კიდევ დამისხით.

მარკმა ისევ წაართვა კლარას ჭიქა.

– No, you won't – არაფერსაც არ დალევ, საღამოს კრებას უნდა დაესწრო.

– იმიტომ რომ, როგორც კი საქმეში სიყვარულს ჩარევ, ყველაფერი თავდაყირა დგება... ყველაზე დიდი საზიზღრობა, რომელიც მათ შეიძლება გაუკეთო, მათთან დაწოლაა. ყველა თეთრი და შავი რასისტი მხოლოდ ამას ელოდება შენგან. ამით მათ თამაშს თამაშობ, მაშინ გიწყებენ მტკიცებას, რომ იდეები, რწმენა, მართლმსაჯულება და ასეთი სისულელეები მხოლოდ საბაბია ავხორცობის დასაცხრობად და კიდევ ერთი, ჩემო ლამაზო, შავკანიანი ნაძირალა იმიტომ კი არ არის ნაძირალა, რომ ის შავკანიანია, არამედ იმიტომ, რომ ნაძირალაა.

– ამინ! – წარმოთქვა მარკმა. – მითხარი, ნამდვილად გინდა იმ შეკრებაზე წასვლა?

– რასაკვირველია, იქ მარლონ ბრანდოც იქნება, ჯეკ ლემონიც – მთელი ჰოლივუდი მოვა. წაუსვლელობა არ იქნება. მათ ვერ დავაღალატებ. ჩემი სახელი მათ პრესტიჟისთვის სჭირდებათ.

და საღამოს ყველანი იქ წავედით.

16

ეს ბელ-ერში, ერთი პროდიუსერის სახლში ხდებოდა. შეკრებას კორეტა მარტინ ლუთერ კინგი და კინგის მემკვიდრე, პასტორი აბერნათი უძღვებოდნენ. მართლაც მთელ ჰოლივუდს მოეყარა თავი და მარლონ ბრანდოც გამოცხადდა. იყვნენ, რა თქმა უნდა, სხვებიც. იქიდან ფსიქოლოგიურად და მორალურად განადგურებული წამოვედი. თავყრილობა მიზნად ისახავდა სახსრების მოძიებას ვაშინგტონისკენ „ღარიბთა დიდი მსვლელობისათვის". ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ დედაქალაქისკენ წაასხამდნენ ათასობით უპოვარს: ზანგებს, მექსიკელებს, პუერტორიკოელებს, ინდიელებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, თეთრი სახლიდან სულ რაღაც ორ კილომეტრში გაშენებულ „ღარიბთა სოფელში" დააბინავებდნენ. მთელ ამ ჩანაფიქრს, რომლის ავტორიც თვით აბერნათი გახლდათ, ღრმა პროვინციალიზმის მძაფრი სუნი უდიოდა. აშკარად იკვეთებოდა ფსევდორელიგიურობა, ბიბლიური სცენებისადმი ფარისევლური მოწიწება, სახედარზე მჯდომი ღვთისმშობელი მარიამი, ბაგის თავზე მოციმციმე ბეთლემის ვარსკვლავი – და ეს ყველაფერი იმ დროს, როდესაც მოგვები – თუ დავუშვებთ, რომ ისინი დღესაც არსებობენ – უკვე კარგა ხანია, მხოლოდ იმისთვის ცხადდებიან, რომ ძარცვონ, იქურდონ და

ჯიბეები გაისქელონ. აღმაშფოთებელი იყო თვით ამოჩემებული ტერმინი „ღარიბი ადამიანები“, რომელსაც ეს ბრძოლა პოლიტიკური და იდეოლოგიური ქვეტექსტისაგან უნდა დაეცალა. ტერმინს დაუფიქრებლად რომელიმე ქველმოქმედი, გულმოწყალე ბანოვანის ლექსიკონში მივუჩენდი ადგილს.

წარმოიდგინეთ არაჩვეულებრივი სახლი ბელ-ერში – კალიფორნიის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და ფეშენებელურ რაიონში, სამასი ცნობილი და სკანდალური სახელი ჰოლივუდის ყველაზე სახელგანთქმული ადამიანების სიიდან, სუფრა, სადაც შეგეძლოთ, ხიზილალა პირდაპირ კოვზით მიგერთმიათ, გესვათ საუკეთესო შამპანური, რამდენსაც მოისურვებდით და ბოლოს პატივცემული აბერნათი ვაშინგტონისკენ „ღარიბთა მსვლელობის“ მოსაწყობად „გზააბნეულ ცხვრებს“ მოწყალების გაღებისკენ რომ მოუწოდებდა. მხოლოდ „შავპერანგიანთა“ დაჯგუფების პასტორმა, მართალმა ჯეს ჯექსონმა გაბედა, შეენიშნა: „შეუძლებელია, შავკანიან ამერიკელთა ოცმილიონიანი არმიის პრობლემის გადაწყვეტა, თუ მთელი ამერიკული საზოგადოება არ შეიცვლება ძირფესვიანად“. პასტორი აბერნათი ხანგრძლივად გვესაუბრა იმ ბოლო წუთების შესახებ, რომლებიც თავდასხმას უძღოდა წინ. მას თურმე მარტინ ლუთერ კინგთან ერთად მოტელში ზიარი ნომერი ჰქონდა. მისმა გამაღიზიანებელმა პათეტიკურმა სურვილმა, კინგის ცხოვრების ბოლო წუთები წმინდანობის შარავანდედით შეემოსა და ამგვარად მათთვის ბიბლიური უკვდავება შთაებერა, ეს სასტიკი მკვლელობა ჯვარცმის სცენის წინასწარმეტყველთათვის ნიშნეული უზადო გადმოცემის ნიჭს მოკლებულ მოსაწყენ თხრობად აქცია.

გაჩუმდით, დოქტორო აბერნათი. თქვენ იმის უფლებაც კი მიეცით თავს, ჩვენთვის გაგენდოთ, რომელი მარკის პირის საპარსი ქაფით ისარგებლა მარტინ ლუთერ კინგმა სიკვდილამ-

დე რამდენიმე წუთით ადრე. ბრძანეთ, ტუბი მერე მე მომცა, რადგან საკუთარი სახლში დამრჩაო. მიგიხვდით განზრახვას. ჩვენთვის ყველაფერი დღესავით ნათელია: ეს საპარსი ქაფი რელიკვიად იქცევა. ის შეიძლება უკვე აფრქვევს სიწმინდის სურნელს, მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ბიბლიაში თავისუფალი ადგილი უკვე აღარ არის დარჩენილი; დიდი ხანია, მას აღარ აინტერესებს ამქვეყნიური ქაოსი და დავიდარაბა. გეფიცებით, ღმერთი აღარ გამოცხადდება „შავ პაემანზე". აქამდეც იმდენი გაისტუმრა უარით. ჩემმა მეზობელმა, რომლის სახელს მისი შვილთაშვილების ხათრითა და პატივისცემითაც აქ არ მოვიხსენიებ, როგორც კი ხელსაყრელი მომენტი გამოუჩნდა, ყურში ჩამჩურჩულა:

– კარგად შეათვალიერეთ დარბაზი? ეს სპექტაკლი უეჭველად სადღაც ოცდაათ მილიონს ურტყამს – Thirty million dollars of entertainment industry.

ჭეშმარიტებას ბრძანებდა. ყველა აქ იყო. დაწყებული ბელაფონტეთი და ბარბარა სტრეიზანდით დამთავრებული. უსმენდნენ აბერნათის ყბედობას უპოვართა მსვლელობისა და უკვე სიწმინდისსურნელიანი საპარსი ქაფის შესახებ. მარლონ ბრანდო პირველ რიგში იჯდა, გვერდს ტაიტელი მეუღლე უმშვენებდა. მარლონს მოწითალო ტყავის ქურთუკი ეცვა, ლომის ფაფარივით ქოჩორი შეუდარებელს ხდიდა, მაღალყელიანი როლინგი ნიკაპს განსაკუთრებულად გამოკვეთდა... ბრანდო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვისაც შავკანიანთა „საქმისთვის" წუწურაქობა არ დაუწყია. სიტყვა „საქმეს" მორცხვად ბრჭყალებში ვსვამ: სად არ გააკვეხეს ის, უკვე სანახევროდ გამოაცალეს სული – ნახევრად მკვდარია.

ბრანდო მიკროფონს მიუახლოვდა და დარბაზს მკაცრი მზერა ესროლა.

– იმათ, ვინც დღეს ჩვენს გვერდით არ არის, სერიოზული საპატიო მიზეზის გამოგონება მოუწევთ.

მუქარისგან თავი ყველამ უხერხულად იგრძნო. მე ვიტყოდი, „თამაშში“ ძალიან გადაამლაშა. ეს კიდევ არაფერი, წინ უარესი გველოდა. შიმშილის გამო ლამის გადაგვარებამდე მისულ ბავშვებზე დიდხანს არ შეჩერებულა (ბრანდო UNICEF-ის დაუღალავი და გულუხვი მხარდამჭერი გახლდათ) და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. იკითხა, თუ მოიძებნებიან დარბაზში კომიტეტში გაერთიანების მსურველები, რომლებიც მომავალში დღევანდელ თავყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგს იტვირთებენო. სამასკაციანი აუდიტორიიდან ოცდაათმა ხელის აწევით დაადასტურა მზადყოფნა; სინამდვილეში რაოდენობა საჭიროზე მეტიც კი იყო. რა თქმა უნდა, სამასივეს რომ გამოეთქვა სურვილი, საჭირო გახდებოდა მთავარი და ქვეკომიტეტების ჩამოყალიბება და, ღმერთმა უწყის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი...

მოკლედ, მარლონ ბრანდომ რამდენიმე სიტყვით საკუთარი თავიც გამოავლინა და ზოგიერთი ზანგთა ქომაგის მათთან ურთიერთობასაც მოჰფინა ნათელი. ხაზს ვუსვამ – „მათთან“ და არა შავკანიანებთან. ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ფსიქიატრის დასკვნა.

ბრანდო დაჟინებულ მზერას არ აცილებდა მთელ დარბაზს, ოცდაათ აწეულ ხელს. ოდნავ შესამჩნევად აიჩეჩა მხრები. რა თქმა უნდა, ბრანდო თამაშობდა, ვიმეორებ, აშკარად მორგებული ჰქონდა რაღაც როლი: მრისხანება, მის ხმას რომ შეეპარა, სახის ნაკვთების გამკაცრება წინასწარ საგანგებოდ იყო ჩაფიქრებული. იყო, ალბათ, გულწრფელობის ნაკვალევიც, მაგრამ უფრო განებივრებული მარადი ბავშვისა:

– ვისაც ხელი არ აუწევია, სასწრაფოდ მოუსვას აქედან – Get the hell out of here.

ყოველ ჯერზე, როცა ზრდასრული ადამიანი ქუჩის მცირეწლოვანი ხულიგანივით იქცევა, ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ვილაცამ ჩემი რეპუტაციაც ტალახში ამოსვარა.

მშვენივრად მივხვდი, რომ მარლონ ბრანდომ „შავი პანტერების“ პირდაპირობისა და შეურიგებლობის იმიტირება სცადა, მაგრამ მილიონერი, რომელიც თავისი პოზიციით იმდენსაც კი არ რისკავს, რომ უკანალში პანლური ამოსცხონ, შავი კი არა, თეთრი პანტერაც კი ვერ გახდება. ის უფრო იმ პუდელსა ჰგავს, მისაღებ ოთახში ხალიჩაზე რომ მოფსამს.

იყო მაინც რაღაც საშინლად უსიამოვნო ამ თავხედობაში, ამ გამოწვევასა და ვითომ „დესპერადოს“ მზერაში. ჭეშმარიტ სიძულვილს ბაძვითა და მანჭვა-გრეხით ვერ განასახიერებ. ვერ იქნება ისეთი, შავკანიანთა სისხლიდან რომ გადმოედინება და ტროტუარებს რწყავს. ეს მსახიობები, რეჟისორები და მწერლები, რომლებიც მოწვევას თავაზიანად გამოეხმაურნენ, შეკრებაზე პატიოსნად გამოცხადდნენ და თან შესაწირი თანხის შესახებ ორგანიზატორებს წერილობით წინასწარ აუწყეს, საკუთარ თავს კომიტეტის წევრებად და მატერიალური დახმარების სამართლიან განმკარგავად სულაც არ მოიაზრებდნენ.

– Get the hell out of here.

დავივიწყოთ მარლონ ბრანდო და ვაღიაროთ, რომ „შავი პანტერის“ როლი დამაჯერებლად ვერ გამოუვიდა. მთავარია, ვთქვათ, რომ თეთრკანიანთა შორის აუარებელი ხალხია ფსიქიკური გადახრებით – misfits, – რომლებიც აფროამერიკელთა ტრაგედიასა და მოთხოვნებს თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ, რათა ნევროზი საკუთარი ფსიქიკის მიღმა – სოციალურ ნიადაგზე გადატანით გაამართლონ. ეს პარანოიკები

ნამდვილი დევნილების ნიღაბს ამოეფარებიან ხოლმე, რათა პირით „მტრისკენ“ შემობრუნდნენ. ადამიანები, რომლებმაც დიდებისა და წარმატების მწვერვალებს მიაღწიეს, ხშირად იტანჯებიან არასრულფასოვნების ლატენტური კომპლექსისგან: ისინი გამუდმებით იტანჯებიან უკმარისობის განცდისგან, არაფერი ჰყოფნით. ეგომანიაკები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ დამსახურებულ პატივისცემას არ იჩენენ, ჯეროვნად არ ეთაყვანებიან. არიან ისეთებიც, ვისაც მშვენივრად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ფსიქიკური აშლილობა. ისინი ყველანაირად გაურბიან ჭეშმარიტი ფსიქიატრიული დიაგნოზის აღიარებას. უბედურების წყაროს მარტო ფსიქიკურად შერყეულ და გაუწონასწორებელ საზოგადოებაში კი არ ხედავენ, არამედ ამ უკანასკნელის სოციალური პრობლემების მოუგვარებლობაშიც.

შავკანიანებს მშვენივრად მოეხსენებათ, რომ თეთრების არცთუ ისე უმნიშვნელო რაოდენობა მათ „ხელს უმართავს“, ან, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ექსტრემიზმისკენ უბიძგებს. ასეთებს ხშირად ამერიკულ რასობრივ კონფლიქტთან არაფერი აქვთ საერთო. ერთმა შავკანიანმა ჩვენ წინ მიმავალ ჰოლივუდის ერთ ფრიად სახელგანთქმულ პიროვნებას თვალი გააყოლა და ირონიულად გამანდო: „ჩვენ მას ძალიან დავეხმარეთ“.

არა, იმ დღეს ერთი-ორი ინტერმედიით ტკბობის შანსი ნამდვილად მოგვეცა. თავისი ფინანსური წვლილი ყველას ქაღალდზე უნდა დაეწერა და მოკრძალებით კონვერტში ჩაედო, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ შოუბიზნესის დედაქალაქში ვიყავით. დარბაზში ძალიან ცოტა ვინმე დათანხმდებოდა, რომ ოცი ათასი დოლარი სრულიად უხმაუროდ და ამგვარი მოკრძალებით გაეღო. ისე როგორ იქნებოდა, რომ შემოწი-

რულობის შესახებ დარბაზს არაფერი სცოდნოდა? არ დავასახელებ იმ ვარსკვლავის სახელსა და გვარს, ვინც წამოიწყო, მაგრამ კონვერტის გადაცემის შემდეგ წამოდგა და ყველას გასაგონად წარმოთქვა.

– მე ვწირავ ჩემი მომავალი ფილმის მთელ ჰონორარს.

ყინული დაიძრა. დარბაზის ხან ერთ კუთხეში ასახელებდნენ სოლიდურ თანხას, ხან მეორეში. იყო ერთი ტაშისკვრა და გამამხნევებელი შეძახილები. ზოგს ცრემლებიც კი წამოსცვივდა. ჩაძინებულ პასტორ აბერნათისაც, რომელმაც მოხსენებებს ვერ გაუძლო და წასთვლიმა, გაბრწყინებული სახით გამოელვიძა. გავიგეთ ერთ-ერთი რეჟისორის, აღიარებული ვარსკვლავის ქმრის მიერ წამოსროლილი ფრაზაც:

– მარტო ფულის გაღება რა საკმარისია, შავკანიანთა ოჯახებს უნდა ვეწვიოთ და მათი გაგება ვისწავლოთ...

1968 წელი იყო, მეგობრებო. მსოფლიოს ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი საზოგადოების შუაგულიდან უზარმაზარი კოლუმბის კვერცხი ამოიზარდა – „შავკანიანთა ოჯახებს უნდა ვეწვიოთ და მათი გაგება ვისწავლოთ“. ვიმეორებ, ეს 1968 წელს ხდებოდა. არ ვიცი, რამდენად შეიძლება ამ ტრაგიკომიკური სულის ძახილსა და თანაზიარობის სურვილში მომავალი შედეგების განჭვრეტა. ჩვენი მამა-პაპის ამერიკამ კი არ გამოიღვიძა, არამედ სულ სხვამ: მისი ავტორი ოცდაჩვიდმეტი წლის რეჟისორი გახლდათ. ის ჩვიდმეტ მილიონ შავკანიანს შორის ცხოვრობდა. უოტსამდე მანქანით ოცი წუთია. კოლუმბის კვერცხი ჩემ თვალწინ იზრდებოდა, ზუსტად ისე, როგორც ეს იონესკოს პიესაშია. ევრიკა! ამერიკის ხელმეორე აღმოჩენა ამერიკელების მიერვე – არ არის ეს სასწაული?!

ესტრადის გარშემო იქ მყოფი შავკანიანები: ბელაფონტე, იანგი, თვით მართალი ჯექსონიც კი, სასოწარკვეთილი

ძალისხმევის მიუხედავად ვერაფრით ახერხებდნენ სერიოზული სახეების შენარჩუნებას. „მარტო სურვილი აბა რას კმარა, შავკანიანთა ოჯახებს უნდა ვეწვიოთ და მათი გაგება ვისწავლოთ...“

იანგი მსუბუქ კანკალს აეტანა. ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა. ვფიქრობდი, ცოტაც და ახარხარდება-მეთქი. დარწმუნებული ვარ, რომ კოლუმბის კვერცხში შავკანიანის ღიმილი იმალება, ყველაზე შავი ღიმილი დედამიწის ზურგზე. ამ ყველაფერს საუცხოო სილამაზის კორეტა ლუთერ კინგი დაჰყურებდა ზემოდან, სევდიანი და ოდნავ ღიმილშეპარული. შანსი განმეორებისა იშვიათია, რადგან ცხოვრებაში იშვიათად ხარ რამეში დარწმუნებული. ასე რომ, კიდევ გავიმეორებ: ცხოვრებაში უფრო კეთილშობილური და უფრო თვალწარმტაცი სახე აქამდე არ მენახა.

17

აქეთობას აგენტი ლოიდ კატცენელენბოგენი, მისი ძმა, პროდიუსერი სენ-რობერი და აგენტი სეიმურ ბლიცი დაგვემგზავრნენ. სამივეს სახეზე მწუხარე mea culpa-ს გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი. ერთი ის იყო, რომ მკერდში მჯიღებს არ იბრაგუნებდნენ და თავზე ნაცარს არ იყრიდნენ. ისე, მე კი მკლავდა სურვილი, ჩემი სიგარის ფერფლი მუჭაში მომეგროვებინა და საჭიროების შემთხვევაში მათთვის შემეთავაზებინა. ამერიკელი ინტელექტუალისა თუ ინტელიგენტის განმასხვავებელი ნიშან-თვისება სწორედ დანაშაულის გრძნობაა. ამ ქვეყანაში საკუთარი დანაშაულის აღიარება მაღალ მორალურ და სოციალურ პრინციპებზე, თქვენს სანდოობასა და ელიტისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს. სინდისის ქენჯნა თქვენი სინდისის გამართულ ფუნქციონირებასა ან, საერთოდ, მის არსებობაზე მეტყველებს. ცხადია, აქ გულწრფელობაზე კი არ მაქვს ლაპარაკი, არამედ მოჩვენებითობაზე, გნებავთ, ხელოვნურობაზე: ნებისმიერი ცივილიზაცია, რომელსაც აქვს პრეტენზია, ასეთად მოიხსენიონ, აუცილებლად დამნაშავედ იგრძნობს თავს ადამიანის მიმართ. სწორედ ამით შეიცნობა თვით ცივილიზაციაც. ყურადღებით ვისმენდი ჩემი სამი თანამგზავრის თვითკრიტიკას. ლოიდ კატცენელენბოგენი ყვე-

ლაზე ტოლერანტული და გამგებიანი მეჩვენა, შევნიშნავ, რომ ის რამდენიმე აღიარებული მწერლისა და დრამატურგის ლიტერატურული აგენტია.

– ფსიქიკური თავისუფლება აუცილებლად სრულ ვერბალურ განტვირთვას გულისხმობს. როცა ვინმესგან პატივისცემას ითხოვ, შენც იმავეთი უნდა უპასუხო. „თეთრკანიანთა“ პატივისცემა, შავკანიანებს რომ მოახვიეს თავს, მხოლოდ ურთიერთსიყვარულითა და ურთიერთდაფასებით შეიძლებოდა გამართლებულიყო. მე ამას „დესაკრალიზაციას“ დავარქმევდი. როცა ვინმე ლერუა ჯოუნზი ტალახსა და წუმპეში გვათრევს, მუსლიმი შავკანიანი კი მხოლოდ იმაზე ოცნებობს, რომ თეთრების დასაჭურისების შანსი მიეცეს, ხოლო მავანი კლევერი ტრაბახობს, თეთრკანიან ქალს ასე და ისე ვუქენიო, შეუძლებელია, ამაღლებულ გუნება-განწყობაზე დადგე. მაგრამ ეს ხომ პირდაპირი შედეგია იმ საშინელი დანაშაულებისა, ჩვენ რომ საუკუნეების მანძილზე ჩავდიოდით ასე უსირცხვილოდ. ასე ხდებოდა მონობის ჩასახვის დღიდან. ყოველი შავკანიანი მოძალადის, მკვლელისა თუ ცეცხლის წამკიდებლის უკან უდავოდ თეთრების, ანუ ჩვენ მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა მოვიაზროთ. ბრბოებით დატვირთული რამდენი სამარცხვინო გემი გავუყენეთ ამერიკის გზას, მყრალი და სულშემხუთველი ტრიუმები არ ვაკმარეთ, ბორკილებიც დავადეთ და განძრევის საშუალება მოვუსპეთ; ცნობილია, რომ „ტვირთის“ ორმოცდაათი პროცენტი გზაში განადგურდა და დანიშნულების ადგილამდე ვერც ჩააღწია...

სეიმურ ბლიცი ჩაერთო საუბარში.

– ჩვენ არ გვაქვს მორალური უფლება, დავივიწყოთ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა შავკანიანებს დამართეს. გერმანელებსაც მუდამ უნდა ახსოვდეთ ჰიტლერის ჩადენილი უზარმაზა-

რი დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ზოგიერთი თავზე ხელაღებული ზანგის გამოხტომები დღევანდელი გადასახედიდან იმდენად მიამიტური ჩანს, შედარებისთვის არც კი გამოდგება... ჩვენ...

ვერ მოვითმინე და ხარხარი ამიტყდა; მომერიდა. შევეცადე, თავი მომეთოკა, მაგრამ უშედეგოდ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიცინია ცრემლების წამოსვლამდე, მაგრამ ასეთი სახალისო რამ არასდროს გამიგია; ლამის ნაწლავები გადამეხლართა.

– What the hell is the matter with you – კი მაგრამ, რა ჭირი გეტაკათ, – წამოიკნავლა ბლიცმა; პირში გაჩრილი სიგარა გვერდზე მოექცა.

– ახლავე მოგახსენებთ, რაც დამემართა.

ცრემლები შევიმშრალე.

– ახლავე, ახლავე... თქვენ სამივე აღმოსავლეთ ევროპიდან წამოსული ებრაელები ბრძანდებით, შეიძლება რომელიმემ ამერიკაში დაბადებაც მოასწარით. თქვენი მამა-პაპა პოგრომიდან პოგრომამდე გეტოებში ლპებოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებში მონობა უკვე აღარ არსებობდა; მიუხედავად ამისა, გაიძახით, „ჩვენ, ამერიკელი მონათმფლობელებიო“ და ეს, ვატყობ, დიდ სიამოვნებას განიჭებთ. ეს თქვენ გაძლევთ საშუალებას, სულით ხორცამდე ამერიკელებად იგრძნოთ თავი. ილუზიებით იკვებავთ თავს. გინდათ, დაიჯეროთ, რომ თქვენი წინაპრები მონათმფლობელები იყვნენ; არადა ათასობით ებრაელი ამოჟუჟეს. გააჩნია, რა ხასიათზე იყვნენ კაზაკები, მათი ატამანები, თვით მეფე და მისი მინისტრები. თქვენ საკუთარ თავს უმტკიცებთ, რომ მოხდა თქვენი სრული ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. არ გეუბნებით, რომ ზანგებისთვის საერთოდ მიგიფურთხებიათ...

– გმადლობთ! – აღშფოთდა კატცენელენბოგენი.

– ...მაგრამ სწორედ ეს გაძლევთ შესაძლებლობას, თავი უმცირესობათა წარმომადგენლებად აღარ იგრძნოთ, ეს გახუჭვინებთ თვალს საკუთარ გასაჭირზე. თქვენი წინაპრები მონათმფლობელები რომ ყოფილიყვნენ, ცხადია, ასპროცენტიან ამერიკელებად იგრძნობდით თავს. რაში იდანაშაულებთ თავს, ვერ გამიგია. პირდაპირ გული მერევა. 1963 წელს ნიუიორკში ჩემს ებრაული წარმოშობის ადვოკატთან გახლდით შეხვედრაზე. ზუსტად ამ დროს ტელევიზორში გადმოსცეს რომის პაპ იოანე XXIII-ის გარდაცვალების ამბავი. გარშემო მხოლოდ ებრაელები იყვნენ. უნდა გენახათ, რამდენი ცრემლი ღვარეს, გეგონება, ეს-ესაა, მათი ღმერთი, იესო ქრისტე ჯვარზე გააკრესო.

– მთვრალია, – საზეიმოდ დაასკვნა სენ-რობერმა. გარკვეული აზრით მართალიც იყო, თუმცა ცხოვრებაში არც ალკოჰოლს გავკარებივარ, არც მარიხუანას და არც LSD-თი ვყოფილვარ გატაცებული. ყოველთვის ისეთი შეხმატკბილებული ვიყავი საკუთარ თავთან, საკუთარ მესთან, რომ არასოდეს გამჩენია სურვილი, ეს სასიამოვნო კავშირი სასმელით ან ნარკოტიკებით მონიჭებულ ტკბობაში გამეცვალა; მაგრამ ვაღიარებ, რომ ხშირად დავმთვრალვარ აღშფოთებისაგან. სხვათა შორის, აღშფოთებული ადამიანები ხდებიან მწერლები.

ატმოსფერო ძალიან დაიძაბა და გადავწყვიტეთ, „ბისტროში“ გვევახშმა. ჩვენს შერყეულ მეგობრობას მკურნალობა სჭირდებოდა. ჰოლივუდის ამ პრესტიჟულ დაწესებულებაში საუბრებს ყოველთვის მაღალ მატერიებზე მსჯელობით იწყებენ. ცხადია, დონეს შენარჩუნება სჭირდება. აქ ანგარიშის ათვლაც ოთხი ათასი დოლარიდან იწყება, რაც ნორმალურად მიჩნეული მთელი თვის გამოუქვითავი შემოსავლის ტოლფასია.

კარგა ხნის საუბრის შემდეგ სენ-რობერმა – ხვდებით, ალბათ, გვარით, რომ ებრაელია, – რატომღაც გადაწყვიტა, ჩვენი ყურადღება ჰარლემში გამართულ ბოლო ანტისემიტურ გამოსვლებზე გადაეტანა. როდესაც შავკანიანთა ავანგარდს ებრაელებზე მიაქვს იერიში, თან არა როგორც თეთრებზე, არამედ როგორც ურიებზე, ეს უკანასკნელნიც, თავის მხრივ, რასისტებად გარდაიქმნებიან. ეს გახლავთ ის ცნობილი backlash, ანუ უკუდარტყმა. ტირილი მოგინდება კაცსო, იტყოდა ხოლმე დედაჩემი, თუმცა ცხოვრებაში ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია. ჩემს წინა ჩამოსვლაზე სწორედ ლოიდ კატცენელენბოგენთან შევხვდი ანტისემიტ შავკანიანს. მაგარი შეხვედრა იყო. ჩემი მეგობარი ლოიდი ურყევი ლიბერალია, ყველაფერი ესმის. გაგება კი მიტევებას ნიშნავს. ვეცდები, მეხსიერებაზე დაყრდნობით მათი საუბრის სრული (მართალია, ორჯერ მომიხდა გარეთ გასვლა, რომ თავი ხელში ამეყვანა) ტექსტი წარმოგიდგინოთ.

აქტივისტი

თქვენ, ებრაელებმა, მთელი გეტო ჩაიგდეთ ხელში. მთელი უძრავი ქონება, მაღაზიები თქვენია, მევახშეებიც ვიღაც სხვები კი არ არიან, ისევ თქვენა ხართ: თქვენი ნაგავი ჩვენთან ოცი პროცენტით უფრო ძვირია, ვიდრე თეთრების უბნებში. ყველას ყურებს დაგაჭრით.

კატცენელენბოგენი

კიდევ გადაიღეთ ქათმის ხორცი.

აქტივისტი (იღებს ქათმის ხორცს)

გმადლობთ. თქვენ გამოგვწოვეთ მთელი სისხლი.

მე (ფრანგულად)

ეს შენი ტიპი ყელში ამომივიდა, აუტანელი ვინმეა.

კატცენელენბოგენი (ფრანგულად)

შენ არაფერი გაგეგება. ჩვენ ამათ ორი საუკუნის განმავლობაში ვჩაგრავდით. ახლა კი თვითდამკვიდრების სურვილით არიან შეპყრობილი.

აქტივისტი

რასაც ვამბობ, ჩემი პირადი მოსაზრება ნამდვილად არ გახლავთ. ვიცი შავის თეთრისაგან გარჩევა და ყველას ერთ ქვაბში არ ვხარშავ. თქვენ, ლოიდ, ვიცი, რომ არაფერ შუაში ხართ.

მე

აი, ზუსტად ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ლოიდი „ღირსეული ებრაელია“.

აქტივისტი

აი თუნდაც Soul stations, ცნობილი რადიოსადგურები, შავკანიანებისათვის სოულს რომ გადმოსცემენ... თითქმის ყველა რადიოსადგური ებრაელების საკუთრებაა.

მე

თქვენ ანტისემიტი ბრძანდებით?

აქტივისტი

თქვენ არა ხართ ამერიკელი და ამას ვერ გაიგებთ.

მე

და თქვენ თვითონ თავს სულით ხორცამდე ამერიკელად მიიჩნევთ არა?

კატცენელენბოგენი

შენ რა, რასისტი გახდი?

მე

პირადად მე მიმაჩნია, რომ იდეა შავკანიანი ანტისემიტის არსებობის შესახებ ერთობ მიმზიდველია. ბედნიერებაა იმის აღნიშვნა, რომ ზანგებს, ისევე როგორც ყველას, ებრაელები სჭირდებათ.

ამ ანტისემიტიზმის აღმოცენებას გარკვეულწილად არაბულ-ისლამურ კომედიას უნდა ვუმადლოდეთ, რომელშიც თავით ფეხებამდე გადაეშვნენ „სულიერი განახლების“ წყურვილით შეპყრობილი ექსტრემისტები. მათ შორის 99,9%-ს წარმოდგენა არა აქვს, რომ არაბი დამპყრობლები მათ წინაპრებს მუსრს ავლებდნენ და არც ის იციან, რომ სწორედ არაბებმა აქციეს ნაცარტუტად მათი ტრადიციები და შეუბღალეს რელიგია – ანიმიზმი. არც ის უწყიან, რომ არაბები მათ იმ მახვილით მოაქცევდნენ ძალით ისლამზე, რომელიც იმავე სახელს ატარებდა; არც ის იციან, რომ არაბები შედარებით სუსტებს ასაჭურისებდნენ და შემდეგ ამ ცოცხალ საქონელს პორტუგალიელ, ინგლისელ და ამერიკელ მონებით მოვაჭრეებს მიჰყიდდნენ ხოლმე... სრული უსამართლობა იქნებოდა, ამაში ბრალი თანამედროვე არაბებისათვის დაგვედო, პრეტენზიები წაგვეყენებინა მათთვის წინაპრების მიერ ჩადენილი დანაშაუ-

ლისთვის, რომელიც იმხანად არც მიიჩნეოდა ასეთად. ასევე მცდარი იქნებოდა გასული საუკუნეების განსჯა დღევანდელი გადასახედიდან; ისლამში აფრიკული სულის ინკარნაცია რომ ვიხილოთ, აუცილებელია, გადავლახოთ სინათლისა და ნათელგონიერების თუნდაც რამდენიმე წელი და როცა მალკოლმ იქსი თეთრების შესახებ წერს: „როგორ უნდა შევძლო იმის შეყვარება, ვინც დედა გამიუპატიურა, მამა მომიკლა და ჩემს წინაპრებს თავისუფლება წაართვა და დაიმონა...“, განა თვითონაც იმავეს არ სჩადის, როცა წინასწარმეტყველს მკლავებში უვარდება?

– და თქვენი ძაღლი? – დაინტერესდა სენ-რობერი.

– რა, ჩემი ძაღლი?

– ისევ ისეთი რასისტია?

პასუხისგან თავი შევიკავე, რადგან სხვებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ; აგენტმა სენ-რობერმა არ დაახანა. მოხსნა გუდას პირი და თანამეინახეებს ისეთი თანამგრძნობი და გულმტკივნეული ტონით გააცნო ამბავი, გეგონება, ჩემი ოჯახის წევრის ამბავს ყვებოდა, რომელიც ესესელთა რიგებში ჩაეწერა. ცხვირი თეფშში ჩავრგე და ვჭამე და ვჭამე.

ასე მემართება ყოველ ჯერზე, როცა ვითრგუნები. ამ დროს მარტო ერთ რამეს შეუძლია ჩემთვის გუნება-განწყობილების გამოკეთება – საჭმელს. არაყს არასოდეს არ ვსვამ, ახლოსაც არ ვეკარები მას შემდეგ, რაც ომის დროს ესკადრილიის სასადილოში ვისკი გადავკარი და შემდეგ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩავაფლავე.

არც კატცენელენბოგენს ამოუღია ხმა, თუმცა დაინტერესებული კი ჩანდა.

მეორე დღეს დამირეკა.

– შეიძლება, თქვენს სანახავად მოვიდე?

კატცენელენბოგენი არც ჩემი აგენტი გახლდათ და არც ჯინის, მაგრამ ამის სურვილი აშკარად ჰქონდა.

– მობრძანდით, – ვუპასუხე, – დასაკარგი არაფერი მაქვს.

ოც წუთში გადახსნილი „თანდერბერდით“ მოგრიალდა. დავსვი და „სისხლიანი მერი“ შევთავაზე. უარი არ უთქვამს.

– თქვენს ძაღლთან დაკავშირებით გეახელით. მთელი ღამე ვფიქრობდი მასზე, დილით ცოლსაც ველაპარაკე. რატომღაც მგონია, რომ შევძლებთ, დაგეხმაროთ.

– რას ამბობთ? როგორ?

– ძაღლი ცხოვრების დარჩენილ ნაწილს გალიაში გამოკეტილი ვერ გაატარებს; ვერც თქვენ იზრუნებთ მასზე, რადგან ძალიან ბევრს მოგზაურობთ.

ვგრძნობდი, საით მიჰყავდა საუბარი ჩემს სტუმარს. ძაღლი რომ ვყოფილიყავი, ბალანი აუცილებლად ამეჯაგრებოდა.

ლოიდი წუთით შეყოვნდა. არაჩვეულებრივად იყო გამოწყობილი: ოქროსფერღილებიანი ცისფერი ბლეიზერი ეცვა, გემოვნებით შერჩეული უძვირფასესი პერანგი...

– უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ შემეძლო, ძაღლი ჩემთან წამეყვანა. მე და ჩემი მეუღლე ბელ-ერში უზარმაზარ, იზოლირებულ სახლში სრულიად მარტონი ვცხოვრობთ და...

ისეთი გულწრფელი გამომეტყველება ჰქონდა, ისეთი მზადყოფნით მთავაზობდა დახმარებას და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმდენი შესანიშნავი მწერლის ნდობით სარგებლობდა, რომ ჩემი შინაგანი რადარი რომ არა, რომელიც ნაძირალების გამოჩენისას წითელს მინთებს, აუცილებლად გავებმებოდი ხაფანგში. დანაშაულებათა მეტი წილი დიდ ქალაქებში შავკანიანებზე მოდის და უოტსის შემდეგ მათ მიმართ „ყველაზე კეთილგანწყობილი“ ადამიანებიც კი უსაფრთხოების ზომების მიღებაზე ფიქრობენ. თუ სახლში

ბატკასნაირი ძაღლი გყავთ, შეგიძლიათ, მშვიდად იძინოთ – ნებისმიერი შავკანიანის მოახლოებაზე აუცილებლად ატეხავს ხმაურს და დაუპატიჟებელ სტუმარს აუცილებლად გაუღვიძებს მიძინებულ ატავისტურ შიშს. შეიძლება, სწორედ ამის გამოა შავკანიანთა ოჯახებში ძაღლი ასეთი იშვიათობა. გაქცეულ მონებზე ძაღლებით ნადირობა პლანტატორთა ერთ-ერთი ამოჩემებული სპორტის სახეობა გახლდათ. მსუბუქი გულისრევის შეგრძნება დამეუფლა. ადამიანი, რომელიც თავს „პროგრესულად“ და შავკანიან აქტივისტთა პირუთვნელ ქომაგად აცხადებს, თეთრ ძაღლს მთხოვს, იმისათვის რომ საკუთარი ოჯახური კერის ხელშეუხებლობა დაიცვას... ვწუხვარ, მეგობარო, მაგრამ ძაღლს უკვე შევპირდი იორტის მერს.

კატცენელენბოგენმა მსუბუქად იმედგაცრუებული და შეწუხებული ადამიანის იერსახე მოირგო. გეგონება, მოულოდნელად კრაზანამ უჩხვლიტაო.

წელში გავიმართე:

– თუ ბატკას თეთრი ლეკვები შეეძინა, გპირდებით, რომ აუცილებლად ვიფიქრებ თქვენზე.

კატცენელენბოგენი გასასვლელი კარისკენ გაშმაგებული ნაბიჯით გაქანდა, აი ისეთით, ფასდაუდებელ სამსახურს რომ უწევს ბუნებით პაციფისტებს სიტყვიერი თავდასხმის თუ სხვა აგრესიული გამოხტომის თავიდან აცილებაში. ის ღამე თეთრად გავათენე. სიბნელეში ვფიქრობდი, რომ დონ კიხოტი ულმობელი რეალისტი გახლდათ, რომელსაც ჩვენთვის კარგად ცნობილი ყოფითი ბანალურობისა და მოჩვენებითობის მიღმა უგვანო და ბილწი დრაკონების ამოცნობა შეეძლო ძალდაუტანებლად.

სანჩო პანსა კი მეოცნებე რომანტიკოსი გახლდათ, გამოუსწორებელი ფანტაზიორი, რომელიც ღრუბლებში დანა-

ვარდობდა და მწარე რეალობისა არაფერი გაეგებოდა. სანჩო სინამდვილეში ის ბრმა იყო, რომელსაც მთელი ოცდაათი წლის მანძილზე ღრმად სწამდა, რომ სტალინი „ხალხთა ბრძენი მამა“ იყო, თავისი დღე და მოსწრება კაცობრიობის კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე ზრუნავდა, ხოლო „წმენდის“ დროს ამოჟუჟული ოცი მილიონი წმინდა წყლის „კაპიტალისტური პროპაგანდაა“.

დონ კიხოტმა იცოდა. საოცრად ნათელგონიერი, თვალდახუჭული ხედავდა ჩვენში დაბუდებულ დემონებსა და ჰიდრებს, რომლებიც ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში თავს წამოყოფენ და სისინს და ჩხრიალს იწყებენ ხოლმე.

შუქი ავანთე და კლივერის ავტობიოგრაფია გადმოვიღე. ფურცვლისას მალევე წავაწყდი ლერუა ჯოუნზის ციტატას: „Come up, black dada, nihilismus, rape the white girls. Rape their fathers. Cut the mother's throat“ – „ადექ, შავო რაშო, ნიჰილიზმო, დაეპატრონე თეთრკანიან გოგონებს. დაეპატრონე მათ მამებს, გამოღადრე ყელი მათ დედებს“.

ეშმაკსაც წაუღია.

ლოგინიდან წამოვდექი. თავი მიხურს. აზრები უმიზნოდ ირევიან, ერთმანეთს ეჯახებიან, მიმართულება ვერ აურჩევიათ; ცოტა ხანში, „ოლდმობილის“ საჭეს ჩაფრენილი, ჩემი აზრებივით გაურკვეველ და არეულ ქალაქში უმიზნოდ დავქროდი. ბოლოს მალიბუს გზას დავადექი, რომ ჩემი ძმის, ოკეანისთვის დამეგდო ყური: ის დუმდა. ღრმა ძილით ეძინა...

რანჩოს მივაშურე. პიტ-მახრჩობელას გალიაში შევედი. თავაზიანი მიღება მომიწყო. ჯერ წრედ შეიკრა, მერე კი სამკუთხედის ფორმა მიიღო. ერთმანეთს თვალს არ ვაცილებდით. ეს პითონი თავისი მრგვალი თვალებით ისე მოგაშტერდება, გეგონება, აქამდე ასეთი არაფერი უნახავსო. დიდხანს

ვაკვირდებოდით ერთმანეთს. მხოლოდ გაუგებრობა და უსაზღვრო განცვიფრება გვაერთიანებდა. ეს ჩვენი შთაბეჭდილების ერთგვარი ურთიერთგაზიარებაც იყო. ამის გამოთქმა ერთი სიტყვით შეიძლება: monstrueux – შემზარავი!

შემდეგ კი ბატკას გალიას მივაშურე. ჩემს დანახვაზე დიდი აღფრთოვანება გამოხატა, რამაც ჩემში დამალული რვა წლის ბიჭუნა ძალიან გაახარა. თეთრ ძაღლს თავი ჩემს მუხლებზე ედო, მე ჰიუზ-მარკეტში ნაყიდ რუსული წესით დამწნილებულ კიტრსა და შავ პურს შევექცეოდი, აღფრთოვანებულ მზერას არ მაშორებდა. დედამიწის ზურგზე მხოლოდ ძაღლის მზერაში შეიძლება გადაეყარო ჭეშმარიტ ადამიანს.

ასე ძმური სიყვარულით გადაჯაჭვულებსა და სრულ ნეტარებაში მოლივლივეებს კიზმა მოგვისწრო.

– როგორ ხართ?

– არა მიშავს.

კიზი გალიაში შევიდა და ბატკას აჭამა.

ძაღლმა პირფერობისა და მლიქვნელობის სცენა გამართა: გავა ააქანავა და სულ დაულოკა ხელები.

კიზმა წამიერი მზერა მესროლა.

– ვერაფერს ვიტყვი, – ვუთხარი კომპლიმენტი.

– დიახ, – მითხრა, – ძალიან სწრაფად მიიწევს წინ – He is coming along fine, just fine... კიზი წელში გაიმართა, სიგარეტს მოუკიდა და უცნაურად გადმომხედა.

...ნაძირალა. არასდროს ვაპატიებ.

არდენში დავბრუნდი, სადაც ნიკოლ სელინჯერის წერილი დამხვდა: ბობი კენედის მაკ-კარტის წინააღმდეგ გაჩაღებული საკუთარი საარჩევნო კამპანია რამდენიმე დღით შეეჩერებინა და მალიბუში, რეჟისორ ფრანკენჰაიმერის სახლში გვიწვევდა შეხვედრაზე. მის ძმას კარგად ვიცნობდი, როცა სენატორის პოსტი ეჭირა, მოგვიანებით თეთრ სახლშიც შევხვდი, მაგრამ პირადად ბობი აქამდე არასდროს მენახა. უკვე ვიცოდი, რომ შეეძლო, კალიფორნიის შავკანიან ამომრჩეველთა ოთხმოცი პროცენტის მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა, მაგრამ სიბერგი მაინც საოცრად აენთო და კენედების დახმარებით „ზომიერ“ ბრუკერსა და აქტივისტ რედს შორის შეხვედრის ორგანიზება განიზრახა. მოაგროვა თავისი პროსპექტები, ბრუკერი გააფრთხილა, მე კიდევ რედთან დამარეკინა, რომელმაც პირველად ცივი უარი მტკიცა შეთავაზებაზე, მოგვიანებით კი გადაიფიქრა და იმავე საღამოს უკვე ჩვენთან იყო.

რედი ნერვიული და ერთობ შეფიქრიანებული ჩანდა, insecure, როგორც ამერიკაში იტყვიან. კინგის მკვლელობის შემდეგ სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ ყველა ლიდერი მოღალატისა და კოლაბორაციონისტის იარლიყის მიკერების

შიშით თავს არიდებდა ისტებლიშმენტთან – გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრას. ასეთი რედი მე აქამდე არასდროს მენახა, ცხვირზე დაკოსებული სათვალით და გატენილი საქაღალდეებით მუხლებზე... მთელი ღამე კენედების ლანძღვა-გინებაში გაატარა. არაფრის მაქნისი არ არიანო, იძახდა. იმხანად მისმა განცხადებებმა, რბილად რომ ვთქვათ, აღმაშფოთა, თუმცა, არა მგონია, დღეს იგივე რეაქცია მქონოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მაფიის ფინანსურ და პოლიტიკურ ძლიერებაზე არაჩვეულებრივად დასაბუთებული ნაშრომები დაიბეჭდა. ისე, ცნობისთვის, გეტყვით, რომ ამ ძლევამოსილი ორგანიზაციის ყოველწლიური შემოსავლი დღეს ორმოც მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

– შავკანიანები სინდიკატების კრიმინალური პოლიტიკის გამო მთავარი მოვლენების მიღმა აღმოჩნდნენ. მათ, ფაქტობრივად, უმუშევრად დაგვტოვეს, ჩვენ კი, აუცილებელ სახსრებს მოკლებულნი, მათზე ვერანაირ ზემოქმედებას ვერ ვახდენთ. მაფია შავკანიანთა წინააღმდეგ ჩამოდის ფსონს და მძლავრ ექსპლუატაციას უწევს „ლურჯსაყელოიანების“ რასისტულ განწყობას. იტალიურმა, ირლანდიურმა და ებრაულმა მცირერიცხოვანმა დიასპორებმა ერთგვარი „ზეგავლენის ჯგუფების“ შექმნით საკუთარი პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველყვეს. ჩვენ ამ ორგანიზებულ დანაშაულს ვერაფერი დავუპირისპირეთ. ვართ სრულიად განუვითარებლები, ჩამორჩენილები და უძლურნი... შავკანიანთა მდგომარეობა მხოლოდ მაშინ გამოსწორდება, როცა მაფია საკუთარ პოზიციებს დათმობს, ამისთვის კი აუცილებელია, მწვერვალს დავუმიზნოთ, სადაც მხოლოდ ბებერი მგლები არიან თავმოყრილი.

თავს ვუთხარი, ეს ხომ წმინდა წყლის ბოდვაა-მეთქი. თუმცა საკმარისი იყო, ბოლო მხილებები წაგეკითხათ „კოზა ნოსტრას“ პოლიტიკური ძლევამოსილების შესახებ, რომ რედის ინფორმირებულობა გეღიარებინათ.

მიუხედავად ყველაფრისა, ღამის ორ საათზე მაინც მოლბა:

– ბობი ერთადერთი ლიბერალია, ვისგანაც შეიძლება რამეს ელოდე. მაკ-კარტის არაფერი გაეგება შავკანიანებისა. ეს მისთვის თეორიული პრობლემაა...

რედი მომიბრუნდა და ფრანგულად მომახალა:

– მისთვის ამ ყველაფერს „ბრბოს მყრალი სუნი ასდის“.

მე ვკითხე:

– ფილიპისაგან რა ისმის?

რედს სახეზე ამაყი ღიმილი გადაეფინა.

– ოფიცერია. უკვე ორჯერ მიიღო ჯილდო...

ვერაფერს იტყვი, „ნამდვილი“ ამერიკელია, ამაყობს ვაჟიშვილით, რომელიც ბრძოლის ველზე დიდების შარავანდედით შეიმოსა.

რედი მალევე მოეგო გონს და მიპასუხა:

– რამდენიმე თვეში დაბრუნდება. ვიეტნამში ომის დამთავრებამდე ჩვენ უკვე გვეყოლება ორმოცდაათი ათასი კარგად გაწვრთნილი და, რაც მთავარია, დისციპლინირებული შავკანიანი ჯარისკაცი. მათ სათავეში კომპეტენტური მეთაურთა შემადგენლობა ჩაუდგება... განსაკუთრებით დისციპლინა გვაკლია. ცხელ გულზე ვისაც რა წამოუვლის თავში, იმას სჩადის. ერთ ძალად შეკრულ, ჯეროვნად ორგანიზებულ აქციებს ჯერჯერობით ვერ ვხედავ...

– აფეთქებებს?

– არ არის აუცილებელი. პირველ რიგში, ჩვენ მათ გამოვიყენებთ, როგორც პოლიტიკურ ძალას. ამას გარდა, ისინი

იტვირთებენ მაფიისათვის საძირკვლის მორყევას და კრიმინალური სინდიკატების დაპყრობას... მაგრამ პოლიტიკური ბრძოლის წაგების შემთხვევაში...

– ეტყვი ბობის ამას?

– რასაკვირველია, ყველაფერს ნათლად ავუხსნი.

არა, შეუძლებელია ამის ატანა! როგორ ვერ გაუაზრებია, რომ მისი უფროსი ვაჟი სულით ხორცამდე „ამერიკელი გმირია“ და კარიერის გაკეთება არმიაში აქვს განზრახული, როგორ არ ესმის, რომ ის იქ გაწევრიანდა ნამდვილ სამხედრო მოსამსახურეთა, მეომართა „საძმოში“, რომელიც კანის ფერს არ დაგიდევთ. თუ ყველაფერი მშვენივრად ესმის და ამ კომედიას საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობს, როგორ შეიძლება, ადამიანმა ირწმუნოს, რომ ეს ორმოცდაათი ათასი თუნდაც კარგად გაწვრთნილი შავკანიანი ჯარისკაცი აქ, ამერიკაში ძალთა თანაფარდობას შეცვლის: დავუშვათ, მათ განკარგულებაში ორმოცდაათი ათასი ვეტერანია – ციფრი, მერწმუნეთ, თეორიულ გათვლებს ეყრდნობა და არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებს პირად გადაწყვეტილებებს. მაშინ მათ ხომ ას ორმოცდაათი ათასი თეთრი ვეტერანი დაუპირისპირდება?.. რედს შეწუხებული შევცქეროდი. ვცდილობდი, მის მზერაში ოცნების ნატამალისთვის მაინც მომეკრა თვალი. ეს – ამ სიტყვის ყველაზე ტრადიციულად ამერიკული გაგებით ღრმად პრაქტიკული და პრაგმატული ადამიანი – ირეალურ წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობს. რედი გადაეყლაპა აუხდენელ ოცნებას – ლტოლვას სასწაულისადმი, რომელიც თურმე უძველეს აფრიკულ ლეგენდებთან ყოფილა დაკავშირებული. სიგიჟე და განუსჯელობა ხშირად უშფოთველობის ნიღაბს ირგებენ. ვინ გამოიყენა პირველად ტერმინი „ლოგიკური ბოდვა“?

ცოტათი შევყოყმანდი. რა ვქნა. ვერაფერს გავაწყობ, მოსახდენი მოხდეს. მოდი, სიტყვა რეალობას დავუთმოთ!

– იცი, რომ ბალარს ამერიკაში დაბრუნება უნდა? მოენატრა აქაურობა. ვერა და ვერ შეეგუა ევროპას, ძალიან ამერიკელია...

რედი თავის თავში ჩაიკეტა, თან, მგონი, გასაღები ორჯერ გადაატრიალა. გარეგნულად მხოლოდ უზრუნველი და ინდიფერენტული იერი დაიტოვა. მხრები აიჩეჩა.

– ბალარი არასტაბილური ადამიანია, ნამდვილი ჰიპია. ეგეთი ბრიყვები ჩვენ არ გვჭირდება. კარგს იზამს, თუ საფრანგეთში დარჩება.

შინაგანად, ალბათ, იმაზე დარდობდა, ბალარი ამერიკაში თუ დაბრუნდა, დეზერტირობისთვის სასტიკად დაისჯებაო. რედს ამ აზრთან შეგუება მოუწევს.

რედმა ყრუ ხმით დასძინა, ისე რომ თვალებში არც შემოუხედავს:

– უთხარი, რომ იქ დარჩეს.

– კარგი, ვეტყვი.

მეორე დღეს, დილაადრიან მე და ჯინი მალიბუში გავემგზავრეთ. ბობი ოკეანეში ბანაობდა. ძლიერ ტალღებს ეთამაშებოდა, დროდადრო მისი შავი თმა აქაფებულ წყალში გაიელვებდა ხოლმე...

ცოტა ხანში სალონში შემოვიდა შიშველტორსიანი, ჭრელი ბერმუდა ეცვა და პირდაპირ იატაკზე მოკალათდა. ჯინმა ხელი მოკიდა, ქაღალდები ამოიღო და გაიღიმა.

– ისე, უნდა გაცნობოთ, რომ არდადეგები მაქვს და ვისვენებ.

და მაინც, ყურადღებით მოუსმინა და ბრუკერისა და რედის მიღებას შეჰპირდა. შემდეგ ისევ ჩემსა და ნიკოლ სელინ-

ჯერს შორის ჩამოჯდა. მანამდე, რამდენიმე დღით ადრე, კალიფორნიელი დემოკრატების ყოფილმა ლიდერმა, ადვოკატმა პოლ ზიფრინმა, როგორც უცხოელსა და გარეშე დამკვირვებელს, საკუთარი მოსაზრება შავკანიანთა საკითხებზე წერილობით ჩამომაყალიბებინა. დავწერე, თუ რა მოულოდნელი და გასაკვირი იყო ჩემთვის ისეთი „შავი ისრაელის“ – ახალი აფრიკული რესპუბლიკის იდეა, რომელსაც „შავი ძალა“ ითხოვდა.

ბობიმ წამსვე აიტაცა თემა.

– წარმოუდგენელი სისულელეა, ნამდვილი ბოდვაა და სხვა არაფერი. ეს დღე რომ დადგეს, აუცილებელია ჯოჯოხეთური ბირთვული ომი, ასი მილიონი ადამიანის ამოჟუჟვა, მრავალწლიანი საყოველთაო ანარქია, როგორიც ევროპამ იწვნია შუა საუკუნეებში ან კიდევ ამაზე უარესი სიმახინჯე ... ეს ინტელექტუალური კაპიტულაცია ამერიკული დემოკრატიული იდეალის დასამარებას ნიშნავს.

ბობი ხალიჩაზე ფეხმორთხმით იჯდა, ხელში ფორთოხლის წვენით ნახევრად სავსე ჭიქა ეჭირა. მის აღნაგობაში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ჭაბუკური შემართება – ახალგაზრდა ჯიშიანი ნაგაზი მსხვილი ენერგიული თათებით. გავიფიქრე, ეს გრუზა თმას ამოფარებული განიერი შუბლი, ეს სწორ და მსხვილნაკვთებიანი სახე სიბერეში მოეჩვარება, გამოუშრება და კორდელ ჰალის თუ „ჯენერალ მოტორსის“ ყოფილი მეპატრონის, ამჟამად ტრუმენის მრჩეველ უილსონის ტიპურ ამერიკულ იერსახეს შეიძენს-მეთქი.

ორი კვირით ადრე პიერ სელინჯერს ზიფრინის თანდასწრებით ვუთხარი:

– ბუნებრივია, კარგად მოგეხსენება, რომ შენი ყმაწვილი ერთ მშვენიერ დღეს ვინმეს თავს მოაკვლევინებს.

სელინჯერს გააჟრჟოლა, წამიერი დუმილის შემდეგ მიპასუხა:

– მე ამ შიშით ვცხოვრობ. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაგრამ მაგას რას გააჩერებ. ძალიან მოუსვენარი ვინმეა, ნამდვილი ვერცხლისწყალი. დღეს აქაა, ხვალ იქ, ზეგ კიდევ ღმერთმა უწყის სად...

მიკი ზიფრინმა მკითხა:

– რატომ იფიქრეთ თავდასხმაზე?

– ამერიკულმა ფოლკლორმა, შეჯიბრების წყურვილით გაჟღენთილმა აზროვნებამ მაფიქრებინა და კიდევ გაზვიადებისა და გაბუქვისაკენ ლტოლვამ. ჯონის მკვლელობის შემდეგ ბობი საშუალო ამერიკელი პარანოიკისთვის ძალიან მიმზიდველი საცდურია, გესმით? ფსიქიკური ვირუსი – „ვინ უფრო მეტს". არსებობს კიდევ ერთი მიზეზიც. ბობი მაპროვოცირებელ ზემოქმედებას ახდენს ყოველ გაუწონასწორებელზე, ყოველ დევნილსა და საკუთარი არარსებობით ტანჯულზე. Bobby is too much, ის მეტისმეტია: მეტისმეტად ახალგაზრდა, მეტისმეტად მდიდარი, მეტისმეტად ბედნიერი, მეტისმეტად მომხიბლავი და გავლენიანი, მეტისმეტად ბევრი შესაძლებლობის მქონე. ყოველ შეშლილსა და გადარეულში ის უსამართლობის გრძნობას აღძრავს. ის მათზე ისევე ზემოქმედებს, როგორც ჰარლემიდან ჩამოხეტებულ უპოვარზე მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ვიტრინა. მესამე სამყაროს თვალში ბობი ამერიკული სიმდიდრის გამაღიზიანებელი და გამომწვევი გამოფენაა. არა, ის მართლა მეტისმეტია.

საკუთარი „შორსმჭვრეტელობით" ბაქიაობაზე ადვილი არაფერია. ამის შესახებ აქაც იმიტომ მოგახსენეთ, რომ საქმე ეხება თანამედროვე ამერიკის სპექტრული ანალიზისას ერთ

ყურადსაღებ ელემენტს. ქვეყანა, რომელმაც სიჭარბითა და სიუხვით, რომ არ ვთქვა არაზომიერებით, ყველა დაჯაბნა, ნევროზითაც არაზომიერია. სიცოცხლის გამანაწილებელ ამ გიგანტურ ტექნოლოგიურ მანქანაში ყოველი მოკვდავი ემსგავსება მონეტას, რომელსაც გარკვეული ლაბირინთების გავლის შემდეგ ეს ურჩხული მეორე მხარეს გამოისვრის ან როგორც პენსიონერს, ან როგორც გვამს. არყოფნისთვის თავის დასაღწევად, ჰიპების ან სექტანტების დარად, ადამიანები ან ჯოგებად უნდა გაერთიანდნენ, ან შურისძიების მიზნით ხმაურიანი ქცევით გამოიჩინონ თავი, რაც, თავისთავად, მსხვერპლიან ჰეპენინგებსაც არ გამორიცხავს. ვგრძნობდი, რომ ბობის ამერიკული პარანოია ემუქრებოდა, რომელიც აქ ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. აქ ხომ წარმატების, დაწინაურებისა და კეთილდღეობის კულტი ასმაგად ამძაფრებს არასრულფასოვნების, უპოვრობის, ხელმოცარულობისა და მარცხის განცდას.

ბობის ვკითხე, უსაფრთხოების, შესაძლო თავდასხმის თავიდან ასაცილებლად რა ზომებს ატარებდა. შემომღიმა.

– საარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატის დასაცავად არანაირი საშუალება არ არსებობს. უნდა მიენდო ბრბოს და შემდეგ... მოკლედ, მხოლოდ საკუთარი იღბლის იმედი თუ გექნება.

ბობიმ გაიცინა და მოუხელთებელი ბიჭური თმა, რომელიც წამდაუწუმ შუბლზე ეყრებოდა, უკან გადაიწია.

– ყოველ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რომ გახდე, აუცილებლად ბედი უნდა გწყალობდეს. ადრე თუ გვიან თავდასხმა გარდაუვალია და, სხვათა შორის, არა პოლიტიკური მიზეზების გამო, არამედ იმიტომ, რომ ირგვლივ სრული ქაოსი და განუკითხაობაა. ჩვენ ვცხოვ-

რობთ ფსიქიკური ვირუსის უჩვეულო ეპოქაში. აქ ვიღაც ტიპმა მარტინ ლუთერ კინგი გააგორა, ბერლინში კი ამ „ვირუსით“ დაავადებული შეეცადა მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო აქტივისტის მოკვლას. პიროვნების ტრავმირება მასმედიის საშუალებების მიერ სერიოზული კვლევის საგნად უნდა იქცეს. ისინი დრამატული მოვლენების ხარჯზე სულდგმულობენ. მოსახლეობაში სანახაობის მუდმივ მოთხოვნილებას აღვივებენ. ამ სფეროში სერიოზული ნაბიჯები ჯერჯერობით არავის გადაუდგამს: ისიც უნდა ითქვას, რომ დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც სულიერმა სიცარიელემ, სულიერმა შიმშილმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ დრამატული მოვლენა, Happening სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. მოვლენიდან მოვლენამდე კი ჯაჭვური რეაქციაა. ამას დაუმატეთ დემოგრაფიული აფეთქებები. დიდ ქალაქებში ახალგაზრდები თავის ტყავში ველარ ეტევიან, პირდაპირ სკდებიან. თუ შეიძლება ასე ითქვას, ინდივიდუუმი – ეს შესანიშნავად ჩანს შავკანიანთა გეტოების მაგალითზე – პირდაპირ არტახებშია მომწყვდეული, უკიდურესად დათრგუნულია, ველარ სუნთქავს. იმისათვის, რომ გათავისუფლდეს, აუცილებლად უნდა აფეთქდეს. მდგომარეობიდან თავის დასაღწევად სხვა გამოსავალს ვერ პოულობს. ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის, ხელოვანის ჭეშმარიტ ნიჭს ან თვითგამოხატვის ყოველგვარ საშუალებას მოკლებულ ახალგაზრდებს შემოქმედებისკენ ერთგვარი ლტოლვა ძალადობის სურვილს ხომ არ უმძაფრებს-მეთქი... აქ არ შემიძლია, არ ვახსენო ჰემინგუეი. ძალიან მიყვარს, როგორც მწერალი, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი გაუგებარ და საშიშ მითს. მხედველობაში მაქვს ცეცხლსასროლი იარაღის განდიდება. ის არ ამბობდა, მკვლელობის აქტი მამაკაცურ ხიბლს არ არის მოკლებუ-

ლიო?.. რაღა შორს წავიდეთ, კონგრესსაც ვერ მივაღებინეთ ცეცხლსასროლი იარაღის თავისუფალი გაყიდვის აკრძალვის კანონი.

ვისაუბრეთ სტუდენტებზეც, რომლებმაც უნივერსიტეტი ალყაში მოაქციეს. მის პირველ რეაქციას, ცხადია, პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა. პოლიტიკოსი უციფრებოდ წარმოუდგენელია და ბობიმაც ამიხსნა, 1972 წლის არჩევნებზე „ასაკობრივი ჯგუფები" დღევანდელი აქტივისტების ხმებს გადამწყვეტ ხასიათს გამოაცლიანო.

სახეზე ღიმილგადაკრულმა, თითქოს „წინასაარჩევნო რეალიზმისთვის" ბოდიშს იხდისო, თქვა:

– რაც შეეხება სტუდენტებს, არ შემიძლია, ჩემი ყოყმანი არ გამოვხატო... უფრო სწორად, თავშეკავება.

შეიძლება, ეს იმით აიხსნებოდა, რომ მათი უმეტესობა მის მეტოქეს, მაკ-კარტის უჭერდა მხარს. ბობიმ ეს თითქმის უხეშად აღიარა:

– გარკვეულ საუნივერსიტეტო წრეებს სიამოვნებით დავუთმობ მაკ-კარტის. ის, რაც ახლა კოლუმბიის უნივერსიტეტში ხდება, მაფიქრებინებს, რომ შეუძლებელია, უპირობოდ და განურჩევლად დაეყრდნო ახალგაზრდებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი „ახალგაზრდები" არიან. მე მივესალმები გააზრებული კრიტიკისა და გონიერი პროტესტის ყველა გამოვლინებას, მაგრამ კოლუმბიის უნივერსიტეტში, ისევე როგორც შარშან ბერკლის უნივერსიტეტში, ჩვენ ვხედავთ ერთგვარი ჩანაცვლების ფენომენს: ისინი ცეცხლს უკიდებენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს იმიტომ, რომ ვერ მიაღწიეს ვიეტნამში ომის შეწყვეტას და საბჭოთა კავშირში სინიავსკის გათავისუფლებას.

გენერალი დე გოლი რუმინეთიდან ჯერ არ იყო დაბ-

რუნებული და შეწუხებულმა კენედიმაც არაერთი შეკითხვა დამისვა საფრანგეთში პოლიტიკური დაძაბულობის შესახებ, რომელიც დღითიდღე იზრდებოდა. ნუთუ დე გოლი აპირებს, მიმდინარე მოვლენებს თვითდინების – get out of hand – საშუალება მისცეს, რომ მერე ზედმეტად თავდაჯერებულ და ამის გამო სიფრთხილემოდუნებულ მოწინააღმდეგეს მოულოდნელად დაარტყასო. ვუპასუხე, ამის შესახებ არაფერი ვიცი-მეთქი, მაგრამ აღვნიშნე, რომ საფრანგეთი ძლიერთა გამოწვევისა და დამარცხების ციებ-ცხელებითაა შეპყრობილი, შეიძლება იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში სამხედრო, პოლიტიკური, ატომური, ეკონომიკური, კომუნისტური, კაპიტალისტური უძლეველობის დემონსტრირება ნამდვილ tease-ად, აუტანელ პროვოცირებად იქცა-მეთქი.

– ყოველ შემთხვევაში დე გოლი ბოლოა, – თქვა კენედიმ, – მისი დარი არ დაიბადება. ხომ არ ფიქრობთ, რომ ომის დროს ჩვენ შორის არსებულმა ურთიერთობებმა ერთგვარი ზეგავლენა იქონია მის დღევანდელ პოლიტიკაზე ანგლოსაქსონურ სამყაროსთან?

– შესაძლებელია, მაგრამ არა რევანშისტული მტრობის გაგებით, – ვუპასუხე მე, – რუზველტმა და ჩერჩილმა დე გოლს ჩაუტარეს ძლიერების, ძალის დემონსტრირების გაკვეთილი, რომელიც მან კარგად დაიმახსოვრა. ის მშვენივრად მიხვდა, რომ სიტყვა „საფრანგეთი“ მის პარტნიორებში მაგიურ თრთოლვას არ აღძრავდა. ეს გასაგებიცაა, რადგან ქვეყანა იმხანად დანაწევრებული იყო.

ვიგრძენი, რომ დე გოლი ბობის ერთგვარ აკვიატებად ჰქონდა ქცეული. იგივე სჭირდა მის ძმასაც. თეთრ სახლში შეხვედრების დროს პირდაპირ დაკითხვებს მიწყობდა ბებერი მგლის შესახებ. ეს იყო გულწრფელი აღფრთოვანება.

– რამდენ თავდასხმასაა გადარჩენილი?

– ხუთჯერ თუ ექვსჯერ გაუღიმა ბედმა.

– ხომ გეუბნებოდით. ეს უბრალოდ იღბლის საქმეა, პრეზიდენტი the good old luck-ის გარეშე ვერ გახდები.

საუბარი დასრულდა, იქვე იყო მისი ორი მრჩეველი: დიკ გუდვინი და პიერ სელინჯერი. ამ უკანასკნელს თავისი მეუღლე ნიკოლიც ახლდა თან; მსახიობი ენჯი დიკინსონი ქმრითურთ, დრამატურგი ალან ჯეი ლერნერი მეუღლითურთ, მსახიობი უორენ ბიტი, რეჟისორი ჯონ ფრანკენჰაიმერი ცოლთან ერთად, კოსმონავტი გლენი და კიდევ სამი-ოთხი ჩემთვის უცნობი პირი ბობი კენედის საარჩევნო შტაბიდან.

გამგზავრებამდე ბობი ჯინს შეჰპირდა, რომ ბრუკერსა და რედს იმ დღესვე შეხვდებოდა.

ბობი კენედიმ დანაპირები შეასრულა.

საღამოს რედმა აეროპორტიდან დამირეკა.

ცოტა არ იყოს აღელვებულმა ვკითხე:

– რა ქენი, გამოვიდა?

ვიგრძენი, რომ რედი საკუთარი ენთუზიაზმის დამალვას ეცადა... to play it cool...

– მე სრულ უნდობლობას ვუცხადებ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს. შეუძლიათ ნებისმიერ რამეს დაგვპირდნენ. და მიუხედავად ჩემი პოზიციისა, გეტყვი, რომ ის ერთადერთია. მსგავსი ბუნებაში არ არსებობს...

და მაშინვე შეასწორა.

– მარტო იმის თქმა მინდოდა, რაც გაიგონე, მეტი არაფერის. ანუ გიმეორებ, რომ ის ერთადერთი და განუმეორებელია, მაგრამ ჯერ საბოლოო შეფასებისგან თავი შევიკავოთ. ვნახოთ, საქმეში როგორი იქნება.

19

ერთმა ჩემმა ახლობელმა ჩინოსანმა გამაფრთხილა, შენს ტელეფონს უსმენენ და არ არის გამორიცხული, სახლიც მიკროფონებით იყოს სავსეო. რატომაც არა? საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. დაე, ყველამ თავის საქმეს მიხედოს. რაც არდენში ითქმება, ახალი არაფერი იქნება იმასთან შედარებით, რაც ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება. ერთი კია, რომ აქ მხოლოდ მაშინ კამათობენ გაცხარებით და ყბედობენ, როცა სამოქმედო საშუალებები გამოელევათ ხოლმე.

სიმართლე გითხრათ, უკვე ყელში ამომივიდა ამერიკელი შავკანიანების პრობლემები. მადლობა ღმერთს, საფრანგეთში ყინული დაიძრა. ჩემთვის ეს ჟანგბადით გამდიდრებული ჰაერის ჩასუნთქვას ნიშნავს. აზრების გადასახალისებლად კაცი უკეთესს ვერაფერს ინატრებს, ტელევიზორი დღედაღამ ჩართული მაქვს: სორბონის აღება, ათასობით სტუდენტი ბარიკადებზე, მოძრაობის საყოველთაო გაფიცვაში გადაზრდის საშიშროება... თავისუფლად სუნთქვის განცდა დამეუფლა.

იმ დღეს ცოტა დავისვენე, მერე ჩემს კაბინეტში ჩავიკეტე და ტელევიზორი ჩავრთე. ამ დროს მისაღებში „მწვანე ძალის“ თათბირი მიმდინარეობდა. სიტყვა „მწვანე“ დოლარს ნიშნავს. საუბარი ეხებოდა ახალი ორგანიზაციის ჩამოყალი-

ბებას, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ახალი შავი კა-
პიტალიზმისათვის ფუნდამენტის მომზადება შავი ბანკებით,
შავი მრეწველობითა და შავი კომერციით. მოკლედ, ყველა-
ფერი შავი უნდა ყოფილიყო. ჭეშმარიტი კაპიტალისტური
რევოლუცია. მისაღებში სწორედ მაშინ შევბრუნდი, როცა
ჯინი ჩეკს აწერდა ხელს. სრულიად შემთხვევით შევეჩეხე
ერთ ახალგაზრდას, რომელიც ერთგვარ იისფერ ტოგაში
გახვეულიყო, წელზე ქამარი შემოეჭირა, ყელზე მშვიდობის
ჯვარი ჩამოეკონწიალებინა, თავზე კი რაბინის კიპა დაემ-
ხო. ჰო, კიდევ ერთი დეტალი – მარჯვენა ყურის ბიბილოში
ოქროს რგოლი გაეყარა. ეს ტიპი ისეთ გასაოცარ რამეებს
ამბობდა, ისეთი გამაოგნებელი სიტყვით გამოდიოდა, ორ
წუთსაც ვერ დავუგდე ყური და სასწრაფოდ ისევ კაბინეტს
მივაშურე... ეკრანზე – სპეცდანიშნულების ჟანდარმები.
უნიფორმამ მრგვალი მაგიდის რაინდები გამახსენა ნადიმისა
და მაგარი ღვინის მოლოდინში. მთელი აღჭურვილობა იყო
წარმოდგენილი: ჩაფხუტები, ხელკეტები და გამჭვირვალე
ფარები. საერთო სურათს ჟუანვილი, წმინდა ლუდოვიკო და
გოდფრუა დე ბუიონი აკლდა. ფურცელს და ფანქარს ვტა-
ცე ხელი და კარებთან დავდექი: საიდ მეკტუბის ბაგეთაგან
გადმოღვრილი მარგალიტებიდან ერთი მარცვალიც არ უნდა
დამეკარგა. სხვათა შორის, ამ ვაჟბატონს სამი თვის წინ პი-
ტერ სტიუარტის სახელით ვიცნობდი:

– და ნუ გამოუჭედეთ ყურები ამერიკელ შავკანიანებს
კომუნიზმზე ყბედობით. გამორიცხულია, რომ ჩვენ შევეკრათ
ვინმეს, მათ შორის პროლეტარებს. ჩვენ სულაც არ გვინდა
ამერიკული კაპიტალიზმის განადგურება და გაცამტვერება.
პირიქით, ჩვენ ვალი უნდა დაგვიბრუნდეს. აუცილებლად უნ-
და აგვინაზღაურდეს საუკუნეების განმავლობაში განხორციე-

ლებული ექსპლუატაციისა და ძარცვის საფასური, დაღვრილი ოფლი და, რაც მთავარია, ჩვენ მოვითხოვთ ამ ვალის 11 %-იანი მოგებით დაბრუნებას. სულაც არ გვსურს, სარგებელი თეთრ პროლეტარიატს გავუზიაროთ. ჩვენ ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარი ხელებით ვაშენეთ. ახლა კი დროა, გადმოგვეცეს ის, რაც სამართლიანად დავიმსახურეთ. თეთრებს სულ არ გაუჭირდებათ, კომუნისტობა დაიბრალონ, ოღონდ ჩვენ არ გადაგვიხადონ...

პიტერ სტიუარტ საიდ მეკტუბის ბოდვას დასასრული არ უჩანდა. მარჯვენა ყურის ბიბილო მსუბუქად შესივებოდა, ალბათ, ინფექცია შეეჭრა, როცა თვითონ იხვრეტდა. პირადად მეც ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა, მარჯვენა ყურში ოქროს რგოლი გამეყარა, მაგრამ საპატიო მიზეზი ვერასოდეს მოვიძიე. თუმცა შეიძლებოდა, მამაჩემის მხრიდან მონღოლი წინაპრები მომემიზეზებინა... რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ დედაჩემი წმინდა წყლის ებრაელი იყო. ასე რომ, ეს სურვილი ასე ხორცშეუსხმელად დამრჩა. ამას გარდა, ჩემი თათარი წინაპრები დიდი დამრბევები იყვნენ, ხოლო დედაჩემის წინაპრები მარად დარბეულნი. ხედავთ, რამხელა პრობლემა მაქვს? თუმცა ერთ მშვენიერ დღეს მეტნაკლებად დამაჯერებელ საბაბს მივაგენი და ოქროს რგოლი გავიყარე. დარწმუნებული ვარ, მავანი არ დაიზარებს და ექსჰიბიციონისტის იარლიყს მომაკერებს. ერთხელ ისრაელში პრესკონფერენციის დროს, რომელიც რადიოს პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა, „მაარივის“ ერთმა ფრიად დაფასებულმა და პატივცემულმა ჟურნალისტმა – ბენ გურიონს წააგავდა, ოღონდ უფრო ხნიერს – მკითხა:

– მესიე რომენ გარი, წინდაცვეთილი ხართ?

ეს ჩემს სიცოცხლეში პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა პრესა ჩემი პენისით დაინტერესდა და ისიც ღია ეთერში.

უარყოფითი პასუხის გაცემა ვერ გავბედე, არ მინდოდა, დედაჩემს განვდგომოდი – მის საფლავს ხომ არ მივაფურთხებდი? კი-მეთქი, ვუპასუხე. დარბაზმა შვებით ამოისუნთქა და ესეც მთელმა ქვეყანამ მოისმინა. დავეთანხმე თუ არა, მთელ ტანში ერთგვარი ჩხვლეტა ვიგრძენი. ეს – სიმართლე აცხადებდა პროტესტს. არ დავახანე და დავძინე:

– ჩემი ვაჟი წინდაცვეთილია.

– თქვენ მას ჭეშმარიტ ებრაელად გაზრდით, ანუ ებრაული ადათ-წესების მიხედვით?

მე, უწინარეს ყოვლისა, ვისურვებდი, მისგან პატიოსანი ადამიანი დამდგარიყო, მით უმეტეს, რადიოთი სხვა რა უნდა მეთქვა. ამიტომაც „მაარივის“ ჟურნალისტს ვუპასუხე:

– არა, მესიე, ჩემი ვაჟის პაპისპაპა მონღოლია, დედა დანიური წარმოშობის ამერიკელი, ბებია კი – ებრაელი. მისი მშობლიური ენა ესპანურია. უკვე შეუსრულდა ექვსი წელი. თვითონ ნამდვილი ფრანგია. მისმა გუვერნანტმა აიჩემა, კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულებითა და პატივისცემით უნდა აღიზარდოსო, მაგრამ სამი წლის ასაკში ჩუჩის მსუბუქი ანთება გადაიტანა და ექიმმა ბუტერვასერმა – ბარემ აქვე გეტყვით მისამართსაც: როშოშუარის გამზირი №32 და გულწრფელად გირჩევთ ყველას – სამედიცინო მოსაზრებით მისი მოჭრა გადაწყვიტა. შევნიშნავ, რომ პირადად მე ამ გადაწყვეტილებაში მონაწილეობა არ მიმიღია. მთელი ეს ჩემი ქადაგებაც, ცხადია, პირდაპირ ეთერში გაისმა.

რასიზმი!

მაგრამ პიტერ სტიუარტ საიდ მეკტუბის ყბედობიდან ერთი სიტყვაც კი არ გამომრჩენია. სხვათა შორის, განათლებით ადვოკატია.

– კომუნიზმი ჩვენი მტერია, ის კლასობრივი დაყოფის,

უნივერსალურობის და საყოველთაო სამართლიანობის განადგურებას ისახავს მიზნად. მას საერთოდ დავიწყებული აქვს „შავი საკუთრების“, „შავი მესაკუთრისა“ და „შავი მართლმსაჯულების“ სტადია...

მისაღების ერთ-ერთ კუთხეში ჩემი მეუღლე ორ ტოგიანთან ერთად ისევ ჩეკების წიგნაკს ჩაუღრმავდა.

და მე? ჩემზე აღარ უნდა იფიქროს? იმაზე, ვისაც „მაზერატის“ სპორტული მოდელი და წაულას ოცი ჰალსტუხი აეკვიატა...

ისევ ტელევიზორს მივუბრუნდი. მანიფესტანტებმა სპეცდანიშნულების რაზმებს რიყის ქვები დაუშინეს. არც ისინი დარჩნენ ვალში – ცრემლსადენი ყუმბარებით უპასუხეს. თუ მათ ცხენიდან გადმოვარდნილ რაინდებს შევადარებთ, სრული ანაქრონიზმი შეგვრჩება ხელში. სავარძელში კომფორტულად მოვეწყვე და სიგარა გავაბოლე. არა, ოჯახურ გარემოს არაფერი სჯობია, მით უმეტეს მაშინ, როცა მთელ სამყაროს ასე ხონჩით მოგართმევენ.

ცოტა არ იყოს შემრცხვა ჩემი სილაჩრისა, როცა იმ ღამეს ჯინს გამოვუტყდი, ხვალ დილიდან აქ ჩემი ფეხი არ იქნება-მეთქი. მოკლედ, გაქცევა გადავწყვიტე! ჩემმა ახირებამ ჯინი დააბნია. მიაგდო ჩვიდმეტი მილიონი ამერიკელი შავკანიანი პარიზში ერთი პატარა სამაისო განავარდებისთვის? რა თქმა უნდა, ამ საქმეს ჩემი პრესტიჟი და რეპუტაცია შეულახავი ვერ გადაურჩა, ვერც პიჟამაზე მიბნეულმა „გათავისუფლების“ ჯვარმა უშველა საქმეს და ვერც საპატიო ლეგიონის ორდენმა. ჯინს მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ მათ კარგა ხანი იყო, რაც ყავლი გაუვიდა – ოცდახუთი წელი მაინც იქნებოდა გასული ამ ჯილდოების მიღების დღიდან. მე ვარ has been. ex. რაც მართალია, მართალია, ინგლისში გადატა-

ნილი ბრძოლის შეხსენებით აქედან გაქცევის სურვილს ვერ გაამართლებ. პრობლემა ახლა აქვეა, ამერიკაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პარიზში თეთრები არიან. სხვათა შორის ეს ექსტრაორდინარული რეპლიკა ერთი-ორი დღით ადრე კლარასგან მოვისმინე, როცა მოვუყევი, ერთ ჩემს მეგობარს ცოლი გაშორდა მარტო იმიტომ, რომ თანამდებობა დაკარგა-მეთქი.

– არაფერი აქვს საწუწუნო, – მომახალა, – თეთრკანიანი მაინც არის და ჯერჯერობით ჭეშმარიტი პრობლემა არ გასჩენია.

მოკლედ, ბრძოლის ველიდან გავრბივარ. ყელში ამომივიდა კრებები, სადაც ადამიანები თვალთმაქცობენ, თავს იკატუნებენ, ვითომ აბდულ ჰამიდი სულაც არ არის დამსმენი, ხოლო თავგადაპარსულ ბომბადიას მიერ წარმოდგენილ ახალ დაჯგუფებას კი FBI არ აფინანსებს „შავ ძალაში“ უთანხმოებისა და განხეთქილების დასათესად, კრებები, სადაც ერთი არავინ დაინტერესდება, რატომ იხოცება ამდენი აქტივისტი შავკანიანებისვე ხელით, სადაც არავინ იკითხავს ხმამაღლა, ვინ ვინ არის, ვინ გასცემს ამ ბრძანებებს. მოკლედ, ვფიქრობ, რომ ჩემს სინდის-ნამუსსაც აქვს ამოსუნთქვისა და არდადეგების მოწყობის უფლება; დაე, დატკბეს გაზაფხულის პარიზით, მისი ხალხმრავალი ბარიკადებით, CRS რაინდებით. ექიმსაც სხვა კი არაფერი ურჩევია ჩემთვის.

ჩავალაგე ჩემოდნები და სისხამ დილით, ვიდრე გზას გავუდგებოდი, ჩემი ვაჟის თანხლებით საშენში წავედი. თეთრ ძაღლთან თითქმის ერთ საათს დავყავით: ჩემი ბიჭი უკვე გახდა ექვსის და თამამად შეგვიძლია, ერთობლივად ვიმსჯელოთ სამომავლო გეგმებზე. გადავწყვიტეთ, რომ, როცა დავბრუნდები, სერიოზულად მივხედოთ ბატკას, წავიყვანოთ საფრან-

გეთში და ცოლად შევრთოთ ახალგაზრდა ფრანგი გოგო, რომელიც, დარწმუნებული ვართ, უამრავ შვილს გაუჩენს. ჩემი ვაჟი ყოველთვის შავკანიან ბიჭებთან მეგობრობდა და წარმოდგენა არა აქვს შავკანიანების არსებობის შესახებ. არასოდეს უკითხავს ჩემთვის, აი, ის ბატონი ან ეს ქალბატონი შავი რატომაა. ჩემი შვილის გაწვრთნაზე, ცხადია, ჯერჯერობით არავის უზრუნია.

სახლში დაბრუნებულს მაგიდაზე წერილი დამხვდა: „ისე არ წახვიდე, რომ არ დამემშვიდობო. კრენტონში ვარ კრებაზე, სწორედ აეროპორტის გზაზეა...“

ჩემს ყვითელ ძაღლ სენდის ხელი ჩამოვართვი. მეი მხრებზე შემომახტა, ლოყებზე თავი გამიგლასუნა და შეუდგა გრძელი და რთული ისტორიის მოყოლას ჩიტებზე, ერთ საძაგელ, ფრიად ვულგარულ კატაზე, რომელსაც თურმე მოპირდაპირე სახლში დაუდვია ბინა, სამზარეულოდან მოპარულ ხბოს ბარკალზე. მეფიცებოდა, მის შესახებ არაფერი მსმენიაო.

კრენტონში არასოდეს ვყოფილვარ და, ცხადია, სახლს კარგა ხანს ვერ მივაგენი. დახმარებისთვის ერთ წვერიან ბეხლეწს მივმართე, – საწყალი ლუმუმბა, წვერისთვის თითქმის ისევე გაისარჯა, როგორც კონგოსთვის. ჩემმა დასახელებულმა მისამართმა გასაოცარი ეფექტი მოახდინა.

– ჩარლისთან მიბრძანდებით?

– დიახ, ჩარლისთან მივდივარ.

მესამე ქუჩა მარცხნივ, სახლი №5, მარჯვენა მხარეს.

შენობის წინ ორი შავკანიანი იდგა. ვუთხარი, ცოლს მოვაკითხე, მოსვლა თვითონ მთხოვა-მეთქი. შემიშვეს. მივიხედ-მოვიხედე და წამსვე მივხვდი, რომ ამ თავყრილობას არაფერი ჰქონდა საერთო „მწვანე ძალასთან“. ეს გახლდათ ერთგვარი party, სადაც ყოველ ფანჯარასთან იდგა ტიპი და გარეთ

ყურადღებით იცქირებოდა. შეკრებილთაგან მხოლოდ ერთი ახალგაზრდა კაცი მეცნო, black deacons[2]-იდან. აქ ის „ზომიერებს“ წარმოადგენდა.

განწყობა? ალბათ ისეთივე, როგორიც ფრანგ პარტიზანებს ჰქონდათ ოკუპაციის დროს: კუბური ბერეტები, წვეროსანი მამაკაცები. შავი ტყავის სამოსს ნაციზმის სუნი დაჰკრავდა: კასტრომ თითქმის მოიკვარახჭინა საქმე ამერიკელ შავკანიანებთან, ვიდრე ამ ბედოვლათებმა ბოლო მომენტში არ მოისაზრეს, რომ ფიდელის არც ერთ ოფიცერს და არც ერთ მინისტრს, არც მის მეგობრებს კანი შავი არ ჰქონდათ... რა მოხდა, ბარბუდო, რა, კუბაზე ზანგები არ არიან?

ჯინი დაუჯერებლად ქერა ჩანს ამ შავ ფონზე. შეიძლება გაგიჟდე. იმ დროს შევედი, როცა სიტყვით გამოდიოდა. ხმა უკანკალებდა...

– ყველაზე ცუდი რეკლამა სამოქალაქო უფლებისათვის მებრძოლი აქტივისტებისთვის ის გახლავთ, როცა ადამიანები ხედავენ, რომ კინოვარსკვლავები მათთვის ხელის გამართვას ცდილობენ. ეს წმინდა წყლის ჰოლივუდია, ოღონდ ცუდი გაგებით. ეს კინოა, გნებავთ, მოდა. ყველას შესანიშნავად მოეხსენება, რას წარმოადგენს კინოვარსკვლავი. ეს ცარიელი „პოზაა“ და სხვა არაფერი. რაც არ უნდა მოიმოქმედოთ, როგორი გულწრფელიც არ უნდა იყოთ, ადამიანებს მაინც რჩებათ შთაბეჭდილება, რომ თქვენ მუდამ ფოტოობიექტივის წინ კეკლუცობთ და პირზე მხოლოდ „cheese“ გაკერიათ. რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე სკოლისთვის; მაგრამ, მერწმუნეთ, ყოველ ჯერზე, როცა მანიფესტზე ავტოგრაფის დატოვებას მთხოვთ, თავად ვნებთ საკუთარ თავს...

---

[2] სამხრეთელი შავკანიანების თავდაცვის დაჯგუფება.

ისეთი განცდა დამეუფლა, რომ უჩინმაჩინის ქუდი მეხურა. არა, ჩემი ფესი უნდა დამეხურა; თურქული ფართხუნა ცისფერ-ოქროსფერზოლებიანი შარვალი ხომ სულმთლად დამხატავდა.

– ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჰოლივუდი ჩვენგან ორ ნაბიჯზეა, ანუ სულ მცირე მანძილი გვაშორებს იმ ადგილს, სადაც უახლოეს მომავალში „ჩე გევარას“ გადაიღებენ მთავარ როლში ომარ შარიფით... მოკლედ, რაც არ უნდა ვაკეთო, მაინც იფიქრებენ, რომ ვთამაშობ... ჯინს ხმა ჩაუწყდა. ფანჯრებთან ატუზული ჯეელები არემარის ყურადღებით თვალიერებას განაგრძობდნენ. გგონიათ, პოლიციის ალყას უფრთხოდნენ? კარგით რა, ნუ მაცინებთ. პოლიცია აქ მოსასვლელად თავსაც კი არ შეიწუხებდა. პოლიცია უკვე აქ იყო! არ არსებობს FBI-სგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული მოძრაობა. იცით, რა არის პოლიტიკური მოძრაობის გაკონტროლების საუკეთესო საშუალება? მისი ჩამოყალიბება, ბატონო! დამკვირვებლები აქ მხოლოდ იმისთვის არიან, რომ მოწინააღმდეგე შეიარაღებული დაჯგუფებების მანქანების მოახლოება დროზე შეამჩნიონ და პრევენციული ზომებიც დროულად გაატარონ. „შიდა“ ხოცვა-ჟლეტა აქტივისტების ნამდვილი ტრაგედიაა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ გაურკვეველი უხილავი ძალა მარიონეტებივით ათამაშებს, ექსტრემისტებით მანიპულირებას ეწევა, აავებს და ერთმანეთს დასაჭმელად უსევს. აი, ამას წინათ კალიფორნიის უნივერსიტეტის ორი სტუდენტი მანქანაში ველურად ჩაცხრილეს. ჯინს ვაკოცე. თავი ის სასოწარკვეთილი და გულამოსკვნილი ცოლი მეგონა, რომლის ქმარიც ეს-ესაა ჯვაროსნულ ომში მიმავალ ლაშქარს შეუერთდა. ჯინისთვის ნამდვილად ჯობია, რომ აქ არ ვეგულებოდე. ასაკში განსხვავება საშინელი რამაა. წარმოიდგინეთ

ახლა, როცა თქვენზე რამდენიმე საუკუნით უფრო ახალგაზრდა ქალს შეირთავთ, თან ზურგზე ისეთ ტვირთს მოიკიდებთ, რომელსაც ვოლტერი და ლაროშფუკო ჰქვია. ჩემი დარდი და კაეშანი აეროპორტამდე ძლივძლივობით მივიტანე და თვითმფრინავის სალონში ავათრიე.

20

მშვენივრად ვიცოდი, რომ არდენში ჩვენს ტელეფონს უსმენდნენ. ამის შესახებ კალიფორნიის ერთ-ერთმა სახელგანთქმულმა ადვოკატმა მაუწყა, მაგრამ კენედის სახელობის აეროპორტში, იმ დროს, როდესაც ტერმინალამდე მისაღწევად და ავიაკომპანია TWA-ს კუთვნილი ბოინგის სალონში ასასვლელად სულ რაღაც თხუთმეტი წუთიღა მრჩებოდა, თავს გადამხდა პატარა ინციდენტი, რომელმაც ლამის ჭკუიდან შემშალა.

აღმოსავლეთის ყოფილი მეფის ძევ, თუ თქვენ ახლა ამ სტრიქონებს კითხულობთ, უმორჩილესად გთხოვთ, დამიჯეროთ, რომ სულაც არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რასაც ახლა შემოგბედავთ: ჩვენი გზები იმიტომ არ გადაიკვეთა, რომ ამას თქვენგან CIA – დაზვერვის ცენტრალური სამმართველო ან დაზვერვის ფედერალური ბიურო ითხოვდა. ისე, თავიდან სიტუაცია სულ არ მეჩვენა საეჭვო და არაბუნებრივი: ჩემოდნით ხელში გიჟივით მივრბოდი, რომ რეისისთვის მიმესწრო და საფრანგეთის რევოლუცია უჩემოდ არ დასრულებულიყო. ამ დროს გზა გადამიღობა ახალგაზრდა, პიჯაკის ღილკილოზე აბრევიატურა KLM-იანმა სიმპათიურმა მამაკაცმა, რომელსაც ორმოცი წელი არანაირად არ ეტყობოდა. უცხოელი მგზავრე-

ბის დახვედრა და გაცილება მევალებაო, მითხრა. კეთილი, ბატონო, მშვენიერი მომსახურება გქონიათ, მაგრამ მე არ მჭირდება, ყველაფერი წესრიგში მაქვს და თან ჩემი თვითმფრინავი ათ წუთში უკვე ჰაერში იქნება...

გამცილებელი მეფური ჟესტით ჩემს დამშვიდებას შეეცადა:

– დარდი ნუ გექნებათ, თქვენს თვითმფრინავს მიუსწრებთ, დრო საკმაოდ გაქვთ, დაბრძანდით...

დავემორჩილე. რახან უნდა დამხვდნენ და გამაცილონ, მე ვიტყოდი, გამკოჭონ, ჯანდაბას, ეგრე იყოს. იქნებ ასეა საჭირო. ვერ ვიჯერებ დიდი მბრძანებლის მემკვიდრის კეთილ განზრახვას. ამ ოცი ათას კაცში, აქ ბუზივით რომ ირევა, რაღა მე გამომარჩია და რაღა მაინცდამაინც ჩემი მოფერება ისურვა? თუ საერთაშორისო მგზავრების მიღება-გაცილება ევალება, ეს აბრევიატურა KLM რაღა შუაშია. აეროპორტის აბეზარი წარმომიდგა და სავიზიტო ბარათი გამომიწოდა. პრინცი! ვაზუსტებ – აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქვეყნის ყოფილი მეფის ვაჟი. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

– რას ფიქრობთ ამერიკაზე? რა აზრისა ხართ ამერიკაში გამეფებულ სიღარიბესა და შავკანიანთა გაუსაძლის მდგომარეობაზე?

დიახ, ზუსტად ასე მკითხა, მოულოდნელად, ყოველგვარი შესავლის გარეშე. გაკვირვებისგან ენა მუცელში ჩამივარდა. ღმერთო ჩემო, ეს რა დაუჯერებელი ამბავი მაუწყეთ, პრინცო! ნუთუ იმის თქმა გსურდათ, რომ ამერიკა სიღარიბეში ღაფავს სულს და აქაურ შავკანიანებს პრობლემები გაუჩნდათ? თავს უფლებას მივცემ და შეგახსენებთ, რომ ჩემი თვითმფრინავი ხუთ წუთში მოსწყდება ასაფრენ ბილიკს და ტერმინალს რომ მივაღწიო, ტაქსი უნდა ავიყ-

ვანო. პრინცის ხელი ჩემს დასაწყნარებლად მაღლა მიიწევს – ხელი, მაგრამ რა ხელი, მხოლოდ პრინცების დამახასიათებელი. გეუბნებით ამას მე – ერთი საწყალი, არაფრით გამორჩეული მდაბიო.

– ნუ შიშობთ, გარწმუნებთ, დროზე მიხვალთ. მაშ, ამბობთ, რომ ამერიკელ შავკანიანთა პრობლემებით სულ არა ხართ დაინტერესებული?

– პრინცო, – ვეუბნები, – მე გოლისტი ვარ. პოლიტიკურად უკიდურესი მემარჯვენეებისკენ უფრო ვიხრები. გეფიცებით, ამერიკას შეუძლია მშვიდად იძინოს... ისე, კიდევ ხდება რამე საინტერესო კიპლინგის ქვეყანაში?

– ანუ შტატებში სტუმრობის დროს არ დაინტერესებულხართ იმ არეულობებითა და მღელვარებით, რომელიც ასე მოედო მოსახლეობის შავკანიან ნაწილს? იმედს ვიტოვებ, რომ არც ამ არეულობებში ჩარევის სურვილი გქონიათ.

მე ისევ საათს შევხედე. თვითმფრინავი, ცხადია, უკვე ცაშია. დამრჩა გვერდზე პარიზიც და მისი რევოლუციაც. ფეხზე წამოვდექი. გამცილებელი კი არხეინად გრძნობს თავს და ოლიმპიური სიმშვიდით ჯდომას განაგრძობს. ნამდვილი პრინცია. ვერაფერს იტყვი: ჩემს მდგომარეობას მხოლოდ იდიოტურს თუ დაარქმევს ადამიანი.

– ამის დედის... – ვთქვი მე.

როცა ჩემში პროვინციული სისხლი იწყებს დუღილს, ბაგეებს ხატოვანი გამოთქმების მთელი ლავა აწყდება და გამოსავალს ეძებს. ახლა ნება მიბოძეთ, დაკონკრეტებისა და აღწერისაგან თავი შევიკავო.

მაგრამ მეფურ ყურებს საოცარი თვისება აქვთ. მათ ბილწსიტყვაობა არ ესმით.

– გწამთ თუ არა მეამბოხეთა მოძრაობისა?

– ყური მიდგეთ – მივმართე მე. – მოდი fifty-fifty.

– რას გულისხმობთ?

– გარიგებას გთავაზობთ: ორმოცდაათი ორმოცდაათზე. თავს დამანებებთ და დამიტოვებთ მისამართს. მე კიდევ ჩემსას მოგართმევთ. თქვენ გამომიგზავნით კითხვარს, მე კიდევ ყოველ მათგანზე წვრილ-წვრილად გიპასუხებთ, გაძლევთ ჭეშმარიტი გოლისტის პატიოსან სიტყვას. თქვენ, ალბათ, მოგეხსებათ, რომ დე გოლი საკუთარ სინდის-ნამუსთან გარიგებას არ თანხმდება.

პრინცმა სავიზიტო ბარათი უყოყმანოდ ჩამომართვა და კუთხეში ფანქრით საკუთარი მისამართი წააწერა, მაგრამ მისამართიცაა და მისამართიც – „ჩეიზი-მანჰეტენ ბანკი“! საბონენტო ყუთები. რა შეიძლება იყოს ამაზე მარტივი?!

მექანიკურად ისევ საათისკენ გამექცა თვალი.

– დამიგვიანდა თვითმფრინავზე.

წამოდგა, ქედმაღლურად შემომღიმა. თან ჟესტიც მოაყოლა, ჟესტი მაღალი საზოგადოების იმ წარმომადგენლისა, რომელიც მარად დარწმუნებულია საკუთარი მსახურების ერთგულებაში.

– სულაც არა, – თქვა მან, – მიბრძანდით, მანქანა გელოდებათ...

„ათას ერთი ღამეა“, ვერაფერს იტყვი, „ათას ერთი ღამე“. ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით და, ალბათ, უხილავი ზებუნებრივი ძალების ჩარევით სასწაული დატრიალდა: თვითმფრინავი დამელოდა!.. პრინცო, თუ ამ სიტყვებს კითხულობთ, იცოდეთ ერთი რამ: მე მწერალი ვარ. ჩემი წარმოსახვა უსაზღვროა. დავუშვათ, საიდუმლო აგენტი ხართ. ეს შემაძრწუნებელი, აღვირახსნილი და ავადმყოფური ფანტაზიის ნათელი დასტური იქნებოდა. თქვენ უბრალო მაგალითი

ბრძანდებით იმისა, რომ „ათას ერთი ღამის“ იდუმალი მაგია ჯერ კიდევ ტრიალებს ჩვენ გარშემო. ჰარუნ-ალ-რაშიდის მემკვიდრევ, თქვენ ის კეთილი გენია ხართ, რომელიც ჩემდამი კეთილგანწყობილმა ძალამ შემახვედრა, რათა თვითმფრინავის გაფრენა ოცი წუთით შეეყოვნებინა, ჩვენთვის კი უეშმაკო მეგობრული საუბარი ეჩუქებინა.

ნაწილი მესამე

21

მართალია, პარიზი ყელამდე იყო ჩაფლული ნარჩენებსა და ნანგრევებში, მაგრამ გასაოცარი გულწრფელობით შემომეგება. როგორც ჩანს, რევოლუცია ქალაქს აღსარებისკენ უბიძგებს. KLX-ის რეპორტიორი კრავიცი, რომლისთვისაც ჩემი ბინა მქონდა დატოვებული, შინ არ დამხვდა, სამაგიეროდ, მაგნიტური ფირები და აპარატურა იყო ყველგან მიმოყრილი. დაუფიქრებლად ერთს დავავლე ხელი და ჩავრთე: ისმოდა აფეთქების ხმა, ადამიანები სასოწარკვეთილი ხმით გაჰყვიროდნენ:

– ოჰ, ეს ნაძირალები! ძირს დააწვინეთ!

კრავიცი ფონოგრამების დიდი კოლექციონერი იყო. მაგნოლიაში მის სონოთეკაში ვიეტნამის ომში დაღუპული მებრძოლის ბოლო ამოსუნთქვაც კი მომისმენია. ფირზე ეწერა: G. I. dying, tet offensive, Battle of Saigon. კიდევ რამდენიმე ფირი მოვისმინე განურჩევლად, რაც ხელში მომხვდა: თოლიების კივილი, ტალღების გუგუნი, ქალის კვნესა ორგაზმისას... აი, კიდევ ერთიც: ბიაფრა 1968 წელი – ფირი ტრიალებს. მგონი, სიჩუმეა ჩაწერილი: არც ხმა ისმის, არც ყვირილი, აბსოლუტური სიჩუმეა. მერწმუნეთ, ეს უებარი საშუალებაა წარმოსახვის გასავარჯიშებლად. პარიზის ღამის სიჩუმეს დროდადრო აფეთქებები არღვევს. უეცრად მწყობრი ნაბიჯების ხმა მომესმა.

ფანჯარას მივუახლოვდი: ათიოდე ახალგაზრდა ბაკის ქუჩას ზევითკენ მიუყვებოდა და სკანდირებდა:

მაძღარი ბურჟუა მაძღარი ღორია,
რაც უფრო ქონიანია, ნაკლებად გონიერია!

დავას არ ვაპირებ, უადგილოდ ვთვლი, მაგრამ ათასობით გრაფიტი, რომლითაც პარიზული სახლების ფასადებია აჭრელებული, ჭიშკარზე მიჩხაპნილი ლოზუნგები მხოლოდ პროფესიონალური რეკლამის წისქვილზე ასხამს წყალს, მეტიც, მის მარადიულობას უზრუნველყოფს. წარმოიდგინეთ ასეთი სცენა: მესიე ბლანშე-ბლოშტანი სტიპენდიას გადასცემს „პუბლისის"-ის მიერ ორგანიზებულ კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტს.

სავახშმოდ „ლიპს" მივაშურე. გზად, სევრის ქუჩაზე სარეკლამო პანოს წინ ბ-ს მოვკარი თვალი, იურიდიულზე სწავლობდა ჩემთან ერთად და კარგი ძმაკაცებიც ვიყავით. დღეს სახელგანთქმული ადვოკატია. იდგა წარწერების წინ და ფიქრებს მისცემოდა.

დე გოლი – პალოზე!
C.R.S. – S.S.!
არ გაგივათ ფაშიზმი!

ბ-მ ვერ შემამჩნია. ღრმად ჩაფიქრებული ჩანდა. პიჯაკის ბორტზე საპატიო ლეგიონის ორდენის ლენტი მიემაგრებინა.

მოულოდნელად ჯიბიდან ფლომასტერი დააძრო. მიიხედ-მოიხედა, შემდეგ პანოსკენ შეტრიალდა და წერას შეუდგა. ამოვიკითხე შემდეგი:

თავისუფლება ტელმანს!
ფრანკო, no pasaran!

სიკვდილი კიაპას!
ძირს კაგული!

მხარზე მივუთათუნე. მოულოდნელობისგან შეხტა. მერე კი მიცნო. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ფლომასტერი ხელიდან ავართვი და დავწერე:

თავისუფლება დიმიტროვს!
შური ვიძიოთ მატეოტისთვის!
იხსენით ეთიოპია!

ბ-მ გაბრწყინებული თვალებით პირდაპირ ხელიდან გამომგლიჯა ფლომასტერი.

არ გაგივათ ლა როკი!
J.P. – მკვლელებო!
განაიარაღეთ ლიგები!
მათ მოკლეს როჟე სალანგრო!

ახლა ჩემი რიგია:

თავისუფლება კარლ ფონ ოსიცკის!
ძირს ორასივე ოჯახი!
შური ვიძიოთ გერნიკისთვის!
ყველანი ტერუელზე!

წელში გავიმართე. ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ. მომენტი ნამდვილად ამაღელვებელი იყო. ყოველდღე კი ვერ იქნები ოცი წლის. ბ. ისევ დაეპატრონა ფლომასტერს.

6 თებერვალს დაღუპულები შურისძიებას ითხოვენ!
გავერთიანდეთ მემარცხენეთა ერთიან ფრონტში!
გაუმარჯოს თანასწორუფლებიანობას!
სტალინი ჩვენთანაა!

შორიახლო პოლიციის მანქანამ ჩაიარა ნელი სვლით. უცოდველი სახეები მივიღეთ. ბ-ს თვალები დაენამა, ცოტაც და ცრემლები გადმოსცვივდებოდა.

– დედას ვუტირებთ, – ჩამჩურჩულა ყურში, – მადრიდი ჯერ კიდევ ფეხზე დგას და არ დანებდება.

– ბლუმი თვითმფრინავებს მიუსევს, – გავეპასუხე.

ისევ მოვიმარჯვე ფლომასტერი, მაგრამ ტყუილად – მელანი სულ გამომშრალიყო. არა უშავს, შავი ფერის უკმარისობას ნამდვილად არ ვუჩივით, თავზე საყრელადაა; ისევ ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს, ოღონდ ამჯერად მეტი ემოციით. ბ დამშვიდებული დავტოვე. მე ამაყი ნაბიჯებით განვაგრძე გზა, თავიც კი ავწიე მაღლა. აბა, როგორ? ვინ იტყვის, რომ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიმიღია? ვერაფრით გადამეწყვიტა, მოშუშული კომბოსტო მიმერთმია „ლიპში“, თუ იხვის რაგუ „რენესთან“ – რევოლუციის გამო რესტორნები ისეთი გაჭედილი იყო, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა: ბოლოს „ლიპის“ ერთ კუთხეში მოვეწყვე. მეზობელ მაგიდასთან ახალგაზრდა გოგო ყბედობდა, პოლიციელებმა სტუდენტები დახოცეს და კვალის წასაშლელად გვამები სენაში გადაყარესო. მოხარშული საქონლის ხორცს ხარბად შეექცეოდა, პირგამოტენილი დაწვრილებით აღწერდა, თუ როგორ აუპატიურებდნენ პოლიციის განყოფილებებში სტუდენტ გოგონებს და სულს ხდიდნენ დაჭრილებს. დესერტად „ნაპოლეონი“ შეუკვეთა. ნერწყვი მომადგა, ძალიან მომინდა ტკბილეული, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ასუქებს. გოგონამ მალევე მოუღო ბოლო „ნაპოლეონს“ და თავის მეგობრებთან ერთად წამოდგა. ღამეს უთუოდ ბარიკადებზე გაატარებდნენ.

როჟე კაზესს ვკითხე, საკვები პროდუქტებით მომარაგების საქმე როგორ მიდის-მეთქი.

– ვუძლებთ, – მიპასუხა მან.

„ლიპი“ დამშვიდებულმა დავტოვე. „ბონ მარშესთან“ ახლომდებარე სამშენებლო მოედანზე ფისით სავსე კასრი იწვოდა. ირგვლივ გაურკვეველი წარმოშობის შავი სილუეტები დაბორიალებდნენ. ყარდა იქაურობა. მხრჩოლავი ალების ფონზე ერთი შავკანიანი გავარჩიე, თავზე ნიგერიული მრგვალი ქუდი ეხურა, ტანთ კი ზამბიური ბურდაკა ეცვა. ზურგზე უბრწყინავდა ფსიქოდელიური წარწერა: Screw you. მთელი ძალით გაჰყვიროდა:

– Burn, baby, burn – იგიზგიზე, პატარავ, იგიზგიზე!

პარიზში სევრ-ბაბილონის უბანში მოსმენილმა ამერიკული „შავი ძალის“ საბრძოლო ყიჟინამ, სიმართლე გითხრათ, ცოტა გული შემითბო. ჩემში გაღვიძებულ ნოსტალგიას მხოლოდ ის თუ მიმიხვდება, ვინც აქედან ძალიან, ძალიან შორს, სადღაც ბევერლი ჰილზში დატოვა გასათბობი მოწყობილობით აღჭურვილი აუზი, „ოლდმობილი“ კონდიცირებული ჰაერით და თოთხმეტი სატელევიზიო არხი, თუ „შემეცნებით-საგანმანათლებლოებს“ არ ჩავთვლით.

– Burn, baby, burn!

ყოველ ჯერზე, როცა პარიზში შემთხვევით ამერიკელს გადავეყრები, მის მიმართ საოცარი სიმპათიით განვიმსჭვალები ხოლმე.

შავკანიანმა ხელები მაღლა აღმართა.

– იგიზგიზეეე!

ფრანგული ცეცხლის ენების წინ მდგარი ამერიკელი, მინდა გითხრათ, საკმაოდ მიუახლოვდა ჭეშმარიტებას. როცა სპეცდანიშნულების რაზმები სევრ-ბაბილონში ხელკეტებმომარჯვებულნი იერიშზე გადადიან, პირადად ჩემთვის, ისინი, არც მეტი არც ნაკლები, ამერიკულ გეტოს, ვიეტნამს, ბიაფრასა და ყველა იმას უტევენ, ვისაც ამ დედამიწაზე შიმშილი-

საგან სული სძვრება. ფრანგი ახალგაზრდების ამბოხი შესანიშნავად ეწერება ამ თხრობაში, რადგან ისინი უმიზნებენ არა ერთ კონკრეტულ სოციალურ უსამართლობას, არამედ ყველას, ერთად აღებულს. ფრანგების მუშტად შეკრული ხელები მარტო თეთრების მუშტად შეკრული ხელები კი არ არის, არამედ შავებისაც. ეს უდავოა. ტელევიზორისა და რადიოს დაბადება-გავრცელებასთან ერთად საძაგლობითა და უღირსობით გაჯერებული სამყარო უსასრულო წაქეზებად და პროვოკაციულ გამოწვევად გარდაიქმნა. თქვენ კი, პროვოკაციას აყოლილნი, უტევთ ყველას და ყველაფერს, აცამტვერებთ, რაც ხელთ მოგხვდებათ – თქვენთვის ეს თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების საუკეთესო ფორმაა; პომპიდუს ძვირად უჯდება ჩე გევარას მკვლელობა. ასეთი მოულოდნელი ფორმითა და საშუალებებით ფრანგი სტუდენტები ერთგვარად ეხმიანებიან „ფრანგული ჰუმანიზმის“ ძირძველ ტრადიციებს და – რატომაც არა – „უნივერსალურ მისიას“, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ როდის ვიტვირთეთ. შავკანიანების, ვიეტნამის, ბიაფრის, მონათმფლობელური წარსულის პრობლემა რომ არ არსებობდეს, სტუდენტი ახალგაზრდობის რევოლუცია პარიზში თაგვების მიერ ერთ ყველის თავში მოწყობილ ამბოხს დაემსგავსებოდა.

მსოფლიო ტრაგედიის ზეგავლენას ადამიანების ჯერ კიდევ შეურყვნელ შეგნებასა და შემეცნებაზე აუცილებლად ან გონებრივ მოდუნებამდე და ინდიფერენტულობამდე მივყავართ, რაც, თავის მხრივ, რვასაათიან საინფორმაციო გამოშვებებში დახოცილთა გვამების, უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის ამსახველი კადრების ჩვენების მორალურ უფლებას იძლევა, ან კიდევ აფეთქებამდე.

– Burn, baby, burn!

მივუახლოვდი შავკანიანს.

– American?

– You bet, Chicago – რა თქმა უნდა!

შინ მივიპატიჟე. თითო ჭიქა გადავკრათ-მეთქი. სათვალიდან შეფიქრიანებული მზერა მესროლა.

– No, thanks. ორში ერთია – ან მამათმავალი ხარ, ან იმ ფრანგთაგანი, შავკანიანებს რომ ჩამოეკიდებიან ხოლმე კისერზე, როცა კბილის გასაკრავი არაფერი აქვთ. მომბეზრდა მუდამ თეთრების კეთილშობილური გრძნობებისა და ზრახვების მსხვერპლის როლში გამოსვლა. რას აკეთებთ ცხოვრებაში?

ძალიან მიყვარს ეს გამოთქმა: „რას აკეთებთ ცხოვრებაში?“ ამ დროს იმათზე ვფიქრობ ხოლმე, ვინც საოცარ საქმეებს ატრიალებს სიკვდილის შემდეგ. იქ, საიქიოში, ალბათ იმას აკეთებ, რაც მოგეპრიანება, რაც თავში წამოგივლის.

– მწერალი ვარ.

– Oh, Shit! უნდა მივმხვდარიყავი. მეც.

ახლა მე შემომიტია გულისრევამ. ზიზღით შევხედეთ ერთმანეთს. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ზედმიწევნით ვიცოდით ყველაფერი ერთიმეორეზე.

– ცხადია, პარიზში იმიტომ ჩამობრძანდით, რომ შავკანიანთა ბრძოლას მორიგი რომანი მიუძღვნათ. სტიპენდია როკფელერის ფონდმა გამოგიყოთ, არა? – ვკითხე.

შავკანიანმა გაკვირვება გაითამაშა.

– საოცარია პირდაპირ, საიდან მიხვდით?

– მეც იმავე მიზეზმა ჩამომიყვანა. ეს ის თემაა, რომელიც ჭეშმარიტმა მწერალმა ხელიდან არ უნდა გაუშვას.

ჩემმა თანამოსაუბრემ გულიანად გადაიხარხარა. შავები ყოველთვის ბევრად უფრო მხიარულები და ხალისიანები ჩანან, ვიდრე ნებისმიერი სხვა. თითქოს მეტსაც იცინიან.

ასეთი განცდა იმიტომ გეუფლებათ, რომ კბილები აქვთ უფრო ქათქათა და მბრწყინავი. კონტრასტია ყველაფრის თავი და თავი.

– პირადად მე შესანიშნავ სიუჟეტს მივაგენი, – მითხრა მან, – თეთრკანიანი ქალი, ოჯახის დედა, სექსუალურ სიამოვნებას მხოლოდ შავკანიან მამაკაცებთან პოვებს. ფიზიკური კონტაქტი თითქოს ამქვეყნად კი არ ხდება, არამედ სულ სხვაგან, განყენებულ სამყაროში. ამის გამო ქალს ეუფლება სრული განცდა იმისა, რომ მეუღლეს სულაც არ ადგამს რქებს.

მის მზერაში თანამოაზრეობის ნაპერწკალიც კი დავლანდე. შეთქმულების თანამონაწილის განცდა დამეუფლა. „ნუთუ ძმა ვიპოვე სხვა რასაში?“

ნიადაგის მოსინჯვა გადავწყვიტე.

– ვვარაუდობ, რომ ეს თქვენი ლამაზი ქალბატონი და შავკანიანი ერთ ჭერქვეშ იცხოვრებენ, მაგრამ მერე თეთრკანიანში გაცვლის, რათა თავის შავ საყვარელს თეთრებთან რასობრივი თანასწორობის ენით აღუწერელი სიამოვნება განაცდევინოს.

„ლუტეციასთან“ რამდენიმე ცრემლმდენი ყუმბარა ზედიზედ აფეთქდა.

შავკანიანი მწერალი თავის კანტურით დამეთანხმა.

– დაახლოებით ასეა. შავკანიანი – მილიონერი მომღერალია: ცხოვრებას ბაჰამის კუნძულებზე აპირებს. ყველას უხსნის, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ თეთრი ამერიკა გულს მირევსო. სინამდვილეში კი შავკანიანმა აქტივისტებმა გაუწყალეს გული. ეს უკანასკნელნი მას ნაძირალას და გაიძვერას უწოდებენ – ჩვენი გულისთვის ხელის განძრევაც კი არ სურს, ცენტსაც ვერ გააგდებინებო, საყვედურობენ.

ძმა-მეთქი, კიდევ ერთხელ გეუბნებით, ძმა რასობრივად

განსხვავებული, მაგრამ მაინც ძმა. მე მასში ამოვიცანი ტერორიზმის წმინდა ნაპერწკლი, რომელიც არავის დაინდობს, გამონაკლისს არავისთვის დაუშვებს.

მწერალმა თითი ასწია.

– ესეც შენი კვანძის გახსნა: შავკანიანი ანონიმურ წერილს იღებს: აღმოჩნდება, რომ მისი სატრფო სინამდვილეში ტრანსვესტიტია. მას კი არაფერი შეუმჩნევია, რადგან პირველად იყოფს სარეცელს თეთრკანიან ქალთან; წარმოდგენაც არა აქვს, როგორია თეთრი ქალი.

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. მშენებარე უბანზე მეხანძრეებმა აალებულ ფისს წყლის ძლიერი ჭავლი მიუშვეს და ჩააქრეს. ერთად გავეცალეთ იქაურობას.

გადავწყვიტეთ, სადმე სული მოგვეთქვა და თან თითოც გადაგვეკრა.

– ევროპაში იმიტომ ჩამოვედი, რომ ლაურაზე და პეტრარკაზე დამეწერა რომანი. შავ ლაურებზე და პეტრარკებზე კი არა, არამედ ჭეშმარიტ ისტორიულ გმირებზე... ეჭვი მაქვს, რომ რეაქციონერი ვარ.

სახლში ამჩატებული და დამშვიდებული დავბრუნდი. ამქვეყნად ჯერ კიდევ არსებობენ წინააღმდეგობის ჭეშმარიტი მონაწილეები. უზრუნველყოფილია მემკვიდრეობითობა – ერთგვარი უწყვეტი მორიგეობა. თან ისიც უნდა ვთქვათ, რომ აბსოლუტური სისუფთავისა და აუთენტურობის წყურვილი გამოგვარჩევს სხვებისაგან და საკუთარი მეს პაწაწინა სამეფოში გვკეტავს. ის კლავს გაერთიანების ნებისმიერ მცდელობას.

რამდენი ვიბორიალე იმ ღამეს ცარიელ ბინაში. დროდადრო ცრემლმდენი ყუმბარების აფეთქების ხმას მივაყურადებდი ხოლმე.

მარგოს ცხოვრებაში არ უტირია ამდენი.

22

ერთი-ორ საათს თავაუღებლად ვმუშაობდი. თავდავიწყების ერთგვარი საშუალებაა... როცა წერთ წიგნს, მაგალითად, ომის საშინელებებზე, თქვენ კი არ ამხელთ ამ საშინელებებს, არამედ თავისუფლდებით მათგან. დავდე კალამი და მეექვსე სართულზე ავედი. მადლენი თავის პაწაწინა ოთახში დამხვდა. ნამდვილი ცოცხალი ადამიანები პარიზში მსახურების ოთახებში უნდა ეძებო... გადავკოცნე. ბავშვს ივნისის ბოლოს ელოდება. მუქ თვალებში მომლოდინე ადამიანის უცნაური გამომეტყველება ჩასდგომოდა, თითქოს დრო მისთვის სამუდამოდ გაყინულა. ამგვარი მზერა ხშირად შემიმჩნევია ორსულ ქალებში. ერთხელ ერთმა ფსიქიატრმა გამიზიარა, ჯერ კიდევ უცნობი მიზეზით ორსულობისას ნევროზების უმეტესობა უგზო-უკვლოდ ქრებაო.

– როგორ მიდის საქმეები, მადლენ? ხომ კარგად გრძნობ თავს?

შემომღიმა. ამას გაბედულ, მეტიც, ვაჟკაცურ ღიმილს დავარქმევდი.

– ფული შემოგელიათ?

– არა, არც იმდენად...

მჯერა. ვიცი, რომ მშობლები უმართავენ ხელს. პრობ-

ლემა ბალარშია. ვერა და ვერ შეეგუა ცხოვრების პარიზულ ნირს.

– გესმით, ალბათ, რომ სულით ხორცამდე ამერიკელია...

– აქ რა აკლია? თუ კარგად მოძებნის, რასისტებს აქაც იპოვის. ეს ბედნიერება არც აქ არის ცოტა.

– როგორ გითხრათ, უმნიშვნელო რამეებზე წუწუნებს...

– რა, ბეისბოლი მოენატრა?

უეცრად გავიაზრე, რომ აგრესიულობამ შემომიტია. მე იმათ რიცხვს მივეკუთვნები, ვინც ხმამაღლა გაიძახის: მხოლოდ ფრანგსა აქვს უფლება, არ უყვარდეს საფრანგეთი, მეტს არავისო. თუ ლიონელი მეტყვის, საფრანგეთი დებილების ქვეყანაა, საწინააღმდეგო არაფერი მექნება, მაგრამ თუ იმავე განცხადების გაკეთების უფლება ამერიკელმა მისცა თავს, აი, მაშინ სერიოზულად გავბრაზდები. მიდი ახლა და გაარკვიე, როდის რა ეტაკება კაცს...

– სამუშაოს ვერ შოულობს, – თქვა მადლენმა, – ქალთა პარიკმახერების დახელოვნების კურსებიც გაიარა, მაგრამ სამსახურს მაინც ვერ ეშველა, გესმით?

– თუ პრობლემა მუშაობის ოფიციალურ უფლებაშია, ამას მე მოგიგვარებთ!

– არა, პრობლემა სულ სხვა რამეშია. არც ერთ პატრონს არ უნდა შავკანიანის სამსახურში აყვანა ქალთა საპარიკმახეროში...

– საფრანგეთში?

მადლენმა უსიტყვოდ გაასავსავა ხელები.

– კურსებზეც კი საერთოდ უფასოდ კრეჭდა, მაგრამ ბევრი ქალბატონი ახლოსაც არ იკარებდა...

ღვარძლიანად ჩავიცინე. ყუმბარების გრუხუნმა ჩემთვის უეცრად სრულიად კონკრეტული და გასაგები მნიშვნელობა

შეიძინა. ვეცადე, როგორმე დავმშვიდებულიყავი. თავს ვუჩიჩინებდი, რომ უგუნურება დიდი ძალაა, წმიდათაწმიდა რამაა, მეტიც, ყველას საერთო დედაა და უნდა შეგვეძლოს მის წინაშე ქედის მოხრა, მისი აღიარება. გულისამრევი იდიოტობაა, თანაც გინეკოლოგიური გართულებებით! ერთი ამ ნაბოზვრებს დამიხედეთ, თურმე შავკანიანი ვერ მიეკარება იმათ თმას. არ ეკადრებათ ამ კახპებს. ამან ერთი გოგო გამახსენა, რომელსაც ოცდათხუთმეტი წლის წინ ვიცნობდი. თავიდან ვერ ვეკარებოდი, გასწევდა ხელს და ბუტბუტებდა: არა, არა, თუ შემეხებით, აუცილებლად გული წამივა, გონებას დავკარგავ. ძველბერძნულად ამას ჰქვია „მიპატიჟება ვალსზე". დავიჯერო, შავკანიანის ხელი მათზე განსაკუთრებულად ზემოქმედებს და განსაკუთრებულ შეგრძნებებს აღუძრავს?

გარეთ კი ყუმბარები ფეთქდება და ფეთქდება. დიდი სიბეცე და სისულელე იყო ეს ყველაფერი. არც კი მქონდა გააზრებული, როგორ დამაგლიჯა ნერვები კალიფორნიაში ჯინთან ერთად გატარებულმა ბოლო თვემ; მთელი სხეული საშინლად მქონდა დაძაბული, შიგნით ყველაფერი მიდუღდა. ხელები თავისით მეკვრებოდა მუშტად. ბრძოლის ჟინით შეპყრობილ იმ მოუსვენარ მოზარდს ვგავდი, რომელსაც ენერგია საჭირო მიმართულებით ვერ წარუმართავს. ვეცადე, თავი ხელში ამეყვანა, თვალები დავხუჭე. გონებაში თვლას მოვყევი: მაინც რამდენი ნაცისტი გავუყენე საიქიოს გზას ომის დროს? თვლამ უფრო მეტად დამთრგუნა. თქვენ ცდილობთ, უსამართლობა მოკლათ, ამ დროს კი მხოლოდ ადამიანებს კლავთ. კამიუ წერდა, სიკვდილით დასჯის განაჩენი დამნაშავისთვის გამოაქვთ, დახვრეტით კი უდანაშაულოს ხვრეტენო. ყველგან ამ ჯოჯოხეთურ დილემას ვაწყდებით, ვგიჟდებით ძაღლებზე, მაგრამ მათი ხროვა ენით აუწერელ შიშს გვგვრის.

მადლენის დიდ მუცელს ზიზღნარევი მზერა შევავლე.

– ბალარს ნოსტალგია შეეყარა, აი, რა არის მთავარი პრობლემა, – თქვა მადლენმა.

უხალისოდ გადავიხარხარე. ზანგს, რომელიც სიყვარულის გამო არმიიდან გამოიქცა, ახლა მონატრებია სამშობლო, რომელსაც მისი თანამოძმენი აფეთქებას უპირებენ. აი, თურმე რა მჭირდებოდა სახალისოდ და გუნება-განწყობილების გამოსაკეთებლად. ისე, ამაზე სასაცილო, მითხარით, რაღა უნდა იყოს.

დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ თავად არ ავფეთქებულიყავი.

– კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესში გაიზარდა, – განაგრძო მადლენმა, – რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი სხვანაირია...

– Watts – უოტსი, მადლენ, იცით, ეს რა არის? კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესში მდებარეობს. ამბოხების დროს გაცამტვერებული უბანი, 32 მკვდრით...

– დიახ, რა თქმა უნდა. ბალარმა მიამბო ამის შესახებ, მაგრამ, გარწმუნებთ, რასისტი ნამდვილად არ არის...

ლამის ყეფაზე გადავედი.

– რა? ამიხსენით, რას ნიშნავს ეს, რის თქმა უნდოდა ამით?

– მე მგონი, ეს მძიმე პერიოდი როგორმე უნდა გადალახოს, ხოლო ჩინური მუქარის წყალობით...

„ყვითელი საფრთხე"! სულ ამომივარდა თავიდან.

– ღმერთო ყოვლადძლიერო! – წარმოვთქვი სასოწარკვეთილმა.

– ბალარი ფიქრობს, რომ მუქარა, რომლის პირისპირაც ამერიკა აღმოჩნდა, კანის ფერთან დაკავშირებულ პრობლემას საბოლოოდ გადაჭრის. ის უმტკივნეულოდ გაქრება. შეხედეთ,

ვიეტნამში თეთრები და შავები გვერდიგვერდ იბრძვიან, როგორც ნამდვილი ძმები...

კბილები გავაკრაჭუნე. ისე, რასაც მადლენი მეუბნება, საღი აზრისგან არც ისე შორსაა. შეიძლება არეულ-დარეულად იყოს მოწოდებული, მაგრამ მის სიტყვებში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის. იცით, რა აკლიათ ამერიკელ თეთრებს და შავებს? საერთო სატკივარი, საერთო სატანჯველი... იმ დროს, როდესაც ამ ნაწერებს ვასწორებდი, სამხრეთ ამერიკას ციკლონი „კამილა" დაატყდა თავს და ქვა ქვაზე აღარ დატოვა. დაზარალებულთა დახმარების ცენტრი მისისიპის შტატში, ჰეტისბერგში ჩამოყალიბდა. ამ ქალაქში თეთრები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ და, ჰოი საოცრებავ, – ეს ბანაკი ერთ მუშტად შეიკრა. თეთრებსა და შავებს ერთად ეძინათ, ერთად ჭამდნენ და სვამდნენ, როგორც რომელიღაც ოსვენციმში. 1969 წლის პირველ სექტემბერს „ნიუსუიკში" დაიბეჭდა ერთი სამხრეთელი ქალბატონის არაჩვეულებრივი, მეტიც, წინასწარმეტყველური ფრაზა: „არა მგონია, ჩვენს დროში კანის ფერზე ფიქრი ღირდეს".

ვფიქრობ, ტრაგიკული სიმართლე ბალარის მხარესაა. ამერიკელ შავკანიანებსა და თეთრკანიანებს მართლაც აკლიათ საერთო უბედურება, რომლის მსგავსიც მათ მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე არასდროს გადაუტანიათ, ისეთი, როგორიც ევროპის ქვეყნებს დასტყდომიათ თავს არაერთხელ. მათ შემარიგებელი და შემაკავშირებელი კატაკლიზმი სჭირდებათ.

– ბალარი ცხოვრების მარტო ამერიკულ ნირს თუ იგუებს. პირდაპირ სისხლში აქვს გამჯდარი, – თქვა მადლენმა და სევდიანად გაიღიმა, – მე ამერიკული სამზარეულო წიგნიც კი შევიძინე...

ავტომატურად კერძების ჩამოთვლას მოვყევი:

– Fried chicken, Gumbo soup, baked beans, lemon and apple pie, the way ma cooks them.

დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა. რამდენიმე წამში ოთახში ბალარმა შემოაბიჯა, წონაში საგრძნობლად დაეკლო. როცა ბოლოს შევხვდი, 22 წლის იყო – ნამდვილი ამერიკელი ჭაბუკი დახვეწილი თხელი სახის ნაკვთებით, იამაიკური წარმოშობის ყველა შავკანიანისთვის დამახასიათებელი ოდნავ წინ გამოშვერილი ხვანჩით... ისეთი დაბნეული ჩანდა, მგონი, თავიდან ვერც კი შემამჩნია. საწოლზე ჩამოჯდა. ჯარისკაცის ჩექმებს ჯერ კიდევ ვერ შელეოდა. შემომხედა და თავი ფანჯრისკენ გაიქნია.

– Can you tell me what's all this about? what's the matter with those kids! – შეგიძლიათ, მითხრათ, იმათ რა ეტაკათ? They don't have the problem – იმათ სადარდებელს პრობლემასაც ვერ დაარქმევ. ყველანი თეთრები არიან. მაშ რაღაშია საქმე?

ბალარის აღიარებამ, ამ გულისტკივილმა ფარ-ხმალი დამაყრევინა: ამერიკის სიყვარული. ბალარის გასაგონად სრულიად უყოყმანოდ შემიძლია განვაცხადო, რომ შავკანიანთა ოთხმოცი პროცენტისთვის მათი ქვეყანა დედამიწის ზურგზე საუკეთესო იქნებოდა, რასიზმი რომ არ ხრავდეს. ამ მიწიერი სამოთხის ძირითადი ხინჯი ისაა, რომ ის შავებს უკუაგდებს, ახლოსაც არ იკარებს.

საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი ბალარი ჩექმებს გულმოდგინედ ითვალიერებდა.

– You know somethin? they lost me here. ამათი ვერაფერი გამიგია. საკუთარი პრობლემები კი არ გააჩნიათ, სხვის გასაჭირს დარდობენ: ვიეტნამი, რასიზმი ამერიკაში, ბიაფრა, სამხრეთ აფრიკა, ჩეხოსლოვაკია... ყველაფერი სხვაგან ხდება, აქ არაფერი...

მე საზეიმო განწყობით წარმოვთქვი:

– აი, ეს გახლავთ საფრანგეთი. ჩვენთვის არაფერი უცხო არ არის, რაც ადამიანურია. ამას საფრანგეთის უნივერსალურ ლოზუნგს ეძახიან. დე გოლიც ამას ამბობდა.

ჩემი გამოსვლა ბოროტი მზერით შეფასდა.

– ყელში ამომივიდა თქვენი აბსტრაქციები. ყური უნდა დაუგდოთ ერთი, რაებს ბოდავენ სენ-მიშელის ბულვარზე შავკანიანთა პრობლემებზე. მათი ჭკუით ისე გამოდის, რომ შავებს ისე აქვთ მოწყობილი საკუთარი ცხოვრება, ჩიტის რძეც კი არ აკლიათ. თურმე შავკანიანთა პრობლემის წყარო კაპიტალიზმი და კლასთა შორის ბრძოლა ყოფილა. მომკალით, ერთი სიტყვაც თუ ესმოდეთ იქიდან, რასაც როშავენ. ამის შესახებ ადამიანმა რამე რომ გაიგოს, აუცილებლად ამერიკელი უნდა იყოს.

ზუსტად ამას ეუბნებიან სამხრეთელი პოლიტიკოსები უცხოელებს...

– ნანობ, არმიიდან რომ გამოიქეცი?

ბალარმა მადლენს გადახედა და გაიღიმა.

– არა.

მადლენი გაზქურის წინ ჩვენკენ ზურგით იჯდა და ტიროდა. გინახავთ ოდესმე მტირალი ზურგი? ერთი სურვილი მქონდა, ფეხზე წამოვმხტარიყავი და მადლენს მხრებზე მოვფერებოდი. სამწუხაროდ, ეს მხრები მე არ მეკუთვნოდა. ბალარს ალმაცერად გავხედე. ღმერთო, როგორ არ უხდება ეს ბასკური ბერეტი!

შემთხვევით მისი ხომ არ შემშურდა?

ბალარმა თავი გაიქნია.

– მომხმარებელთა საზოგადოება. გსმენიათ რამე ამის შესახებ? ისინი სუპერმარკეტების აფეთქებას ცდილობენ, ჩვენ

კი უოტსში მათ ვძარცვავდით... ამაში მდგომარეობს ჩვენს შორის განსხვავებაც. გაზულუქებული კატები, აი, ვინ არიან ისინი. Classy cats.

უეცრად აქ, პარიზული ბინის ჭერქვეშ რაღაც შეუსაბამობამ, ერთგვარმა უადგილობამ შემაწუხა. ამის თავი და თავი, ცხადია, ეს საწოლზე წამომჯდარი ჟირაფივით აწოწილი ამერიკელი იყო. მისმა საოცრად მაღალმა კისერმა, გამოზნექილმა ხვანჩმა ხომ ბასკურ ბერეტს ყოველგვარი ხიბლი დაუკარგა. ერთი ვიცოდე, რამ მოაწონა ეს კაცი მადლენს? ამოვიოხრე. თუმცა ერთი კი ცხადია: სიყვარული ბრმაა.

– All the cats here are communists, – ამიხსნა მან. – ეს ბიჭები ყველანი კომუნისტები არიან. როგორც კი დამინახავენ, პროპაგანდისტულ ჰიტებს მღერიან ერთხმად. ტექსტი არასდროს იცვლება. მარტო იმიტომ მიმეგობრდებიან, რომ შავკანიანი ვარ. მათ მე კი არ ვაინტერესებ, არამედ ჩემი ფერი. ფერისადმი ასე მგრძნობიარე ადამიანებს ცხოვრებაში არ შევხვედრივარ, ამერიკაშიც კი.

ბალარმა დამცინავი მზერა მომაპყრო.

– Say, what do you do, when you are a black American and you are homesick? Crazy. – რა უნდა ქნა, როცა ამერიკელი შავკანიანი ხარ და მშობლიური სახლი უზომოდ გენატრება? შეიძლება ჭკუიდან შეიშალო.

– როგორც კი ომი დასრულდება, ამნისტია გამოცხადდება.

ბალარი იატაკზე ფეხებს რიტმულად ურტყამდა.

– ომი შეიძლება წლების მანძილზე გაგრძელდეს, – შემეპასუხა ის.

მადლენი ჩვენკენ მოტრიალდა: არსებობენ ქალები, რომლებიც მაშინაც კი ტირიან, როცა არ ტირიან. ამ დროს სახე

წყნარი და უშფოთველი აქვთ. ამის უკან მხოლოდ საუკუნოვანი თავგანწირვა და მორჩილება იმალება.

– ბალარს უნდა, რომ ნებაყოფლობით ჩაბარდეს.

ბალარი ამოჩემებულ რიტმს არ შეეშვა, ახლა უკვე თავსაც აყოლებდა. ამ ოთახს ერთი-ორი ნათურა უეჭველად უნდა დაემატოს. ძალიან ბნელა. ყველანი გავირინდეთ. ყუმბარების გრუხუნი ნელ-ნელა ჩაჩუმდა. Homesick... ბუნებრივია, ყველაზე ამერიკული, რაც ამერიკაში არსებობს, ამერიკელი შავკანიანები არიან. შავკანიანი მოსახლეობა ჯერ კიდევ ახლო დგას ამერიკული ცივილიზაციის სათავეებთან. მიზეზიც ნათელზე ნათელია: ისინი მოსწყვიტეს კულტურასა და აღზრდა-განათლებას, მიუხედავად ამისა, მათ მაინც სჯერათ „ამერიკული ოცნებისა“ – American way of life. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უპოვარი და გაღატაკებული ფენებიდან ცხვირის გამოყოფის საშუალება ნაკლებად ეძლევათ, მათ მაინც სწამთ იმ ფასეულობებისა, რომლებთან ზიარების ყველა შანსიც ცბიერმა და ფარისეველმა ინტელექტუალიზმმა მათ მოუსპო... უწინდებურად გაუნათლებელი და უფლებებჩამორთმეული სამხრეთელი ამერიკელები დღეს ყველაზე ახლო დგანან პირველ მოახალშენეთა იდეალურ ცხოვრებასთან... პასტორ აბერნათის ღრმა პროვინციალიზმი მთავარი მახასიათებელია ახლად ჩასახული „ამერიკანიზმისათვის“, რომლის დისკრედიტაციაც ინტელექტუალებმა და აბსტრაქციონისტებმა ჯერჯერობით ვერ მოასწრეს.

ბალარმა თავი გაიქნია და ოდნავ გასაგონად დაიწყო სიცილი.

– საოცარია, საოცარი, – წამოიწყო ისევ, – როგორც კი დამინახავენ, პირდაპირ ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ჩაწიხლავს, ვინ უფრო უფრო მეტ ლაფს დაასხამს ამერიკას; ამ დროს თვითონ ყველაფრის აფეთქება და განადგურება

აქვთ გადაწყვეტლი, ამის საბაბი მაინც რომ ჰქონდეთ, კიდევ არაფერს ვიტყოდი. ჩვენ რომ არ გვქონდეს „პრობლემები“, წარმოიდგინეთ, როგორი ქვეყანა გვექნებოდა. ნუთუ სადმე არსებობს უარესი, რუსეთში, მაგალითად, ან ჩინეთში? არა, სასაცილოა ეს ყველაფერი. ეს უბადრუკი ფრანგები ჩემში მხოლოდ „პრობლემას“ ხედავენ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ რასისტების ალყაში ვარ. ერთი პრობლემა ნამდვილად მაქვს. არ შემიძლია, მათ ცხვირ-პირი გავუერთიანო, როცა ამის სურვილი შემიპყრობს. ამერიკაზე ქედმაღლური ღიმილით მსჯელობენ. აუცილებლად უნდათ, რომ ხაზი გაუსვან საკუთარ უპირატესობას. იმ „კეთილ“ სამხრეთელებს ვადარებ, როცა საუბარს შავებზე ჩამოაგდებენ. ამერიკის შეერთებული შტატები მათთვის სიმყრალე და გულისამრევი სისაძაგლეა; მე კიდევ იძულებული ვარ, ამ ყველაფერს გულისყურით ვუსმინო, მეტიც, „დიდი მადლობა მოვახსენო“. ვითომ მე ამერიკელი არა ვარ, იმის გამო, რომ კანი შავი მაქვს? მხოლოდ ამას ხედავენ ჩემში – შავ კანს...

– რამდენი ხანია, რაც წამოხვედი?

– მალე თვრამეტი თვე შესრულდება... მამაჩემი როგორ არის?

– ხომ იცი, ახლა იქ რთული მდგომარეობაა.

– Backlash – უკუდარტყმა?

– არა, ჩემპიონატი...

ბალარმა შემომხედა.

– კი, აბა, ჩემპიონატი. დიდი შეჯიბრი! მთავარია, ვინ ვის აჯობებს ფანატიზმში.

– ვინ არის ჩემპიონი ამჟამად?

პასუხისგან თავი შევიკავე.

– რონ კარანგა. ძალიან ძლიერი მხარდაჭერა აქვს. სა-

შინელი ისაა, რომ ჩემპიონატი მოწინააღმდეგის განადგურებას მოითხოვს. „შავი ძალის“ ცალკეულ დაჯგუფებებს შორის გაჩაღებულ შუღლსა და დავა-კინკლაობას მხოლოდ ავტომატებიღა აკლია, როგორც 30-იანი წლების ჩიკაგოში... ბაზრის ზემოქმედება... სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში ამას წინათ სამი სტუდენტი მოკლეს.

ბალარი დაფიქრდა.

– კი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იქ back home, everything makes sense... იცი, რაც ვერ მიდის მართებულად. იცი მიზეზიც. You know why. და ეს კონკრეტული მიზეზი არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს: კანის ფერი. ამით ყველაფერი შეიძლება აიხსნას და განიმარტოს. იქ გესმის, რისთვის იბრძვი. აქ ბაიბურში არ არიან. ვიმეორებ, კაციშვილმა არაფერი იცის და არც ვინმეა რამის ამხსნელი.

გავიფიქრე, აქ ამ კაცმა თავისი უნივერსალური გასაღები – კანის ფერი დაკარგა. ის ღრმა და ბუნდოვანმა შიშმა დაიმონა-მეთქი.

ბალარი ჩაჩუმდა. ხმაურიან ფრანგულ ღამეს მიაყურადა.

– ხომ ვერ ამიხსნით, რატომ სჩადიან ამას სტუდენტები და, საერთოდ, რატომ წამოიწყეს მთელი ეს დავიდარაბა?

– ყველაფრის თავი და თავი მგრძნობელობაა.

ბალარმა თავი გაიქნია.

– I don't get it. არ მესმის... ვფიქრობ, მათ უკან კომუნისტები დგანან, ისინი დირიჟორობენ ორკესტრს.

– ფილიპისგან რა ისმის?

– ოფიცრის წოდება მიანიჭეს, მაგრამ ფიქრობს, რომ იქ ცოტა ხანში ყველაფერი თავდაყირა დადგება. სამხრეთვიეტნამელები ბრძოლაზე უარს ამბობენ. ყოველ წერილში მწერს, ჩემი ჯარისკაცები ისევე რომ უტევდნენ, როგორც ჩრდი-

ლოეთვიეტნამელები, ორ კვირაში ჰანოიში შევიდოდითო. რა თქმა უნდა, ფილიპი ჭეშმარიტი მებრძოლია. ჩვენ საერთოდ არ ვგავართ ერთმანეთს.

– შენ მართლა გინდა დაბრუნება?

ბალარი გაირინდა.

– ვერასდროს შეეგუება საფრანგეთს,– თქვა მადლენმა, – მისთვის აქაურობა ამერიკისგან დიამეტრულად განსხვავებულია. პატარ-პატარა, უმნიშვნელო რამეები ენატრება. ვერც ვამბობ კონკრეტულად, რა... იგივე დაემართათ ჩემს მშობლებს, როცა ალჟირის იძულებით დატოვება მოუხდათ...

ნატიფი, თითქმის მყიფე და უღონო სახის ნაკვთები, შავი გრუზა თმა... ეს გოგონა დაუჯერებელი უბრალოებითაა აღბეჭდილი. ისეთივე ნათელი და გახსნილია, როგორც მისი მზერა. გეგონება, პირველყოფილი ერთგულებისა და პატიოსნების უშრეტი წყაროდან გადმოედინებაო. გადაეყრებით თუ არა ასეთ ქალს, აუცილებლად იტყვით: ამ ქალს შეიძლება დაეყრდნო. მზერაზე ლამაზს ქალში ვერაფერს მოიძიებ.

– საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი ბრალია.

არ ვიცი, რამდენად მორწმუნეა მადლენი, მაგრამ ეს მშვიდი სევდანარევი ხმა სავსეა ქრისტიანული მორჩილებითა და მოკრძალებით.

– როცა არმიიდან გამოიქცა, იმისათვის რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა და არაფერზე არ ვფიქრობდი... ახლა კი...

მე მექანიკურად გავიმეორე:

– ამნისტია გამოცხადდება...

დღემდე ვერ მოვახერხე, მზერა შემეცვალა. ისეთივე დამრჩა, როგორიც ოცი წლისას მქონდა. მადლენ, რომ იცოდე, რა ლამაზი ხარ! მშვენიერ ქალებს ყოველთვის მეტი

თრთოლვითა და მოწიწებით ვეპყრობოდი, ვიდრე ლამაზებს. ლამაზ ქალებს მუდმივად ისეთი გამომეტყველება აქვთ, გეგონება, ამქვეყნად არავინ არ სჭირდებათო.

მადლენმა ორივეს ყავა დაგვისხა.

– ეს ამერიკული ყავაა... ძალიან შევეჩვიე.

ბალარმა მეუღლეს დაჟინებული მზერა მიაპყრო. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ აქ სრულიად ზედმეტი, ლამის უკანონოდ შემოხიზნული ვიყავი. გავიფიქრე, ეს სიყვარული მათ ეკუთვნით, მე აქ არაფერი მესაქმება, მით უარესი ჩემთვის – ადამიანმა დროულად და ლამაზად წასვლა უნდა იცოდეს, წავალ და თორმეტ საათს ხელიდან კალამს არ გავაგდებ-მეთქი. ბალარი ადგა, მადლენს მიუახლოვდა და გრძნობით გადაეხვია. ეს ქათქათა თეთრი შავ ლოყას მიტმასნილი კანი – ო, რა შურით შესცქეროდნენ მათ ჩემი თვალები! – ჩემთვის ეს გახლდათ აბსოლუტური სრულყოფილება და დახვეწილობა, რომელსაც ქმნის კონტრასტების ურთიერთლტოლვა – ბუნების ერთ-ერთი დიადი კანონი. ყელში ნერწყვი გამეჩხირა. სუნთქვა გამიძნელდა. მოზღვავებული ემოციებისგან ნაცადი მეთოდით გავთავისუფლდი: ჩემთვის გონებაში ლანძღვა-გინების მთელ მარაგს მოვხადე თავი და თავისუფალი დინების საშუალება მივეცი. უმწეო მრისხანების მომენტში წამლის დანახვა დახმარების შეუძლებლობას ამძაფრებს. შინაგან მღელვარებას ჯოჯოხეთის, ცისა და დედამიწის ლანძღვა-გინებით ვიქარვებ. ვინაიდან ჩემს რასისტ მკითხველთა შორის, შესაძლოა, მორწმუნეებიც ერიონ, ვეცდები, მათ ღრმა სულიერებას შეურაცხყოფა არ მივაყენო და დამსახურებული პატივი მივაგო. მე პატივს ვცემ სხვის ღმერთსაც.

გამოსავალი? გამოსავალი აქვეა, ჩემ თვალწინ – ამ ორსული თეთრკანიანის სხეულში. გამოსავალი ერთადერთია და

ის კონტრასტების ჰარმონიაში, დედამიწის ამ უბერებელ კანონში უნდა მოვიაზროთ. ხმა აღიმაღლო, დასცე ყიჟინა – ეს რა, წერას ნიშნავს? დამისახელეთ თუნდაც ერთი მხატვრული ნაწარმოები ჰომეროსიდან ტოლსტოიმდე, ან კიდევ შექსპირიდან სოლჟენიცინამდე, რომელსაც ადამიანი მოურჩენია, ტანჯვისა და ტკივილისაგან გაუთავისუფლებია...

წამოვდექი. იქ დარჩენა აღარ შემეძლო.

მუშტად შეკრულმა ხელებმა საკუთარი უმწეობა აღიარეს. თავი თაღლითი მეგონა. მადლენს ლოყაზე მაინც ვაკოცე მამობრივად. ერთი სული მქონდა, გადავხვეოდი, მისი თავი მეგრძნო ჩემს მხრებზე... დავმთვრალიყავი ჩემი ბავშვობის დროინდელი ტყის სურნელით, რომელსაც ეს შავი გრუზა თმები აფრქვევდა...

არაფერია სხვის ბედნიერებაზე უფრო საამო... გადაჭარბებული თავდაჯერებით, რომელიც მხოლოდ თავდაჯერების არარსებობას ნიღბავს, ვთქვი:

– ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი კარგად იქნება.

ბალარს მხარზე ხელი მივუტყაპუნე ისე, რომ არც კი შემიხედავს. გაუსაძლისი წუთები იყო, ამაზრზენად ფარისეველი ვიყავი. არაფრით არ უნდა გაივლოს თავში, რომ ორმოცდათოთხმეტი წლის ასაკში მისი მეუღლე, რბილად რომ ვთქვათ, გულში ჩამივარდა. მათი მდგომარეობა უამისოდაც მძიმეა. მხოლოდ მამობრივი სითბოს გამოხატვის უფლება უნდა დავიტოვო. მიუხედავად ყველაფრისა, წასვლისას თავი მაინც ვერ შევიკავე და წამოვროშე:

– შენს ადგილას ამ ბერეტს არ დავიხურავდი. საშინლად არ გიხდება.

იქაურობა დათრგუნულმა დავტოვე, სამაგიეროდ დამეუფლა საშინელი განცდა, რომ კარგი ადამიანი ვარ.

23

როგორც ჩანს, ტუამოტუზე კიდევ არსებობს ატოლები, სადაც ადამიანს ჯერ არ დაუდგამს ფეხი, მაგრამ მაინც უარი ვთქვი თვითმფრინავით მგზავრობაზე და გვინეელ სტუდენტ კაბასთან ერთად „ლიპში“ ვახშმობით დავკმაყოფილდი. კაბა ჩვენი დროის ერთ-ერთი არაორდინარული ქმნილებაა – აფრიკული ოცნებისა და მარქსისტული დიალექტიკის ერთგვარი ნარევი; მასში მაოიზმ-ლენინიზმს ჩანაცვლებია ძირძველი ყოვლისშემძლე ჯადოქრობა, რომელსაც, თუ საჭიროა, წვიმის გამოწვევაც კი შეუძლია.

არ არის გამორიცხული, რომ სენ-ჟერმენ დე პრეზე იარაღი აისხან და თოფი გავარდეს. სპეცდანიშნულების რაზმები და სტუდენტები ვაჭრობაზე გადავიდნენ – რიყის ქვები ცრემლმდენი ყუმბარების სანაცვლოდ. როჟე კაზმა შემოსასვლელ კარებზე რკინის შტორები ჩამოუშვა, რის გამოც რესტორნიდან გასვლა მხოლოდ მეორე სართულის სათადარიგო კარიდან შეიძლებოდა. „ლიპი“ ძალოვანთა კორდონითაა გარშემორტყმული. ქუჩაში პოლიციელმა გამაჩერა. მუზარადიანი მეფე პოზოლი გამახსენდა. ჯანიანი მეომარი. ათ მეტრზე ყარდა სოფლის ნეხვით, კაცური ღვინით და მოჭარბებული სპერმით. კბილებამდე შეიარაღებულმა აბჯარასხმული, ჯვა-

როსნული ლაშქრობისათვის ფარითა და მახვილით აღჭურვილი წმინდა ლუი მომაგონა.

– აქეთ გავლა აკრძალულია.

მეც მივიხედ-მოვიხედე. მარჯვენა მხარეს, ეკლესიის წინ, ინტელექტუალი სტუდენტები შეგროვილიყვნენ. შევეცადე ამეხსნა, რომ ბაკის ქუჩაზე მოსახვედრად, სადაც ვცხოვრობ, შემოვლითი გზით უნდა წავსულიყავი.

– შემომხედეთ, მარცხნივ ვუხვევ.

უშიშარმა მეფე პოზოლმა თვალები მოჭუტა. გავიფიქრე, ახლა უკვე თითქმის მშობლიური ნიცის „მის უბრწყინვალეესობა კარნავალს“ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს-მეთქი. თვალები უფრო და უფრო ეწკურებოდა, მსუქან ტუჩებზე კი მსუბუქი ღიმილი გამოეხატა. როცა კლინიკური ბრიყვი თვალებს მოჭუტავს და სიფათზე ღიმილი გადაეფინება, ეს მართლა სანახაობაა, უმეცრება და სიშტერე პირდაპირ იფრქვევა მთელი მისი სხეულიდან და წამლავს არემარეს, სუნთქვა შეუძლებელი ხდება. ეს იგივეა, რაც ლოთის ხახიდან ამოვარდნილი მყრალი ოხშივარი.

– ააა, მარცხნივ უხვევ არა? ესეც შენ ჩემგან საჩუქრად, დამპალო!

მთელი ძალით მოქნეული ხელკეტი თავში მომხვდა. ჯერ ძალიან აღვშფოთდი, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა. მერე უეცრად გონება გამინათდა: წვერი მაქვს მოშვებული, ჯინსი მაცვია, ზემოდან ქურთუკი მაქვს მოგდებული, ჰალსტუხი არ მიკეთია. მოკლედ, საშინლად ვარ ჩაცმული და, ამას გარდა, გვერდში შავკანიანი ახალგაზრდა მიდგას. ამ ხელკეტის ადრესატი პირადად მე კი არ ვიყავი, არამედ ჩემი გარეგნობა. ცხადია, ვილაც ვიგინდარად აღმიქვეს. მეფე პოზოლი კლასში შეცდა.

თვალებზე მადლიერების ცრემლები მომადგა. მე დაცულ ი ვარ, ვფიცავ ბურჟუას სინდის-ნამუსს, ნამდვილად ასეა. ტყუილად კი არ ვუხდი სახელმწიფოს გადასახადებს. ეს ხელ-კეტი, თავში რომ ჩამცხეს, ნათლად ადასტურებს, რომ ერთი წამითაც არ უნდა მეშინოდეს საზოგადოებაში მრავლად არ-სებული ნაძირალების და წურბელებისა. უსაფრთხოებისა და დაცულობის საამური გრძნობით აღვივსე. სასწრაფოდ დავაძ-რე ჩემი დიპლომატიური პასპორტიც, განმათავისუფლებელი მოძრაობისა და პრესის მინისტრის პირველი მოადგილის მოწ-მობები და ლეიტენანტის საძებნელად წავედი. ზემოთ ჩამოთ-ვლილი საბუთები ცხვირწინ ავუფრიალე.

– მაიორი გარი დე კაცევი. ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ.

ლეიტენანტმა ჩემს ქაღალდებს მზერა სწრაფად შეავლო და ლარივით გაიჭიმა.

– ქუჩის ხულიგანივით ჩავიცვი, რომ პატარა კვლევა ჩამე-ტარებინა. არაჩვეულებრივი ხალხი გყავთ. არასდროს მინახავს ასეთი მყისიერი რეაქცია. დარტყმის სისწრაფე საგრძნობლად უსწრებს სინათლის სიჩქარეს; არა მგონია, მსგავს სიტუაციაში ვინმე სხვა უკეთესად მოქცეულიყო. მეც მყავს ძაღლი, რო-მელიც ნაძირალებზეა დაგეშილი. ნამდვილად არ მესწავლება, წვრთნა რასაც გულისხმობს: ბრავო! ბრავო!

ლეიტენანტს მხურვალედ ჩამოვართვი ხელი და ერთად გა-ვემართეთ ლოყებლაჟღაჟა გალისკენ. იმასაც შევუნჯღრიე ტორი.

– ამავე შემართებით განაგრძეთ, მეგობარო, არავითარ შემთხვევაში არ მოდუნდეთ. ისე, საინტერესოა, სათანადოდ მაინც გიხდიან?

გალი მეომარი შეიშმუშნა, ლეიტენანტს გვერდულად გა-ხედა. ალბათ, ერთგული მსახურია, ცოტათი მლიქვნელიც. ოჰ, როგორ მომრავლდნენ მაინც ბოლო დროს ეს ქლესები.

– არა უშავს, მაიორო, საწუწუნო არაფერი მაქვს.

– ხვალ ყველას თითო ლიტრი გამოგეყოფათ. პირადად დაველაპარაკები მინისტრს. პირნათლად შესრულებული მოვალეობის განცდით იქაურობას გავეცალე. კაბა ფეხდაფეხ მომყვებოდა. ძალიან ღელავდა ჩემ გამო. ინციდენტის დროს უხილავი გახდა. მთელი ამ ხნის მანძილზე არც შემიმჩნევია და არც მისი ხმა გამიგია. შავკანიანთა ჯადოქრობაც, ალბათ, ესაა. ეს ბიჭი ქუჩურ შეხლა-შემოხლებს ისეა შეჩვეული, რომ ჯადოქრობის საკუთარი ტექნიკაც კი აქვს შემუშავებული და ზედმიწევნით დახვეწილი: შეუძლია, ისე გაქრეს, რომ ადგილიდან არც გაინძრეს. მის ზურგს უკან, ცხადია, ჯადოქართა მთელი თაობების გამოცდილება უნდა წარმოვიდგინოთ.

– არ გტკივათ?

– საგანგაშო არაფერია, მთავარია, იცოდე, რომ გიცავენ.

ახალგაზრდული ჟინით ათუხთუხებული, სახლისკენ გავქანდი. ის ძალა და შემართება დამიბრუნდა, ოცი წლისას რომ მქონდა. ჰორმონების დაუჯერებელი მოზღვავებაც ვიგრძენი. ჩავიცვი „მამლის ნაფეხურების“ ქსოვილისგან შეკერილი ჩემი ყველაზე გამორჩეული კოსტიუმი, საპატიო ლეგიონერის ლენტიც კი მივამაგრე ზედ, დავიხურე განსაკუთრებული საღამოებისთვის შეძენილი Homburg hat, რომელიც საგანგებოდ ჩემთვის შეკერეს ჟელოს მოდის სახლში. ჰო, ქოლგაც მოვიმარჯვე, მის გარეშე ახლა ხომ ყოვლად წარმოუდგენელია კორექტულად ჩაცმა; შესანიშნავია! შესაშურად მოვირთე, მოკლედ, ავ თვალს არ ვენახვები.

– კაბა, ახლა უნდა დამტოვოთ. თქვენ არ შეესატყვისებით ჩემს მორთულობას. აბა, მოუსვით აქედან. მე კიდევ რევოლუცია უნდა მოვაწყო.

კაბამ თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და წავიდა. ნიჰილისტები მას შიშის ზარს სცემენ. ის, ვისაც ძმები მარქსების მიერ გადაღებული ფილმების ან ჩაპლინის „დიქტატორის“ ყურებისას თავისუფლების განცდა არ დაუფლებია, ვერ მიხვდება, თუ რატომ დავქროდი იმ ღამეს პარიზის ქუჩებში, რატომ ვიქნევდი ხელებს და ვქადაგებდი მოყვასის სიყვარულს. პროვოკაცია? რა თქმა უნდა – აბა, თქვენ რა გგონიათ? რა შეიძლება ტროის წინააღმდეგ ადამიანმა მოიმოქმედოს? ერთი ცხენად თუ გადაიქცევი...

თავი ჯერ კიდევ მიხურდა ხელკეტის დარტყმისგან. ერთადერთი აზრი მიტრიალებდა: მრისხანების ცეცხლისთვის ცოტა ნავთი კიდევ დამემატებინა.

ასე გამოწკეპილი სევრის ქუჩას ზევით ავუყევი. „ლუტეციის“ წინ სტუდენტებსა და ძალოვნებს შორის გაჩაღებული შეხლა-შემოხლა მელოდა. გზად პოლიციამ სამჯერ გამაჩერა.

– ყურადღებით, მესიე, თავში შეიძლება ქვა მოგხვდეთ, – გამაფრთხილა ერთ-ერთმა.

– შემეშვით. მე კუფრა და ნორმანდია მაქვს გამოვლილი.

პოლიციელს სამინისტროს გაცემული საშვი წარვუდგინე. რკინის გრძელი კეტით შეიარაღებული ერთი ნაძირალა, ტიპური ფრანგი მომიახლოვდა, შავტუხა, სულ დაკუნთული, პირში გაჩრილი პაპიროსის ნამწვით.

– დებილო! – მესროლა თავხედურად.

– არაკაცო! – შევეპასუხე.

– ფაშისტო! – იღრიალა მთელი ძალით.

– დამპალო ურიავ! – არც მე დავრჩი ვალში.

ამჯერად მივხვდი, რომ ათიანში გავარტყი. თუ გინდა, რომ მშრომელები წყობიდან გამოიყვანო, ებრაელი უნდა უწოდო. ვიცი, რასაც გრძნობენ ამ დროს: იმასვე, რასაც მე, რო-

ცა ამერიკაში „დამპალო ფრანგოთი“ მამკობენ. ამ დროს კანი სამფეროვან დროშად გარდამექმნება ხოლმე.

თვალწინ აგორებული უზარმაზარი ტალღა ხმაურით დაიძრა ჩემკენ. შეტევის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. უკან დახევა ყველაზე მართებულ სტრატეგიულ ნაბიჯად მივიჩნიე და ყვირილით პოლიციელებისკენ ავიღე გეზი.

– ურიებო, დამპალო ურიებო!

საკუთარმა ქცევამ კმაყოფილება მომგვარა: ვიგრძენი, რომ მეც შევძელი წმინდა ცეცხლის გაღვივება; ცხადია, მათ შორის კარგი ბიჭებიც იქნებოდნენ, „ჩვენები“, ხომ გესმით?.. როცა გამახსენდა, რომ ჩემი მშობლიური რუსეთი, წმინდა და სანუკვარი, სწორედ ებრაელების გამო დავკარგე, რომლებმაც ასე ღრმად შეტოპეს ღალატისა და ფლიდობის ხელოვნებაში, როცა მოვისაზრე, რომ დედაჩემიც ებრაელი იყო და, ამიტომ თავადაც ებრაელი ვიყავი, ველარ მოვითმინე და არაადამიანური ხმით ვიღრიალე:

– საფრანგეთი – ფრანგებს!

ხელკეტებმომარჯვებული პოლიციელები დაიძრნენ.

ვიგრძენი, რომ დედასამშობლოსთვის რაღაც ისტორიული მნიშვნელობის საქციელი ჩავიდინე. ანუ იმის თქმა მინდოდა, რომ შური ვიძიე ნაპოლეონის მიერ გადაბუგული მოსკოვისა და ბოროდინოს ველზე გმირულად დაცემული ყველა ჩვენიანისთვის; სხვათა შორის, ნამდვილი დამპალი, იცით, ვინ იყო? – კერენსკი. ასჯერ მაინც ჰქონდა შანსი, ბოლშევიკებისთვის მუსრი გაევლო... ახლა კი აგერ „ოდეონიც“ აუღიათ.

ვარენის ქუჩისკენ გავწიე სევდიანად. თავს უზომოდ დამცირებულად ვგრძნობდი. საშინელებაა ემიგრაცია! ამან შეიძლება ერთ დღესაც საფრანგეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული, დე გოლის თანამოაზრე და ორდენის ღირსი გაგ-

ხადოთ, გონკურის პრიზი აგაღებინოთ, გაეროში ფრანგული დელეგაციის წარმომადგენლად გაკურთხოთ. არა, საშინელებაა, საშინელება! დანგრეული და განადგურებული ცხოვრება. ჯიბიდან „ერმესის“ ფირმის აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოვიღე და თვალების შემშრალებას შევუდექი. ცრემლმდენი გაზები!

ჩინ-მედლებაჩონჩხლილმა სენ-მიშელის ბულვარზე ამოვყავი თავი. სტუდენტები გზას მითმობდნენ, თან ცხვირზე ხელს იჭერდნენ, რომ სიცილი არ წასკდომოდათ.

პარიზული რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვანი სიურპრიზი სორბონის ეზოში მელოდა, სადაც ბურჟუაზიული ორდენების დამადასტურებელი ლენტებით დამშვენებული და მაღალი საზოგადოებისთვის ნიშნეული სალონური შეხვედრების საკადრის კოსტიუმში გამოწკეპილი გამოვცხადდი, თან აღჭურვილი ვიყავი გამოწვევისა და პროვოცირების ტერორისტული სურვილით, რომელიც ასე შთააგონებს ჩემს გამკილავებს. ამჯერად სრული იმედგაცრუება დამეუფლა. მიღება მეტად ცივი, თუმცა კორექტული მეჩვენა. სტუდენტებმა კი ჩემში ხალხის პირსისხლიანი მტერი ამოიცნეს და დისკუსიაც გაჩაღდა. თავდასხმის ობიექტად უფრო მალროს გამო ამომირჩიეს – გაზეთებში დაიწერა, რომ მე „მის მიერ შექმნილი პროდუქტი ვიყავი“ და რომ სწორედ პრესის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტსაც მისი ჩარევით გამოვკარი ხელი. არ გამიპროტესტებია, ვუთხარი, ჭეშმარიტებას ბრძანებთ-მეთქი. მართლაც აშკარად მალროს ბრალი იყო. 1936 წლიდან მოყოლებული, მან გამოიგონა თავის რომანებში ჩე გევარა – ჩვენი პირველი „წითელგვარდიელი“ – და რეჟის დებრე. 60-იან წლებში კი შექმნა ის ცნობილი კულტურის სახლები, რომლებიც მერე „უკმაყოფილოთა, კრიტიკოსთა, ამრევთა

და მეამბოხეთა ბუდეებად“ გარდაიქმნა. მგრძნობიარე მორის კლაველმა „კომბაში“ დაწერა, მალრო „ერთი ბებრუცუნა ჭკუაგალეული ნაძირალაა“.

ჩემ მიერ წამოყენებული ყველა არგუმენტი საფუძვლიანია, თქვენი – შმაგი და ნათელგონიერებას მოკლებული, მაგრამ სიმართლე მაინც თქვენს მხარეზეა. ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია, გადაშალოთ „ფიგაროს“ 1968 წლის 24 ივლისის ნომერი და იქ მოიძიოთ ჟან-ფრანსუა შოველის საშინელი სტატია ბიაფრაზე სათაურით: „მოგზაურობა საშინელების დასალიერზე, ანუ ბანაკებში, სადაც ლტოლვილები ნელი სიკვდილით იხოცებიან შიმშილისგან“. სტატია იწყება სიტყვებით: „ღმერთო, შეისმინე ჩვენი მრისხანება...“ ბოლოში კი ფოტოთი დამშვენებული მიმზიდველი სარეკლამო განცხადებაა დაბეჭდილი: „ახალი მყუდრო პორტი იალქნიანი ნავებისა და იახტების მფლობელთათვის ბუალო-სიურ-მერში! გუშინდელი ოცნება დღეს უკვე რეალობაა!“

ესეც თქვენი პროვოკაციული საზოგადოება! არ მითხრათ, რომ ბიაფრასა და ბუალო-სიურ-მერის პორტს შორის ტოპოგრაფიული მსგავსების გარდა რამე სხვა კავშირი არ არსებობს. მე თუ მკითხავთ, სწორედ კავშირის არარსებობა ნიშნავს მათ შორის არსებულ საზარელ კავშირს. საშინლად დავითრგუნე, გეგონება, იქ დავტოვე ჩემი მთელი ახალგაზრდობა.

აი, მაშინ სრულიად მოულოდნელად სილამაზე გამეფდა ეკოლის ქუჩაზე.

უცნობი ქალი გამომელაპარაკა, ალბათ, ოჯახის დედა – ქალ-ვაჟი გვერდით ედგა. შვილები ძალიან ჰგავდნენ მშობელს. ქალი გაძვალტყავებული და ფერმკრთალი ჩანდა, მისმა იერ-სახემ ის რუსი ქალები მომაგონა, რომლებიც 1905 წლის რევოლუციას ამზადებდნენ და შემდეგ მათ ციმბირში უკრეს

თავი, რათა მერე მათი შვილებიც და შვილიშვილებიც გაეციმ-ბირებინათ. მოზეიმე რევოლუცია დამარცხებული რევოლუ-ციაა. აბა ეცადეთ, საწინააღმდეგო დამიმტკიცოთ; მომიყვა-ნეთ თუნდაც ერთი ისტორიული მაგალითი. ზურგს უკან მისი ხმა შემომესმა:

– მესიე რომენ გარი, მესიე რომენ გარი!..

შემოვტრიალდი.

– ჩვენ დახმარება გვჭირდება...

– ვის „ჩვენ“? მე ვიცი, რას ნიშნავს ამგვარი სახე. ასეთი გამომეტყველების მქონენი თავისთვის არასდროს არაფერს ითხოვენ.

– ვინ არიან ეს „ჩვენ“, სტუდენტებს გულისხმობთ?

ქალბატონს სახეზე ოდნავ შესამჩნევი მწარე ღიმილი გა-დაეკრა.

– ო, სტუდენტები, მოგეხსენებათ...

დიახ, მომეხსენება. სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ სორბონის ეზოში გამაძლიერებლებში გაისმა არაჩვეულებრი-ვი მოწოდება:

– გვჭირდება ვინმე მანქანიანი ამხანაგი, რათა საწრაფოდ გაემართოს მე-16 უბანში...

მეორე დილას კაფე „დე მაგოში“ კიდევ უფრო სახალისო სცენას შევესწარი, ნამდვილ მარგალიტს. გთავაზობთ ამ ამ-ბავს. არა უშავს, გულგამგმირავი მზერის მქონე ქალბატონი ცოტას მოითმენს ტროტუარზე. დრო აქვს. ის უკვდავია.

განათლებულ და ავტორიტეტიან მრეწველს, საოცრად მდიდარ, მხატვრული ტილოების კოლექციონერ ალენ ელს უნდა შევხვედროდი „დე მაგოს“ ტერასაზე. მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობდი, მაგრამ საერთო მეგობარი გვყავდა, ვალტერ გეტცი, რომელიც რაღაცნაირად გვაერთიანებდა. ამ-

ქვეყნად უამრავი ადამიანი არსებობს, რომლებსაც არაფერი აერთიანებთ, გარდა ვალტერ გეტცისა. ალენმა სიტყვა ჩამომიგდო თავისი ვაჟის შესახებ, რომელიც რომელიღაც ლენინურ-ტროცკისტული დაჯგუფების აქტივისტი ყოფილა. სხვათა შორის, ამგვარი პოლიტიკური შეფერილობის პარტიებმა ყველა მხრიდან ისე წამოყვეს თავები, როგორც ნაწვიმარზე სოკოებმა. მათ ყველა დროში ოსტატურად იყენებდნენ სტალინისნაირი გამოცდილი კულინარები და თავიანთ სალათებს მეტი პიკანტურობის მისაცემად ამ სურნელოვანი შამპინიონებით ანელებდნენ. ჰოდა ეს შვილი-რევოლუციონერი რჩევის საკითხავად მამა-მრეწველს ეახლა: ანარქისტულ დაჯგუფებას რის ვაი-ვაგლახით თავი მოეყარა გარკვეული კაპიტალისთვის, რომელსაც ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა უნდა უზრუნველეყო. მოგეხსენებათ, ბოლო დროს დატრიალებული მოვლენებისა და საყოველთაო გაფიცვების შედეგად ფრანკის კურსი საგრძნობლად დაეცა. მეტიც, მის მოსალოდნელ დევალვაციაზეც იწყეს ლაპარაკი. როგორ შეინარჩუნოს შვილმა ამგვარ სიტუაციაში მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის განკუთვნილი კაპიტალი? იქნებ ყველაზე უპრიანი ოქროს შეძენა იყოს?

– უთხარით, რომ ფული ვერცხლში ჩადონ. აუცილებლად აიწევს მისი კურსი.

– თქვენ ასე ფიქრობთ? ვერაფრით ვერ მივცემ თავს უფლებას, საკუთარი შვილი მახეში გავაბა – თუ მისი დაჯგუფება კაპიტალს დაკარგავს, იფიქრებს, რომ ამაში ჩემი ხელი ურევია.

მდიდარი მამა და ტროცკისტი შვილი, რომლებიც გაერთიანებული ძალებით ანარქისტული დაჯგუფებების კაპიტალის აყვავების გზებს ეძებდნენ – ჩემს თვალში იყო ლოგიკის ნამდვილი გამარჯვება იდეებზე...

...ვუყურებდი ამ ჩამომჭკნარ ქალბატონს, რომლის თვალებშიც მარცხისთვის განწირული ყველა რევოლუციის ჩაუქრობელი კოცონი გიზგიზებდა.

– საქმე ეხება „რენოს“ გაფიცულებს.

მე კომენტარისგან თავი შევიკავე. ქალბატონმა მცირედი ყოყმანის შემდეგ განაგრძო:

– კომუნისტურ პარტიას საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტა სურს. ფინანსური რესურსები მთლიანად ამოიწურა. „რენოს“ მუშები ჯერჯერობით საკუთარი ძალებით ახერხებენ პოზიციების შენარჩუნებას. მხარდამჭერები საერთოდ შემოელიათ... გაფიცულთა ცოლებს არსებული მდგომარეობა კარგა ხანია ყელში ამოუვიდათ... ხომ ვერ შეძლებდით, თქვენი მეგობრების...

არაფერიც არ მომესმა, ქალმა გარკვევით წარმოთქვა: „თქვენი მეგობრების“.

...დახმარებით მათ მხარდასაჭერად გარკვეულ თანხებს მოუყაროთ თავი.

რამდენიმე წამი მთხოვნელის სიტყვებში ჩაწვდომას მოვანდომე, შემდეგ კი ვიგრძენი, თუ ქალბატონის დაჟინებით მზერას კიდევ დიდხანს გავაგრძელებდი, თვალები უთუოდ ორბიტებიდან ამომიცვივდებოდა. წინ მედგა ადამიანი, რომელიც ჩემამდე წმინდა მიამიტობამ მოიყვანა, მიამიტობამ, რომელიც უხსოვარი დროიდან მოდგმის გადარჩენას უზრუნველყოფს, რწმენამ ადამიანებისადმი, რომელსაც ვერც ერთი პირობითი ზღვარი და კატეგორია ვერ აღუდგება წინ. ბოლოს და ბოლოს მე ეს ქალბატონი მშვენივრად მიცნობდა. მეც ხომ ბურჟუაზიული წესრიგისთვის ნიშნეული ყველა ნიშან-თვისებით შემკობილი წარვუდექი მას. საყოველთაოდ აღიარებული გოლისტი!.. ქალბატონმა მშვენივრად უწყის ჩემი სამარცხვი-

ნო საქციელისა და სახელის გატეხვის შესახებ, ისიც მოეხსენება, რომ ჩემი სტატუსი სრულიად არ შეესაბამება იმას, რასაც ამჟამად ფრანგი სტუდენტები სკანდირებენ პარიზის ქუჩებში: „ჩვენ ყველანი ებრაელი სტუდენტები ვართ!“ და ეს ტანმორჩილი ქალი მოდის და მთხოვს, რომ მე და ჩემმა მეგობრებმა სახსრებს მოვუყაროთ თავი იმისათვის, რომ „რენოს“ მუშებმა პოზიციების შენარჩუნება და გაფიცვის გაგრძელება შეძლონ!

შეიძლება, ამ ქალს მოეჩვენოს, რომ ვაჭარბებ, მაგრამ მე თვალები ცრემლებით მევსება. რაღა თქმა უნდა, ცრემლები თავისთავად არაფერს ნიშნავს. რა დიდი გარჯა უნდა ახლა ერთი-ორი კურცხლის გადმოგორებას? მაგრამ ეს გაძვალტყავებული არსება, მიუხედავად ჩემი სულმდაბლობისა და ფლიდობის მაუწყებელი ყველა ნიშან-თვისებისა, მაინც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან ამოსაცნობ ნიშნებს ზედაც არ შეხედა. მისი თხოვნის სრული ალოგიკურობა გამომდინარეობს იმ ღრმა ინსტინქტური გაგების უნარიდან, ქვეცნობიერად რომ ეძებს იქ, სადაც ჩვენს რწმენას ადამიანებში ვერაფერი შეარყევს. ქალბატონი პასუხს არც დაელოდა. ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაცა დაჩხაპნა და გადმომაწოდა. აი, რა წავიკითხე: CLEOP – სტუდენტ ახალგაზრდობასთან კავშირის კომიტეტი. შემდეგ კი ეწერა რაღაცა, მაგრამ ვერ გავარჩიე. აგრო-16, კლოდ კელის ქუჩა №47, სათადარიგო დარბაზი №4. თან რაც მქონდა, ყველაფერი მივეცი. მთხოვნელმა თანხის მიღების ხელწერილით დადასტურება ისურვა.

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, რა საჭიროა, ეშმაკსაც წაუღია ეს ფული. მე არ მჭირდება ხელწერილი.

– არიან აქ ნაძირალები, ასე აგროვებენ ქუჩაში ფულს და მერე ყველაფერს ჯიბეში იდებენ...

ქალბატონმა ფრთხილად დაკეცა ბანკნოტები და ჩანთაში ჩაიდო.

– თქვენ და თქვენს მეგობრებს რამდენიმე მილიონი რომ მოგეგროვებინათ... მუშების ცოლებს მეტის მოთმენა აღარ შეუძლიათ. საშინელ დღეში არიან საწყლები. მარჯვენა მხარი ამითამაშდა. ეს ტიკი ემოციურ კანკალს და თრთოლას მიცვლის ხოლმე. ქალბატონს ბოლო მზერა შევავლე. მომეჩვენა, რომ მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაზე ვიდექი და 1905 წელი იდგა: ასეთები რუსეთში უკვე აღარ დარჩნენ.

რევოლუციამ ყველა ფრონტზე გაიმარჯვა.

24

დროულად დავბრუნდი სახლში. გამწარებით რეკავდა ტელეფონი, ძლივს მოვასწარი ყურმილის აღება. ჯინი მირეკავდა ბევერლი ჰილზიდან, ისეთი ხმა ჰქონდა, რომ მივხვდი, შფოთავდა, მაგრამ დამალვას ცდილობდა.

– მინდოდა, გამეფრთხილებინე, რომ, შეიძლება, სახლის დატოვება მომიხდეს. თუ ტელეფონზე არ გიპასუხე, გთხოვ, არ ინერვიულო...

– ამიხსენი, რა მოხდა?

– მემუქრებიან...

ჯინს ხმა ჩაუწყდა.

– კატები უკვე მოწამლეს... როგორც ჩანს, ამით გამაფრთხილეს...

– მეი?

– არა, ჩამაკო და ბენგი. ანონიმური ზარიც იყო: „ახლა შენი ჯერია, შე ნაძირალავ. ნუ ყოფ ცხვირს ჩვენს საქმეებში You white bitch!“.

ჯინის ხმაში იმედის ნაპერწკალმა გაიელვა.

– ვფიქრობ, თეთრები მიწყობენ პროვოკაციას...

– არ გამოვრიცხავ.

მათი ფრაზა ჯერ კიდევ ჩამესმოდა ყურში.

– ცხვირს ნუ ყოფ ჩვენს საქმეებში, You white bitch.

ერთი წლის განმავლობაში „ამ ბოზანდარამ“ თავისი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი შავკანიან დაჯგუფებებს ჩამოურიგა.

– შენ არ იცი, რა დღეში ჩააგდეს მანქანა... ერთი საბურავი უგზოუკვლოდ გაქრა... სამზარეულოს ფანჯარას ესროლეს... იმიტომ, რომ სახლში მარტო ვარ...

აი, სწორედ მაშინ მომესმა საკუთარი ხმა, რომელმაც ცივად წარმოთქვა სადღაც ჩემს მიღმა, სხვა სამყაროში, სამყაროში, რომლის მთავარი განმკარგველი ცბიერება და სულმდაბლობაა:

– გამოიყვანე ბატკა საშენიდან, უკეთეს დარაჯს ვერ იპოვი...

ხაზის მეორე ბოლოში ჯინის ყრუ შეძახილი გავიგონე:

– როგორ? ამას შენ მეუბნები?

– დიახ, მე გეუბნები. დაურეკე კერათერსს, რომ სასწრაფოდ მოგიყვანოს ძაღლი. ასე თავს ბევრად უფრო მშვიდად ვიგრძნობ.

– შენ გინდა, რომ უკანვე დავიბრუნოთ ძაღლი, რომელიც შავებზეა დაგეშილი, შეუძლია, ნებისმიერ მათგანს ეძგეროს და ყელი გამოსჭამოს?

– ეს შენი მხრიდან ლეგიტიმური თავდაცვა იქნებოდა; ნაძირალა ნაძირალაა. რა მნიშვნელობა აქვს მისი კანის ფერს.

ჯინის კივილი პირველად გავიგე ცხოვრებაში.

– არა, არასოდეს, გესმის, არასოდეს!

– პოლიცია გააფრთხილე?

– შენ გინდა, რომ პოლიციაში წავიდე და ვიწუწუნო, შავკანიანები მემუქრებიან-მეთქი? და ეს იმის შემდეგ, რაც იმდენი ვლანძღეთ თავგასულობისა და ძალადობის გამო?

გინებისგან თავი შევიკავე და ღრმად ამოვისუნთქე.

– არავის არ უნდა მოუხარო ქედი, არავის არ უნდა მისცე უფლება, მოგეპყროს ისე, როგორც მოეპრიანება. ეს შენი წმიდათაწმიდა უფლებაა, ჯინ!

ჯინმა გამაწყვეტინა.

– მე იმის სათქმელად დაგირეკე, რომ ამიერიდან სახლში არ დავიძინებ. ჩემი დარდი ნუ გექნება.

ჯინმა ყურმილი დაკიდა.

აღელვებული ადგილს ვერ ვპოულობდი, წრეებს ვუვლიდი უაზროდ. მივხვდი, მართული რომ ვიყავი. საბელის მეორე ბოლო იქ, ჰოლივუდში უხილავ ხელებს ეჭირა. იქ იმდენი გადარეული ნარკომანი და მანიაკია, რომ ამისთანა მუქარებზე ყურის შებერტყვა და დაფიქრება ნამდვილად აჯობებდა. დილის ოთხ საათზე გადავწყვიტე, უფრო მეტად გავრკვეულიყავი სიტუაციაში. ერთ ჩემს ნაცნობ შავკანიან აქტივისტ ადვოკატს დავურეკე, რომელსაც ნებისმიერ ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი. წვრილ-წვრილად ავუხსენი ყველაფერი. ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს ხანგრძლივმა სიჩუმემ დაისადგურა, რაც ათი დოლარი მაინც დამიჯდა.

– Okay, – მითხრა მან, – ძნელი არ უნდა იყოს ამის მოგვარება.

ადვოკატს თითქმის დღე-ნახევარი დასჭირდა იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს დაღლილ-დაქანცული ხმით ჩემთვის საინტერესო ინფორმაცია მოეწოდებინა.

– სერიოზული ამბავია?

– ჯერჯერობით ამ ყველაფერს მე დიდ სიმახინჯესა და საძაგლობას დავარქმევდი. „ლამაზი“, „მდიდარი“ და „სახელგანთქმული კინოვარსკვლავი“ მათ ეახლა... შეგიძლია, დაახლოებით წარმოიდგინო, როგორი გაგრძელება შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას.

– მერე?

– მერე, „ეს მეტისმეტია“. ჯინ სიბერგი მოძრაობის წევრი შავკანიანი ქალებისთვის მეტისმეტია.

კრინტი არ დამიძრავს. ყველაფერს მივხვდი. ასეთია ადამიანის ბუნება. ამიტომ მათ რეაქციაში გასაკვირი არც არაფერია.

– უფრო კონკრეტულად აქ ლაპარაკი ეჭვიანობასა და შურზე კი არ არის, არამედ სიძულვილზე. ჩვენს ქალებს მუდმივი ალყის პირობებში უხდებათ ათასი ჯურის თავდასხმის მოგერიება... ცხოვრობენ შიშსა და სიღარიბეში, მაგრამ მათ საკუთარი ქალური სიამაყე არ დაუკარგავთ. ახლა წარმოიდგინე, ახალგაზრდა, თვალწარმტაცი კინოვარსკვლავი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მათ წრეში იჭრება და წამში საყოველთაო პატივისცემისა და თაყვანისცემის ობიექტად იქცევა. მათ ეუფლებათ სრული განცდა იმისა, რომ პრანჭია ქალბატონი მათ გასაქურდად მობრძანდა. ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ კინოვარსკვლავმა მათ სრულიად უკანონოდ ქონების ნაწილი ასწაპნა, მათი კუთვნილი დრამა, დარდი, უბედურება, გაერთიანების წყურვილი წაჰგლიჯა. ხვდები, რას ვამბობ?

– ვხვდები.

ორივე გავირინდეთ. ვგრძნობდი, რომ მასაც ჩემსავით დაუმძიმდა გული, მაგრამ სულ სხვა მიზეზით.

– ასე დაიწყო ეს პატარა კამპანია, რომელიც ჯინ სიბერგის მოძრაობიდან ჩამოცილებას ისახავს მიზნად. ამგვარად ჩვენს ქალებს აღარ მოუწევთ არც საკუთარი სიღარიბის, არც ტანჯვისა და უსამართლობის უფლების ვინმესთვის გაზიარება, მით უმეტეს კინოვარსკვლავისთვის, გესმის?

– ყველაფერი მშვენივრად გავიგე.

– როცა კინოვარსკვლავი გამოჩნდება ამ ალყაშემორტყმულ, ბარიკადებით ჩაკეტილ პატარა სამყაროში, მითხარი, ვინ შეიძლება ის გახდეს?

– მხოლოდ კინოვარსკვლავი.

– ასეა, მეგობარო, ათიანში გაარტყი.

– გასაგებია. მესმის ყველაფერი.

– ჰოდა ჩვენმა ქალებმა მოილაპარაკეს და ჯინის ჩამოცილება გადაწყვიტეს, რომ ალყაშემორტყმულ ციხე-კოშკში თვითონ გახდნენ თავიანთი „ზანგობის“ ვარსკვლავები. ეს არის და ეს.

– კარგი. გმადლობთ.

– აბა, კარგად იყავი. დროებით.

– დროებით. კიდევ ერთხელ გმადლობთ.

– რას იზამ. ასეა.

– კი, ასეა.

კარზე რეკავენ. ღამის სამი საათია. გამოსაძინებლად მინიმუმ რვა საათი მაინც მჭირდება. არადა ბოლო დროს უკვე მერამდენედ ვათენებ თეთრად ღამეს. არა, ეს ვიზიტი ჩემთვის ნამდვილად არ არის სასურველი. ისევ ტელეფონთან ვზივარ. ისევ გაისმის ზარის ხმა. არა, არ გავუღებ. იყვნენ იქ, თავიანთ ნეგროიდულ სამყაროში. ჩემთან არაფერი ესაქმებათ. ავდექი და კარის გასაღებად გავემართე. ოჰ, ეს დაწყევლილი ცნობისმოყვარეობა, ვერაფერს გააწყობ! ამას ისიც ემატება, რომ გამუდმებით ვიღაცის მოლოდინში ვარ. არავინ იცის, ვისი. რაღა თქმა უნდა, ისინი მობრძანდნენ. „ცის ფესვების“ გამოსვლის დღიდან მე პარიზელი აფრიკელებისთვის ერთგვარ ჟაკ ფოკარად ვიქეცი, ოღონდ სენის მარცხენა სანაპიროდან.

სტუმრებს შავბნელი მზერა ვესროლე. არ დაგიმალავთ და გეტყვით, ზოგჯერ მეც მეუფლება განცდა, რომ პირ-

წავარდნილი რასისტი ვარ. ამ დროს შავი კანი ჩემზე ისეთივე ეფექტს ახდენს, როგორსაც თეთრი. სამზარეულოში მოვეწყვეთ და მოხარშულ კვერცხებს გამოვუყვანეთ წირვა; ღამის სტუმრებს შორის არის ამერიკელი შავკანიანი, ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც creep-ს ეძახიან და ვინც, ეჭვი მაქვს, პარიზში მცხოვრები ამერიკელი შავკანიანების შესახებ ამერიკულ სპეცსამსახურებს უპატაკებს. აქვეა ერთი ტენესელი პოეტიც. ჩახრენნილ ხმაზე ეტყობა, რომ წინა დღეს დაწყებული ტირადა ჯერ არ დაუმთავრებია. ძალიან მომინდა, რომ ხმის დასარბილებლად მისთვის ხახაში ერთი ლიტრი ზეთი ჩამეცალა.

– პოლიტიკური თვალსაზრისით ვერაფერს მოვიმკით, თუ ამ ჩვიდმეტ მილიონ შავკანიანს კრიმინალური სინდიკატების მმართველ აპარატებში თავიანთი წარმომადგენლები არ ეყოლებათ, – ქადაგებდა ორ კვერცხს შორის პაუზისას, – ჩვენ ძალიან ჩამოვრჩით მათ და ეს მაშინ დაიწყო, როდესაც იმ ნაძირალებმა კრიმინალური მონოპოლიების ჩამოყალიბება უჩვენოდ დაიწყეს. ჩვენი ვალია, პირდაპირ თავში დავუმიზნოთ „კოზა ნოსტრას“ და მმართველობის სადავეები ხელში მოვიგდოთ...

პოეტმა მორიგი კვერცხი ჩაიგდო ხახაში და დროებით დადუმდა. მისი სათვალე „დიალექტიკურ ნაპერწკლებს“ გაენათებინა. შუბლზე ჩამოყრილი აფრიკული ნაწნავები დენგატარებულ მავთულხლართებს მიუგავდა. კი მაგრამ, ამ მაისის თვის გაგანია ხვატში შალის შარფი ყელზე რად შემოუხვევია? ღამის ოთხ საათზე თეთრად გატარებული ღამეების შემდეგ ეს აბანოზის სიფათი კბილებში გაჩხერილი ცილის ნარჩენებით შიშის მომგვრელ ურჩხულად აღვიქვი.

– შენ რას სთავაზობ? – ჰკითხა creep-მა.

– პასუხის გაცემისას გირჩევ, სიფრთხილე გამოიჩინო, პოგო. ეს ნაძირალა პირდაპირ CIA-ს ჩაუკაკლავს ყველაფერს, – ვუპასუხე მე.

ყველას გულიანად გაეცინა. ეს ამერიკელ ემიგრანტებს შორის გავრცელებული ხუმრობაა. ასე რომ, სიმართლის გაგონება მტკივნეული არავისთვის არ არის.

– რას ვთავაზობ? „კოზა ნოსტრას“ იტალიელი თავკაცების გატაცებას. უნდა დავემუქროთ იმათ ოჯახებსაც, შეითხელონ ცოტა ჯიბეები, არ გაკოტრდებიან. აშკარად ჩანდა, რომ ჯაშუშის თვალი-ფანქარი ყოველ სიტყვას ინიშნავდა.

კარზე ზარია.

არა, არა, ეს უკვე აუტანელია, კარზე აუცილებლად უნდა დავკიდო წარწერა: „ფოკარი რივ-გოში. მიიღება ორ საათამდე“. საშინლად დაქანცულს მეჩვენება, რომ კვერცხების გარემოცვაში ვარ, რომლებიც შავ თავებს შეექცევიან. ავდექი და კარის გასაღებად წავლასლასდი: კოსო! პარიზის ყველაზე ლამაზი მალიელი გოგონა. მისი მობრძანება სხვებსაც ვაუწყე.

– ვიხურებით. დაბრუნდი მალიში, გემუდარები.

– აღარ ვუყვარვარ, – მაცნობა მან.

– კოსო, მიბრძანდი ელისეს სასახლეში და ყველაფერი ფოკარს მოახსენე. მე უძლური ვარ, ვერაფრით დაგეხმარები.

– მითხრა, ყველაფერი დასრულდაო. ღმერთო, რა წყალში გადავვარდე ახლა?

– წადი სამზარეულოში და კვერცხები ჭამე.

წავედი და დავწექი. ძილი არ მეკარებოდა. სულ ჯინი მიტრიალებდა თავში. ამერიკა ხომ ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერია მოსალოდნელი. თვითმფრინავის ბილეთი დავჯავშნე, მაგრამ მალევე გადავწიე გამგზავრების თარიღი; ახლობელმა დამირეკა და მითხრა, ხვალ ელისეს მინდვრებზე თავისუფალი

ფრანგების უკანასკნელი „კარე“ ჩაივლისო. უკანასკნელი „კარეს“ ფუფუნებას ვერ მოვიკლებ. მეზიზღება უმრავლესობა. მეზიზღებიან მაჟორიტარები. მათგან მხოლოდ მუქარას უნდა ელოდე. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება და დაბნეულობა, როცა მეორე დღეს ერთი მუჭა უმცირესობის ნაცვლად ელისეს მინდვრებზე ერთ მუშტად შეკრული, მრავალათასიანი ერთსულოვანი უმრავლესობა შემრჩა ხელში. ძარღვებში სისხლი გამეყინა; დავიზაფრე. იმწამსვე ვიგრძენი, რომ მე contre ვიყავი. ლორენის ჯვართან რამდენიმე ასეულ მარგინალთან ერთად სამფეროვანი დროშის საფრიალებლად მოსულს, დამეუფლა განცდა, რომ გამქურდეს. ბრბოს ზურგი შევაქციე. ნებისმიერი დემოგრაფიული სიჭარბე – არა აქვს მნიშვნელობა, მემარცხენეები იქნებიან თუ მემარჯვენეები – რბილად რომ ვთქვა, გულს მირევს.

დაბადებიდანვე მხოლოდ უმცირესობის ქომაგად მივიჩნევ თავს.

25

მეორე დილას ბევერლი ჰილზში ჩავაღწიე. როგორც კი კარს მივუახლოვდი, სასოწარკვეთილი კნავილი შემომესმა. სიამის კატებს გულის გამგმირავი ხმები აქვთ. ცნობილი ამბავია, მაგრამ, როცა იტანჯებიან, ამის მოსმენა ნორმალური ადამიანისათვის თითქმის შეუძლებელია; სახლში არავინ იყო. გაძვალტყავებული მეი ბალიშზე იყო მისვენებული, განძრევის თავიც არ ჰქონდა. წინ საჭმლით სავსე ჯამი ედგა, მაგრამ არც კი მიჰკარებოდა: მოკლედ, მეის აგონიის საათი დამდგარიყო.

აშკარა იყო, რომ იმ შავკანიანმა პატარა ნაბიჭვრებმა მეიც მოწამლეს დანარჩენებივით. ხელში ავიყვანე. გამოუძინებელსა და მგზავრობით დაღლილ-დაქანცულს ნერვებმა მიმტყუნა – ტირილი დავიწყე, კარგა ხანს ვღვარე უმწეო სიძულვილის ცრემლები. მეიმ დაჟინებული მზერა მომაპყრო, მელაპარაკებოდა, რაღაცის ახსნას ცდილობდა... კი, კი, მეი, მესმის, მესმის, ყველაფერი მშვენივრად მესმის, შენ არაფერ შუაში ხარ.

ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა. არც ვცდილვარ ტირილის შეკავებას. ვიჯექი ასე ერთი-ორ საათს, შეიძლება სამ-

საც, ენით აუწერელი სიძულვილით შეპყრობილი, სანამ ჯინი სტუდიიდან შინ არ დაბრუნდა. ვცდილობდი, მეისთვის საწვეთებლით მაინც მეჭმია. როგორც კი ჯინი მომიახლოვდა, ფეხზე წამოვხტი.

– რატომ არ მითხარი, რომ მეიც მოწამლეს? შეგიძლია, მითხრა, ვის უფრთხილდებოდი, იმ ნაძირალებს, თუ ჩემს გრძნობებს?

– კი მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ“. არ არსებობს გამამართლებელი „მაგრამ“. მხეცები არიან, მხეცები! ყელში ამომივიდა ეს ნაძირალები, რომლებსაც მათი კანის ფერის გამო ელოლიავებიან, ცივ ნიავს არ აკარებენ და ისე უფრთხილდებიან, გეგონება სევრის ძვირფასი ფაიფურიაო... ამას შანტაჟი ჰქვია, შანტაჟი და სხვა არაფერი. გაიგე?

ჯინი ატირდა. დაქანცული და გამოფიტული მეჩვენა, უკიდურესობამდე ნერვებდაძაბული.

– მეი არ მოუწამლავთ. ყოველდღე დამყავს კლინიკაში... ვერაფერი დაუდგინეს. ვეტერინარმა მითხრა, დეგენერაციული სენი შეეყარაო.

– მითხარი, ვისი ღირსების დაცვა გინდა...

– იმათ არაფერი ჩაუდენიათ, თითიც არ დაუკარებიათ მეისთვის, – იყვირა წყობიდან გამოსულმა ჯინმა.

ჯინი სახლიდან შურდულივით გავარდა, რამდენიმე წამში მანქანის ძრავას ღმუილი მომესმა: გაშმაგებით მოწყვიტა ადგილიდან. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ სიმარტოვის ფსკერზე დავეშვი; არასდროს მიფიქრია, რომ ასეთი გმირობის ჩადენა შემეძლო: „პანამერიკენში“ დავრეკე და მავრიკიის ერთი ბილეთი დავჯავშნე. იქ ერთი ახლობელი მეგულებოდა, რომელიც აგერ უკვე ოცდახუთი წელი იყო, არ მენახა; მაგრამ

ჯინი მალევე დაბრუნდა, გვერდით მომიჯდა და ხელზე ხელი მომიჭირა.

მომდევნო რამდენიმე დღე გავატარე მეის მოვლაში, რომელიც ნელი აგონიით იტანჯებოდა. კატცენელენბოგენმა ბრძნული გამომეტყველებით ამიხსნა, იმ დროს, როდესაც კაცობრიობა ასეთ დღეშია, კატაზე ასე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იდარდოო... მე კარს უკან გავსვი ისიც და მისი გაუსაძლის დღეში ჩავარდნილი კაცობრიობაც. მეი ადამიანივითაა და ძალიან მივეჯაჭვე. ყველაფერი, რაც თქვენ თვალწინ იტანჯება, ადამიანის დარ არსებად გარდაიქმნება.

მეი მკლავებში მესვენა, ბალანს სულ დაეკარგა უწინდელი ბზინვარება; საშინლად გაუხუნდა და გაუმუქდა. უფრო გამოშიგნულ ფიტულს დაემსგავსა: დროდადრო წაიკნავლებდა ხოლმე. მესმოდა, რასაც მეუბნებოდა, მაგრამ პასუხის გაცემა არ შემეძლო. ჩვენი სახმო სიმები ამის საშუალებას არ გვაძლევს. რა თქმა უნდა, შეგვიძლია, ვიყვიროთ, ვიკივლოთ, ვიბღავლოთ, მაგრამ მე ხომ ერთხელ უკვე აგიხსენით, მხოლოდ ოკეანეს თუ აქვს ის ხმა, რომელიც მხოლოდ ადამიანს ეძლევა სამეტყველოდ.

რა ამბავი ავტეხე, არა, კატის გულისთვის? და თქვენ რა დაგრჩენიათ ამ წიგნში?

მეი გარდაიცვალა 7 ივნისს სამ საათსა და ოცდაათ წუთზე, მისი ნეშტი ჩეროკი ლეინზე მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ხეების ჩრდილქვეშ მივაბარეთ მიწას. საწყალს ძალიან უყვარდა ხეებზე აძვრომა.

ერთ კაცს ვიცნობდი, რომელიც კარგად გაიგებდა ჩემს მწუხარებას. როგორც კი სახლში დავბრუნდი, ავიღე კალამი და მივწერე:

„ძვირფასო ანდრე მალრო,
ჩემი სიამის კატა მეი, რომლის გაცნობის ბედნიერებაც თქვენ ჩემს სახლში მოგეცათ, გარდაიცვალა დღეს, ნაშუადღევს, რამდენიმე კვირის ტანჯვის შემდეგ. დავასაფლავეთ ევკალიპტების ქვეშ ბომონდ დრაივისა და ჩეროკი ლეინის კუთხეში, აგურით ნაგები სახლის უკან. ვიფიქრე, რომ ეს ამბავი თქვენთვის აუცილებლად უნდა შემეტყობინებინა. სულ ეს არის.

თქვენი ერთგული რ. გ.“

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როცა სახლის წინ ცისფერმა შევროლემ დაამუხრუჭა. ცოტა ხანში რამდენიმე მეტრის დაშორებით მეორეც გაჩერდა. შავკანიანი მძღოლები საჭესთან დარჩნენ. მესამე გადმოვიდა, შუა ტროტუარზე დაერჭო და არემარის თვალიერებას მოჰყვა. შევროლეს მძღოლი სახლისკენ დაიძრა. ბინდი ჩამოწოლილიყო და რედი მხოლოდ მაშინ ვიცანი, როცა კარი გავაღე. საოცრად შეცვლილი მეჩვენა, ჯერ ერთი, ფიზიკურად: თავი გადაეხოტრა, გამოხოხებული მონღოლი იყო, განსაკუთრებით თვალები ჰქონდა შეცვლილი; არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ: თვალებში ნაპერწკალი ჩაჰქროლოდა, შიგ სრულ სიცარიელეს დაესადგურებინა. მზერა არსაიდან, მზერა არსაით. რედი უსიტყვოდ დაჯდა, როცა ჯინი მისასალმებლად შემოვიდა, ულიმღამო მინავლებული hello მიაგება.

– შეიძლება, ღამე თქვენთან დავრჩე?

– რა თქმა უნდა.

ჩემგან მირთმეული ვისკის ჭიქა გვერდზე გასწია.

– შეიძლება, ჩემ გამო პოლიციასთან პრობლემები შეგექმნას.

– დარდი ნუ გექნება. მეც ხომ უნდა ავუწყო დროებას ფეხი? შეიძლება, შენი გასაჭირი ჩვენც გავიგოთ?..

– ფილიპი მოკლეს.

მე მეი გამახსენდა. მივხვდი, რასაც განიცდიდა.

– ვიეტნამელებმა ტყვია დაახალეს პატრულირებისას.

რედი კედელს მიაშტერდა.

– უკვე ლეიტენანტი იყო. ლეიტენანტობას იმიტომ მიაღწია, უკეთ რომ დაუფლებოდა თავის ხელობას... თავისი საქმე აქ უკეთ რომ შეესრულებინა...

გავირინდე. ბინდიც ჩამოწვა. აბაჟურიდან ყვითელი მქრქალი სინათლე იფრქვეოდა. ჯინი კუთხეში მიმჯდარიყო: ხელები მუხლებზე დაეწყო, თავი ჩაექინდრა და დუმდა. დროდადრო მხრები თუ შეერხეოდა ნერვიულად. ვდუმდი. ის ვერასდროს გაიგებს. გააგრძელებს არსებობას და მუდამ იამაყებს თავისი ვაჟით; და ვერასოდეს გაიგებს, რომ „შავ ძალას“ კი არ დაუკარგავს მომავალი რევოლუციის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლიდერი, არამედ ამერიკის არმიამ დაკარგა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც ვარსკვლავებით მოჭედილი დროშის ქვეშ კარიერის გაკეთებაზე ოცნებობდა.

– რამდენიმე თვის განმავლობაში აღარ მწერდა; არც წერილებზე მპასუხობდა; მერე კი ეს მოხდა...

მცირე პაუზის შემდეგ უსიცოცხლო ხმით მკითხა:

– როგორ მიდის ბალარის საქმეები?

– შენ კარგად მოგეხსენება, რასაც ნიშნავს ამერიკელისთვის პარიზში ცხოვრება – საკუთარი ფესვებიდან მოგლეჯილად გრძნობს თავს.

რედი თავის კანტურით დამეთანხმა.

– არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოქცეულიყო არმიიდან, ბოლომდე უნდა მიჰყოლოდა თავის საქმეს, მაგრამ

ბალარს არა აქვს ძლიერი ნებისყოფა. ყველაფერი გასაგებია; არცაა გასაკვირი, რომ ასეთი შავკანიანი ვიეტნამში ომის წინააღმდეგ გამოვიდეს და არმიიდანაც გამოიქცეს.

რედი თავს იტყუებდა. იცოდა, რომ ბალარი ომის გამო არ გამოქცეულა არმიიდან, რომ ვიეტნამი მას ფეხებზე ეკიდა. ის იმიტომ გამოიქცა, რომ ეცხოვრა გოგოსთან, რომელიც მთელი არსებით შეუყვარდა, ვერ იტანდა იძულებას, მორჩილებას, არმიასა და მის თანმხლებ დისციპლინასა და წვრთნას; სძულდა მეთაურები, ცეცხლსასროლი იარაღი, ძალადობა, დროშისთვის სალმის ნაძალადევად მიცემა. დეზერტირი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი დროის ახალგაზრდაა, ანუ მოუხელთებელი, რომელსაც არ სურს, მხრებით ზიდოს ხავსმოკიდებული და გახრწნილი ტრადიციების მძიმე ტვირთი.

ყვითელი შუქი რედის გაძვალტყავებულ, თითქმის გამომშრალ და უსიცოცხლო სახეს ანათებდა. მისი თვალების მქრქალმა სხივმა ისევ მეის ბოლო მზერა მომაგონა. არა, ნამდვილად თავს იტყუებდა... ისინი მოსწყდნენ რეალობას და წარმოსახვით სამყაროში გადაინაცვლეს. რედი, ეს ბუნებით კეთილშობილი, ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკელი ამის ნათელი დასტურია: შავკანიანი მეფე, რომელსაც სამუდამოდ ირეალურ, ფანტასმაგორიულ სამფლობელოში ბატონობა აქვს მისჯილი...

მეტი აღარ შემეძლო. აღარ შემეძლო ამის დანახვა.

– და ცენტურიონები რაღას გერჩიან?

– სინამდვილეში ჩემი გამოწვევა და წყობიდან გამოყვანა სურთ... უნდათ, მაიძულონ, რომ გავისროლო, რომ ჩემი მოშორების კანონიერი საბაბი მიეცეთ... ისინი თავდაცვის შეუდარებელი ოსტატები არიან: ამას გარდა, ერთი ტიპი მოვკალი.

საუბარი ფრანგულად გავაგრძელეთ.

– პოლიციელი?

– კი... არა... მოკლედ, ტიპი შავკანიანი პროვოკატორი იყო. პოლიციელების ავტომატებით შეიარაღებული კაბინდას ხალხი შემოგვივარდა ერთ-ერთი შეკრების დროს. ორი აქტივისტი მოგვიკლეს, სტუდენტები იყვნენ. მეორე დღეს საპასუხოდ მეც გავაგორე ერთ-ერთი იმათიანი.

– იქნებ შეგეწყვიტათ ხოცვა-ჟლეტა.

– ძნელია, ძალიან ძნელი, როცა მტრის თამაშის მთავარი წესი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს გადაგვკიდოს.

– აი, სწორედ ამიტომაც...

– თუ ჩვენ ყველაფერს რეაგირების გარეშე დავტოვებთ, „შავი ძალა“ მთლიანად FBI-ს მიერ მართულ დაჯგუფებებს ჩაუვარდება ხელში.

– შენ რას იზამ?

– არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ ვიცი, რას არ ვიზამ. მე არ დავტოვებ ქვეყანას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არც კი ვიცი, სად გადავიხვეწო. ვიყავი აფრიკაში და თავი უცხოელი მეგონა. კასტროზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვეცდები, გამოცდილი ადვოკატი ვიპოვო, ისეთი, რომელიც პოლიციას მოსვენებას არ მისცემს და მალევე ყელში ამოუყვანს, იმ ზომამდე მიიყვანს, რომ თვითონვე შემეშვან.

რედს ხმა დაუბოხდა, ერთგვარად ჩაეხშო. გეგონება, შიგნით ჩაუბრუნდა, რათა ზიზღისა და ღვარძლის ახალი ტალღისთვის მიეცა გზა.

– ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უნდა, რომ ჩვენს ძალებს სახელი გაუტეხოს, გასაქანი არ მისცეს, აიძულოს, თავშესაფარი კასტროსთან ან ნასერთან ეძებონ ან პეკინში გადაიხვეწონ. დაზვერვის ფედერალურ ბიუროს კი ჩვენი გათიშვა და დაქსაქსვა აქვს განზრახული. უნდა, რომ

კლიეერის, კარმაიკლისა და სხვა ბევრის მსგავსად დავიფანტოთ, ვინ სად და ვინ კიდევ სად, დავტოვოთ ქვეყანა და ემიგრაციაში ვიტანჯოთ – აი, რა უნდათ. მთავარი დამავიწყდა: „შავი ძალის“ შიგნით ცალკეულ დაჯგუფებებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლის გაღვივებით ჩვენი გათიშვა უნდათ, რომ ვერასდროს გავერთიანდეთ და საუკეთესოებმა ჩვენივე ხელით ამოვხოცოთ ერთმანეთი. მაგრამ უარესიც არსებობს, ბევრად უარესი და ეს თითქმის გამოუვიდათ: ჩვენ მახეში გავებით. პირველი მე ვარ და დასხლტომა შეუძლებელია. ჩემს შემთხვევაში წარმატება გარანტირებული აქვთ...

ამჯერად რედის ხმა ამოსკდა, გრუხუნი გაჰქონდა. ბრაზმორეული და თავდახრილი, უზარმაზარ ტორებს ნერვიულად მუშტავდა.

– იცი, რაშია საქმე? გვაიძულებენ, რომ მეტ ძალადობას მივმართოთ და ამით გაძლიერებული რეაგირებისა და დევნის საბაბი მივცეთ, დაგვქანცონ, გამოგვფიტონ, რომ შავკანიანთა მასებში სასწორი შიშის, დაღლილობისა და გულგრილობისაკენ გადაიხაროს... ყველაზე საშინელი ის არის, რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ახალგაზრდები მოძრაობას ჩამოაშორონ და მათგან შექმნან ერთგვარი „დაკარგული თაობა“, რომელიც დროთა განმავლობაში თავისთავად მოსწყდება რეალობას ფსიქიკური თვითინტოქსიკაციის ნიადაგზე. გესმის რასთან გვაქვს საქმე?

რედმა გამომხედა და გაიღიმა.

– თუ მე მკვლელად არ გარდავიქმნები და ნებისმიერ მკვლელობას გავკიცხავ, ახალგაზრდების თვალში წონას დავკარგავ და ლიდერი ვერანაირად გავხდები... მაგრამ თუ მოვკლავ და მკვლელობასაც მხარს დავუჭერ, მაშინ ჩემი ჩამოცილება კანონიერი და ლეგალური გზებით ადვილზე ადვილი

იქნება. საით მივყავართ ახალგაზრდების თვითგვემას? მერწმუნე, საყოველთაო გამოსვლებისკენ კი არა, არამედ მასებთან კავშირის გაწყვეტისა და თვითგანადგურებისაკენ. მათ უნდათ, რომ თვითმკვლელებად გვაქციონ; ჩვენ ყველანი მართულები ვართ, ჩვენით მანიპულირებენ, გასაგებია? რაც უფრო ადრე გადაიხრება შავი უმცირესობა ძალადობისკენ, მით უფრო ნაკლები სადარდებელი ექნება თეთრ უმრავლესობას. მე მხოლოდ ერთადერთი რეალური გამოსავალი მესახება: ადგილებზე პოლიტიკური გზებით ძალაუფლების ხელში ჩაგდება... მაგრამ, თუ ეს ხმამაღლა განვაცხადე, გროშია ჩემი ფასი ახალგაზრდების თვალში და, რაღა თქმა უნდა, მათ ხსნას უკვე ვეღარ შევძლებ...

– და შენი შავკანიანი სამხედრო კადრები, შენი არმია?

– ჩვენთვის ეს ერთადერთი გამოსავალია, იმისათვის, რომ დისციპლინასა და წესრიგს შევეგუოთ, თორემ თავით ფეხებამდე ტერორიზმსა და ანარქიაში გადავეშვებით... მთლად ისეთი გიჟიც არა ვარ, სიმცირის გამო წინასწარ დამარცხებულ არმიაზე რომ ვიოცნებო. მე შენ ორგანიზაციაზე გელაპარაკები...

რედის ხმაში დაღლილობა გამოსჭვიოდა.

– როცა ყოველ წუთს, ყოველ წამს უსამართლობას ეჯახები, ბევრად უფრო მოსალოდნელია, გმირობის ჩადენისკენ გაგიწიოს გულმა ანდა სულაც რომანტიზმში გადავარდე. ორგანიზება და მანევრირება სხვა რამაა. ინდივიდუალური მსხვერპლი – ეს ადვილი გადაწყვეტილებაა... საქმე ისაა, რომ ახალგაზრდებს ლოდინის დრო არასოდეს არა აქვთ...

რედი ფეხზე წამოდგა. მეც.

– წამოდი, ოთახი გიჩვენო.

კიბე ავიარეთ.

– როგორ მოვიქცე, თუ პოლიცია დაგვადგა თავს?

– არა მგონია, რომ მოვიდეს. ეს სათადარიგო გამოსავალია, რომელსაც, როცა დასჭირდებათ, მაშინ აამოქმედებენ ჩემ წინააღმდეგ. ჯერჯერობით კი ურჩევნიათ, თავად გავქრე მათი მხედველობის არიდან. ამას ითხოვენ ჩემგან, სხვას არაფერს.

– და ის ტიპები, გარეთ რომ დგანან?

– ეს იმ შემთხვევისთვის, თუ კეთილისმსურველი მეგობრები გვესტუმრებიან.

რედი შეიშმუშნა.

– როგორაა ის გოგონა?

– კარგად, ძალიან კარგად. რამდენიმე დღეში, ალბათ, ბავშვი შეეძინებათ. რედ...

ვერ მოვიქეცი სწორად, მაგრამ... პირველმა თვითონ ჩამოაგდო სიტყვა თვითინტოქსიკაციაზე. ამას გარდა, ეს იყო გულახდილობის, სიმართლის თქმის მომენტი. მე მგონი, ახალი, დღემდე უცნობი და გაუგონარი მისთვის არაფერი მითქვამს.

– იცი, ბალარი მისი გულისთვის გამოიქცა არმიიდან, იდეოლოგია და ვიეტნამი აქ არაფერ შუაშია. ეს ერთი უბრალო სიყვარულის ამბავია – ყველაზე ძველი დედამიწის ზურგზე.

რედი კართან შეჩერდა, ზურგით ჩემკენ.

– ვიცი, – თქვა მან.

– და ფილიპი...

რედი გაირინდა. პასუხს ელოდა. იცოდა. ახლა ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. რედი ოთახში შევიდა და კარი მიიხურა. მისაღებში ჩავედი. მთელი ამ ხნის მანძილზე ჯინს პოზა არ შეეცვალა.

საშინელებაა, როცა ასე გიყვარს ცხოველები. როცა ძაღ-

ლში ადამიანს ხედავთ, შეუძლებელია, ადამიანში ძაღლი არ დაინახოთ და არ შეიყვაროთ. თქვენ არასოდეს დაგემუქრებათ კაცთმოძულეობა და სასოწარკვეთა, მაგრამ, სამაგიეროდ, ვერც სიმშვიდეს ეღირსებით ოდესმე.

რედი 1968 წლის 27 ნოემბერს მოკლეს დეტროიტის ერთ ქუჩაზე. მკვლელმა მანქანიდან ავტომატის ჯერი მიუშვა – 12 ტყვია დაახალა. ბალარი თვითონ ჩაბარდა 1969 წლის თებერვალში, ვაჟიშვილის დაბადებიდან ექვსი თვის შემდეგ.

26

რამდენიმე კვირის შემდეგ ბევერლი ჰილზში, არდენის სახლში დავბრუნდი. ამერიკასთან დიდი ხნით განშორება არ შემიძლია, რადგანაც არც ისეთი მოხუცი ვარ, რომ მომავალი არ მაინტერესებდეს, ან საერთოდ არ მაღელვებდეს, რა გადამხდება თავს. ამერიკა გვაიძულებს, ციებ-ცხელებითა და მრისხანებით შეპყრობილებმა, დაძაბულად, ენერგიულად, ზოგჯერ სამარცხვინოდ და სათაკილოდ ვიცხოვროთ.

ყოველ შემთხვევაში, მას არაფერი აქვს საერთო აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელ მომაკვდინებელ უძრაობასა და მოუქნელობასთან. ამერიკა კონტინენტია, რომელიც მარად ფეთქავს და ბობოქრობს...

სიახლე მუდამ ტანჯვასა და ტკივილებში იბადება. ამერიკა ერთადერთი ძლევამოსილი სახელმწიფოა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში ჩადენილი დანაშაულებები მოსვენებას არ აძლევს და მათში გასარკვევად უამრავ შეკითხვას უსვამს საკუთარ თავს. ამგვარი რამ ადამიანთა მოდგმას არასდროს უნახავს. ამიტომაც ეს ქვეყანა სასოების დაკარგვის უფლებას მაინც არ აძლევს თავს, მაშინაც კი, როცა ღრმადაა სასოწარკვეთილი...

ცხადია, საშენს ვეწვიე თეთრი ძაღლის მოსანახულებლად. ალბათ, ძალიან უნდა დავბერდე და დავჩაჩანაკდე, რომ ჩვენი შეხვედრა ხსოვნიდან წამეშალოს. საჭიროა, რომ ჩემი ვაჟი წამოიზარდოს და თავისნაირებს შორის მისგან ნამდვილი მამაკაცი და ჭეშმარიტი ადამიანი დადგეს, ყოველ შემთხვევაში, ამ სახელის ღირსეულ მატარებლად იქცეს. საჭიროა, რომ ამერიკა გამოვიდეს პრეისტორიიდან და ახალმა სამყარომ მომცეს უფლება, აღვესრულო შვებისა და მადლიერების გრძნობით აღვსილი. მადლიერებისა იმიტომ, რომ მომეცა შანსი, საკუთარი თვალით მენახა ის, მეტიც, მასთან შეხების წერტილები მქონოდა.

რაც ჩამოვედი, ვცდილობდი, კიზს ტელეფონით დავკავშირებოდი, მაგრამ ამაოდ. ყოველ ჯერზე უსიცოცხლო, ემოციებისგან დაცლილი მკვდარი ხმა მპასუხობდა:

„აბონენტი გასულია მომსახურების ზონიდან“.

ყოველ ჯერზე, როცა ეს ფრაზა მესმოდა, ახალგაზრდობაზე მეფიქრებოდა, ზოგადად, არა მხოლოდ ამერიკულზე, ფსიქიკურად დაავადებულზე და „მომსახურების ზონიდან გასულზე“.

ჯეკ კერათერსს სახლში დავურეკე და შევიტყვე, რომ კიზს მასთან სამსახური დაეტოვებინა.

– He is in business for himself... საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. მისი მისამართიც კი მაქვს. მოითმინეთ ერთი წამით... კრენტონი, კორინ სტრიტი, ფეხბურთის მოედნის იქით, მწვანე სახლი. ფლორენს ავენიუდან მესამე ქუჩა მარჯვენა მხარეს.

მოვიდა ლოიდ კატცენელენბოგენი ჯინთან გადაუდებელ საქმეებზე სალაპარაკოდ, მაგრამ ის სახლში არ დახვდა. თავისუფალი იყო და შემომთავაზა, კორინ სტრიტზე მე წაგიყვან, კარგად ვიცნობ იმ უბანსო. სწრაფად ჩავიარეთ ლა ბრეა და კრენშოუსკენ ავიღეთ გეზი...

– რამდენიმე კვირის წინ აქ ერთი იტალიური ფილმის სანახავად ვიყავი მოსული, მგონი, „ალჟირის ბრძოლა“ ერქვა სურათს. აი, იმ მოედანზე...

ლოიდმა ჩვენგან მარჯვნივ ცარიელი მოედანი დამანახა.

– ალბათ, მალე გაიყიდება, მაგრამ ჯერჯერობით გაძვირებას ელოდება...

– აი, იმ მოედანზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და ხის თოფებით შეიარაღებული ოციოდე შავკანიანი ახალგაზრდა ინსტრუქტორის ზედამხედველობით წვრთნას გადიოდა ქუჩის ბრძოლებისთვის. ეჭვი არ მეპარება, რომ ვიეტნამის ომგამოვლილები იყვნენ. ფილმს ვუყურებდი. მგონი, მისი ჩვენება საფრანგეთში აკრძალულია. ნეორეალისტური ფილმი მომაგონა. არაბთა გმირულ ბრძოლაზე იყო ფრანგი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

ტიკები დამეწყო. ისე, არანაირი მიზეზი არა მაქვს იმისთვის, რომ სიტყვებმა „ფრანგი მჩაგვრელები“ ნერვიული კონვულსიები დამმართოს, მაგრამ ვაღიარებ, რომ მათ გაგონებაზე შინაგანი ღრჭიალ-ხრიალი მეწყება. პავლოვის რეფლექსია: ეტყობა, თავის დროზე კარგად გამომწვრთნეს.

– ჰოდა გიყვები. როცა ფილმს ვუყურებდი, ზუსტად ის ახალგაზრდები, სულ ცოტა ხნით ადრე მოედანზე წვრთნას რომ გადიოდნენ, დარბაზში ხმაურით შემოცვივდნენ და როცა ეკრანზე ალჟირელი პარტიზანები ფრანგ ჯარისკაცს ქუჩაში უმოწყალოდ სცემდნენ, სამხედრო ინსტრუქტორი გამოსახულებას ტექნიკური ხასიათის კომენტარებს ურთავდა ხმამაღლა. ხედავ? ის ახალგაზრდები იქ ცოდნის შესაძენად იყვნენ შემოსული... ყოველ ჯერზე, როცა ფრანგი დაეცემოდა, დარბაზში ახალგაზრდების სიცილ-ხარხარი და აპლოდისმენტები გაისმოდა. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

ლოიდს თვალი თვალში გავუყარე.

– და ფილმი პალესტინელი პარტიზანების ისრაელელი მჩაგვრელების წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაზე რომ ყოფილიყო გადაღებული?..

ახლა ლოიდს წამოუარა კონვულსიებმა.

კარგა ხანს მტრული დუმილით ვიმგზავრეთ.

– თუ არ ვცდები, აქ უნდა იყოს, – მითხრა ლოიდმა.

სხვათა შორის, მწვანე სახლი მთელ ქუჩაზე მარტო ეს აღმოჩნდა, ცოტა მოშორებით ფეხბურთის მოედანიც ჩანდა. ტროტუარზე შავკანიანი ბავშვები ჩამომსხდარიყვნენ და ყურადღებით გვათვალიერებდნენ. გავიხედ-გამოვიხედე და მეორე მწვანე სახლსაც მოვკარი თვალი, ქუჩის მეორე მხარეს, ოდნავ სილრმეში. მანქანიდან გადმოვედით.

– ჰკითხეთ, კიზი აქ ცხოვრობს? მე მოპირდაპირე მხარეს დავზვერავ...

ქუჩა გადავჭერი.

პირველი მწვანე სახლისკენ ზურგით ვიდექი. არ ვიცი რატომ, მაგრამ მინდა დავაზუსტო, რომ იმ დღეს სელის ტილოსგან შეკერილი კოსტიუმი მეცვა. შეიძლება ამის მიზეზი ვიქტორ ჰიუგოს ერთი ლექსის პწკარია, რომელსაც არაერთი ლიცეუმელი გაუხალისებია.

„მოსილი თეთრ ტილოში, ვითარცა სიმართლე...“

ჭადრებს ქვეშ გაზონზე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ზურგს უკნიდან უეცრად ადამიანის შეძრწუნებული ხმა გაისმა. ამას მოჰყვა ცხოველის ყმუილი, განრისხებული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა.

სწრაფად შემოვტრიალდი და სახლისკენ გავქანდი.

ეზო უკაცრიელი ჩანდა, კარი ღია დარჩენოდათ. ახლა

უკვე გარკვევით მესმოდა ბავშვების ყვირილი და ნადავლს ჩაფრენილი ძაღლის ღრენა...

ლოიდი ძირს ეგდო. სახე და ხელები სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

ბატკას მოგერიებას ცდილობდა, რომელიც მზად იყო, ბასრი ეშვებით მისთვის ყელი გამოეღადრა. ოთახი ბავშვებით იყო სავსე, ყველაზე უფროსი, დაახლოებით ხუთი წლისა, ძაღლს კუდში ჩაჰფრენოდა და უმწეოდ უკან ექაჩებოდა. კიდევ ერთი, როგორც ჩანს დაზაფრული, მწივანა ხმით ტიროდა. დანარჩენები, მონუსხულები, ამ საზარელ ორთაბრძოლას მიშტერებოდნენ. ვეტაკე ბატკას, მისი ეშვები სხეულში დანასავით შემესო. გვერდზე გადავვარდი. უკანასკნელი სიტყვებით ვიგინებოდი. მუცელში მიკბინა საძაგელმა... იატაკზე ვგორავდი. ბატკას ბალანს ხელიდან არ ვუშვებდი, ის კიდევ ისევ ლოიდის ყელისკენ იწევდა. რაღაც მომენტში კიზს მოვკარი თვალი. საცვლების ამარა კიბის თავზე იდგა და იცინოდა.

ნეტა რამდენ ხანს იყო აქ ამ პოზაში დარჭობილი; დოინჯშემოყრილი, კბილებგადმოყრილი, გამარჯვებულის იერით, საკუთარი „თანასწორობით“ დამტკბარი.

– Black dog! – შავი ძაღლი!

ახლა, როცა ანდრაჩში ამ სტრიქონებს ვწერ და ჩემ თვალწინ უკიდეგანო სივრცეა გადაჭიმული, ისევ ჩამესმის საკუთარი ღმუილი, სადაც ახლა ვცნობ მოზღვავებულ სიხარულს და საოცარ თავისუფლებას, თითქოს, როგორც იქნა, შევძელი სასოების დაკარგვა.

– თქვენ გაიმარჯვეთ. ახლა ეს უკვე შავი ძაღლია!

ბატკამ ჩემთვისაც მოიცალა. განრისხებული შემომახტა. ბრმად. მერე ისევ ლოიდს მიუბრუნდა. სასოწარკვეთილი

ვცდილობდი, გვერდზე გამეთრია. რამდენჯერმე ღრმად მიკბინა.

ლოიდი აღარც იცავდა თავს. პირაღმა იწვა ღონემიხდილი და სახეზე ხელებს იფარებდა. რაღაც მომენტში ბატკა ისევ შემომახტა და მაჯაზე მიკბინა. უკან გადავვარდი და კეფით კედელს მივეხეთქე.

თავჩაღუნული და მუშტებშეკრული მორიგი იერიშის მოსაგერიებლად მოვემზადე.

დაძაბული ველოდი.

არაფერი არ მოხდა.

თავი ავწიე.

ამ დროს დედაჩემის თვალები დავინახე – ერთგული ძაღლის თვალები. ბატკა მე მომშტერებოდა.

ომის დროს არაერთხელ მინახავს ჩემ გვერდით მოცელილი, სასიკვდილო ჭრილობებისაგან დატანჯული ამხანაგები, მაგრამ, თუ ოდესმე მომიწევს გახსენება, როგორია სინამდვილეში სახეზე აღბეჭდილი სასოწარკვეთილება, დაბნეულობა, გაუგებრობა და ტანჯვა, მისი ძებნა უთუოდ ბატკას ამ მზერაში მომიწევს.

მოულოდნელად ძაღლმა თავი მაღლა ასწია და გულის გამგმირავი, მწუხარებითა და სინანულით აღსავსე ყმუილი ამოუშვა. ერთ წამში ბატკა ოთახში აღარ იყო...

ლოიდი უგონოდ ეგდო; თორმეტი ნაკერი დაადეს. ყველაზე ღრმა ჭრილობა საძილე არტერიიდან რამდენიმე მილიმეტრით იყო დაცილებული.

კიზი კიბის თავიდან დაგვყურებდა. შიშველი და გაშეშებული. შავკანიანი მონების გადასაყვანი გემის ცხვირზე აღმართულ გიგანტურ ქანდაკებას ჰგავდა.

– განა თავიდანვე ეს არ გინდოდათ, რომ თეთრი ძაღლი

შავ ძაღლად გარდაქმნილიყო? თქვენ გაიმარჯვეთ! ბრავო და მადლობა. ყოველ შემთხვევაში, მარტო ჩვენ აღარა ვართ უნამუსოები და უპატიოსნოები!

– Yeah, we've learned a few things from you alright, – თქვა მან. დიახ, ჩვენ რაღაცები ვისწავლეთ თქვენგან; Now we can even do the teaching – ამჟამად თავად შეგვიძლია, გაკვეთილებიც კი ჩაგიტაროთ.

ღრმა შოკი და ნერვიული გამოფიტვა ჩემში ერთმანეთს შეერწყა და გადაჭარბებულ ბავშვურ ღვარძლად გარდაიქმნა. გამახსენდა, რასაც ვფიქრობდი, პირველად კიზი რომ დავინახე: ეს ჩვენ ვართ, ეს ჩვენ ვართ... ზუსტად ვერ გეტყვით, რას ვგულისხმობდი ამ სიტყვებში. შესაძლოა, იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენ ვაქციეთ ის ასეთად. თქმით კი სულ სხვა რამე ვთქვი; ეს აზრიც მოვიცილე თავიდან და მოზღვავებული ღვარძლიც ჩავიხშე. ცბიერი კიზი ფრაზის პათოსს მიმიხვდა, რაც, სხვათა შორის, ჩემი გულწრფელობის ნათელი დასტური იყო.

– მომისმინე, კიზ, შენნაირი ზანგები, რომლებიც სიძულვილს ირჩევენ და ამით თავიანთ ძმებს ღალატობენ, იმ ერთადერთ ბრძოლას აგებენ, რომლის მოგებაც ღირს.

კიზმა უხმაუროდ გაიცინა.

– ვიცი, რომ ცნობილი მწერალი ბრძანდებით, მესიე.

– კარგი, მომეშვით! თეთრი ძაღლი, შავი ძაღლი... მარტო ეგ იცი?

– Well, we've got to begin somewhere. საიდანმე ხომ უნდა დავიწყოთ ხელახლა.

– თანასწორობა სულმდაბლობასა და ცბიერებაშია?

– თავდაცვა. აი, რა შეიძლება ამას, ჩემი აზრით, ეწოდოს.

– სევდის მომგვრელია, როცა ებრაელები ებრაულ გესტაპოზე იწყებენ ოცნებას, ზანგები კი შავ კუ-კლუქს-კლანზე.

კიზს სახეზე უსაზღვრო სიამაყე აღებეჭდა; მისი ხმა თავისუფლად აჟღერდა, მკაცრი და რიხიანი გაუხდა. ველარ ვცნობდი. კიზმა ჩემი თანდასწრებით პირველად დაკარგა თვითკონტროლი, პირველად მისცა გამოსავალი საუკუნეების მანძილზე დაგროვილ სიძულვილს.

– წელს ოცი თანამოძმე მოგვიკლეს. ჩვენ უბრალოდ თავს ვიცავთ. ეს არის და ეს. ჩემი მოვალეობა ჩვენთვის ძაღლების გამოწვრთნაა, ვგულისხმობ არა მოდარაჯე, არამედ მებრძოლ ძაღლებს. სულ მალე ნახავთ...

ფარაონებისა და სასწრაფო დახმარების მანქანების სირენის ხმა შემომესმა. კიდევ ერთხელ შევავლე მზერა საკაცეზე დასვენებულ ლოიდს, რომელსაც შიშისა და სასოწარკვეთილებისაგან თვალები უზომოდ გაფართოებოდა. ბოლო მზერა ვესროლე კიზსაც:

– ძალიან სამწუხაროა. თქვენ შავკანიანი ხალხის ბოლო შანსს უშვებთ ხელიდან – შანსს, განსხვავებული იყოთ. ძალიან ბევრს კი ირჯებით, რომ როგორმე ჩვენ დაგვემსგავსოთ. გადაჭარბებული პატივია ჩვენთვის. ჩვენ ისე კარგად ავაწყვეთ საქმე, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელი ჩვენი მოდგმა დედაბუდიანადაც რომ ამოწყდეს, სამყაროში არაფერი შეიცვლება...

კიზს გაეცინა. ოჰ, ეს მისი თეთრი ქათქათა კბილები!

– That may well be, but let it not stop you from vanishing, – მითხრა მან, – შესაძლოა, მაგრამ დაე, ეს ნუ შეგიშლით ხელს გაქრობაში.

პოლიციელები გვისმენდნენ, მაგრამ ჩვენი ლაპარაკისა არაფერი ესმოდათ; შეეცადნენ, დაედგინათ, ძაღლს ცოფის საწინააღმდეგო აცრა ჰქონდა თუ არა გაკეთებული. ვუთხარი, ასეთი ვაქცინა მეცნიერებს ჯერ არ გამოუგონიათ-მეთქი...

ძაღლი მთელი სისწრაფით გარბოდა შუაგულ ქალაქში. პოლიციის მანქანები რაციით ერთმანეთს გადასცემდნენ: „ყურადღება, ყურადღება! ცოფიანი ძაღლი!“ მის თვალებში იკითხებოდა იმ მორწმუნის გაუგებრობა და დაბნეულობა, სევდა და სასოწარკვეთა, რომელსაც მოსიყვარულე ღმერთმა უღალატა. ლა სინიგასა და სანტა მონიკას კუთხეში სერჟანტმა ჯონ სალემმა სცადა, რომ მისთვის მანქანა დაეჯახებინა, მაგრამ ააცილა.

თითქმის ჩააღწია... არდენამდე ორასიოდე მეტრილა იყო დარჩენილი...

ოც წუთში მეც არდენში ვიყავი.

ჯინს ბატკა ხელში აეყვანა და მკერდზე მიეხუტებინა...

ბატკას სხეულზე არც ერთი ჭრილობა არ ჰქონდა...

ბატკა კარის წინ გაწვა, მერე მოიკუნტა და მოკვდა...

კლინიკაში ორი კვირა დავყავი. აქედან ორი დღე და სამი ღამე ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მეძინა. იყო მომენტები, როცა ბინდი იფანტებოდა და გონებაში რაღაც აზრები მებადებოდა. ამ დროს წამსვე იმედით ვივსებოდი და ღრმად მჯეროდა, რომ ყველა წაგებულ ბრძოლაში მხოლოდ მომავალი გამარჯვებები უნდა დამენახა.

მხნეობა და სასოება არასოდეს დამიკარგავს, მაგრამ სიცოცხლის უზომო მოყვარულს მასთან ურთიერთობა გამირთულდა. ასევე ძნელია, გიყვარდეს ქალი, რომელსაც ვერ შველი, ვერ ეხმარები, ვერც მისი შეცვლა ძალგიძს და ვერც მიტოვება. როცა თვალი გავახილე, პირველი, ვინც დავინახე, ჯინი იყო. მას ხშირად ვხედავ მაშინაც, როცა ის გვერდით არ არის. მახსოვს, გაღიმება მოვასწარი და მერე ისევ ბნელეთში ჩავიძირე.

მეორე დღეს დილით ისევ ვნახე ჯინი, მაგრამ ამჯერად მარტო აღარ იყო; მადლენიც მოეყვანა თავის ბიჭთან, ფრანსუა გასტონ კლოდთან ერთად. არ ვიცი, რას დაუძახებენ ბიჭუნას ამერიკაში.

– ბალარი როგორ არის?

– იცით, ალბათ, რომ ჩაბარდა.

– ვიცი.

– სასამართლო მალე შედგება. ხუთ წლამდე ციხე ემუქრება...

– თქვენ როგორა ხართ, მადლენ?

– იმედი მაქვს, რომ ერთ დღესაც ბალარს დამიბრუნებენ...

მადლენი მშვიდი, გაწონასწორებული, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანის ხმით ლაპარაკობდა.

შარტრის საკათედრო ტაძარი გამახსენდა. არ ვიცი, რატომ.

– რამე სამუშაოს ვიშოვი, გულხელდაკრეფილი ვერ დავრჩები...

მადლენმა გაიღიმა.

მეც გამეღიმა.

რა მშვენიერია უბრალოება...

რა დიდი შვებაა, როცა ბოლოს და ბოლოს გადაეყრები ადამიანს, რომელიც პატივისცემას იმსახურებს.

– ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, სად. ეს ქალაქი უეჭველად მასთან ახლო უნდა იყოს. ბალარის მონახულების ნება დამრთეს კვირაში ორჯერ...

Nigger-lover. Nigger-lover.

ანდრაჩი, 1969 წლის სექტემბერი.

უკვე გამოიცა:

რომენ გარი
თეთრი ძაღლი

ჯულიან ბარნსი
ფლობერის თუთიყუში

პიტერ კერი
ძარცვა

ჯონ ფაულზი
კოლექციონერი

პოლ ოსტერი, ჯონ მაქსველ კუტზეე
აქ და ახლა

ჰენრი მილერი
კირჩხიბის ტროპიკი

მილან კუნდერა
ყოფის აუტანელი სიმსუბუქე

ჯეკ კერუაკი
გზაზე

ჯონ მაქსველ კუტზეე
სირცხვილი

ჩაკ პალანიკი
მებრძოლთა კლუბი

უილიამ ფოლკნერი
დროშები მტვერში

პ. გ. ვუდჰაუსი
დაიკიდე, ჯივზ!

პოლ ოსტერი
მისნის ღამე

ედით უორტონი
უმანკოების ხანა

უმბერტო ეკო, კარდინალი მარტინი
რა სწამს მას, ვისაც არ სწამს

ორჰან ფამუქი
სტამბოლი

დიოგენე.ge